

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

9 ნომბერი 2007

№23(49)



ამერიკელი პოლიტოლოგი გვირჩევეს
ზურაბ ლავრელაშვილის ნოველები
მსოფლიოში საუკეთესო ხელობა
ფიქრები ქართულ ფეხბურთზე
ტყეში გახიზნული წიგნები
ზარი რეკს შენთვის

შინაარსი

მსხარეს-ინტერვიუ	2	გიჯოგოტი, თქვენს ტრადიციულ კულტურას დაეყრდნობ (საუბარი კლაეს რინთან)
ენისტიკა	4	გაბრიელ გარსია მარკესი მსოფლიოში საუკეთესო ხელოვა
პროზა	8	ზურაბ ლავრელაშვილი ნოველები, მინიატურები
მარადი ხელოვნება	16	სიმონ ლეისი „COSA MENTALE“ („იდეალი ფუნჯს ნინ უნდა უსწრებდეს“)
პოეზია	17	ელა გოჩიაშვილი ნანვიმარზა... სოკოსავით...
	18	ნათია ნაცვლიშვილი თვალები შენი სულინათვის
პირველი შთაბეჭდილება	21	გივი ალხაზიშვილი ხატვა მონამენტების გარეშე
პოეტის ერთი ლექსი	21	შოთა ბოსტანაშვილი მზის და
გამოხმაურება	22	იოსებ ქუმბურიძე გურამ პატრიარქის მოლანდება
	23	მურმან ჯგუბურია ნიგნის სახელწოდებისა და გვარ-სახელების შესახებ
მოგონებათა სივრცე	25	თინათინ თუმელიშვილი, ლეო კვაჭაძე 1942 წლის შემთხვევითა მოსაგონრად
დებამტყუარი ცდა	29	როსტომ ჩხეიძე ეკლიანი და ვატარა გზა
პირველი შთაბეჭდილება	38	ივანე ამირხანაშვილი მისტიკური დებამტყვი
რეპორტაჟი	40	ეკა ბუჯიაშვილი ზარი რეკს შენთვის (დოდონა კიზირიას საჯარო ლექცია)
კრიტიკა	43	რუსუდან ნიშნიანიძე საიდუმლო გათენებამდე (ლაშა იმედაშვილის „პატრიარქის ზაფხული“)
	45	მიხეილ შვიდკოი შინაურნი და უცხონი (გურამ ბათიაშვილის „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“)
გამოხმაურება	46	კახა კაციტაძე საქართველოს გედი ცივილიზაციითა შეჯახებისას
თეატრი	48	ქეთევან მეგრელიშვილი ასე იტყოდა ეკლესიასტა (ნატო გაგნიძის მონოსპექტაკლი „Ecce femina!“)
მოგურთაღსა მოვადანი	50	ნოდარ ებრაღიძე ფიქრები ქართულ გატანიაზე
უსხორცი ნოველა	58	ტომას ვულფი მრი ნოველა
მოზაიკა	63	ტყეში გახიზნული ნიგნები

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62

რეკლამა – (995 93) 65-93-68

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბაზოში "ომეგა ტეგი"
საქართველო, თბილისი, სარაქიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოსაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: კოლუმბიის ბოტანიკური ბაღი

ტომას ვულფი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 23 ნოემბერს

გიჟოტო, თქვენს ტრადიციულ კულტურას დაეყრდნობი

*

საუბარი კლავს რინთან

– ბატონო კლავს, ჩვენი ჟურნალი დიდად აფასებს თქვენთან ურთიერთობასა და მეგობრობას. ჩვენი მკითხველები იცნობენ თქვენს ესეებსა და მოუთმენლად მოელიან თქვენი თხზულებებისა თუ ინტერვიუების ახალ პუბლიკაციებს.

გთხოვთ მოიცალოთ და გვიპასუხოთ ორიოდ შეკითხვაზე, რაც ამერიკულ და ქართულ პოლიტიკასა და ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებს შეეხება.

რას ფიქრობთ საპრეზიდენტო არჩევნებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვინ გაიმარჯვებს წინასწარ არჩევნებში ორივე პარტიიდან? შეძლებენ თუ არა მეორეხარისხოვანი კანდიდატები, ვთქვათ, რონ პოლის მსგავსნი, თავისი სიტყვა თქვან ამერიკულ პოლიტიკაში და კვალი დატოვონ ისტორიაში?

– საპრეზიდენტო კანდიდატა ნარდგენის წინასწარ ეტაპზე ყველაზე მეტად მაოცებს, თუ როგორ ახერხებს მთელი ამერიკული პოლიტიკური სისტემა, ეროვნული მედიის ისტებლიშმენტი, გაანეიტრალოს და იზოლაციაში მოაქციოს ისინი, ვინც ნამდვილ გამონწვევას გამოუცხადებენ სტატუს-კვოს.

იმ კანდიდატებს, ვინც ისეთ საკითხებს წამოჭრიან, რისი განხილვაც არ სურთ ამერიკის მუდმივ მმართველებს, არასოდეს აძლევენ სიტყვის თქმის უფლებას.

როცა ხედავ, თუ როგორ იზრდება ამერიკელი ხალხის უკმაყოფილება, სულმოუთქმელად ელი, როდის გამოჩნდება ერის ბედით შენუხებული კანდიდატი, ვინც გადაუდებელსა და საჭირობოროტო საკითხებზე ჩამოაგდებს სიტყვას:

1. ამერიკის აგრესიული და სახიფათო, იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკის შეცვლაზე. 2. ამერიკის მთავრობის მიერ სამხედრო ხარჯების შეჩერებასა და ამერიკის უზარმაზარი სავაჭრო დეფიციტის შემცირებაზე. 3. ამერიკის ხსნაზე ტრადიციული კულტურის დაქვეითებისაგან, განათლების უმწვავეს პრობლემებზე, გადაგვარებულ მედიასა და გართობის პროპაგანდაზე, მულტიკულტურულ იდეოლოგიასა და შეუზღუდავ იმიგრაციაზე შეერთებულ შტატებში.

მაგრამ არც ერთი პოლიტიკური ფიგურა, ვინც მოწოდებუ-

ლია წინ აღუდგეს ამ უბედურებას, არა ჩანს ეროვნულ სცენაზე.

ამ საკითხების წამომჭრელ კანდიდატებს ყურადღებას არ აქცევს მედია, გვერდს უვლიან და ახირებულ ხალხად მიიჩნევენ, ან ისე ექცევიან, თითქოს ეს ხალხი არ არსებობდეს. რონ პოლი რესპუბლიკელი კანდიდატია; იგი მძაფრად უპირისპირდება ომს ერაყში და იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკას და მილიონობით დოლარს აგროვებს უკმაყოფილო ამერიკელებისაგან საარჩევნო კამპანიის წარსამართავად, მაგრამ ეროვნული მედია და მთავარი კანდიდატები კვლავ ისე იქცევიან, თითქოს ეს კაცი არ არსებობდეს.

„მთავარი“ კანდიდატები საფუძვლიანად კი არ უპირისპირდებიან მიმდინარე პოლიტიკას, არამედ მხოლოდ რიტორიკულად აკრიტიკებენ. დღეისათვის, როგორც ჩანს, ჰილარი კლინტონი გახდება დემოკრატიული პარტიის კანდიდატი. ისიც აშკარაა, რომ ამერიკის კულტურულ-პოლიტიკური დაქვეითება ძლიერდება და ქვეყნის პრეზიდენტის პოლიტიკა ემორჩილება მძლავრ ფინანსურ ინტერესებს საერთაშორისო დონისა, რასაც ძნელად თუ გამოვარჩევთ კრიმინალური ელემენტებისაგან.

ეგრეთნოდებული „ნეოკონსერვატორები“, ვინც სინამდვილეში ნეოიაკობინელები არიან, რესპუბლიკელთაგან მხარს უჭერენ რუდოლფ ჯულიანის. ნეოკონები დემოკრატიულ პარტიაზეც ახდენენ დიდ ზეგავლენას. ფაქტობრივად, უმრავლესობა, ვინც რესპუბლიკურ პარტიაში მოიყარა თავი, დემოკრატიულ პარტიაში არიან აღზრდილნი. რადიკალურ კულტურულ შეხედულებათა გამო ჯულიანის გაუჭირდება გაიმარჯვოს რესპუბლიკური პარტიის ნომინაციაში, თუკი რესპუბლიკელები არ დარწმუნდებიან, რომ მხოლოდ იგი შეძლებს დაამარცხოს ჰილარი კლინტონი ან სხვა დემოკრატი კანდიდატი.

არ უნდა მოველოდეთ მნიშვნელოვან ცვლილებებს ამერიკულ პოლიტიკაში, თუ რომელიმე ამ „მთავარი“ კანდიდატებიდან გაიმარჯვებს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ან დემოკრატიული პარტია მოიგებს არჩევნებს. რეალური ცვლილებანი დაიწყება მხოლოდ

სამშაბათს, 13 ნოემბერს
 ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
 დარბაზში გაიმართება
 განხილვა
გურამ ოდიშარიას
 რომანისა
„პრეზიდენტის კატა“
 მომხსენებელი
იოსებ ჭუმბურიძე
 დასაწყისი 14 საათზე
 ჩუბინაშვილის 41

მაშინ, თუ რომელიმე „მთავარი“ კანდიდატი გაიმარჯვებს და აღმოჩნდება, რომ მოხერხებულად დაუმალავს თავისი ნამდვილი შეხედულებები, რათა არ გაენადგურებინათ ძლიერთა ამა ქვეყნისა.

– შესაძლოა თუ არა, რომ ერაყში განცდილმა მარცხმა შეანელოს ამერიკის აგრესიული პოლიტიკა, ან ხომ არ შეეცდება ბუში ხელი შემოიბრუნოს ირანზე თავდასხმით?

– თუმცა ბუშმა და ნეოკონებმა პრესტიჟი შეილახეს ერაყის გამო, მაგრამ, ვშიშობ, რომ შესაძლოა ბუშმა რაღაც „ირანული“ პროვოკაცია საბაბად მოიძღოს და თავს დაესხას ირანს. „ნეოკონები“ ავითაცინებს უწევინ ომს ირანთან და ომისათვის ყველაფერი მზადაა. მაგრამ ეს ომი სრული უგუნურება იქნება. ვიმედოვნებ, ბუში თავს შეიკავებს, მაგრამ შეიძლება გადანყვიტოს ომის დაწყება და შედეგები თავის შემცველს შეატოვოს, რაც ახალი უბედურება იქნება, თითქოს ის, რაც ახლო აღმოსავლეთში მოხდა, არა კმაროდეს.

– ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ახალი მღელვარებანი იწყება. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში მოხერხდა პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიანად, არჩევნების გზით ჩაშოშმინება, ამ ქვეყნის პოლიტიკური მომავალი არცთუ ისე ნათელია. საქართველოს რაც შეეხება: „ვარდების რევოლუციის“ ყოფილი აქტივისტები ორ ნაწილად გაიყვნენ და თავს უწოდებენ „პოზიციას“ და „ოპოზიციას“; აშკარაა, რომ ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ ძალაუფლების მოსაპოვებლად და არა იდეოლოგიურ საფუძველზე. „პოზიცია“ (მთავრობა) ადმინისტრაციულ რესურსებს იყენებს პოლიტიკურ ბრძოლაში. „ოპოზიცია“ იმედოვნებს, რომ ქართველი მილიარდერის ბადრი პატარკაციშვილის ფულითა და მისი ტელეკომპანიის დახმარებით მიაღწევს გამარჯვებას. ისინი მხოლოდ გამარჯვებისათვის იბრძოლებენ, არჩევნების გზით იქნება თუ ხელისუფლების იძულებითი (მშვიდობიანი) გზით გადაყენებით. სხვათა შორის, ზემოხსენებული მილიარდერი ახლო მეგობარი და პარტნიორია რუპერტ მარდოკისა, ვინც ფლობს პატარკაციშვილის ტელეკომპანია „იმედის“ 30 %-იან წილს.

– როგორც ჩანს, მსოფლიოს იმ ნაწილში, სადაც თქვენ ცხოვრობთ, გარეშე ძალებს მნიშვნელოვანი ძალაუფლება უპყრიათ ხელთ. საერთაშორისო ფინანსურ ინტერესებთან დაკავშირებულ პოლიტიკოსებს – ფულისა და გავლენის საშუალებით – შეუძლიათ თამაშგარეშე დატოვონ ის პოლიტიკოსები, ვისაც ეროვნული კულტურის ბედი და ქვეყნის მომავალი აღელვებთ და არა პირადი ძალაუფლება.

ვინც უნდა იყოს გარეშე ძალა, თუ ქვეყნის შიგნით პროცესებში ჩაერევა, ჯორჯ სოროსი იქნება თუ რუპერტ

მარდოკი, კონკრეტული ქვეყნის რელიგიური და კულტურული ტრადიციები დაზარალებდა.

მარდოკი ისეთივე უბედურებაა, როგორც სოროსი. მას კიდევ უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე სოროსს, იმიტომ, რომ კონსერვატორის იმიჯი მოუპოვებია.

როცა პოლიტიკოსები ძალაუფლებას გარეშე ძალთა შემწეობით იგდებენ ხელთ, ვისი ერთგულება ევალებათ უპირველეს ყოვლისა – თავის დამფინანსებელთა თუ ქვეყნისა? ძალაუფლების სასწრაფოდ ხელში ჩასაგდებად საჭირო დახმარების მისაღებად ისინი ისეთ კავშირებს აბამენ, რაც მომავალში ხელებს შეუკრავთ.

– საქართველო ამერიკის შეერთებულ შტატებს თავის დიდ მოკავშირედ და მფარველად მიიჩნევს. და მისი იმედით არ ეპყება თავის გოლიათ მეზობელს – რუსეთს. რა შედეგი ექნება, თქვენი აზრით, ამგვარ დაბალანსებას პოლიტიკური თეორიისა და ისტორიული გამოცდილების მიხედვით?

კლავს რინი

– მხოლოდ იმ ადამიანს, ვინც ახლოს იცნობს საქართველოს მიმე ვითარებას, შეუძლია გაგვცეთ პასუხი ამ კითხვაზე. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვნად შეიცვალა ამ 50 წლის მანძილზე. მსოფლიოს ხალხებმა უნდა იცოდნენ, რომ ამერიკის ლიდერები აღარ არიან შთამომავლები ამერიკის ტრადიციული ქრისტიანული და კლასიკური ცივილიზაციისა და კონსტიტუციონალიზმის ძველი სულიც გამქრალია.

დღეს აგრესიულმა და იდეოლოგიზებულმა პიროვნებებმა ჩაიგდეს ხელთ ინიციატივა. რასაც თქვენ გაცნობებთ, რომ საქართველოში ერთი ტიპის ახალი იაკობინელები უპირისპირდებიან მეორე ტიპისას, მარწმუნებს, რომ ერაყში მარცხის მიუხედავად, ამერიკის იაკობინური წრეები კვლავ მძლავრობენ. სარკოზის საფრანგეთი უკვე აღარ არის დაბრკოლება მათი მიზნებისათვის. ამით აიხსნება ახალიაკობინელთა გაძლიერება და ამერიკის ომისმოყვარული საგარეო პოლიტიკა.

ამიტომ ქვეყანა, რომელიც „ამერიკის მფარველობას“ მიიღებს, ორლესული მახვილის წინაშე აღმოჩნდება. მფარველობას მოჰყვება ზედამხედველობა და ამერიკა თავისი მფარველობის ქვეშ მყოფ ქვეყანას თავისსავე იმპერიულ სქემებში ჩართავს.

ქვეყანას, რომელსაც სურს შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და ავტონომია, ურჩევნია საკუთარ ტრადიციულ კულტურას დაეყრდნოს და ამით დაიცვას თავი; ხოლო ვინც ექსპანსიონურ ძალას დაეყრდნობა, თავისსავე კულტურის საპირისპირო ტენდენციებს გააძლიერებს.

ესაუბრა
პაატა ჩხეიძე

გაბრიელ გარსია მარკესი

მსოფლიოში საუკეთესო ხელოვა

კოლუმბიის ერთ-ერთ უნივერსიტეტს მიმართეს შეკითხვით, თუ რა ხერხებს იყენებდნენ ჟურნალისტიკის შესწავლის მსურველთა უნარისა და მონოდების შესამოწმებლად. პასუხი დაბეჯითებული იყო: „ჟურნალისტიკა არ არიან შემოქმედნი“. ჩემი მოსაზრებები კი, პირიქით, ეფუძნება რწმენას, რომ წერიტი ჟურნალისტიკა ლიტერატურული ჟანრია.

სულ რაღაც ორმოცდაათიოდე წლის წინათ ჟურნალისტური სკოლები არ იყო მოდაში. სწავლება ხდებოდა რედაქციებში, სტამბებში, ქუჩის მეორე მხარეს მდებარე კაფეებში, პარასკევის თავყრილობებზე. გაზეთი წარმოდგებოდა ფაბრიკად, რომელიც შესაფერისად გადაამუშავებდა ინფორმაციას და უშეცდომოდ აწვდიდა მკითხველს. დასწრების ეფექტით ქმნიდა საზოგადოებრივ აზრს, სადაც ზნეობასა და მორალს თავისი ადგილი ჰქონდა. ჟურნალისტები სულ ერთად ვიყავით, საერთო ცხოვრებით ვცხოვრობდით და ისეთი ფანატები გახლდით, რომ ხელობის გარდა არაფერზე ვსაუბრობდით. სამუშაო იმდენად კრავდა გუნდს, რომ პირად ცხოვრებასაც კი ძალზედ ცოტა ადგილს უტოვებდა. არ არსებობდა სარედაქციო გაერთიანებები, მაგრამ დაძაბული მუშაობის შემდეგ, საღამოს ხუთ საათზე, ყოველგვარი ოფიციალური მოწვევის გარეშე, რედაქციის რომელიმე კუთხეში ყავის დასალევად მთელი კოლექტივი იკრიბებოდა. ეს იყო ღია თავყრილობები, სადაც ცხელ კვალზე იხილებოდა თითოეული განყოფილების თემა და ასე იხვეწებოდა საბოლოოდ დილის გამოშვება. მათ, ვისაც ამ მგზნებარე ოცდაოთხსაათიან ამბოღატორულ კათედრებზე არ სურდა სწავლა, ან სულაც მობეზრებული ჰქონდა ამდენი ლაპარაკი ერთსა და იმავეზე, ეგონათ, ჟურნალისტები ვართო, მაგრამ სინამდვილეში ცდებოდნენ.

იმდროინდელი გაზეთი სამი დიდი სექციისაგან შედგებოდა: „ცნობები“, „ქრონიკა და რეპორტაჟი“ და „სარედაქციო შენიშვნები“. ყველაზე დახვეწილი და პრესტიჟული სარედაქციო სექცია გახლდათ, ხოლო ყველაზე მძიმე სამუშაო რეპორტიორს ჰქონდა, რომელიც ერთდროულად შეგირდიც იყო და შავი მუშაც. როგორც დრომ, ასევე თვით ხელობამ დაამტკიცეს, რომ სინამდვილეში ჟურნალისტიკის წერიტი სისტემა დინების საპირისპიროდ მოქმედებს. ვადასტურებ: 19 წლისამ, სამართლის ფაკულტეტის მაჩანჩალა სტუდენტმა დავიწყე ჩემი კარიერა როგორც სარედაქციო სექციის რედაქტორმა და ნელ-ნელა, დიდი შრომის ფასად მივუყვებოდი საფეხურებს სხვადასხვა განყოფილებაში, ვიდრე მივალნევი უზადო რეპორტიორის უმაღლეს საფეხურს.

თვითონ ხელობა გაიძულედა შეგექმნა საკუთარი კულტურული ბაზა, ხოლო შემდგომ სამუშაო გარემო ხელს უწყობდა მის განვითარებას. კითხვა სამსახურებრივი მოვალეობა იყო. თვითნასწავლი ადამიანები, როგორც ნესი, განათლებადახარბებულები და მოქნილი არიან. იმ დროისანებს კი ეს თვისებები მოჭარბებულიადაც კი მოგვეპოვებოდა, რათა გაგვეკვალა გზა, როგორც მაშინ ვამბობდით, მსოფლიოს საუკეთესო ხელობაში. ალბერტო ლიერას კამარგო, რომელიც ორჯერ გახდა კოლუმბიის პრეზიდენტი, ხოლო სულით მუდამ ჟურნალისტი იყო, ბაკალავრიც კი არ ყოფილა.



მოგვიანებით ჟურნალისტური სკოლების ჩამოყალიბება იყო სქოლასტიკური რეაქცია შემდგარ ფაქტზე: ხელობას არ გააჩნდა აკადემიური საყრდენი. ამჟამად არა მხოლოდ პრესის, არამედ უკვე ყველა გამოგონილი და ჯერ კიდევ გამოსაგონი მედიასაშუალებათა სკოლები არსებობს.

როდესაც ჟურნალისტიკა განვითარდა, ქუჩიდან ის მოკრძალებული სახელიც კი წამოიღო, რაც ამ ხელობას დასაბამშივე, XV საუკუნეში ჰქონდა. დღესდღეობით მას არა ჟურნალისტიკა, არამედ ხან კომუნიკაციათა მეცნიერება და ხანაც სოციალური კომუნიკაცია ჰქვია. ზოგადად, შედეგი არ არის სახარბიელო. ახალგაზრდები, რომლებიც ოცნებებით აღსავსენი ამთავრებენ აკადემიებს და წინ მთელი ცხოვრება აქვთ, მოწყვეტილი არიან რეალობასა და ცხოვრებისეულ პრობლემებს; საკუთარი პერსონის წინა პლანზე წამოწევის სურვილი კი წინ უსწრებს მონოდებასა და პიროვნულ შესაძლებლობებს და ჩრდილში აქცევს ჟურნალისტიკის ორ ძირითად პირობას: შემოქმედებასა და პრაქტიკას.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობა მგზნებარე ნაკლოვანებებით გამოირჩევა: აქვთ სერიოზული გრამატიკული და ორთოგრაფიული სიძნელენი, სირთულეები ტექსტის გააზრებულ აღქმაში. ზოგიერთი იმით მეტიჩრობს, რომ შეუძლია მინისტრის კაბინეტში მისთვის უკულმა დადებული საიდუმლო დოკუმენტი წაიკითხოს, თანამოსაუბრის გაუფრთხილებლად ჩაინეროს შემთხვევითი დიალოგი, ან გამოაქვეყნოს საუბარი, რომელიც შეთანხმების მიხედვით კონფიდენციალური უნდა ყოფილიყო. ყველაზე სავალალო კი ის არის, რომ მსგავსი არაეთიკური შეტევები, სავსებით გააზრებულად, უშიშარი ხელობის ნაწილი ჰგონიათ. ყოველივე ეს ექსკლუზივის (ნებისმიერ ფასად და ყველაფრის მიუხედავად) საკრალიზაციაზეა დაფუძნებული. ახალგაზრდა ჟურნალისტები არაფრად ადგებიან დებულებას, რომ საუკეთესო შეტყობინება ყოველთვის არ არის ის, რაც პირველ გვერდზეა, არამედ ხშირ შემთხვევაში ის, რომელიც უკეთაა მიწოდებული. ზოგიერთი ახალბედა, რომელსაც გაცნობიერებული აქვს საკუთარი ნაკლოვანებანი, თავს სკოლის მიერ მოტყუებულად მიიჩნევს.

ისინი, სინდისის უქენჯნელად ადანაშაულებენ პედაგოგებს, რომ სწორედ მათ არ შთაუწერგეს ის ღირსებანი, რომელთაც ახლა ითხოვენ მათგან; ეს განსაკუთრებით ცხოვრებისადმი ინტერესს ეხება.

ზოგადი განათლება, რომელიც გარყვნილია იმ სკოლათა სიმრავლით, რომლებიც ჟურნალისტის პიროვნების ჩამოყალიბების ნაცვლად ინფორმაციულობის მანკიერ გზას მიჰყვებიან, მართლაც იმსახურებს მსგავს კრიტიკას. ჟურნალისტიკა სპეციფიკური სფეროა, და ალბათ ამიტომ თვითონ ხელობა ვერ განვითარდა ისეთივე სისწრაფით, როგორც მედია საშუალებანი, და ჟურნალისტები მომავლისაკენ გაუაზრებლად გასროლილ ტექნოლოგიათა ლაბირინთში დაიკარგნენ. ანუ სანარმოები სერიოზულად ჩაერთვნენ მოდერნიზაციის გააფთრებულ კონკურენციაში; ხოლო ქვეითთა ჩამოყალიბება და მათი თანამონაწილეობის მექანიზმების დახვეწა (რაც ადრე პროფესიულ სულისკვეთებას ედო საფუძვლად) მომავლისათვის გადადეს. მარტოხელა გზამკვლევათაგან რედაქციები სტერილურ ლაბორატორიებად იქცნენ, სადაც ვარსკვლავურ სივრცესთან დაკავშირება უფრო ადვილია, ვიდრე მკითხველთა გულთან. დეჰუმანიზაცია უსწრაფესად ვითარდება.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ტექნოლოგიურმა ბრწყინვალეობამ და თავბრუდამხვევემა კომუნიკაციურმა საშუალებებმა (ჩვენ რომ ასე ვნატრობდით) დროში წინ გადმოსწიეს და კიდევ უფრო გაამძაფრეს რედაქციის დახურვის საათის ყოველდღიური აგონია. დამწყები ჟურნალისტები წუნუნებენ, რომ დავალბის შესასრულებლად რედაქტორები მათ მხოლოდ სამ საათს აძლევენ, მაშინ, როდესაც მის შესრულებას ექვსი საათი სჭირდება; წუნუნებენ, რომ მათ უკვე თავნებას მასალას ორი სვეტისათვის, ხოლო სიმართლის ჟამს მხოლოდ ნახევარ სვეტს უთმობენ, სამსახურის დამთავრების აურზაურში კი არავის აქვს არც დრო და არც გუნება-განწყობა აუხსნათ, თუ რატომ ხდება ასე, და განზილებულთა დასამშვიდებლად ხომ საერთოდ არავის სცხელა.

„არც კი გვეჩხუბებიან“ – დაიჩივლა ერთმა ახალბედა რეპორტიორმა, რომელსაც თავის უფროსთან უშუალო კავშირი ესაჭიროებოდა. რედაქტორი, რომელიც ადრე ჩვენი ბრძენი და მოსიყვარულე მამა იყო, ახლა ძლივს პოულობს დროსა და ძალას თვითონ დაუსხლტეს ახალ ტექნოლოგიათა მარწუხებს.

ჩემი აზრით, სწორედ სიჩქარემ და საგაზეთო სივრცის შეკვეცამ შეამცირა უკიდურესობამდე რეპორტაჟი, რომელსაც ჩვენ ყოველთვის ჟანრ-ვარსკვლავად მივიჩნევდით, რადგანაც სწორედ ის მოითხოვდა ყველაზე მეტ დროს, ფაქტს, კვლევას და წერის ხელოვნების სრულყოფილად ფლობას. რეპორტაჟი არის ფაქტის დანვრისგან და ზუსტი რეკონსტრუქცია; ანუ სრული შეტყობინება, გადმოცემული ზუსტად ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა, რათა მკითხველს შეეძინას შთაბეჭდილება, მოვლენის ადგილას ვიმყოფებო.

ტელეეკრაფისა და ტელექსის გამოგონებამდე რადიოპერატორი (მონოდებით წამებული) მსოფლიოს ამბებს ვარსკვლავურ შიშინში იჭერდა, ხოლო ერთდირებული რედაქტორი, ითვალისწინებდა რა წინა მოვლენებს, დეტალურად ამუშავებდა მათ, ისევე როგორც მეცნიერი ახდენს დინოზავრის მთლიანი ჩონჩხის რეკონსტრუქციას ერთი

მალის მეშვეობით. ჩვენ აკრძალული გვექნოდა ფაქტების ინტერპრეტაცია, რადგანაც რედაქტორის წმიდათაწმიდა მოვალეობა იყო შეევესო სარედაქციო სვეტი თავისი განსაკუთრებული, გაურკვეველი კალიგრაფიით; თუმცა ხშირად ეს სვეტი მისი დანერვილი არც კი იყო. ისტორიულ რედაქტორებს ხელწერის გასაშფორად პირადი ლინოტიპისტიბიც კი ჰყავდათ.

დღეს შეტყობინებამაც და რეპორტაჟშიც არის კომენტარი, განსჯა, მონინავე სტატია კი ფაქტობრივი მონაცემებითაა გაჯერებული. ეს მნიშვნელოვანი პროგრესია. მიუხედავად ამისა, შედეგი არც თუ ისე სახარბიელოა: ეს ხელობა როგორც არასდროს, ისე გახდა საშიში. ცრუ თუ ნამდვილ განცხადებებში ბრჭყალების აღვირახსნილი გამოყენება, ნებით თუ უნებლიეთ, აძლევს შანსს შეცდომებს, ბოროტ მანიპულაციებსა და მომნამვლელ დამახინჯებებს, რაც ინფორმაციას სასიკვდილო იარაღს უტოლებს. მარადიულ სანდო წყაროთა, კარგად ინფორმირებულ ადამიანთა თუ მაღალჩინოსანთა (რომელთაც არ ისურვეს ვინაობის გამჟღავნება) ან ყველაფრისმცოდნე დამკვირვებელთა (რომელთაც ვერაფერს ხედავს) ციტირება, როგორც წესი, არის ყოველად დაუსჯელი ზიანის მომტანი. დამნაშავეს ზურგს უმაგრებს უნებართვოდ არ დაასახელოს „წყარო“, თუ თვითონ ჟურნალისტი არ არის ამ „წყაროსათვის“ მარტივი საშუალება გაავრცელოს ინფორმაცია ისე, როგორც სურს და ხელს აძლევს. ვფიქრობ, რომ სწორედ ასეა: ცუდი ჟურნალისტის აზრით ინფორმაციის „წყაროს“ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით მაშინ, თუ „წყარო“ ოფიციალური პირია. ამიტომაც აღმერთებს მას, ყველაფერში ეთანხმება, მფარველობს კიდევ და, საბოლოოდ, მასთან თანამონაწილის საშიშ კავშირს ამყარებს. ამას კი სხვა, უფრო მოკრძალებული „წყაროს“ იგნორირება მოჰყვება.

არ მეშინია გამოვიყურებოდე გადაჭარბებულად სასაცილოდ, მაგრამ, ვფიქრობ, ამ დრამაში არის კიდევ ერთი დიდი დამნაშავე: ჩამწერი. მის გამოგონებამდე ხელობაში წარმატებით ვიყენებდით სამ სამუშაო ინსტრუმენტს, რაც ერთ მთლიანობას წარმოადგენდა: ბლოკნოტს, პროფესიულ ეთიკასა და ნყვილ ყურს, რომელსაც რეპორტიორები ვიმარჯვებდით იმისათვის, რომ კარგად გაგვეგო მოსმენილი. ჩამწერის პროფესიული და ეთიკური გამოყენება კვლავ მომავლის საქმედ რჩება. ვილაცას მაინც მოუწევს ახალგაზრდა კოლეგებისათვის იმის ახსნა, რომ კასეტა არ არის მეხსიერების შემცვლელი; იგი იმ ბლოკნოტის სახესხვაობაა, რომელმაც ძალიან კარგი სამსახური გაგვინია ხელობის განვითარების სანყის ეტაპზე. ჩამწერს ესმის, მაგრამ ვერ ისმენს, ნათქვამს თუთიყუშით იმეორებს, მაგრამ ვერ აზროვნებს. ერთგულია, მაგრამ არ გააჩნია გული, და საბოლოოდ, მისი ზუსტი ვერსიაც კი ვერ იქნება ისეთი სანდო, როგორც იმ ჟურნალისტისა, რომელიც ყურადღებას აქცევს თანამოსაუბრის ცოცხალ სიტყვებს, აფასებს მათ გონებით და საზღვრავს მორალად. რადიოსათვის ძალზედ ხელსაყრელია სიზუსტე და სისწრაფე, მაგრამ ბევრი ინტერვიუერი პასუხებს არც კი უსმენს, იმიტომ, რომ მომდევნო შეკითხვა აქვს მოსაფიქრებელი.

ჩამწერი ინტერვიუს მანკიერ გავრცელებაშიც არის დამნაშავე. რადიომ და ტელევიზიამ, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ის უპირველეს ჟანრად აქციეს. მაგრამ, ეტყო-

ბა, პრესაც იზიარებს მცდარ აზრს, რომ სიმართლის ხმა ეკუთვნის არა იმდენად ჟურნალისტს, რომელმაც დაინახა, არამედ რესპონდენტს, რომელმაც განაცხადა. გაზეთთა ბევრი რედაქტორისათვის ჩანაწერის გაშიფრვა ნამდვილი ცეცხლით გამოცდაა: ერთმანეთში ერევათ ბგერები, კისერს იმტვრევენ სემანტიკაზე, იძირებიან ორთოგრაფიაში და სინტაქსისაგან მიღებული ინფარქტით იხოცებიან. შესაძლოა გამოსავალი ისევ ის დალოცვილი ბლოკნოტი გახდეს, რომელიც დაეხმარება ჟურნალისტს საკუთარი ჭკუით დაწეროს ის, რაც მოისმინა; ხოლო ჩამწერს დავეუტოვოთ ფასდაუდებელი მონმის დანიშნულება. ნებისმიერ შემთხვევაში, ისიც ნუგეშია, რომ ბევრი ეთიკური თუ სხვა სახის დარღვევა, რომელიც აკნინებს და არცხვენს დღევანდელ ჟურნალისტიკას, ყოველთვის ამორალობის ბრალი არ არის: პრობლემა არაპროფესიონალიზმში ძვეს.

აღბათ, სოციალურ კომუნიკაციათა ფაკულტეტების ნაკლოვანება ისაა, რომ ასწავლიან ხელობისათვის ბევრ საჭირო რამეს, ხოლო საკუთრივ ხელობას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ცხადია, საჭიროა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროგრამები, ოღონდ, გააზრებული და ნაკლებ ამბიციური, რათა შეიქმნას კულტურული ბაზა, რომლის საფუძველიც ბაკალავრიატში უნდა ჩასახულიყო. მთლიანობაში, ჟურნალისტიკის ჩამოყალიბება უნდა ეფუძნებოდეს სამ ძირითად პრინციპს: უნარისა და მონოდების პრიორიტეტს; რწმენას, რომ კვლევა არ არის მხოლოდ ხელობის განხრა, და რომ ჟურნალისტიკა თავისი არსით უნდა იყოს კვლევითი; და ეთიკას, რომელიც არ არის უბრალო პირობა: იგი კრახანას ზუილივით მუდამ თან უნდა ახლდეს ჟურნალისტიკას.

საბოლოოდ, აღბათ განათლების სანყის სისტემას უნდა დავეუბრუნდეთ. ამისათვის საჯაროობის ჩარჩოებში უნდა შეიქმნას პატარა ჯგუფებად დაყოფილი პრაქტიკული სახელოსნოები, რასაკვირველია, ისტორიული გამოცდილების კრიტიკული გააზრებით. ანუ: ხელობის შესასწავლად უნდა აღვადგინოთ საღამოს ხუთი საათის შეკრებათა სული.

ჩვენ, დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ჯგუფი, ვცდილობთ ამის აღსრულებას: კარტახენა დე ინდიასში ჩამოყალიბეთ ექსპერიმენტული, გეზისმიმცემი სახელოსნოები, რომელთა სახელწოდება სულაც არ არის მოკრძალებული: ახალი იბეროამერიკული ჟურნალისტიკა. ამ გაერთიანების ფარგლებში ახალბედა ჟურნალისტები, ხელობის ვეტერანთა ხელმძღვანელობით, სწავლობენ სპეციფიკურ საკითხებზე მუშაობას (მაგალითად, რეპორტაჟზე, რადიო და ტელე ინტერვიუზე და სხვა). „გაერთიანება“ საჯაროდ ინვესტ შეგირდებს, ხოლო მათ უკვე ირჩევს ის ორგანიზაცია, სადაც ისინი მუშაობენ და რომელიც ფარავს მგზავრობის, მივლინებისა და რეგისტრაციის ხარჯებს. კანდიდატთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ წელს, მათ უნდა ჰქონდეთ მუშაობის სულ ცოტა სამწლიანი გამოცდილება და, საკუთარი უნარისა და ხელობის შეთვისების გარკვეული დონის დასტურად, უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნაშრომები, რომელთაც მიიჩნევენ ან საუკეთესოდ, ანდა ყველაზე უარესად.

სახელოსნოს მუშაობის ხანგრძლივობა იაფად მონვეულ მაესტროს ნებაზეა დამოკიდებული. იშვიათად გრძელ-

დება ერთ კვირაზე მეტხანს. პედაგოგს არ აქვს პრეტენზია, დაუმტკიცოს შეგირდებს თეორიული დოგმებისა თუ აკადემიურ ცრურწმენათა მართებულობა. მან მრგვალ მაგიდასთან პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით უნდა შეძლოს საკუთარი გამოცდილების გადაცემა. სახელოსნოს მიზანი არის არა ჟურნალისტის ფორმირება, არამედ უკვე ჩამოყალიბებულ პროფესიონალთა დახვეწა. აქ არ იმართება გამოცდები, არ ინერება ნიშნები და არც დიპლომები და სერთიფიკატები გაცემა: ცხოვრება თვითონვე გადწყვეტს, ვინ ვარგა და ვინ არა.

გაერთიანების წელიწადნახევრიანი არსებობის ხანს ოცდაშვიდი სახელოსნო ამუშავდა ათი სხვადასხვა ეროვნების ვეტერანთა ხელმძღვანელობით. მათში მონაწილეობა სამას ოცმა ახალგაზრდა ჟურნალისტმა შეძლო. პირველად აღმა გილიერმო პრიეტომ ჩამოაყალიბა ქრონიკისა და რეპორტაჟის სახელოსნოები. ტერი ანდერსონი საგანგებო ვითარება ინფორმაციის მოპოვების სახელოსნოს გაუძღვა; მას შეიარაღებულ ძალთა გენერალი ეხმარებოდა, რომელმაც შესანიშნავად ახსნა, თუ სად გადის ზღვარი გამირობასა და თვითმკვლელობას შორის. ჩვენმა ყველაზე ერთგულმა და მედგარმა თანამოაზრემ, ტომას ელოი მარტინესმა, შექმნა ჯერ საგამომცემლო საქმის, მოგვიანებით კი კრიზისული ხანის ჟურნალისტიკის სახელოსნოები. ფილ ბენეტის კლასში ყურადღება გამახვილდა პრესის ტენდენციებზე შეერთებულ შტატებში, სტეფან ფირისმა კი განსახილველად ფოტოგრაფია აირჩია. შეუდარებელმა ორაციო ბერვიტსკიმ და დაულალავმა ტიმ გილდენმა მიმოიხილეს საგამოძიებო ჟურნალისტიკის სხვადასხვა ასპექტი. ესპანელი მიგელ ანხელ ბასტენიერს კი წარუძღვა სემინარს საერთაშორისო ჟურნალისტიკის საკითხებზე და აღაფრთოვანა შეგირდები ევროპული პრესის ბრწყინვალე კრიტიკული ანალიზით.

ამ წამოწყების სასიკეთო შედეგები რედაქტორებმა თვალნათლივ დაინახეს, ამიტომაც გვინდა მომავალ წელს მთელი მსოფლიოდან მოვიწვიოთ საკვირაო გამოცემათა ხელმძღვანელები დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგასახიარებლად. მეც ბევრჯერ მძლია ცდუნებამ დამერწმუნებინა შეგირდები, მაგისტრალურ რეპორტაჟს შეუძლია გააკეთილშობილოს პრესა პოეზიის გამჭვირვალე ჩანასახებით-მეთქი.

პედაგოგიური კუთხიდან სასიკეთო შედეგის შეფასება არ არის ადვილი, მაგრამ შეგირდთა მზარდ ენთუზიაზმს გამამხნეველ ფაქტორად მივიჩნევთ, იმიტომ, რომ ეს მედია საშუალებებში ნონკონფორმიზმისა და შემოქმედებითი შეურთებლობის ჩანასახთა გავრცელების მაუწყებელია, რასაც ბევრი რედაქტორი მიესალმება. თვით ფაქტი, რომ ოცი ჟურნალისტი სხვადასხვა ქვეყნიდან იკრიბება რათა ხუთ დღეს ისაუბროს ხელობაზე, მიღწევაა მათთვისაც და ჟურნალისტიკისთვისაც. ბოლოს და ბოლოს ჩვენ არავის ვთავაზობთ სწავლების ახალ მეთოდს, მხოლოდ ვცდილობთ ხელახლა გამოვიგონოთ ძველი ხერხები.

ურიგო არ იქნებოდა, თუ მედია საშუალებანი დაგვეხმარებოდნენ ხელობის გადარჩენის ოპერაციაში; გნებავთ მათი რედაქციებში დასაქმებით, გნებავთ საჰაერო სიმულაციათა მსგავს საგანგებოდ შექმნილი სცენარების მეშ-

ვეობით, რომლის დროსაც განიხილება ფრენის ყველა შესაძლო დარღვევა, რათა სტუდენტებმა შეძლონ კატასტროფის არიდება მანამ, სანამ ის რეალურ ცხოვრებაში მომხდარიყოს. ასე რომ, ჟურნალისტიკა დაუოკებელი ვნებაა, რომელიც შეიძლება გადამუშავდეს და გახდეს ჰუმანური მხოლოდ რეალობასთან ხელჩართულ ბრძოლაში. ვისაც ეს არ განუცდია, ვერასოდეს წარმოიდგენს მიჯაჭვულობის იმ ძალას, რომელიც ცხოვრებისეული მოულოდნელობებით იკვებება; ვისაც ამ ცხოვრებით არ უცხოვრია, ვერასოდეს გაიგებს, რა არის შეტყობინების ზებუნებრივი თრთოლვა, უახლესი ინფორმაციის ორგაზმი, ან მარცხის

მორალური ნგრევის ძალა. ვინც ამისათვის არ არის დაბადებული და ვინც არ არის მონოდებული იცხოვროს მხოლოდ ამისათვის, თავს ვერ გაართმევს ამ გაუგებარ და ხარბ ხელობას, რომლის ნაშრომიც, თითქოსდა სამუდამოდ, სრულდება ყოველი შეტყობინების შემდეგ; მაგრამ წუთითაც არ გასვენებს, ვიდრე მომდევნო წუთს ყველაფერი თავიდან დაიწყებოდეს ისეთი ვნებითა და შემართებით, როგორც არასდროს.

ესპანურიდან თარგმნა
ელეონორა კუჩავაძე

არის თუ არა ჟურნალისტიკა ლიტერატურის ჟანრი?

რედაქციის მინაწერი

ლებს, ჟურნალისტურ პრაქტიკაში იმძლავრა ამორალურობამ და არაპროფესიონალიზმმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება პრესის გაკეთილშობილება პოეზიის გამჭვირვალე ჩანასახებით.

არ არის... მაგრამ არის. გააჩნია, ვისთვის, გააჩნია ვისი კალმის ქვეშ.

დაახლოებით ასეთია დიდი კოლუმბიელის მოსაზრება, რომელსაც შეგვიძლია დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ, მაგრამ, მთავარი, როგორც აღვნიშნეთ, ის არის, თუ რა გზა, რა გამოსავალი ეიმედება არსებული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

გაბრეხელ გარსია მარკესი ამ შეკითხვას დადებითად პასუხობს. რასაკვირველია, მას, როგორც პროფესიონალ ჟურნალისტსა და აღიარებულ მწერალს, აქვს ამის უფლება, მაგრამ უბრალო მოკვდავთ მაინც გვიჭირს იმის აღიარება, რაც ყოველთვის ეჭვქვეშ იდგა.

დაახლოებით ასეთია დიდი კოლუმბიელის მოსაზრება, რომელსაც შეგვიძლია დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ, მაგრამ, მთავარი, როგორც აღვნიშნეთ, ის არის, თუ რა გზა, რა გამოსავალი ეიმედება არსებული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

რა ვუყოთ იმ მანძილს, რითაც ჟურნალისტიკა დასცილდა ლიტერატურას? რა ვუყოთ პოლიტიზირების მზარდ პროცესს, რომელიც ჟურნალისტიკას სულ სხვა მიმართულებით მიაქაწებს?

სწავლა, აღზრდა, განათლება! – სხვა გზა რა უნდა იყოს. მარკესი დარწმუნებულია, რომ ჟურნალისტიკის განწმენდა შესაძლებელია და ამას ის ახალი სკოლის დაფუძნებით იწყებს – ქმნის ახალ იბეროამერიკულ ჟურნალისტიკას.

ეს სტატია ახლახან არის დაწერილი და ამდენად მასში უთუოდ გათვალისწინებულია ყველა ის თანამედროვე ფაქტორი, რაც მწერლობასა და ჟურნალისტიკას ერთმანეთისგან აშორებს, მაგრამ სათაურშივე მკვეთრად გამოხატული ტონი გვაეჭვებს და იძულებული ვართ გავარკვიოთ, თუ რას ემყარება მარკესის ოპტიმიზმი.

რა გამოვა ამ საქმიდან, ძნელი სათქმელია, მაგრამ სახელწოდება ჩვენთვის იმდენად მიმზიდველია, რომ არ შეიძლება უცებ „იბეროკავკასიური ჟურნალისტიკის“ ანალოგია არ წამოტივტივდეს.

მართალია, გაღრმავდა ჟურნალისტიკის დეჰუმანიზაცია, მართალია, ჟურნალისტები დაშორდნენ მკითხველთა გუ-

ეს ისე, სხვათა შორის. მთავარი კითხვა კი ღიად რჩება: არის თუ არა ჟურნალისტიკა ლიტერატურის ჟანრი?

ჩვენი ფოსტა

ბატონო როსტომ, პერიოდულად ვკითხულობთ და შეძლებისდაგვარად ვახერხებ გამოხმაურებას „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული შესანიშნავი პუბლიკაციების გამო, რომელნიც დახვეწილობასა და პროფესიონალიზმთან ერთად, საოცრად თანამედროვენიც არიან თითოეული ჩვენგანის სული-სათვის.

ხულობდი პროფესიულ რეცენზიებს, გამოხმაურებებს, დრამატურგიას, საუბრებს თეატრმცოდნეებთან, რეჟისორებთან უქმისობა არც ახლავს, რასაც მოწმობს ზედიზედ დაბეჭდილი თქვენი, შემდეგ იოსებ ჭუმბურიძის წერილები მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ „ქაქუცა ჩოლოყაშვილზე“, დიალოგი მიხაილ კახაკოვთან, თათია ჯგუშის რეპორტაჟი ზუგდიდში დადგმულ „გარსი მარადზე“.

დღემდე არ მტოვებს წლის დასაწყისში გამოცემული „არაბული“ ნომრის შთაბეჭდილება და კარგი წინათგრძნობაც, რომ ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებამ აუცილებლად გამოიღოს შედეგი, შეივსოს ჩვენი ლიტერატურა მსოფლიო აზროვნების საუკეთესო ნიმუშებით. უკვე დალაგდა სპარსული და არაბული კულტურის მეტ-ნაკლები მასშტაბურობით ასახვის მცდელობანი და აუცილებელიც კია, ხელი არ შეუშვათ და ის დაპირებული ამერიკული, ინგლისური, რუსული, ფრანგული ნომრებიც გამოჩნდნენ.

ვისურვებდი, ყოფილიყო პრეცედენტი ქართულ სალიტერატურო პრესაში იმისა, რომ მთელი ნომერი დათმობოდა თეატრალურ ცხოვრებას, თეატრს. მითუმეტეს, არც ინოვაციების ნაკლებობას განვიცდით თქვენგან (იქნება ეს გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული ოთარ ჩხეიძის რომანი „2001 წელი“, ე.წ. „სარედაქციო“ ნომრები, „ომეგას კლუბში“ გაერთიანებულ შემოქმედთა ნომერი).

ერთგან ამბობთ, რაც არ გვაკლია ყველაზე უფრო, იდეათა მოზღვაებაო. მეც გავკადნიერდები და ერთ აზრს შემოგებდავთ.

საინტერესო და შთაბეჭქდავი იქნებოდა ერთად თავმოყრილი რეცენზიები და გამოხმაურებები, ქართული დრამატურგია თუ უცხოელ რეჟისორთა და დრამატურგთა მასტერკლასები, საუბრები თეატრალურ თუ რეპორტაჟები თეატრებიდან, თეატრმცოდნეების გახსენება თუ — იქნება შემოთავაზებადაც აღიქვამთ — 5 ქართველი თეატრმცოდნის დასახელება, იმ ციკლისა არ იყოს, 5 ქართველი რომანისტი, ნოველისტი, პოეტის, კრიტიკოსის და კინორეჟისორის გამოვლენას რომ ესწრაფოდა.

„ომეგა“ და „ჩვენი მწერლობა“ დაფუძნების დღიდანვე მიზნად ისახავდა თეატრალური ცხოვრების ასახვას და იმ დაკარგული დროის ამოკვებას, რაც ავადსახსენებელი წლების გამოისობით იწვინა ქართულმა თეატრმა, სიამოვნებით ვკით-

ბია ჩაჭიკა

ზურაბ ლავრელაშვილი

ნოველები, მინიატურები


მკვლარი თევზების ტბა

*რა მწვანეა გაღმა ნაპირი!
მარკ სტრენდი*

თავფარავნელი ჭაბუკი ტბის პირას მარტო ცხოვრობდა ისლით დახურულ ქოხში და ტბა მისი ცხოვრება იყო: ლერწმის შრიალი თავთხელში, ტალღების ჩურჩული, სიოს გადაქროლება წყალზე ბალღობიდანვე უნანავებდა მის სმენას. ტბის სიღრმე იზიდავდა ჭაბუკს, რადგან იქ ფერები და გრძნეული ალღები ბინადრობდნენ. როცა კი ნავით სათევზაოდ გადიოდა, ტბა ცოცხალივით იხვევდა თავის წიაღში; თავზემოდ გადამავალი ღრუბლის ჩრდილი წყალზე ფოფინებდა, მზის სხივი ტალღებს აბრწყინებდა, ტბის მომწვანო წყალი კი ფერს იცვლიდა. ტბა ვეება მდუღზასავით თრთოდა, ფეთქავდა და თავფარავნელ ჭაბუკსაც ასე ეგონა, რომ ტბის იქით ჯადოსნური რამ ქვეყანა იყო, სადაც ჯერაც განუცდელი ბედნიერება მოელოდა. ტბა თითქოს უხმობდა, ეძახდა, ფარულად მიანიშნებდა, გაღმა ნაპირი ეძიეო – უცხო და უცნობი, მაგრამ მაინც სანუკველი მხარე, ასე ანდამატივით რომ იზიდავდა. მთვარიან ღამეებში უფრო საგრძნობი იყო ეს მონოდება – როცა დავაჟუკაცდა, თავფარავნელმა ჭაბუკმა გაბედა და ტბა ნავით გადაცურა, ბადით დაჭერილი თევზი წაიღო გასაყიდად. მარტოობაში გაზრდილი ჭაბუკი გააკვირვა ხალხის სიმრავლემ. მორიდებით შეჩერდა ბაზრის შესასვლელთან. გარშემო განუწყვეტელი გნისი ისმოდა. ჭაბუკს არასოდეს ენახა ამდენი ხალხი. ნავის ფსკერზე ბადეში აფრთხილებული თევზი მიავიწყდა და სავაჭრო რიგებს ჩაუარა, თან გასაყიდად გამოტანილ საქონელს ათვლიერებდა. ასე დაყიალობდა წინ და უკან, სანამ ერთ ფარდულში თიხის უცნაური ლამპები არ შენიშნა. ჭაბუკი მონუსხულივით შეჩერდა დახლთან, რადგან ჩუმი და მაცთუნებელი ჰანგი ესმა, თითქოს თავად ლამპები მღერინათ.

დახლს იქიდან გამყიდველმა გოგომ ლამპარი გადმოაწოდა და თავფარავნელი ჭაბუკი მიხვდა, რომ სმენას არ მოუტყუებია. მართლაც ჯადოსნური ლამპრები ნახა – ყურთან თუ მიიტანდი, ფოთლების შრიალს, სიოს ნელ ოხვრას და ვარსკვლავთა დუმილს გაიგონებდი. ესოდენი ოსტატობით განცვიფრებულმა ჭაბუკმა ჰკითხა, ამ საოცარ ლამპრებს ვინ ამზადებსო. გოგომ მოფარდაგებული გადასწია და წელში მოხრილი შაოსანი დედაბერი დაანახვა, უამრავ სამეთუნეო ნახელავს შორის რომ იჯდა და

დამჭკნარ ხელებში მოხატულ ლარნაკს ატრიალებდა, თითქოს რომელიღაც უტყვი სულიერი შეუპყრია და ცოცხლად შეჭმას უპირებსო. ჭაბუკს არ მოეწონა დედაბერი, რაღაც უსიამო გრძნობამ გაჰკრა კლანჭი. ამიტომაც მზერა გოგოზე გადაიტანა. სანამ ლამპრებით იყო გართული, გოგო რიგიანად არ შეუთვალეირებია და ახლა მისმა სიტურფემ განაცვიფრა. იგრძნო, როგორ მოეწურა



გული და ტბასავით აუტორტმანდა. ჯადოსნური ლამპრის ბრალი იყო თუ მართლა უცნაურ მხარეს მოხვედრილიყო, ველარ გაერკვია. ანაზდეულად მის სულშიც აშრიალდნენ ლერწმები, ახმაურდნენ ტალღები და სიომაც ჩამუქებული ტბის პირს მერცხალივით ფრთაგამლით გადაუქროლა. სიყვარულის უეცარი შემოტევით გახვევებულმა ჭაბუკმა გოგოს თვალი ველარ მოსწყვიტა და ვერც ხმა გაიღო. გოგოს კი ჩუმად ეცინებოდა და მუშტარი რომ შეცბუნებისაგან დაეხსნა, ჰკითხა, ლამპარს თუ იყიდო. ნავში თევზი მაქვს და იმაში თუ გამიცვლითო, – თავის მხრივ ჰკითხა ჭაბუკმაც.

გოგომ ისევ გადასწია ფარდა და დედაბერს ჩუმად რაღაც უთხრა. მერე ჭაბუკს თავი დაუქნია: „ნადი და თევზი მოიტანე. ვნახოთ ერთი, რა მეთევზე ხარ, იმნაირ თევზს თუ იჭერ, სხვას რომ ვერავის მოუხელთია“.

თავფარავნელი ჭაბუკი იმდენად იყო გაოგნებული გოგოს ნათქვამით, ველარაფერი უპასუხა. ნეტავი, რა თევზს გულისხმობდაო, ფიქრობდა ნავისკენ მიმავალი. ნაპირს რომ მიადგა, ბადე ნავიდან ამოსწია და კინალამ მუხლი მოეკვეთა: მისი ნადავლი აქოთებულიყო, საქმელად აღარ ვარგოდა. თევზი არასოდეს გამფუჭებია და რა დამემართაო, ეკითხებოდა თავს შეჩქეფებულში, მაგრამ რაღას იზამდა! ბადეს პირი მოუხსნა და თევზი წყალში ჩაყარა, თუმცა თევზები უცებ გაცოცხლდნენ და ნავის გარშემო წყალი აადგაფუნეს. თავფარავნელმა ჭაბუკმა ამას კი ველარ გაუძლო, ნიჩბებს ნაეტანა და ის იყო, შინ დაბრუნებას აპირებდა, ნაპირზე გოგო რომ გაილანდა, გაულიმა და ლამპარი გაუნოდა.

„რაკი აღარ მოხვედი, მივხვდი, რომ რაღაც გიჭირს. აჰა, გამომართვი. საჩუქრად გქონდეს“.

ლამპარი ხელში ჩაუდო და ეშმაკურად მოხედა.

„თუ ჩემი ნახვა კვლავ მოგესურვოს, ტბის ნაპირას ქოხში მიპოვნი, – ხელი აღმოსავლეთისაკენ გაიშვირა, – ადვილად მიპოვნი, რადგან ქოხში დღე და ღამ ლამპარი ანთია“.

თავფარავნელმა ჭაბუკმა ამოიოხრა, ნიჩბები მოუსვა და შინისაკენ გაცურა. ნავი უნადინოდ აპობდა წყალს. ტბაც უსიცოცხლო სარკედ ქვეულიყო, თითქოს გაქვავდა და გაიყინაო. ჭაბუკსაც ასე ეგონა, მინის ზედაპირზე მისრიალებდა და სიცარიელეს ჰკვეთდა. შინ მისული კი იმა-

საც მიხვდა, რომ გოგოს გარეშე თავადაც მკვდარი იყო. რამდენიმე დღე არც ლუკმა ჩასვლია ყელში და არც ბადეს გაჰკარებია; ხელქმნილი, ჩალაზე იწვა და ისლის სახურავს შესცქეროდა. როცა ტრფობის ალს ველარ გაუძლო, შლეგივით წამოხტა და ტბას ეცა, ხელდახელ შეტოპა წყალში და ნავშიც გიჟივით ჩახტა. მთვარე ანათებდა თავთხელს. მნათობის არილში ლერწმები უზარმაზარ ნემსებს ჰგავდნენ. ჩაშავებული წყალი ნელა იძვროდა. სუსტი ტალღებიც ხან მოიქცეოდნენ, ხანაც უკუიქცეოდნენ, თან ქაფის მაქმანს მიიყოლებდნენ. თავფარავნელი ჭაბუკი კი კუპრივით შავი წყლის მეტს ვერაფერს ამჩნევდა: ნიჩბებს არაადამიანური ძალით ამოძრავებდა. ტბა და ღამე ერთმანეთს შეერწყა. ჭაბუკმა სიბნელის შიში იგრძნო, რაც მანამდე არ განიცადა. თითქოს სიკვდილის შესახვედრად მიცურავდა. უხილავი არსებები მოთქვამდნენ ტბის წიაღში. მთვარე პირს იმაღავდა ღრუბლებში, სუსხიანი სიო თავპირში სცემდა ჭაბუკს, წყლის დგაფუნ მიცვალებულთა ქოროდ შეესმოდა. განუჭვრეტელი სიმავე და სიბნელე ერტყა გარშემო და შიშით დაზაფრულს ეგონა, გზას ველარ გავიგნებო, როცა სუსტი ნათება შენიშნა – უთუოდ ლამპარი აშუქებდა გალმა ნაპირას. თავფარავნელი ჭაბუკი მუხლებზე დაეცა და ზეცას მაღლი შესწირა გადარჩენისათვის. დინებამ ნავი წაიღო და ნაპირს მიაყენა. თავფარავნელი ჭაბუკი მიწაზე გადახტა და ქოხის კარში გოგო დაინახა, ლამპის ნაშუქით რომ უნათებდა სავალს.

„დიდხანს გელოდი, – ჩუმად თქვა გოგომ, – შემოხვალ?“

მღელვარებით აცახცახებული ჭაბუკი გოგოს ქოხში შეჰყვა. ისე იყო სურვილით ატანილი, არ უკითხავს, დედაბერი სადღააო. გოგოს მკლავი დაუჭირა და ცრემლი წამოსცივდა. მის მაჯას დაეკონა. გოგომ მეორე ხელი თავზე დაადო, დაიხარა, ყურში რალაც წასჩურჩულა. მერე ერთმანეთს სიყვარულში გამოუტყდნენ და ერთგულება შეჰფიცეს, როგორც ამნაირ დროს ხდება ხოლმე, როცა ქალ-ვაჟს ჰგონია, თავად ღმერთმა შეგვყარა, რათა საუკუნოდ ერთად ვიყოთო.

ამ ყოფაში იყვნენ, როცა ქოხის კარმა გაიჭრიალა და პარმალზე დედაბერი გაილანდა. ჭაბუკს თითქოს სიცივემ დაჰბერა, მომღერალი ლამპრებიც დადუმდნენ. ჭაბუკის სულში ტბა გაიყინა: შეწყდა სიოს ნელი ოხვრა, ფოთლების შარიშური, ტალღების ჩურჩული და ვარსკვლავების დუმილიც გაქვავდა. დედაბერმა მჯილი შემართა, ქოქოლა მიაყარა და ისევე უცებ გაქრა, როგორც გამოჩნდა.

„რა საძაგელი ვინმეა, – თქვა ჭაბუკმა, – ვინ არის?“

გოგომ თავი დახარა და არაფერი უპასუხა. მერე ხმადაბლა უთხრა, დროა ნახვიდო, და, თუმცა ჭაბუკი დარჩენას ეაჯებოდა, მაინც გამოისტუმრა. უკვე თენდებოდა. ჭაბუკი ნავში ჩაჯდა და შინისაკენ გაცურა. ორი თვე ასე მიმოდიოდა სატრფოს ქოხსა და თავის ქოხს შორის, თუმცა დედაბერი აღარ უნახავს და ვერც მისი ვინაობა შეიტყო: როცა არ უნდა შეჰკითხვოდა, გოგო ჯიუტად დუმდა, თავფარავნელი ჭაბუკი კი ისე ბედნიერი იყო, აღარ ჩასდიებია. ეგეც კმაროდა, დედაბერი უჟმურივით რომ გაქრა, თავად კი ისეთ შევებას გრძნობდა, თითქოს ახლად დაიბადო. მისი ყოფა სიზმარს ჰგავდა: დაღამებიდან დილაამდე ორჯერ უნდა გადაეცურა ტბა, ლამპის სუსტ შუქს მინდო-

ბილს და მოიმედეს. გალმა ნაპირას, ქოხში, გუგულივით იჯდა მისი სატრფო და ბედისწერის ტაქტს ითვლიდა: იქით და აქეთ, ნათელსა და ბნელს შორის, ცასა და დედამინას შორის გაბმულიყო ბედის ძაფი, რომელსაც ჭაბუკი მიჰყვებოდა. ეს მოგზაურობა ექცა ბედისწერად და თითქოს თავშესაფრისთვის ველარ მიეგნო, ვერ მოესვენა. ვარსკვლავიანი ცა თავზემოდ და ტბის კუპრი ქვემოთ რალაც იდუმალისკენ ეზიდებოდა. სამაგიეროდ, უკან დაძმარებული ბრუნდებოდა, მარტო იმის გამო არა, გოგო რომ გვერდით არ ჰყავდა, ან სატრფო რომ ჭორებს უფრთხოდა და ღამით იპატივებდა და თავის გულშიც ისე მიუძლოდა, როგორც მღვიმეში – თავფარავნელ ჭაბუკს თავგზას უბნევდა ეს ფარული ტრფობა და მალე თავისმა ბედნიერებამ დააეჭვა. ნუთუ ყოველ ღამე საფრთხე რომ არ შემუქრებოდა, გოგო მაინც მეყვარებოდაო, ეკითხებოდა თავს. მერე მიხვდა, ამ ამბავში დამნაშავე გოგო როდი იყო. მისი სატრფო მხოლოდ სატყუარა იყო, ნამდვილად კი გალმა ნაპირი იზიდავდა, ის საფრთხე, თავს რომ ავინყებდა. ეს სიზმრად თუ ძილად მივარდნას ჰგავდა, როცა მის წინ ღამეული ცა, უტყვი ვარსკვლავები, ნაპირის ტეხილი ხაზი და ქოხის სილუეტი აღმართებოდა. თავფარავნელ ჭაბუკს ეჩვენებოდა, თითქოს ტბის სიღრმეში ეშვებოდა, რათა თვალი აღარასოდეს გაეხილა და აღარ დაენახა გათენებული ცის სიფერმკრთალე, მზის ზოზინი, ხეების სიმწვანე და მშობლიური სოფლის სიხამე, როცა შარავნაზე ჭაბუკის მწვანე წყალი ყროლდებოდა და თევზის ლემს ბუზები ეხვეოდნენ.

მალე დაზამორდა და ჭაბუკსაც განსაცდელი გაუმწავდა – ყინვამ და თოშმა შეჰკრა ტბის წყალი, ნიჩბები დაუძძიდა. ცივი ქარი სახეში სცემდა, სიცივე თითებს აზრობდა, როცა მოჭრიალე ნავით გალმა ნაპირისკენ მიიწევდა, როცა ისე კვეთდა ღამის სიცივრეულს, ვით სახნისი ყამირ მინას. ყიამეთსა და კუნაპეტში ერთადერთი იმედი ლამპის შუქი იყო, ქოხიდან რომ ციმციმებდა, თუმცა ჭაბუკს იმის შიში ჰქონდა, ვაითუ ოდესმე ჩაქრესო.

„მაშინ მეც ჩავქრები“, – უთხრა სატრფომ, როცა თავფარავნელმა ჭაბუკმა ეს ეჭვი გაუზიარა. გოგო ფერხით ეჯდა ჭაბუკს. სველ ტანს ვარდის ზეთით უზელდა და თლილი თითებით მის ქუთუთოებს ეხებოდა. გარეთ ზამთრის ქარი დათარეშობდა, საკვამური ყრუდ გუგუნებდა, დედამინას მკვდრული სითეთრე გადაჰკვროდა. იქნებ ამიტომაც იყო გოგო სევდიანი?! ჭაბუკმა თითები დაუკოცნა და სევდის მიზეზი ჰკითხა.

„სიზმარი ვნახე, – თქვა გოგომ, – თუმცა, არა! უფრო ხილვა იყო: დიდი ხნის წინათ შორეულ აღმოსავლეთში ვცხოვრობდით და მაშინაც ერთმანეთი გვიყვარდა. ჩვენი ხალხი ვინმე სასტიკ მბრძანებელს მორჩილებდა. მე ამ მეფის ხარჭა ვიყავი, მწვანე სამოსი მეცვა და რიკულებიანი აივნიდან გიჭვრეტდი. ვცდილობდი, რამე მენიშნებინა, მაგრამ შენ სასახლეში მოსვლის ნება არ გქონდა: ბალში იდექი გუშაგად, საქალბოსკენ არ იხედებოდი. როდი ვიცი, რა ხანი გაგრძელდა ჩემი წამება – ხილვებში ხომ საუკუნე წამივით წარმავალია! ჰოდა, ამ წამიერ მარადიულობაში გვარდია მეფეს აუჯანყდა, მაგრამ ყველანი შეიპყრეს და დახოცეს. იმათ შორის შენც იყავი. ჯალათმა ბალში, ჩემი აივნის ქვეშ გაგადებინა თავი. საჭურისს ვუბ-

რძანე, ახლა მაინც მოეტანა შენი თავი ჩემთვის, მაგრამ გამოვფხიზლდი“.

გოგომ სევდიანად გაიღიმა და ვაჟს თავზე ხელი გადაუსვა.

თავფარავნელმა ჭაბუკმა გაიცინა და ყვრიმალზე შეეხო.

„სიზმარი სიცარიელის სარკმელია, რომელიც ბევრჯერ იღება, მაგრამ ერთხელ იხურება“, – თქვა ისევ გოგომ.

„სისულელეა, – უდარდელად მიუგო ვაჟმა, – აქედან მინდა გაგიყვანო!“

„როგორც სიზმრიდან! – გოგომ თვალელებში ჩახედა სატრფოს, – ნუ დაივიწყებ, რომ ჯარისკაცი იყავი და მეფე გინდოდა მოგეკლა“.

„ყველას დავხოცავ, ვინც წინ გადამელოდება. სახვალლოდ ყველაფერს მოვამზადებ და გავიქცევო“.

„მოგკლავენ, – თქვა გოგომ, – ვერასოდეს მიპოვნი, რადგან მე როდი მეძებ. ამიტომაც გთხოვ, სიცარიელეს ნუ შეეხები“.

ჭაბუკი მაინც თავისაზე იდგა, იქადნებოდა და სატრფოს გაქცევაზე ითათბირებდა. გოგო ჩუმად უსმენდა, ბოლოს დათანხმდა.

„ვინ იცის, იქნებ მართალიც იყო! ოღონდ შემომფიცე, რომ წარსულშიც და მომავალშიც აღიარებ, რომ მე ვარსებობ“.

თავფარავნელმა ჭაბუკმა ისევ გაიცინა და გოგოს უდარდელად დაემშვიდობა. არ შეუნიშნავს, იმ საღამოს ლამპრები რომ არ მღეროდნენ. მთვარე უნათებდა გზას, ტბაზე ბილიკს აგებდა. ჭაბუკის სულში გაზაფხული ჰყვავოდა. ნიჩბებსაც ღონივრად უსვამდა, თუმცა ქარმა ძლიერად დაჰქროლა და ნავი შეაბრუნა. დიდხანს ებრძოდა სტიქიას ჭაბუკი, მერე კი, ღონემიხდილი, გრიგალს მიენდო; ქარიშხლისგან აბორგებული ტალღები ყოველ წამს დანთქმას უქადდნენ, მაგრამ ბედმა დაინდო – განთიადისას რომელიღაც კლდოვან კუნძულს მიაგდო. ეს კუნძული ჭაბუკს არ ენახა, არც გაეგონა, ტბაში თუ კუნძული იყო. ნაპირზე გადავიდა და გაოცდა: იქაურობა მოჩვენებებით იყო დასახლებული. მოძრავი არსებები შენიშნა სილაზე. კარგად რომ დააკვირდა, სფეროსებურ ცალთვალა თევზებს მიახლოვდა, თანაც ის თითო თვალი ძვირფასი ქვისა ჰქონდათ. თევზები პირს აღებდნენ და ლაყუჩებს ამოძრავებდნენ, თითქოს რალაცის თქმა სურთო. ცოტა რომ გაიარა, თავფარავნელმა ჭაბუკმა ბალი დაინახა: აფეთქებული ტყვრი ზამთარში! ბალის წინ დაკონკილი, მიხრწნილი ბერიკაცი იჯდა, თვალი ეხუჭა, მიცვალეზულს ჰგავდა. ჭაბუკის მიახლოებისას ქუთუთოები აღიხილნა და გრძელ წვერზე ხელი ჩამოისვა, თქმით კი არაფერი უთქვამს. ისევ ჭაბუკმა ჰკითხა, ვინა ხარ და ეს რა კუნძულიაო.

„სიკვდილს გამოქცეულთა კუნძულია, – თქვა მოხუცმა. – ოღონდ ბაღში ნუ შეხვალ!“

ჭაბუკი მის წინ დაეშვა მინახე.

„შინ მინდა დავბრუნდე! – საკუთარ ხატებას უპასუხა მან. – გალმა სატრფო მელოდება“.

„ყველა და ყველაფერი დაივიწყე, – მიუგო მოხუცმა, – აქ შინ და გარეთ არ არსებობს. არც გალმა ნაპირია სადმე. სიკვდილს თუ გადაურჩი, აქედან ველარ ნახვალ“.

„ვერ დავრჩები, აქაურობა უცხოა ჩემთვის“, – ჯიუტად თქვა ჭაბუკმა.

მოხუცმა აღარაფერი უპასუხა, ისევ თვალი დახუჭა, თითქოს დაბნელდა, კვლავ მიცვალეზულს მიემსგავსა. თავფარავნელმა ჭაბუკმა გვერდი უქცია, ბაღში შევიდა, ბილიკს გაჰყვა ხეთა შორის. მართლაც უცხო და ფერადი მტილოვანი იყო: უნახესი კვირტები ახელდნენ თვალს რტოებზე და ყვავილები წამინამ იფურჩქნებოდნენ მდელოზე, უტკბილესი სურნელი დიოდა საიდანღაც, თუმცა ჭაბუკს რალაც ეხამუშა – მწერთა ზუზუნი და სირთა გალობა ვერ გაიგონა. ეს რა უცნაურ კუნძულზე მოვხვედრილვარო, ეუბნებოდა თავს საამოდ შეჩქიფებულს. მერე სატრფო მოაგონდა და ინატრა, გვერდით მყავდესო. ბალი განვლო, კბოდეს გადაადგა. აქედან გალმა ნაპირი ჩანდა, სადაც გოგო ელოდა, მაგრამ ნავი დინებას გაეტაცნა. ქარაშოტი ჩამდგარიყო, წყლის პირი შეორთქლილ სარკეს ჰგავდა. თავფარავნელ ჭაბუკს გული მწარედ მოეწურა: მთელი სიცოცხლე აქ ხომ ვერ დარჩებოდა! რალაც უნდა იღონოს, გალმა რომ გავიდეს!

ამ ფიქრში იყო, როცა ვილაცის ლანდს შეასწრო მზერა წყალზე. თავფარავნელმა ჭაბუკმა თვალი მოიფშვინტა, ხომ არ მესიზმრებო. ლანდმა ტბა გადმოიარა და ტვერს შეეხიზნა. ჭაბუკი მაშინვე უკან აედევნა. ლანდი პეპელასავით მიფრთხილებდა ბილიკზე, მწვანე მანდილს მიაფრიალებდა. ის იყო, ჭაბუკი უნდა მისწვდენოდა, ლანდი რომ უეცრად შემობრუნდა და აბრეშუმის ქსოვილი მოიგლიჯა.

განგმირულის ყვირილი აღმოხდა ჭაბუკს, ქვე დაეცა. რა ხანი იდო ასე უსულოსავით, არ ახსოვდა, მაგრამ თვალი რომ გაახილა, მარტო იყო. თავფარავნელი ჭაბუკი წამოდგა და უკან გაეშურა. მალე ქონგურებიან კოშკს წაადგა. ხეირიანად ვერც კი მოასწრო კოშკის შეთვლიერება, იქიდან შუბოსანი მეომრები რომ გამოცვივდნენ და ხელი სტაცეს, შიგნით შეათრიეს და ბნელ ხაროში ჩაუძახეს.

თავფარავნელი ჭაბუკი თითქოს უფსკერო სიცარიელებში ჩავარდა. დაცემის ხმა არ გაუგია, არც ტკივილი უგრძენია. გარშემო სიბნელე იყო და ამ სიბნელეში საოცრად ფხიზლდები: მალე რალაც სინათლე აჩნდა იმ თავის სიფხიზლეში, თითქოს მისმა მზერამ ცეცხლი ნაუკიდა სიბნელეს, ციაგი რამ ფერადოვანი აკიფდა ხაროს ფსკერზე და თავფარავნელ ჭაბუკს ნაცნობი ხმა შემოესმა – ასე მხოლოდ მისი სატრფოს ლამპრები მღეროდნენ. ჭაბუკი წამოინია და ხაროს პირზე დედაბრის მახინჯი სახე დაინახა. დედაბერს მომღერალი ლამპარი ეჭირა და ხაროს ფსკერს ანათებდა.

„აჰა, გამომართვი! – უთხრა ჭაბუკს. – თუ აქედან წასვლა გინდა, მე გასწავლი რა უნდა ჰქნა. მართალია, არ მოგწონვარ, მაგრამ შენი სიყვარული გულს მიჩვილებს. – მან დამცინავად ჩაიხითხითა. – ბალიდან ისე ვერ გახვალა, თუ მის მცველ ბერიკაცს არ მოკლავ. ის თევზების მბრძანებელია და მარჯვენა თვალის მაგივრად ძვირფასი ქვა აქვს. თუ იმ ქვას ამოაცლი და ტბის წყალზე წინ გაიგორებ, წყალი გზას მოგცემს, სატრფოსთან მიხვალ!“

თქვა ეს დედაბერმა და უეცრად გაქრა. თავფარავნელმა ჭაბუკმა ხელი მოაფათურა ხაროში და თოკი მოხელა, ხაროდან ამოვიდა. ორმოსთან ლამპარი და მახვილი

იდო. ჭაბუკმა ლამპარი აიღო, მახვილი ხელთ იპყრა და კოშკიდან გამოვიდა. ბალი მძინარეს ჰგავდა. ხეებს ყვავილობა შეეწყვიტათ და უტკბილესი სურნელიც გამქრალიყო. ამის ნაცვლად რაღაც მწკლარტე, მყრალი სუნი იყნოსებოდა, რამაც ჭაბუკს სისხლის სუნი მოაგონა. სუნი ნელ-ნელა მძაფრდებოდა და ბოლოს გაუსაძლისი გახდა. თავფარავნელ ჭაბუკს ეგონა, დავიღრჩობიო, როცა სუნის მიზეზს ზედ გადააწყდა: ფეხით რაღაცას წამოედო, ლამპარი მიანათა და მინაზე მწოლი ბერიკაცი დაინახა. მოხუცი უკვე აქოთებულებოდა, მკვდარი თევზივით ყარდა. ჭაბუკმა ჯერ ზიზლით მოარიდა პირი, მერე დაიხარა, ხანჯლით თვალის ფოსოდან ძვირფასი ქვა ამოუღო. ამ დროს ზურგიდან მდევართა ხმა ესმა. თვალი პატიოსანი ჩაბლუჯა და კისრისტეხით დაეშვა ტბისკენ.


ზამთრის სუსხითა და ღრიალით მიეგება ტბა, მაგრამ ჭაბუკი არ შეუდრკა, არ შეუშინდა ასე უეცრად აღბორგებულ სტიქიონს, ქვა მოიქნია და წყალზე გაასრიალა, როგორც ბალობისას გაჰკრავდა ხოლმე სალქვას. წყალმა გზა მისცა. ჭაბუკი ტალღებს შორის გაიქცა. მთვარის შუქზე ჩანდა, თუ როგორ იზნიქებოდა ტბის ზურგი. ტალღის ქაფს მალე მკვდარი თევზები ამოჰყვა და გორად დადგა. ახლა ნაპირსა და ჭაბუკს შორის დახოცილი თევზების ხორა იყო. თავფარავნელმა ჭაბუკმაც რაღაცა ამოიძახა საწყლად და ტალღებში გადაეშვა, მხარული გაჰკრა. ჯერ მხნედ მიაპობდა წყალს, ვით სახნისი ნარბილს, მაგრამ მალე დაღლა შეეტყო. კუნძულს განწირულივით მოხედა, თუმცა თვალთ აღარა იხილებოდა. ტალღის დაძვერებამ მალა შეაგდო. წყალსა და ცას შორის თევზივით შესხმარტალებისას მან უეცრად შეიცნო, რომ ტბაზე კი არ მიცურავდა, სიკვდილისაკენ მიისწრაფოდა, რათა მვნანე სამოსიან ქალს როგორმე მისწვდენოდა – სულ ერთია როგორ, მაგრამ ასეული და ათასეული წლებს შემდეგ მაინც ეხილა სატრფო, რომლისგანაც გაღმა ნაპირი აშორებდა.

„სიცარიელეს ნუ შეეხები!“ – მოესმა თითქოს და ყველაფერი განათდა. ტბამ წიაღი გადაიხსნა და თავფარავნელი ჭაბუკიც უფსკერო სიბნელეში ჩაეშვა, რათა აღარასოდეს გაჰვლიდებოდა.

ჭიანჭველებით სავსე ჩამოდანი

თელავში, სასტუმრო „ზუზუმბოში“, ფრიად უცნაური კაცი ჩამომხდარა ამას წინათ – როგორც ამბობენ, გერმანელი ემიგრანტი, თუმცა კი ქართულად გამართულად მოლაპარაკე. რომელიღაც საერთაშორისო უწყებაში უმსახურია თურმე და აქაც იმ თავის საერთაშორისო საქმეებზე ჩამოსულიყო. დილით გადიოდა სასტუმროდან და საღამოს ბრუნდებოდა. ტანისამოსს გამოიცვლიდა, სასაღამოსო

წევდა. უმეტესად ქალაქგარეთ უყვარდა ხეტიალი, გრილ ხებებზე, დაბურულ ბილიკზე, ტყის ნიაღში, მოლალურების მოძახილში. ხანდახან ბაზრის მოედანზე გამოჩნდებოდა, ფარდულებს ჩამოივლიდა, ნება-ნება გაუყვებოდა სავაჭროებს, მელვინებს მიადგებოდა. ღვინოს დააჭაშნიკებდა და თან ბრმა მეფანდურე ქალს უსმენდა, დუქნის წინ რომ იჯდა საკრავით ხელში. მეფანდურე სიმებს საწყალობლად ააჩხაკუნებდა, ნაღვლიან ჰანგს ალღინებდა, ზოგჯერ თავადაც დაამღერდა მოთქმის კილოზე. სტუმარი ჩაფიქრებული უსმენდა, არც არას იტყოდა, არც ჰოს, მარტო თავს გადააქნევდა, მეფანდურეს გაცვეთილ ჯამში ხურდა ფულს ჩაუყრიდა და ისევ სასტუმროს მიაშურებდა. შესახედავად საამური და კეთილმოსურნი კაცი ჩანდა, თვალებიც



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

კეთილად უციმციმებდა, ხელებს ზურგს უკან დაინყობდა და ნაცნობებს ეგრე ჩაუვლიდა, არც თავს ჩალუნავდა, არც მზერას მოარიდებდა ვინმეს, ოღონდ მაინც ვერავის ამჩნევდა თითქოს, სადღაც შორს სიცარიელეში იყურებოდა. ეგრე სვენებ-სვენებით აივლიდა სასტუმროს კიბეს, კარს გააღებდა, ზღურბლზე გაირინდებოდა და მერე შევიდოდა. აი, მაშინ იწყებოდა მისი გარდასახვა: როგორც კი კარს მიიხურავდა, კაცს გამომეტყველება ეცვლებოდა, თითქოს ფერ-უმარილი ჩამოერეცხაო, ფეხანული გაექანებოდა დივანისაკენ, ტყავის ჩემოდანს აიტაცებდა და მაგიდაზე შემოდებდა. ლილინ-ლილინით გახსნიდა საკეტს და ჩემოდანს თავს ახდიდა. სინათლის შეხებისას ჩემოდნის ფსკერი ცოცხალივით ამოფუფუნებოდა, ამოიზნიქებოდა, აფუთფუთდებოდა და ერთბაშად უამრავი ჭიანჭველა ამოცოცდებოდა იქიდან, მაგიდას მელნის ღვარით დატბორავდა.

სახეგაბადრული კაცი ღიმილით დასცქეროდა მწერების ფუსფუსს, მერე ხელს გაიწვდიდა და ჭიანჭველებიც ზედ შეაცოცდებოდნენ, კისერში უძვრებოდნენ, მხრებსა და ზურგზე აუყვებოდნენ, სანამ მთლიანად არ დაჰფარავდნენ. კაცი უძრავად იდგა, მწერებისაგან შემურვილი, თითქოს შავსუდარამოსილი, მარტო მოციმციმე თვალბილა უჩანდა. ჭიანჭველებით დახუნძლული ღამეს ფეხზე ათევდა, დილით კი ისევ ჩვეულ საქმეს უბრუნდებოდა.

აი, ამ უცნაური რამეებით ერთობოდა, თუმცა დიდად ბედნიერი როდი ჩანდა – მუდამ იმის ეშინოდა, ვინმემ არ შემომისწროსო. არავის არაფერს უშავებდა, მაგრამ მაინც კრთოდა გაფაჩუნებისა თუ კარის გაჭრიალებისას. რა ამინებდა? არავინ იცის. ის კი უეჭველია, რალაც ზებუნებრივი ძალა თუ უნარი რომ ჰქონდა, თორემ სხვანაირად ჭიანჭველებს როგორ დაიმორჩილებდა?! მწერები ყურში, ნესტოებში, ხახმაში უძვრებოდნენ, კაცი კი მაინც შუუდრეკელად იდგა. ერთობ მამაციც ეთქმოდა, თავისივე სიამაცის რომ არ შინებოდა.

ჭიანჭველებს მაინც ასე ესიტყვებოდა:

„ნეტავი იცოდეთ, რა ბედნიერი ვარ, ჩემო კარგებო! თუ არსებობდით, უნინ არც კი ვიცოდი. საიდან მოდიხართ, საით მიეშურებთ? ღამე თქვენი თანამზრახველია. ღამის შვილნი ხართ, ღამით შობილნი! კანზე თქვენს ბუსუსებს ვგრძნობ და ამ ნეტარებას ვერაფერი შეედრება“.

ასე თვრებოდა თავისივე ნაუბრით, თუმცა კი მაინც უნია გამოფხიზლების ყამმა: ერთ ღამეს კარზე ძლიერ დააბრაზუნეს. ვინ უნდა ყოფილიყო? სასტუმროს მსახური თუ მოგზავნილი მკვლელი? ჭიანჭველებით აკინძული კაცი ფარდას ამოეფარა. ბრაზუნი ახლა გრგვინვასავით გაისმა, რამაც ოთახის ბინადარი აიძულა, აივანზე გასულიყო. აქ რიკულებზე შედგა და ფეხი ასწია, თითქოს ნახტომისთვის ემზადებო. ქვემოთ ბალი იყო – მუქი, ავად მზირალი. კაცმა შიშით ჩახედა გაზონებს შორის ბილიკს.

და მან ასე ლაღადჰყო:

„მთვარე, მიშველე! ბალო, შემეფარე! როდი ვიცი, რა უნდათ ჩემგან, მაგრამ არ დავენებები“.

ხელები გაიწვდიდა, თითქოს მთვარის სხივებს ჩაეჭიდებო; იქნებ ამისიც ეიმედებოდა! ვინ იცის! ხელები გაიწვდიდა ბნელში. წამით მართლაც დაეკიდა ჰაერში. მერე ჩავარდა, მაგრამ არ დაშავებულა, გაზონზე დაეცა. შიშმა მაშინვე ფეხზე წამოაგდო და ისიც გაქანდა – გაზონთა ლაბირინთში, უცნობი ბილიკებით, მთვარეს ადევნებულ. ქროლვის სიომ ტანს ჭიანჭველები შემოაცალა და დედიშობილა მირბოდა, სანამ არაქათგამოცლილი არ დაეცა. მაშინ კი დაილო სული, ამოისლოკინა, ხელები გაშალა განზე, თითქოს სივრცეს გულში იხუტებო, ბალიდან გაძუნძულდა და დუქნის განათებული კარი დაინახა. ქვის ძველი, დახავსებული კიბე სარდაფში ეშვებოდა, საიდანაც მწკლარტე სუნი ამოდიოდა. კაცი ქურდულად ჩაჰყვა საფეხურებს. ცრიალი შუქით შერიჟული სარდაფი მღვიმეს მიაგავდა და ცარიელი ჩანდა, თუმცა კარგად რომ დაუყვირდა იქაურობას, დევნილმა ღვინის კასრებთან ბრმა მეფანდურე დაინახა – ქალი სამფეხა სკამზე იჯდა, ფანდური მინური იატაკისთვის დაებჯინა.

„ღვინო დამისხი!“ – შესთხოვა სტუმარმა. ვერ კი გრძნობდა, ტიტველი რომ იდგა ქალის წინაშე.

ქალმა სიმებს თითები ჩამოჰკრა.

„თრობა როდი გწყურია. რალაცას ეძებ“.

„რაც მქონდა, დავკარგე. განძს ველარ შევიძინ“.

ბრმა მეფანდურემ ისევ შეათრთოლა სიმები.

„შენ გძინავს, მეგობარო! ამაღამ და ხვალაც გეძინება. თუმცა, იქნებ, ოდესმე სიზმრად გაიღვიძო!“

„მერე? მერე რა იქნება?“ – ჟინიანად იკითხა კაცმა.

„ვილაცას დაინახავ“.

„იმათაც, ვინც ახლა მომდევს?“

„იმათაც“.

ამის თქმა იყო და დუქნის კიბე ახმაურდა. კაციც უმაღლ კასრებს ამოეფარა. მდევრები უკვე სარდაფში დაფათურბოდნენ. ყოველ წამს შეიძლებოდა მიეგნოთ მისთვის. კაცმა უჩუმრად ხელი გაიწვდიდა და კასრს საცობი ამოაძრო. იხუვლა ღვინომ, ითქრიალა, ჭავლად გადადინდა, კაცმა ყველა კასრს ჩამოუარა, იმათაც საცობები დააძრო. ალისფერი სითხე შეტბორდა იატაკზე, კიბემდე უნია, თითქმის ჭერამდე გაავსო იქაურობა. კაცმაც მაშინლა გაბედა სამალავიდან გამოსვლა – გამოსვლა კი არა, გამოცურვა. ღვინის ტბორში ფეხსაცმელი და ხელჯოხი ტივტივებდა: სულ ეგ დარჩენილიყო მდევართაგან. ნარღვნას გაასწრეს თუ დაიღრჩვნენ, არავინ იცის. მეფანდურე ქალიც გამქრალიყო. სარდაფში ჩამოდნული მთვარის შუქზე ციმციმებდა ღვინო, ძონის სადარი. კაცმა ორიოდ ყლუბი ჩაყლაპა, ჩაყვინთა და მხარული მოუსვა. რამდენიმე მეტრი იყო სარდაფიდან ამოსასვლელამდე, რამდენიმე წამი, რამდენიმე სიცოცხლე! კაცმა ამოიქმინა და განწირული მზერა კიბისკენ გაექცა. მიაღწევს იქამდე? მთვარის შუქზე უამრავი ჭიანჭველა დაინახა, ყვითელ სხივებს რომ მოჰყვებოდნენ. კაცი შეეცადა მწერების ბანარს ჩასჭიდებოდა, მაგრამ სიცარიელეს ნაეპოტინა. აი, ეგ იყო გამოღვიძების წამი, მეფანდურემ რომ ჩაუთქვა. თვალეში სიცარიელე გაეყინა და ჩრდილი თუ ჩრდილის ნასახი გაილანდა სარდაფის კედელზე, მაგრამ კაცი უკან აღარ იხედებოდა. მისი მზერა – უსასოო, მწველი, დუქნის ჭერს მიეყინა, თითქოს გარღვევა და ვარსკვლავებამდე ასვლა სურსო, მაგრამ ცა არსად ჩანდა. გარშემო მხოლოდ ღვინის მწკლარტე სუნი იყნოსებოდა და სარდაფის ხავსიან კიბეს ტალღის სუსტი არშია ექსოვებოდა.

კორინთოელი მსროლელი

ჩემი მოვალეობა კორინთოდან მეგარაში წერილების ტარებაა, თუმცა ომებისა და სტიქიური უბედურებების ყამს უფრო შორსაც მაგზავნიან. მე ის ვარ, ვისაც მთელი დღე მორბენალს ეძახიან. ჩემი ცხოვრება გაქცევაა, ჩემი მიზანი – ქანცის განყვეტა. შინაარსი წერილებისა, რომლებსაც მატანენ, არ ვიცი და არც მაინტერესებს. ტაძრებსა და სასახლებს გულგრილად ჩაფურბენ, სოფლებსა და დაბებს გვერდს ვუქცევ. მივრბი და ჩემი გზა არ თავდება. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ჩემს სიბილს აზრი არა აქვს, მაგრამ აზრი თავად სიბილია; შეიძლება ისიც ითქვას, რომ ჩემი ცხოვრების აზრი ის წერილებია, რომელთა შინაარსიც არ ვიცი, რადგან უფლება არა მაქვს გავხსნა და ნავიკითხო ისინი. მე ვარ მაცნე, ვინც არ იცის,

რა ამბავი მოაქვს ადამიანებისათვის, თუმცა ზოგს მხსნელი ვგონივარ. ამიტომაც მოუთმენლად მელიან, მე კი არასოდეს ვყოვნდები მათთან, რაღა ჩემი მიზანი სირბილია, მაგრამ ალბათ ოდესმე დადგება ჟამი, როცა სირბილი აღარ შემეძლება. რა იქნება მაშინ? ამის გაფიქრებაც კი მზარავს. ჰოდა, განვიზრახე არ შევჩერდე, არ დავდგე, არ შევიკვინო; გადავწყვიტე საბერძნეთს გავცლოდი და შეუსვენებლივ მერბინა. გეზი კონტინენტის სიღრმისკენ ავიღე. უწყლო, ხრიოკი ველები გადავსერე, მთები გადავალაგე, ზღვას ნაპირ-ნაპირ გავუყევი. ვნახე უცხო და მრავალფერი ხალხი, ცხოველები, მცენარეები, დაისები და ვარსკვლავები. მეგონა, დაუსრულებლივ ვირბენდი, მაგრამ ჩრდილოეთში ერთ გზაჯვარედინს მივადექი, რომელიც ოთხივე მიმართულებით ჩიხით თავდებოდა. ვგონებ, ეს ლაბირინთი იყო, რადგან თანაბარი არჩევანის საშუალებას მაძლევდა. ჩემი გეზი უკეთ რომ განმესაზღვრა, სანიშნე ბოძზე ავცოცდი და ქვეყანა დავზვერე. ზემოდან ერთნაირი ჩანდა ყოველი. გზები სერავდნენ დედამიწას და არ იყო მათ შორის ერთი მაინც, რომელიც სხვაზე მეტად მაგრძობინებდა ქროლვის ხანგრძლივობას. ეს გზაჯვარედინი მართლაც ჩიხი იყო, რადგან ნებისმიერ მხარეს წამსვლელი ბოლოს ისევ აქ ბრუნდებოდი, თუმცა ადამიანებმა ეს არ იცოდნენ. ამიტომ გადავწყვიტე დავრჩენილიყავი და მათთვის ამეხსნა, რომ მგზავრობას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ადამიანები მაინც არ ყოვნდებოდნენ ჩემს სიახლოვეს. მათ ისიც კი არ იცოდნენ, რომ ოდესღაც მე მსრბოლელი ვიყავი, კორინთოელი მსრბოლელი, ვინც სრბოლის უმიზნობა შეიცნო. აი, ამაღაც ვდგევარ ახლა ბოძზე, ვით უძრავი ქანდაკი, ვით მინიშნება ჟამის შეყოვნებისა და თავად ველი მხსნელს, რომელიც ბოძიდან ჩამომიყვანს, მინაზე დამასვენებს და მეტყვის: „კორინთოელი მსრბოლელი! შენ უძრავობის უმიზნობაც შეიცანი. ჰოდა, წამოდექი, მეგობარო, რათა ისევ გზას გაუდგე, რადგან არავინ არის ამქვეყნად ისეთი, ვინც ოდესმე სამუდამოდ შეჩერებულა ან ვისაც მოძრაობის მიზანი ეცოდინებოდა. ვერც შენ შეიტყობ ამას, მაგრამ მაინც უნდა ირბინო. ნუ იკითხავ, საით, მაგრამ უნდა ირბინო, სანამ დედამიწას არ გასცდები და შორეული ვარსკვლავებისაკენ არ გასწევ, საიდანაც ოდესღაც აქეთ გამოემუჩრე. ახლა კი დროა შინ დაბრუნდე და ეს იქნება შენი მარადიული სრბოლა, რადგან აქ და იქ არ არსებობს, არც ეს გზაჯვარედინია ლაბირინთი, როგორც გგონია. შენ მსრბოლელი ხარ, ამიტომაც ნუ შეყოვნდები, ნუ შეჩერდები, ნუ დადგები, ნუ შეისვენებ. აბა, მარდად, ერთი, ორი... ნინი!“

აი, ამას ველი, მაგრამ ვინ იცის, მოვა კი ვინმე, რომ ეს სიტყვები მითხრას? თუ მარადუშამს აქ ყოფნა მინერია? აქ, გზაჯვარედინზე, სადაც სანიშნე ბოძზე უძრავად მდგარი, მხსნელის გამოჩენას ველოდები! თავად ძირს ჩამოსვლა და გზის განგრძობა როდი ძალმიძს. ვიცი, ეს ჩემი სისუსტეა, რამაც დამიმონა და ვილაცის მომლოდინედ მაქცია, თუმცა იმედი – სასოება და შხამი ჩემი, მკარნახობს, რომ ის ვილაც მოვა და მაშინ, მე, კორინთოელი მსრბოლელი, კვლავ გავუდგები გზას, რათა აღარასოდეს შევჩერდე, არ დავდგე, არ დავისვენო, როგორც ხეს მოწყვეტილმა ფოთოლმა, როგორც ქარისგან ახვეტილმა მტვრის ნამცეცემა, როგორც ისარმა, ლარს მოწყვეტილმა...

ლაბირინთში

„დაჰკარი!“ – მითხრა ჯუჯა, მაგრამ გონიერმა არსებამ და მახვილი გამოიმინოდა.

გველეშაპს ეძინა. მახვილი აღვმართე და ცხრავე თავი გავსხიპე. ის მაინც არ კვებოდა. გასისხლიანებულ კისრებზე ყვავილივით ეფურჩქნებოდა ახალი თავები. ქანცმილეული ვსხებდი ამ თავებსაც. შემდეგ სხვას და სხვას – დაუსრულებლად.

ტკივილი არ მიგრძენია.

„დაჰკარი!“ – მითხრა გველეშაპმა.

მახვილი ხელუკუღმა მივაბრუნე და ჯუჯა არსება განვვმირე. მაშინ კი იჭექა და ჩამოინგრა ლაბირინთის კედლები, გველეშაპი ქვეშ მოიყოლა. უკუნი განათდა. მინისქვეშეთში მზის სხივმა ჩამოაღწია. ლაბირინთი აღარ არსებობდა.

ბანძი

განძს ვეძებდით და კლდეებში მიჯაჭვულ კაცს წავანყდით. შემოგვხედა კაცმა, ბორკილები ააჟღარუნა. საგანძურის ამბავი ვკითხეთ.

„ტანჯვისა და ხუნდების მეტს ვერაფერს იპოვით, – გვითხრა პასუხად, – განა მეც ეგ არ მინია?“

ბორკილი ავსხენით და ჯაჭვი დავწყვიტეთ. ბედნიერების სხივმა გაუცისკროვნა სახე. გახარებული წამოგვყვა. დიდხანს ვიარეთ. გზა უფრო ციცაბო და აუვალი გახდა. ის ძლივსლა მოგვდევდა. ვნანო, თქვენ რომ წამოგყევით, გაგვენდო. რაღას ვიზამდით? ისევ ბორკილებში ჩავეჭედეთ და ძველებურად კლდეს მივაჯაჭვეთ.

„განძს თუ იპოვნით, მეც მინილადეთ“, – მოგვაძახა გახარებულმა.

„ტანჯვისა და ბორკილის მეტს ვერაფერს მიიღებ“, – მივუგეთ.

წარღვევა

რად გვიხმობს ასე ცისფერი ღამე? მთის მწვერვალებზე ანთია ცეცხლი და ვარსკვლავები. გარშემო წყალია, უნაპირო, დაუსაბამო. წყალშიც კრთიან ვარსკვლავები და ცეცხლები – გადარჩენა არ გვიწერია.

კიდობანში ყველას როდი ახსოვს წარსული: ვინ კაცი იყო და ვინ ვეფხვი ანდა აფთარი; და ვიღრჩობით, პირი წყლით გვევსება, ვიგუდებით, მაგრამ ვიცით, ჩვენთან არს ღმერთი, რომელმაც წყალობა მოილო ჩვენზე და წარღვნა მოგვივლინა. ველარავის ვხედვით, ცისფერი ღამისა და ვარსკვლავების მეტს – ჩვენს ნილ სიჩუმეს ისრუტავენ ისინი – უფხვი, ცივი შუქით დაღამებულები.

სამყაროს შიქმნა

ოდეს ბალახი არ იყო ბალახი და ქვა იყო მხეცი; ოდეს ჩვენც ვიყავით, ჯერაც დედის საშოში ჩაუსახველნი; ოდეს ღმერთები ტკბებოდნენ წარმოუთქმელ ლიცვათა სმენით.

მაშინ შეგვენი, წმინდაო არარაობავ, ართქმულო ჩვე-
ნით!

თვალნი აღვახვინეთ და დაბნელდა მზერა; სიტყვა წარ-
ვსთქვით და დაბრკოლდა გონი; ყორე ავაგეთ და დაიქცა
ბჭენი; დღე ღამედ იქცა, ღამე – დღედ; მარილი სიტკობდ,
ნუგბარი – სიმლაშედ; მალალი მდაბლად, განი კი – ვინ-
როდ.

ნუთუ ბრმანი ვართ?

„ცოდვანი თქვენნი ჰვიეს უცვალებლად“, – იტყვის წი-
ნასწარმეტყველი. ჭეშმარიტად, ჯერ არ შექმნილა სამყა-
რო, რომელიც არსებობის კლანჭისაგან დაგვიხსნიდა და
შეგვიფარებდა, ვით უნაზესი მტრედი თავის ხუნდებს, ან
ძუ მგელი თვალთუჩინო ლეკვებს თვისას.

უპროზა

სერაფიმმა დაკეცა ფრთენი და ლიფტში ჩამოეშვა.

უხმოდ დავიძარით.

„საით?“ – ვკითხეთ.

მან შემოგვხედა და ჩვენს შუბლებზე აღიბეჭდა მისი
მზერა, ვით ტვიფარი წარუხოცელი.

„ქვემოთ ვეშვებით?“ – კვლავ ვკითხეთ და შეგვემინ-
და, რადგან ქვემოთ ჯოჯოხეთი იყო. მოულოდნელად
ლიფტი ზემოთ წავიდა.

„ნუთუ სამოთხისაკენ?“ – გავიფიქრეთ შევბამიცე-
მულეზმა. სერაფიმმა კი გაშალა ფრთენი, ლიფტის კარი
გააღო და გაფრინდა. ლიობიდან კუპრი სივრცე გამოჩ-
ნდა, ვარსკვლავებით მოოჭვილი. ახლა უკვე აღარ ვი-
ცოდით, სად ვიყავით: არსად იყო სამოთხე ან ჯოჯოხე-
თი და არც მაცნე იმყოფებოდა ჩვენს გვერდით, ეს რომ
განემარტა.

„საით?“ – ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა. მერე შევამჩნი-
ეთ, ლიფტი არ იძროდა.

პალიმფსესტი

სამყაროს წიგნს რამდენიმე გვერდი აკლია და მოვა-
ლენი ვართ შევავსოთ, თუმცაღა, ამის ნაცვლად, დაწე-
რილს ვშლით და ისევ ვწერთ. იდენტურია თუ არა ეს
ტექსტები? არავინ იცის, რადგან მათი შინაარსი ჯერ
არავის ამოუკითხავს. ჩვენს წინაშეა დაუკავშირებელ
სიტყვათა და სასვენ ნიშანთა სიმრავლე, რომელთაგა-
ნაც ფრაზათა უამრავი კომბინაცია იგება. წინადადებებს
არც საწყისი აქვს და არც დასასრული და ვერავინ იტ-
ყვის, თავიდან იწყება თუ გრძელდება აზრი, რომელიც
მანამდე დაწერილ ტექსტში განყდა, ვით მთის ვინრო ბი-
ლიკი უფსკრულის პირას. და მაინც ჯიუტად, მოთმინე-
ბით აღვებეჭდავთ სივრცეში ჩვენს აზრებსა და ქცევებს,
რალაი ვიცით, რომ სამყარო ტექსტია; რომ ის ჩვენ შევ-
ქმენით, რომ ჩვენც ტექსტის ნაწილი ვართ, რომ ვილაც
თუ რალაც შლის და თავიდან წერს მანამდე დაწერილს
და რომ სრულ ტექსტს რამდენიმე გვერდი აკლია, რათა
მთლიანი შინაარსი ამოვიკითხოთ, თუმცაღა მაშინ ტექ-
სტი გაქრებოდა და ნაწერიც სამუდამოდ წაიშლებოდა,

რადგან სრულყოფილ ტექსტში აზრი უაზრობას ნიშნავს,
შინაარსი უშინაარსობას, ხოლო რაობა – არარაობას.
ამიტომაც ჯიუტად, მოთმინებით ვშლით და თავიდან
ვწერთ უკვე დაწერილს, იმ იმედით, რომ სწორედ ეს გან-
მეორებადობაა სამყაროული წიგნის შინაარსი, რომე-
ლიც ჯერ არავის ამოუკითხავს, რადგან სრული ტექსტი
არავის უხილავს; დიახ, იმედს არ ვკარგავთ, რომ ერთხე-
ლაც იქნება, ვილაც თუ რალაც იმ რამდენიმე გვერდსაც
შეავსებს, რაც წიგნს აკლია, თუმცა მაშინ, უეჭველია,
წიგნიც გაქრებოდა, რომელიც ახლა ჩვენს წინაშეა გა-
დაშლილი კომბინაციურ შესაძლებლობათა სიმრავლით
და რომლისგანაც ფრაზათა თუ სასვენ ნიშანთა უამრავი
ვერსია იგება. გაქრებოდა პალიმფსესტი, რომლის ნაწი-
ლიც ჩვენ ვართ და მაინც გვგონია, რომ ის ჩვენ შევქმე-
ნით; რომ ჩვენ ვშლით და ვწერთ ტექსტს, რომლის შინა-
არსიც არ ვიცით. სწორედ ესაა ჩვენი ოპტიმიზმის სა-
ფუძველი, ასე ილუზორული და ასე უაზრო, თუმცა ვე-
რავინ იტყვის, რომ ამ უაზრობაში არ იმაღვის სამყარო-
ული წიგნის შინაარსი, რომლის შეცნობაც ჯერ არავის
ღირსებია; ვარსებობთ და არც ვარსებობთ, ვქმნით და
ვერც ვქმნით, ვიმეცნებთ და ვერ შეგვიცნია – აი, მიზე-
ზი, რის წყალობითაც პალიმფსესტი არსებობს, რადგან
უამისოდ ის გაქრებოდა სრულ სიცხადესა და ჭეშმარი-
ტებაში, ჩვენ კი არასოდეს გვეცოდინებოდა, რომ მას
სულ რამდენიმე გვერდი აკლია, რომლის შევსებასაც ასე
ჯიუტად ვცდილობთ და მაინც მიზნისთვის ჯერ არავის
მიუღწევია, რალაი მიზანი არ არსებობს; უკეთ, მიზანი
თავად პალიმფსესტია, რომელსაც ყოველ წამს თავიდან
ვწერთ და რომლის ფრაზათა და სასვენ ნიშანთა კომბი-
ნაციური სიმრავლე ჩვენი არსებობის ერთადერთი ვარი-
ანტიაა.

მსხვერპლშენიკვა

– ისააკ, ისააკ! – მესმა ძახილი თუ მოწოდება.

ძეძვებში გახლართული ბატკანი ხელში ავიყვანე და
ბორცვზე ავედი. იქ ყველა და ყველაფერი მზად იყო: სამ-
სხვერპლო ქვა, დანა, თასით წყალი და უფლის ანგელოზი,
რომელმაც მითხრა:

– ღმერთმა შეგიწყალა. არ მოკვდები. ადიდე იგი!

და მე მივუგე:

– უკვე მკვდარი ვარ. შეწყალება ვერას მიშველის. და
ასე იქნება მუდამ, სანამ შეწყალებას გვიგზავნიან ზემო-
დან.

ანგელოზმა ბასრი ხანჯალივით მზერა დამასო, თით-
ქოს ჩემი დაფერფვლა სურდა, მაგრამ ამ დროს ბატკანმა
დაიკიკინა და ღვთის მაცნეც შეცბა, უკან დაიხია, თან
უზარმაზარი ფრთენი ეთრეოდა მინაზე.

გარდასახვა

მაყურებლებს არ მოეწონათ სპექტაკლი და სცენას
ტყვია დაუშინეს. დამფრთხალი მსახიობები კულისებს შე-
ეფარნენ.

თეატრის დირექციასთან მოლაპარაკების შემდეგ სპექტაკლი განახლდა, ოღონდ ამჯერად როლებს მაცურებლები ასრულებდნენ, მსახიობები კი პირველ რიგში ისხდნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალს მათ თამაშს. იმის მიხედვით, თუ რანაირად ცდილობდნენ ისინი თავისივე თავი განესახიერებინათ, შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ გულწრფელნი იყვნენ იმ თავის სახიობაში, თუმცა ამან სპექტაკლს ვერ უშველა და მალე ისევ ყველაფერი აირია, რაღაი საიმისოდ, რათა დანარჩენ მაცურებელს როლის ნამდვილობა ერწმუნა, მათ ერთი და უმთავრესი აკლდათ – თვალთმაქცობა.

ქაოსი

მიმოიხილე ეს ქაოსი, სადაც ერთხელ აღძრული ბგერა დაუსრულებლად მეორდება. როგორ განიბნევა ხმა? ნაზი ყვავილი გაუთავებლად იფურჩქნება, ფუტკარიც ეგრევე გაუთავებლად დასტრიალებს თავს ყვითელ ბუტკოს, თუმცა ისიც და ყვავილიც დიდი ხანია განქარდა, მხოლოდ ხმაა, მარადიულად რომ გაისმის; ამიტომაც ვერ იყვირებ, ვერავის უხმობ, ვერ განრისხდები – ეს ქაოსის უპირატესობაა, რასაც უნდა შეეგუო, რადგან უამისოდ ვერ მიხვდები, ნამდვილად არსებობ თუ მარტო სხვისგან აღძრული ბგერის განმეორება ხარ – მარადიული, მარად მოძრავი, დაუსრულებელი. ქაოსი გშველის არსებობისაგან განთავისუფლდე და ისე იყოფოდე, თითქოს არცა ხარ, თითქოს ვინმე სხვა არსებობდეს შენს მაგიერ, რომელიც აგრეთვე სხვის განმეორებას წარმოადგენს, როგორც ბგერის მოდულაცია, და ასე შემდეგ – დაუსრულებლად; რომ აღიძვრი და ვერც აღიძვრი, ვერც განსხეულები და ვერც განიძარცვები ხორცისა თუ სულისაგან, ვერ მიიცვლები, რაღაი ქაოსში მხოლოდ ქაოსია ნამდვილი, თუმცა ისიც რაღაცის მუდმივი გამოძახილია. „რაღაც“ და „ვიღაც“ შენ ხარ, ასევე სხვა, ვინც მანამდე იყო, ვინც შენამდე იყოფოდა, ვინც განმეორდა – მეორდება ახლაც, შემდეგაც, ყოველ ჟამს, იმის მიუხედავად, რომ არავინ იცის, რაა ჟამი განმეორებათა ამ წრებრუნვაში, რომელსაც შეგეძლო მინდობოდი, როგორც ყოფისა და არყოფნის მიჯნას, როგორც სანყისის ან დასასრულის გამყოფ ტიხარს, როგორც სიცხადეს – ყოველივე ქაოსურია, ბგერის გარდა, ჯერაც რომ განიბნევა; რომ აღიძვრის და შენ არ გეკუთვნის, არამედ სხვას, რაღაცას ან ვიღაცას, ან ორივეს ერთად, ანდა სულაც სხვას ამ ორის გარდა, ვინც მესამეა, ან იქნებ მეოთხეც – იმ სამის გარდა – და ასე მარად, დაუსრულებლად, მყოვარ ჟამს, რომელიც არ არსებობს, რადგან არავინაა, ვისაც მისი არსებობა ეცოდინებოდა; რადგან ეს ქაოსია, სადაც ყვავილი მარადიულად იფრჭვნება, ფუტკარი კი გაუთავებლად დასტრიალებს ყვითელ ბუტკოს, თუმცა ისევ ყვავილიც და ფუტკარიც კარგა ხანია განქარდა და მხოლოდ ყვავილის უნაზესი ფურცლების შლისაგან აღძრული ბგერა თრთის, ფუტკრის გამაბრუნებელ ზუზუნთან ერთად, როგორც ვიღაცის ან რაღაცის გამოძახილი; როგორც ნიშანი სანყისის ან დასასრულისა; როგორც ძრაობა; როგორც უპირატესობა ქაოსისა, მისივე არსებობის თუ არარსებობის მაცნე.

აღიარება

ის იყო მართალი და განზიდული. ჩემთან მოვიდა და მთხოვა, თავის ქალა გამეპო მისთვის.

– შიგნით ჯართი მაქვს, დღითიდე რომ უანგდება. არავის სურს მოილოს მოწყალება და ამ ტვირთისაგან გამათავისუფლოს.

რა მიზეზით-მეთქი, ვკითხე.

– გეტყვი! – მომიგო და მართლაც მომიტხრო, რომ უცნაური რამ განეზრახა: საგნებისა თუ ნივთების დაცლა სურდა მათი სახელდებისაგან.

– ქვას აღარ ერქმევა ქვა, არც ბალახს – ბალახი. რა მტანჯველია, როცა რაიმეს ჰქვია რაღაც! განა შენ არ ენამები, ვინმედ რომ გინმობენ?! ეს უღელს გვადგამს, ბორკილს გვადებს, ხელ-ფეხს გვიბორკავს; მხოლოდ უსახელო სამყაროა ჭეშმარიტი, მხოლოდ უსიტყვო ბგერაა ნამდვილი, მხოლოდ დაუდასტურებელი არსებობაა ეჭვშეუვალი.

როგორღა მოგიხსენიო-მეთქი, ვკითხე გაოგნებულმა. ნუთუ გულმონყალებასაც არ ერქმევა სახელი?

– სახელი არ არის ის, რაც სამყაროს ქმნის. სახელი ჟანგია, რომლის გადაფხეკაც მსურს. დამეხმარე!

– როგორ?

– დაივიწყე გულმონყალება და ნულარ მიხმობ.

– განა შენ თავად არ მოხვედი ჩემთან?

– მე არ ვარ მე. არც შენ ხარ ის, ვინც გგონია. დამივიწყე, დამივიწყე!

და იგი ატირდა. ცრემლის წვეთი დაეცა მტვერში. მან თითი დაანო მტვერში გაგლეხილ ცრემლს.

– რა ჰქვია ამას? თუ ჰქვია, რა? – გაუთავებლად, დაჟინებით იმეორებდა და რაკი პასუხი ვერ მიიღო, მხრებში მოხრილი, მოკუზული და თითშემართული იქაურობას გაცვალა.


სიზმარი

„უჰ, – ვთქვი, – უჰ!“

ვიჭყლიტებოდი.

ორ კლდეს შორის ვისრისებოდი. ვიღაცამ ჩამომძახა, რომ ეს სიზმარი იყო და თვალი უნდა გამეხილა.

„მერე? – ვიკითხე, – თვალს თუ გავახელ, მერე?“



სიმონ ლეისი

„COSA MENTALE“

*

„იდეალი ფუნჯს წინ უნდა უსწრებდეს“

როდესაც ვაზარი აღწერს როგორ მუშაობდა ლეონარდო და ვინჩი „დაბადებაზე“ მონყალე წმ. მარიამის მონასტრის სატრაპეზოს მოხატვისას, მოგვითხრობს, რომ ამ მონასტრის წინამძღვარს აღიზიანებდა უმოქმედობის ხანგრძლივი ინტერვალები, რის უფლებასაც თავს აძლევდა მხატვარი. ისეც ხდებოდა, რომ იგი დღის ნახევარს ისე გაატარებდა კედლის ცქერაში, რომ ფუნჯებს ხელსაც არ მოჰკიდებდა. წინამძღვარმა, რომელსაც სურდა, ლეონარდოსაც ისევე შეუსვენებლივ ემუშავა, როგორც მისი ბოსტნის მთხნელ მებაღებებს, და ბოლოსდაბოლოს სთხოვა ჰერცოგ სფორცას, ხელოვანი აეძულებინა, განუწყვეტლივ ეშრომა. ჰერცოგმაც ლეონარდოს სიზანტის მიზეზები ჰკითხა. მხატვარმა იცოდა, რომ საქმე გამორჩენილ ადამიანთან ჰქონდა და მისთვის ხატვის ხელოვნების საიდუმლოებათა ასახსნელად განეწყო. „ზოგჯერ გენიოსები ყველაზე მეტს მაშინ აღწევენ, როდესაც ყველაზე ნაკლებად ირჯებიან, რადგანაც კარგად უნდა გაიაზრონ მათი გამოგონებანი და გონებაში სრულყოფილი იდეები ჩამოაყალიბონ, რომლებსაც შემდგომ იმით გამოსახვენ, ანუ ხელების მეშვეობით ხელახლა შექმნიან“.

ეს სიტყვები თითქოს ერთი იმ ტრაქტიკტიდანაა ამოკრებილი, რომლებიც ჩინელმა მხატვრებმა მათი ხელოვნების შესახებ დანერეს და შესაძლოა ვაზარის მონათხრობს ხიდი გაედო ჩუანგძუს ამ ნაწყვეტთან: უფლისწულს სურდა, თავისი სასახლე სურათებით დაემშვენებინა. მის მინვევას მხატვართა მთელი ლაშქარი გამოეხმაურა და, როგორც კი თავყანისცემა გამოხატეს, მაშინვე მის თვალწინ ფუნჯების გადასლექვასა და მეღნის მორევას მოჰყვანენ. მიუხედავად ამისა, ერთი მათგანი ყველა დანარჩენზე გვიან მოვიდა, არ აჩქარებულა, გზადაგზა მიესალმა უფლისწულს, შემდეგ კი კულისებში გაუჩინარდა. დაინტერესებულმა უფლისწულმა მსახურს დაავალა, წასულიყო და ენახა, თუ რას აკეთებდა იგი. მსახური სულმთლად დაბნეული დაბრუნდა: „ამ პიროვნებამ ტანთ გაიხადა, ნახევრად შიმველი დამჯდარა და არაფერს აკეთებს“. „დიდებულია! – წამოიძახა უფლისწულმა, – სწორედ ის გამოდგება: ნამდვილი მხატვარია!“

ჩინელები მიიჩნევენ, რომ „ხატვა განსაკუთრებით ძნელია ხატვის დაწყებამდე“, რადგან „იდეალი ფუნჯს წინ უნდა უსწრებდეს“. მათთვის მუდამ ცხადი იყო ის დებულება, რომ მხატვრობა არის „Cosa mentale“. დასავლეთში კი, პირიქით, უფრო ჯექსონ პოლკის შემდეგი განსაზღვრება ჩანს გაბატონებული: „ხატვა ფიზიკური მოვლენაა“ („Painting is something physical“). მართლაც, დასავლურ მხატვრობაში გაცილებით იშვიათია, რომ მხატვრული ნაწარმოები უკვე არსებული შინაგანი ხედვის უბრალო გადმოცემას წარმოადგენდეს. ბევრად უფრო ხშირად მხატვრობა დიალოგის, ლამის ხელჩართული ბრძოლის შედეგადაც კი ჩნდება, რომელსაც ხელოვანი საკუთარ ტილოსთან

წარმართავს. ეს ვითარება კარგადაა აღწერილი დიუფის აქსიომაში: „უნდა შეგვეძლოს შევეშვათ იმ მხატვრობას, რომლის შექმნაც გვენადა, იმის სასარგებლოდ, რაც გამოგვდის“. აღქმის ფსიქოლოგია განასხვავებს გამოსახულებათა ორ ტიპს: არსებობს პირველადი მეხსიერების გამოსახულებანი, რითაც, მაგალითად, სარგებლობს მხატვარი, რომელიც ნატურიდან ხატავს. ისინი მხოლოდ ერთ წამს თუ ცოცხლობენ. ეს ის დროა, რასაც იგი მოდელიდან ტილოზე მზერის გადატანას ანდომებს. და არსებობს მეორადი მეხსიერების გამოსახულებანი, რომელთაც „ეიდექტიურ“ გამოსახულებებსაც უწოდებენ. გონება მათ კამერის მსგავსად აგროვებს და შემდეგ, როდესაც სურს ეს ნეგატივები იხილოს, საკუთარ ეკრანზე აჩვენებს, სადაც ისინი სრული სირთულით წარმოჩნდებიან. ეიდექტიური წარმოსახვა ხშირად სპონტანური სახით გვხვდება ბავშვებთან, თუმცა მისი მეთოდურად დანერგვაც შეიძლება. იდოგრაფიული დამწერლობის შესწავლამ და გამოყენებამ, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო ამ უნარის განვითარებას ჩინელ მხატვრებთან ისევე, როგორც მედიტაციის პრაქტიკამ, რომელსაც ტაოიზმი და ჩან-ბუდიზმი ქადაგებს. ამას დავუმატოთ, რომ ჩინური მხატვრობის ტექნიკაც, თავად ბუნება მისი იარაღებისა – მეღნისა და ფუნჯის, რომლებიც არ იძლევიან არც მერყეობის, არც გადაწერის ნებას – სრულიად გამორიცხავს მუშაობას „პირველი მეხსიერების“ გამოსახულებათა მიხედვით და პირიქით, რეტუსებისაგან თავისუფალ, მყისიერ შესრულებას მოითხოვს. მხატვრის ამოცანაა ერთბაშად ლადაგინოს ის გამოსახულება, რომელიც ფუნჯის ხელში ალებამდე გონებაში შექმნილა და როცა ფუნჯი ქალაღს ეძგერება, ეს უკვე ელვისებური და შეუქცევადი მოძრაობაა, „თითქოს შევარდენი დააცხრა კურდღელსო“.

გარდა ამისა, ერთი ანეკდოტი დომიეს ცხოვრებიდან გვიჩვენებს, რომ შემოქმედების ეს ფორმა სრულიად როდია განდევნილი დასავლური მხატვრობიდან. ერთ დღეს დომიე მეზობლად მცხოვრებ თანასოფელელთან მივიდა: „ლითოგრაფიისათვის იხვი მჭირდება. მაგრამ დამავინწყდა, როგორ უნდა დაეხატო. შეგიძლია იხვი მიჩვენო?“ მეგობარმა იგი ბალის სიღრმეში გუზურასთან მიიყვანა და როდესაც დომიე იხვის თვალიერებით გაერთო, ჰკითხა: „გინდა უბის წიგნაკი და ფანქარი მოგცე?“ „რას ამბობ! მე ნატურიდან ხატვა არ შემიძლია!“ ბოლოს, მას შემდეგ, რაც იხვების გამოსახულება გონებაში ჩაიბეჭდა, დომიე წავიდა. ხოლო მომდევნო კვირაში „შარივარის“ დაბეჭდა განსაცვიფრებელი დამაჯერებლობითა და სიხალასით შესრულებული დომიეს „იხვები“.

ფილოსოფოსი ალენი (რომლის პოზიციასაც სარტრი ავითარებს თავის „წარმოსახვითში“) დარწმუნებული იყო, რომ აღქმულსა და წარმოსახულს შორის ძირეული განსხვავებაა და იმ ადამიანებს, რომლებიც ამტიკებენ, რომ ხედავენ პანთეონს, თუმც მის წინაშე არ იმყოფებიან, ასე დასცინოდა: მაინც რამდენ სვეტს ხედავთ? მაგრამ სინამდვილეში მხატვარ სონგს ან და ვინჩის ანდა დომიეს, ალბათ, აზრს მოკლებულად არ უნდა მიეჩნიათ მათი წარმოსახვითი პანთეონის სვეტების დათვლა.

ფრანგულიდან თარგმნა
ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიქია

ელა გოჩიაშვილი

**ნანვიმარზე... სოკოსავით...
ციკლიდან „კახურები“**

მაინც, რა ნავსად იწვიმა, –
ეს ამოდენა ბრიყვი
ისე ამოსხა მინიდან,
როგორც ქამა და ნიყვი.

ნანვიმარზე სოკო, – მესმის;
ჰოი, ბედისწერანი! –
ნანვიმარზე სოკოსავით
ამოსული ...მწერალი?!

რა სარფიანად დასველდით,
რა თქვენდა ბედად განვიმდა,
რა უცებ წამოაჩოქეთ
მიუნვდომელი მთანმინდა.

ცერზე განვრთნილი ჟიური
სულ ცისფრად ააღაღანეთ...
აფსუს! რა წვიმა გაფუჭდა! –
სავენახე და საყანე.

წვიმა ბნელში და ბნელიდან...
რევოლუციით ცხებულო,
შერჩა მწერლობას „ელიტა“,
წვიმაში ჩასველებული.

აღამიანო!

ჰოო, ტვირთია ცხოვრება,
მაგრამ, ნუ გაკრთობს ის შენ;
ჩვენც კაი სახედრები ვართ, –
ესე იტყოდა ნიცშე.

სხვა არჩევანი არც უჩანს
ცხოვრებას, გარდა ცხოვრების;
მძიმეა, მძიმე, მაგრამ,
არც შენ ხარ ცოტას მომრევი.

ვერაფერს დამისახელებ, –
(ნიცშე განაგრძობს ხარხარს), –
შენ რომ ვერ წამოიკიდო;
აღამიანო, ქვა ხარ...

პირზე ღიმილით განაგრძე
სიკვდილ-სიცოცხლის ფლირტი;
თუმცა, ტვირთია ცხოვრება,
თუმცა, მძიმეა ტვირთი, –

ქარავანს ადევნებული
ნაბიჯ-ნაბიჯ და მხარიმხარ, –
არც შენ ხარ ველის შრომანი,
შენც კაი სახედარი ხარ.



პამპრაძეები

ირემი – ირემს:
„მა თუ პამპრაძე მამკვდარა,
ე ტყვია ვიღამ მახალა!“
(ხალხური)

აკი, მორჩა მიზეზი
ჭირთა ათასგვართაო, –
აკი, მოკვდა პამპრაძე,
აკი, გადავარდაო...

შენ განსაჯე, უფალო,
და დიდება შენდაო!
ეს რამდენი სისხლი მდის, –
აკი, გადაშენდაო...

თუ პამპრაძეც დამთავრდა
და პამპრაძის ბახალაც,
იქ, კორტებთან, უბრალოს,
ტყვია ვინ დამახალა!

ასე დაგემოვნებით,
ასე თამაშ-თამაშით,
სული ვინ ამომხადა
მართალს, ოქროყანაში!

დედის კენტი სანთელი,
დანთებული იმედად,
ეკლესიის მადლის წინ
ასე ვინ გამიმეტა!

მხარზე ეშმაკს ვინ ისვამს
ოქროს ერთი მისხლისთვის;
თუ პამპრაძე მამკვდარა,
ე რამდენი სისხლი მდის...

ჩემო თვალის სინათლეც,
ჩემო კარგო მამულო,
რაზედ მოგილხენია!
რა გაქვს სამხიარულო! –

ჩამომპალა ყვავილი
შავი გემის აფრაზე;
მშვიდად მიღებს მიზანში
შენი მკვლელი პამპრაძე...

შენ განსაჯე, უფალო,
და დიდება შენდაო!
ჩემი სისხლის მპარავი,
ჩვენი ამომბზარავი,
აკი, გადაშენდაო!

გვარშეცვლილი პამპრაძე,
ოქროს ერთი მისხლისთვის,
გულში იკრავს სატანას...
ეს რამდენი სისხლი მდის...
ეს რამდენი სისხლი მდის...

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში უკვე ერთი წელია შეიქმნა ლიტერატურული ფორუმი „ებლიტფო“.

ფორუმზე სხვადასხვა თაობის პოეტები და პროზაიკოსები მკითხველებს აცნობენ თავიანთ ახალ ნაწარმოებებს. ასევე აქვეყნებენ ძველ, კარგად ნაცნობსა და მონატრებულ ლექსებს. ფორუმი მკითხველს საშუალებას აძლევს გამოთქვას მოსაზრებები კონკრეტული ლექსის ან პოეტის შემოქმედებაზე. იმართება დისკუსიები თანამედროვე პოეზიისა და პროზის აქტუალურ პრობლემებზე, ლიტერატურული კრიტიკის მნიშვნელობაზე...

„ებლიტფოს“ ისტორია პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს – ცნობილ პოეტ და მთარგმნელ გივი ალხაიშვილამდე და მას-თან ერთად.

გამოქვეყნებული გზავნილების საფუძველზე განყოფილება ამზადებს წერილებს, სტატიებს, ინტერვიუებს, რეპორტაჟებს – ახალ-გაზრდა პოეტებსა და მათ შემოქმედებაზე, ხოლო მასალები ქვეყნდება პრესაში.

ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ იწყებს „ებლიტფოზე“ გამოქვეყნებული ლექსების მკითხველთა ფართო სპექტრისთვის გაცნობას, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ავტორების შემოქმედების პოპულარიზაციას.



დაიბადა 1981 წლის 27 თებერვალს. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად სწავლას განაგრძობს ამავე ფაკულტეტის დოქტურანტურაში და მუშაობს დისერტაციაზე ეგზეგეტიკის დარგში.

სწავლობდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში კულტურის ფაკულტეტზე.

აქტიურად თარგმნის თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურას და ასევე, თანამედროვე ქართულ პოეზიას ფრანგულად.

ლექსებსა და თარგმანებს პერიოდულად აქვეყნებს სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემაში.

2002 წლიდან მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

არის 2007 წლის პოეზიის კონკურსის „წეროს“ გამარჯვებული. ჟურნალ „ლილ“-ის ჯგუფის წევრი და ელექტრონული ბიბლიოთეკა www.lib.ge-ს ერთ-ერთი რედაქტორი.

ნათია ნაცვლიშვილი

* * *

მითხრა: პეპელა,
ფრთებს გაუფრთხილდი,
არ გაგიხუნდეს ფრთებიო.

მე ვუთხარი:
ჩემს ქმარს ხელებზე, ტანსაცმელზე,
თმებზე, თვალებზე თევზის სუნი აქვს,
მეთევზეა და
პეტრე ჰქვია-მეთქი...
უყვარს, როცა ეს
ნაცრისფერი კაბა მაცვია,
და ვუყურებ, სალამოობით
ნაპირზე ბადეს როგორ აკერებს-მეთქი...

მითხრა: პეპელა,
ფრთებს გაუფრთხილდი,
თვალები შენი სულისათვის
ფრთებიო.

მე ვუთხარი:
მე მის ქუდზე შემორჩენილი
მარილის თეთრი ლაქებიც კი მიყვარს-მეთქი.
როცა იგი ნაპირიდან ნავს მიაცურებს,
ზღვისკენ ყოველთვის ზურგით ზის და
თვალებს კარგახანს არ მამოკრებს-მეთქი.

მითხრა: პეპელა,
ზღვაშია შენი გზა და შენი ბილიკი –

დიდ მდინარეებში,
და შენი კვალი არ არის ცნობილიო.

მე ვუთხარი:
ჩემი ქმარი უბრალო კაცია,
ზღვის ტალღები მას მტვრისგან და
ტალახისგან იცავენ-მეთქი.
სალამოობით, ცეცხლის შუქზე
ხისგან თოჯინებს თლის იმ ბავშვისთვის,
მე რომ მუცლით ვატარებ-მეთქი.

მითხრა: პეპელა,
რასაც სული შობს, გაუფრთხილდი,
სულის ნაყოფები აშენებენ
ცოცხალ ქალაქებსო.

მე ვუთხარი:
ყოველდამე ვკითხულობ-მეთქი
ჩემი ქმრის თვალებს,
ჩემი ქმრის ხელებს,
ხელისგულზე გადმონერილ ზღვის სუნს,
თევზის სუნს,
და ყველაზე შორეული ნაპირების სუნს,
ჩვენში ვაშენებთ ცოცხალ ქალაქს,
ფრთებით რომ უნდა დავიცვა და
ვემზადები იმ ნაყოფის მისაღებად,
ჩემმა სულმა რომ მასწავლა-მეთქი.

მითხრა: პეპელა,
ფრთებს გაუფრთხილდი,
არ გაგიხუნდეს ფრთები, რადგან
თვალები შენი სულისათვის
ფრთებიო.

* * *

მას შემდეგ, რაც შენ
 ღია მწვანე მინის ნამსხვრევებით შეგაკონინე
 და გარშემო ასკინკილით გირბენ,
 არ მგონია,
 რომ სევდიანად გამოვიყურები.
 შენც ილიმი დღეში სამჯერ,
 როცა მზის სხივი დაგეცემა.

შენი ღიმილი –
 ჩემი ღიმილი –
 „ფრთებით დაიფარე, ამას გევედრები...“

აი, ასეთი იყო მუდამ ჩემი სამშობლო,
 შენნაირი,
 მინის ნამსხვრევებით შეკონინებული,
 ასკინკილით შემოსარბენი,
 ფრთებით დასაფარი,
 როცა არ გჯერა,
 რომ მარტივი და სევდიანი
 ანმყო ხარ მხოლოდ.

თუმცა მე მაინც გავალვიძებ
 რომელიღაც მომავალში
 ჩემს ნამდვილ შვილებს
 და დღეში სამჯერ გავექცევი
 შენი ღიმილის სანყალობელ მხიარულებას.

იქ იქნება ჩემი სამშობლო.

* * *

ყოველ დღით
 8-ს რომ ძალიან დააკლდება 20 წუთი,
 უკვე იწყება ჩემი ჩვეული, ყოველდღიური დაღლილობა.
 ვარ თითქოს რაღაც უჰაერო
 და უჟანგბადო ყრუ სივრცეში გამოკეტილი,
 და დღეები ისე გადიან,
 არ შემიძლია არც ერთ დღით,
 შევხსნა კარი და უბრალოდ ვთქვა:
 „დღეს მე ვერაფერს ვერ გასწავლით,
 წადით სახლში,
 დღეს მე ვერაფერს ვერ გასწავლით!“

მე არ ვიცი, ვისი ხასიათია ჩემი ხასიათი,
 როცა არაფერზე ვფიქრობ.
 მაგრამ ვიცი, რომ
 ესაა ჭეშმარიტი ხასიათი.

„ჭეშმარიტება არის
 კვერცხზე კვერცხს რომ დაარტყამ“, –
 უთხრა ქეთის მისმა მოსწავლემ.

ყოველ დღით,
 8-ს რომ ძალიან დააკლდება 20 წუთი,
 უკვე იწყება ჩემი ჩვეული, ყოველდღიური დაღლილობა,

თითქოს კვერცხის უჰაერო, უჟანგბადო,
 ყრუ სივრცეში ვარ გამოკეტილი
 და მთელი ძალით ასკდება კედლებს
 ათასი უცხო, გაუზარავი ჭეშმარიტება.

მე კი არასდროს შემიძლია შევხსნა კარი
 და უბრალოდ ვთქვა:
 „დამიბრუნეთ ყველამ ჩემი ჭეშმარიტება
 და წადით სახლში!“

მე არ ვიცი, ვისი ხასიათია ჩემი ხასიათი,
 როცა არაფერზე ვფიქრობ,
 და გაბზარული ნაჭუჭიდან შემოპარულ ჰაერს
 გასრესილი იმედივით მუჭში ვიგროვებ:

მუდამ ასეა!
 ვის დავაჯერებ ფანჯარაში გაშლილი ფრთებით
 რომ მეც დავფრინავ.
 ვის დავაჯერებ, რომ მე თვითონაც
 ზოგჯერ ბავშვი ვარ მოთამაშე
 და გარეული ზღარბებისთვის
 ვაშენებ სახლებს.

* * *

შუალამე შემეხო
 ოდნავ, ყრუდ და უსიამოდ ატკიებულ მკერდზე.
 წვერი ჩამოვატეხე და
 უხასიათოდ შევჭამე.

გაულიმე პატარა და სევდიან ზღაპარს.
 ისიც შენი იყო,
 რაც ყველა სარკმელში ერთნაირად დაცარიელდა.
 გაულიმე პატარა და სევდიან ზღაპარს.
 იქნებ უტყუარმა სანყაულმა თავის ხელისგულზე
 ერთად ველარასდროს დაგვიტოოს.

მე კი ხვალ ეზოს ბავშვებს ვუამბობ,
 რომ 6 მილიონი კონტინენტის მიღმა,
 4 მილიარდი ოკეანის იქით,
 დაღლილი ვარსკვლავების კუთხეში
 ჩემ გარეშე ცხოვრობ.

ბავშვები ჩიტებს კაკანათებს დაუგებენ ეზოში
 და კიბეებზე „რომეო და ჯულიეტას“ ითამაშებენ.

...აუცილებლად გაჩნდება ალბათ
 რაღაც საერთო
 ეზოს ბავშვების კაკანათში მოხვედრილ ჩიტთან.

* * *

ავდარს შეგატოვე.
 წვიმით და ტალახით ამოვივსე
 ჩემთვის ნაფერები დარბაზები.
 გლოვის თვედ გიქციე ვარდობისთვე

და დარდის დაბზარულ სამკაულად.
ბილიკ-ბილიკ მხედება ის სიტყვები:

შვიდ შვილს გაჩუქებს უფალიო,
შვიდივეს ჩემი თვალები ექნება,
შვიდი მზე ერთად ამოვა და,
ჯვარზე გაგაკრავს და, დაგწვავს და,
შვიდივეს წყალობა უთხარიო!

შვიდჯერ ჩამოვუვლი შენს ნაპირებს,
უცხოო უცხო ერთხელ ჯავრს არ გკითხავ,
ჩემსას სამარეში ჩავიტანო!
შვიდჯერ წაგიხდება საბუდარი,
შვიდჯერ ჩაგემსხვერვეა ხერხემალში
სული სხვისი სულის საგუბარი,
უჩემოდ თავს ვერ გაიტანო!

შვიდი შვილი მყავდა! –
შვიდივეს თვალებში
დღე ერთნაირი გამითენდა,
ქმარს არშემდგარი ღალატისთვის
შენდობა შეიძვერ ვთხოვე,
და რამდენჯერაც დაგიძახე,
იმდენჯერ სხვამ დაირქვა შენი სახელი!
კიდევ შვიდჯერ უნდა დატრიალდეს
ბურთი, რომელზეც
შვიდმა გ ზამ შვიდჯერ მაქცია ზურგი.
და თუ კიდევ შვიდჯერ გამიავდრდა,
და თუ მენყურმა ჩამორეცხა ვინრო ბილიკები,
შვიდი დღე ერთად დამიღამდა
და ტაძრამდე ვეღარ ავაღწევ, –
ჩემი ხელით გავთხრი შვიდ საფლავს და
იმდენჯერ ვიგლოვ საკუთარ თავს,
რამდენ ღამეზეც უშენობამ
დამწერა ჯვარი.

* * *

ბევრს ნუ იფიქრებ.
გვიან შემოდგომით
ჩემი კედლებიდანაც გამოჟონავს
მიტოვებული კელიების, მარილიანი ნიჟარების
და ნესტის სუნი.
ბევრს ნუ იფიქრებ.
მე ისეც მეშინია გვალვით გადამწვარი ბალახების,
როცა აღარ ჰყოფნის წყურვილისთვის სიტყვები მინას
და მე – ბავშვობაში ფეხისგულეებით ნასწავლი სიმწვანე.
როცა ჩიტები თბილი ქვეყნებიდან სამშობლოში
ბრუნდებიან,
როცა ჩვენი დედები და მამები თავიანთ ბავშვობაში
ბრუნდებიან,
და ჩვენ ისევ ისე
ღამეების შუაში ვრჩებით.
აი, ეს არის ჩემი სამშობლო და შენი სამშობლო.
მინა, რომელსაც წყურვილისთვის სიტყვები აღარ ჰყოფნის,
სახლი, რომელიც მინდა მქონდეს,

მყუდრო კედლებისთვის,
სუფთა კედლებისთვის,
თბილი კედლებისთვის,
შენი სულით და
ჩემი სულით გაჟღენთილი კედლებისთვის.
აი, ეს არის ჩემი სამშობლო და შენი სამშობლო,
სადაც საკუთარი თავი აღარ გვყოფნის,
სადაც ჩვენ მაგივრად ჩიტები ბრუნდებიან
თბილი, მაგრამ უცხო ქვეყნებიდან,
სადაც დედები დაბადებამდე კარგავენ შვილებს,
და ღამეების შუაში იავნანას ჩასტირიან.
სადაც ერთმანეთს სიტბოს მაგივრად
გლოვის სამკაულებს ვჩუქნით.
სადაც ყველამ ვიცით,
რომ მხოლოდ წიგნებში წერია
მტრისა და მოყვასის სიყვარული.
სადაც მე და შენ ერთმანეთის
და სარკეში ჩახედვის
თანაბრად გვეშინია.
ბევრს ნუ იფიქრებ. ჩემზე.
გვიან შემოდგომით
ჩემი და შენი კედლებიდანაც გამოჟონავს
მიტოვებული კელიების, მარილიანი ნიჟარების
და ნესტის სუნი.

* * *

მე არავინ მყავს შენზე უფრო აღმოსავლეთით.
ჩემი ჩრდილის ოთხივე მხარეს იგულისხმება
შენი წყალი. მთა და უდაბნო.

მერამდენედ დამასწრო დილამ ასეთი მოკლე განთიადი.
და ბავშვობაში
კარადიდან გადმოვარდნილი გლობუსივით
დამემსხვრა ფერხთით
დედამინის მყიფე სიმრგვალე.

ღმერთმა ვერაფრით გადაგვაჩვია ამნაირ ლოცვებს:
ყველაზე უფრო საიმედოდ თავჩახურულნიც
ღამღამობით იმდენს ვტირით, რომ
როცა იქნება
ჭალს მოწყვეტილ მინის ბურთულას დაემსგავსება
დედამინა.

აი, მაშინ კი
წამებისას ფრჩხილებიც რომ დაგვაცალონ,
მაინც არ გავთქვამთ,
რა ვთხოვეთ უფალს
ამ გამჭვირვალე
და უნაყოფო მინად ქცეული მინის სანაცვლოდ.
მაინც არ გავთქვამთ,
რა გადავმალე
იმ უარყოფით სიჩუმეში,
საითაც შენ ხარ.

მე არავინ მყავს შენზე უფრო აღმოსავლეთით.
მე არავინ მყავს შენზე უფრო აღმოსავლეთით.

ხატვა ორნამენტების გარეშე

ბოლო დროს საჯარო ბიბლიოთეკის ლიტერატურულ საიტზე გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებებს ინტენსიურად ვეცნობი. იქ აღმოვაჩინე რამდენიმე საინტერესო ავტორი

პროზასა და პოეზიაში. ზოგს ადრეც ვიცნობდი წიგნებით, საჟურნალო პუბლიკაციებით, ზოგს კი პირველად შევხვდი და ისიც ვირტუალურ სივრცეში. ერთ-ერთი მათგანია ლიტერატურული პრემიის „ნერო“ გამარჯვებული/პირველი პრემია ერგო წილად!/ ნათია ნაცვლიშვილი.

ნათიას ლექსები გამჭვირვალე, ფაქიზი, ძალდაუტანებლად ღრმად, თანაც უძველესი სუნთქვა იგრძნობა, რომელიც ასე თანამედროვეა და ახლობელი, თან ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ რთული. მის ლექსებში დროდადრო გაკრთება მშვენიერი ტკივილი და მისი მრავალი ლექსი ამის დასტურია. გახსოვთ დოქის ხმა, როცა ივსება ღვინით? კარგად თუ დაუგდებთ ყურს – სავსე დოქსაც აქვს ხმა, ხმები, იმათი ხმათა ჯამი, ვისი თიხიდანაც დოქი შედგება. ეს მეტაფიზიკური გადახვევაა, ისე კი დოქის მეტაფორა იმისთვის დამჭირდა, რომ მეტყვა ერთი ბანალური ქეშმარიტება: ჩვენ ვივსებით და ვიცლებით გამუდმებით – სულიერადაც და ფიზიკურადაც. სიცარიელეს ცვლის სისავსე, დღეს ღამე და ა.შ. სიცოცხლე მუდმივი წრებრუნვაა.

„ვინაიდან, ყველასგან თავისუფალი, ყველას დავემონე, რათა უფრო მეტი შემეძინა...“

... ღია ტექსტით იკითხება მისი ჰერმეტიზმი/შენა ხარ ჩემი ყველაზე აღმოსავლეთი/. ეს ლექსი გვაგრძნობინებს უანგარო სიყვარულისთვის თავგანწირვის მზაობას და უდიდეს სიყვარულს. ჩემთვის ძალიან გასაგები და ახლობელია განცდა, მკითხველისთვის რომ ღრმადება და სახარების სუთქვას ამოიცნობს მინიმუმებში. მინიმუმები მაშინ აღწევენ მკითხველამდე, როცა კონოტაციისთვის საჭირო ზუსტ სიტყვებს პოულობს ავტორი, და ჩნდება სათქმელი სიტყვათა შორის. და ამას ახერხებს ნათია ზედმეტი ორნამენტულობის გარეშე. ინტენსიურმა მთარგმნელობითმა საქმიანობამ ბევრი რამ ასწავლა.

მისი პოეტიკა ევროპული ყადისაა და ორნამენტებს არ ეძებ, იგი უფრო ინტონაციურ – ნარატიული პოეზიის ერთგულია და ზედმეტი ხატვისა და ხატების გარეშეც ახერხებს სათქმელი ძალდაუტანებლად მიიტანოს მკითხველის გულამდე.

ხვალინდელი დღე გაუხსნელი წერილივითაა და, ვნახოთ, როგორ ლექსებს გამოგვიგზავნის ნათია, როცა კონკრეტს გავხსნით და მის ლექსებს ნავიკითხავთ.

გივი ალხაჯიშვილი

პოეტის ერთი ლექსი

შოთა ბოსტანაშვილი

მზის და

სიმღერა სიმღერის შესახებ, ანუ მეტასასიმღერო რეფლექსიები მეტადსასიმღერო ტექსტით და მითით (მითუმეტეს).

მზე რო ამოვარდ(დ)ება და
მზერა ვარდზე დავარდება
სხივის სხვილ-სხვილ ოქროღერად

მღერად ავარდება მზის და:

„...მზის და ვარდების მხარეო...“
ზის და ნაზად გალობს ის და

თბილი *სი მი მი სი...* ისმის,
ის, მის ბგერებშია მისი
სახლი და სახელი – მზის და.
ზის და ნაზად გალობს ის და...

დაისამდე დაისხამს და
მაისამდე დაისირმებს,
ირმებს აიირმიცებს და
ქედზე აირეკავს ხარებს,
ქარებს აიქაქარებს...

სივის მთელი მთა და ბარი,
ქარცეცხლები და ქარცხვნარი;
სოლოს გალობს – თბილი სიო –
– თბილისიო...

მზე რო ამოვარდ(დ)ება და
მზერა ვარდზე დავარდება
სხივის სხვილ-სხვილ ოქროღერად
მღერად ავარდება მზის და...

ეს ხდება მაშინვე,
არავის ვაშინებთ,
არც თავს ვითბილისულელებთ.

იოსებ ჭუმბურიძე

გურამ პეტრიაშვილის მოლანდება

გამარჯობა, საყვარელო ძმაო როსტომ! – ძალიან მომინდა, მეც ასე დამეწყო.

როსტომ, ალბათ, რამდენს შეაკრთობს ჩემი ამ პატარა წერილის სათაური!

შეაკრთობთ და ღირსნიც იქნებიან.

ეს სათაური სწორედ მათთვის დაგწერე, თორემ, წესით და ლოგიკით, ასე უნდა დამერქმია: „გურამ პეტრიაშვილის მონატრება“.

...ძალიან გამახარა და ამალეღვა „ჩვენს მწერლობაში“ (21) მისი ლექსების ხილვამ. ოღონდ, ზუსტად ვერ ვიტყვი, ლექსებმა უფრო მეტად შემძრეს, თუ იმ პატარა ბარათმა, რომელსაც შენ გწერს.

„გამარჯობა, საყვარელო ძმაო როსტომ...“ რამდენი სიტბოა ამ დასაწყისში. რამდენი რამ არის ჩატყული, საერთოდ, ამ პანია ბარათში, რა დიდი სევდა და მონატრება.

იქ ესეც წერია: „ზვიადს უყვარდა თქმა, ერი და მისი კულტურა ერთმანეთს უდრიანო (რამდენს სჭირდება, დღეს, ამის შესხენება!)“.

გურამ პეტრიაშვილს აქვს უფლება, სწორედ ასე მოიხსენიოს ზვიადი – არც გვარი სჭირდება და არც „ბატონი“.

ახლა – ლექსებზე.

რაგინდ ეწყინოთ, მე მაინც ვიტყვი: ასეთი მართალი ლექსები, დღეს, საქართველოში არ იწერება.

რა ვქნა, ეს თვითონაც ძალიან მწყინს.

როცა ამაზე ვფიქრობ და ვწერ, რა თქმა უნდა, ახსნასაც ვეძებ. ვცდილობ, ვიპოვო პასუხი კითხვაზე: მაინც რა აკლია, ყველაზე მეტად, თანამედროვე ქართულ პოეზიას? ჩემეული ახსნა და პასუხი ასეთია: ტკივილი, სამშობლოს უბედობის ტრაგიკული განცდა.

ამგვარმა განცდამ დაბადა, თავის დროზე, საქართველოში გამოაგნებელი სტრიქონები:

სჯობს, აღარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი!

ამგვარმა განცდამ, დღეს, უსამშობლოოდ დარჩენილ ქართველ პოეტს უკრაინაში ათქმევინა არანაკლებ გამაოგნებელი სტრიქონები:

**ეჰ, როგორა მშურს, ბოშებო, თქვენი:
რადგან არა გაქვთ,
ვერც წაგართმევინ
სამშობლოს
ლამაზს!**

ცხადია, აქ არ უნდა ვილაპარაკოთ რაიმე გავლენაზე: ცისქვეშეთში არაფერია ახალი. რასაც დღეს თუნდაც ყველაზე დიდი ბრძენი ან გენიოსი ამბობს, დიდი ხნის წინათაა ნათქვამი. მთავარია, ითქვას ორიგინალურად, გულწრფელად, დიდი ოსტატობით. ეს მით უმეტეს მთავარია პოეზიაში, კიდევ უფრო მით უმეტეს – პატრიოტულ ლირიკაში.

რაც ორიგინალურობას შეეხება, ტოლსტოი ხომ ამბობს: „იყავი გულწრფელი და იქნები ორიგინალური“.

გურამ პეტრიაშვილზე გულწრფელი კაცი კი, მართლაც, ძნელი მოსაძებნია.

გურამ პეტრიაშვილი, რასაკვირველია, არ არის ბედნიერი კაცი. არადა, რა ცოტა სჭირდება საამისოდ:

**ბედნიერება სულ უბრალო
რამაა, ძმაო:
ქართულ სოფელში ცხოვრობდე და
იყო ქართველი,
ქართულ სკოლაში დადიოდნენ
შენი შვილები,
ქართველი გყავდეს სოფლისა და
ქვეყნის მმართველი.**

ვაი, რომ ეს „ცოტა“, დღეს, ძალიან ბევრია.

...რატომღაც, მხოლოდ ურითმო ლექსებს ვიმონმებ. არადა, რითმიანი ლექსიც ბლომად გამოუგზავნია, თანაც არა მხოლოდ სამშობლოს თემაზე, თუმცა, როცა იაზე, ბელურაზე, თუ ბაჭიაზე წერს, მაშინაც საქართველოზე წერს.

გურამ პეტრიაშვილი აბა, რის გურამ პეტრიაშვილია! რამდენი საინტერესო პოეტური სახეა ამ ლექსებში. აი, მაგალითად (ისევ ურითმო!):

**ისე პანია იყო ის წერგი,
ბელურამ წამში დაუთვალა
ფოთოლი
ყველა.**

ვფიქრობ, საკმარისია, ყველა ლექსს ხელახლა ხომ არ დაგაბეჭდინებ (თუმცა, არ აწყენდა მათ, ვისაც გურამ პეტრიაშვილის მოლანდება აკრთობთ), მაგრამ ერთი პანია რითმიანი ლექსიც წერილს ბევრად არ გააადიდებს:

**მდელიზე დაბადებული
ია ენძელას ელოდა
არ უხაროდა ნიავი,
მდელი არ უჩნდა მდელიდა...
უკვირდა: „როგორ არ ვკვდები
ტიალი, უენძელიდა?!“**

განა, შეიძლება, აქ, საქართველოს გარდა, სხვა ქვეყნის, სხვა ეროვნების მდელი ვიგულისხმობთ?

დარწმუნებული ვარ, გურამ პეტრიაშვილსაც, ასევე უკვირს, როგორ ცოცხლობს უსაქართველოდ.

ალბათ, ის აძლებინებს, რომ მას თან დააქვს საქართველო, რისი დასტურიც ეს არაჩვეულებრივი ლექსებია.

იმდენად გულწრფელია ეს ლექსები, რომ ოდნავადაც ვერსად დაეჭვდები.

მხოლოდ ერთგან შემიძლია, გურამ პეტრიაშვილს არ დავეთანხმო – როცა ის ამბობს:

ალბათ, დავებრდი,
თორემ რატომ
დამდის ცრემლები,
როცა ვკითხვლობ
ამ უბრალო საბავშვო ამბავს:
ინგილო გოგომ,
ერეკლე მეფეს
ქლიავი როგორ გადმოაყარა.

მურმან ჯგუბურია

წიგნის სახელწოდებისა და გვარ-სახელების შესახებ

აი, რა მზის სიზმარია,
აირევი ივერია.
აი, დროშა აშორდია,
აერების სიბერეა.

ცნობილია, გალაკტიონი ამა თუ იმ სტრიქონს, სტროფს, ზოგჯერ ლექსსაც გვანვდიდა ხოლმე საკუთარი გამონათქვამის უარყოფის, გამორიცხვის მეთოდით.

ხომ არ გგონია, გზას გავიგნებდით,
წინ რომ არ იდგეს ლენინი ბრძენი.
გაუტეხელი, სალი კლდე, ძველი...

გვგონია, ჩემო ბატონო, როგორ არ გვგონია!

მთვარის შუქი ბალს ეფინა ქარგად,
მაშინ, როცა სადღაც ხმაა თარის,
ყველაფერი არის ძლიერ კარგად,
ყველაფერი ძლიერ ცუდად არის!..

ფრიად საყურადღებოა ამ მხრივ მისი ლექსი: „მე ამ წიგნზე რა უნდა ვთქვა ბევრი...“

ქალბატონმა ციალა ჩხეიძემ წამაკითხა გალაკტიონის მიერ წაკითხული შულგინის მოგონებათა წიგნი.

„იკითხება წიგნი, როგორც რომანი“, ამბობს პოეტი, მაგრამ იმავე ლექსში შულგინს უწოდებს მონარქისტსა

„თუ კარგად მახსოვს“, სიბერე არაფერ შუაშია. ასეთი ცრემლები მას ყოველთვის დასდიოდა.

მინანური: „ჩვენი მწერლობა“ ერთადერთი გამოცემაა, სადაც ეს ლექსები უნდა დაბეჭდილიყო, თუნდაც წინ ხსენებული ბარათი არ უძლოდეს. ასე ვიფიქრებდი მაშინაც, დღეს გაზეთი „თბილისი“ კვლავ რომ გამოდიოდა.

როსტომ, შენ ხომ გჯერა, რომ „თბილისი“ ისევ გამოვა. მჯერა, ეს ბატონ გურამ პეტრიაშვილსაც სჯერა.

მაშინ ერთად გავუგზავნით „თბილისს“ და „ჩვენი მწერლობას“. მერე კი დაბრუნდება და თვითონ იყიდის.

როსტომ, ესეც ხომ გჯერა? ახლა არ მითხრა, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, თორემ შენს ოცნებებს გაგახსენებ.

და ეროტომანს. „ხან ისევე თათრებშია, კალია“. წერს შემდეგ, და აქვე, შულგინი მისთვის „საზღვარგარეთ გაქცეული ტურაა“, – „საზღვარგარეთ კი რად უნდა წეროს!“ – აი, ამ ერთადერთი წინადადების სათქმელად დაინერა ალბათ მთელი ლექსი...

ახლა, კერძოდ, გალაკტიონის ზემორე მოხმობილი პალინდრომის შესახებ.

ბატონი ელგუჯა თავბერიძე წერს:

„თუ თვითეულ სიტყვას ღრმად ჩაუკვირდებით, ეს სიტყვები სულაც არაა შემთხვევით მოხმობილი, – ივერია მართლაც აირია, აითქვიფა, აიდღვიბა, აშორდიასა და მისი მეგობრების მეშვეობით თავადობა, აზნაურობა ადვილად მისაღწევი გახდა... ქვეყნისპაერი დაბერდა, ასაკი დაეტყო, ხმას ვერ იმაღლებდა, ქვეყანას ვერ უფლიდა...“

ასე გვეუბნება ავტორი წიგნის დასაწყისში.

„აშორდიათა მცირერიცხოვანი გვარიდან მთელი ქართველობისთვის, და არა მარტო ჩვენთვის, ორის სახელი გახდა ცნობილი, ერთი თაყაა, მეორე – სოლომონი. ერთმა მეგრული ანბანი შეადგინა, მეორე ისტორიულ დოკუმენტებს აყალბებდა, უგვანოებს ააზნაურებდა და ათავადებდა...“

ასე გვეუბნება ავტორი წიგნის ბოლოში.

რომელი აშორდიას უზნეობა და გადაგვარება იქნებოდა გალაკტიონისთვის უფრო გულსატკენი?

თაყა აშორდიასი, მეგრული ანბანი რომ შეადგინა თუ სოლომონ აშორდიასი, ისტორიულ დოკუმენტებს რომ აყალბებდა?

შეიძლება, გალაკტიონი თაყა აშორდიას იხსენებს პალინდრომში და არა სოლომონ აშორდიას.

ან იქნება ერთსაც გულსხმობს და მეორესაც?

ორივე მათგანი ღვთისპირიდან გადავარდნილია, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, პირველი მათგანი აჭარბებს, ანუ: თაყა აშორდია, – მეგრული ანბანის შემდგენელი.

პირველი, ანუ, თაყა აშორდია უფრო ანგრევს ქვეყანას, საქართველოს ერთიანობას, ვიდრე მეორე, ანუ, სოლომონ აშორდია.

პალინდრომის პირველი სტრიქონი („აი, რა მზის სიზმარია“) ჩემთვის გაუგებარია.

მომდევნო სამი სტრიქონის წაკითხვა – გაგება-გასიგრძელებანება თითქოს შეიძლება.

„აი, დროშა აშორდია“, ანუ, აი, ეს, ანუ მაგალითი, აი, ეს კაცი, ეს აშორდია მაგალითი, ეს კაცი, ეს დროშა, – დროშა მუდამ წინ მიდის, აი, ამ დროშას (ამ კაცს) სურს ივერიის არევა.

ერთი, დიდად გახმაურებული რუსი პოეტი (იური კუზნეცოვი) ამბობდა:

„Я знамя, и народы подо мною!..“

დროშა ყველაფრის თავი და თავია. სიმბოლო. ნიშანი. გვირგვინი.

აშორდია – დროშაა.

დროშა – აშორდია.

შელანძღულია ეს დროშა, და ეს ყველაფერი „ა - ერების სიბერეა“. აი, ამ ერების სიბერეაო, ჩვენი სიბერეაო. და არა მარტო ჩვენი, სხვათაშორის. „ერები“

მრავლობითშია ნახსენები. ა ერები უფრო ითქმის, უფრო ბუნებრივია, ვიდრე აერები, თანაც ამ „აერებს“ ჰ-აეც აკლია, – ელიოტი წერს. „ირლანდიური ენის გაქრობა ჩემს ენასაც შეუქმნიდათ საშიშროებას, – რატომ არ შეიძლება აქ ვიგულისხმოთ ა – ერები და არა აერები?“

სიტყვამ (ენამ) შეყოლიება იცის, თავის ნებაზე გატარებს ხოლმე; ვიფიქროთ, ფიქრის უფლებას ვილა წაგვართმევს, და იქნება სიმართლესაც მივაგნოთ. იმ კაცს, რომელმაც გვითხრა, „მე ვხედავ სიზმრებს არა-თქვენებურს“, ყველაფერს იოლად ვერ გავუგებთ...

ამ წიგნის შესახებ კიდევ მოგვიწევს საუბარი, ახლა კი, აი, რა მინდა ვთქვა:

საკვირველია ელგუჯა თავბერიძის შრომისუნარიანობა. მისი მოთმინება. იობის მოთმინება. როგორი სიყვარულითა და გულდანდობით გვესაუბრება იგი აკაკიზე, გიორგი შარვაშიძეზე, დავით კლდიაშვილზე, ნიკო ნიკოლაძეზე, გალაკტიონზე...

ბატონმა ელგუჯამ იცის, რასაც აკეთებს.

სოლომონ აშორდიამაც იცის სხვათაშორის, რასაც აკეთებს. იცის ქართველი კაცის ზნე-ხასიათი. როგორ



ესიკვდილება ხელის განძრევა, საქმის მოკიდება.

აშორდია ჰყიდის საბუთს, ბალს, სოფელს, შეიძლება ზუგდიდიც და ქუთაისიც გაყიდოს. მთელი საქართველო გაყიდოს, თუკი კარგი მუშტარი შეიგულა. საგულისხმოა ისიც, რომ სოლომონ აშორდია ნიჭიერია და აზრიანი.

ასეთი ამბავი მაგონდება:

ჰონორარი მაქვს ასაღები გამოცემლობაში. მაგრამ არ არის. ჯერ არ არის. გამოვბრუნდი. კიბეზე ამომავალი ქართლოს კასრაძე დავინახე. რამ დაგაღონაო, მკითხა. ვუთხარი. მაგ საკითხს ახლავე მოგიგვარებო. შევედით პირველსავე ოთახში. აილო ყურმილი და ბულატერს დაელაპარაკა: „ელგუჯა ვარ (ელგუჯა მალრაძე გახლდათ გამოცემლობის დირექტორი), მურმან ჯგუზურიას ერგება რაღაც ჰონორარი. აგერაა, ჩემს კაბინეტში. შემოვა ამ წუთში და მოუგვარე ეს საკითხი“.

მივედი და ავიღე ჰონორარი. ნიჭიერია ქართელი კაცი, მაგრამ მთავარია ამ ნიჭს რას შეაღებ, - შეგვაგონებს ელგუჯა თავბერიძე.

არეულ ივერიაში ვცხოვრობთ დღესაც. აქედან გამომდინარე, ეს წიგნი-რომანი ზარია და გაფრთხილება, დღეის საქართველოსთვის, – როგორები ვართ და როგორები უნდა ვიყოთ. „რა ვაკეთეთ“. დიდი ილიასი არ იყოს, – მართალი ილია იმიტომ შევანუხე, რომ თავად ელგუჯა თავბერიძე გახლავთ ჩვენთა დიდთა წინაპართა მსგავსი და ანაგება. მიხარია, რომ ამ დონის მესიტყვე ცხოვრობს და მოღვაწეობს იქ,სადაც დაიბადა და გაიზარდა. ამ მხრივ იგი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რა მასშტაბს მოიცავს მართალი სიტყვა, მართალი ქართული...

ორიოლი მაგონდება, ამას რომ ვწერ, რუსული ქალაქია, და ოტია იოსელიანის, რეზო ჭეიშვილის, თორნიკე ერისთავის, ელგუჯა თავბერიძის ქალაქზე ვფიქრობ, დღეის ქუთაისზე.

კვირას, 11 ნოემბერს
ლიტერატურულ არტ კაფე
„ქარავანში“
გაიმართება შეხვედრა
მალხაზ სონდულაშვილთან
დასაწყისი 15 საათზე
ფურცელაძის 10

კვირას, 18 ნოემბერს
ლიტერატურულ არტ კაფე
„ქარავანში“
გაიმართება შეხვედრა
ანდრო ბუაჩიქსთან
დასაწყისი 15 საათზე
ფურცელაძის 10

თინათინ თუშმალიშვილი
ლეო კვაჭაძე

1942 წლის უთქმულთა მოსაგონრად

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პატრიოტ ასპირანტთა და ახალგაზრდა მასწავლებელთა დაპატიმრებიდან გავიდა 65 წელი. ამ რეპრესირებულთაგან მხოლოდ ორნიღა შემოვრჩით წუთისოფელს – თინათინ თუშმალიშვილი და ლეო კვაჭაძე.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ და თავგანწირულ პატრიოტთა საქმიანობა და ღვაწლი ჯეროვნად არის აღწერილი და განსჯილი როსტომ ჩხეიძის ნაშრომით „დანყველილი თაობა“, აგრეთვე რევაზ კვერენჩილაძის, თინათინ თუშმალიშვილის, ლეო კვაჭაძისა და სხვათა პუბლიკაციებით. ამასთანავე, ჩვენ ზნეობრივ მოვალეობად მიგვაჩნია, საზოგადოებას კვლავ შევახსენოთ სამშობლოსათვის თავგანწირულ პატრიოტთა საქმიანობა, საბჭოთა რეჟიმის მიერ უღვთოდ განსჯილთა სახელეუბი და მათი ვინაობა-მოღვაწეობა.

დაუნდობლად და უსამართლოდ განსჯილთა შორის იყვნენ არა მარტო გულმხურვალე მამულიშვილები, არამედ ნიჭითა და ფართო ინტერესებით გამორჩეული სპეციალისტები, მწერლები, პოეტები, მთარგმნელები, ლიტერატურათმცოდნეები, ფილოსოფოსები, ფოლოლოგები.....ამ პერსპექტიული სპეციალისტების მოღვაწეობა დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენი ეროვნული მწერლობისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგების განვითარებას, ეროვნული კულტურის აღმავლობას.

ეს ახალგაზრდები, რა თქმა უნდა, არ იყვნენ გამონაკლისები. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მათ განაგრძეს ქართული უნივერსიტეტის სახელოვანი უფროსი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით ნასაზრდოები იდეები და გაინიშნენ ისევე, როგორც მრავალი მათი მოძღვარი, პედაგოგი, უნივერსიტეტის რჩეული პროფესორი: გრიგოლ წერეთელი, გიორგი ნანეიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, მოსე გოგიბერიძე, ბიძინა რამიშვილი, გიგლა კვიციანიძე... უნივერსიტეტში აღზრდილი რჩეული ახალგაზრდობა: გრიგოლ კვაჭაძე (ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ასპირანტი), პალიკო ნოზაძე (ვიქტორის უმცროსი ძმა), ჯანსუღ ფურცელაძე, გრიგოლ შავიშვილი, იონა ბოჭორიშვილი (ანგიას უმცროსი ძმა), მიხეილ იაშვილი (მათემატიკოს შოთა იაშვილის უფროსი ძმა), მიხეილ ჭანიშვილი, ვ. ხინთიბიძე...

ჩვენი მორალური მოვალეობაა ამ ქვეყნიდან არ წავიდეთ ისე, რომ საზოგადოებას არ შევახსენოთ ის ფაქტები, რისი მონაწილე ვიყავით. ამის აუცილებლობას ვგრძნობთ თუნდაც იმის გამო, რომ მართალია ერთხანობას ჩვენი

პრესის ფურცლებისა და დასტამბული ლიტერატურის მეშვეობით საზოგადოება გაეცნო ამ შეწირული თაობის სახელებს, მათ, ვინც არ შეუშინდა საბჭოთა ავტორიტარული რეჟიმის სისასტიკეს, ვინც ოცნებობდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე და ამ საოცნებო იდეას შეენირა კიდევც.

მაგრამ ამჟამად საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოხეთა თაობაზე ნაკლებად იწერება და ითქმება. გვინდა ახალ თაობას ვუთხრათ, რომ არ იყო ადვილი ტირანის მძვინვარების ჟამს ასეთი თავგანწირვით გყვარებოდა საქართველო და გელოლიავენინა იდეა იმპერიის მარნუხებიდან სამშობლოს გამოსხსნისა. ამ, როგორც როსტომ ჩხეიძემ უწოდა, „დანყველილი თაობამ“, ეს შეძლო.

ამჯერად ჩვენი სურვილია, 65 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ და დამატებითი ცნობები მივანოდოთ საზოგადოებას იმ დახურული სასამართლო პროცესის შესახებ, რომელიც 10 დღეს გაგრძელდა (1942 წლის 10-20 სექტემბერი), და ამ გზით, ერთი მხრივ, წარმოვაჩინოთ დაპატიმრებულთა ადამიანური თვისებები, მათი გამძლეობა „შინსახკომის“ სასტიკი ფიზიკური და მორალური ზემოქმედების პირობებში, ხოლო, მეორე მხრივ, გვინდა კიდევ ერთხელ ვამხილოთ საბჭოთა იმპერიის სახელმწიფო ტერორისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის მასშტაბური ფორმები.

ახლანდელმა თაობამ, უნივერსიტეტის დღევანდელმა სტუდენტობამ უსათუოდ უნდა იცოდეს იმათი სახელები, ვინც პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილნი ენაფებოდნენ ცოდნას ამავე ჭერქვეშ.

მეორე მსოფლიო ომის მძვინვარების ჟამს ქართველ ინტელექტუალთა არაერთ წარმომადგენელს გაუჩნდა იმედი არსებული პოლიტიკური სიტუაციის საქართველოს სასიკეთოდ გამოყენებისა. თითქოს დადგა დრო-ჟამი, საქართველოს რეალურად მიეღწია თავისუფლებისათვის.

ამ მხრივ გამოირჩეოდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებისა და ახალგაზრდა მასწავლებლების ჯგუფი. მათი ფიქრი და ოცნება იყო სამშობლოს თავისუფლება, ხოლო „სამოქმედო“ პროგრამა ეფუძნებოდა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-გამათავისუფლებელ იდეებს, რომელთა ხორცშესხმა მათ მამინ შესაძლებლად მიაჩნდათ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა („შინსახკომი“) თავისი აგენტურის მეშვეობით მიაკვლია ამ ორგანიზაციას და 1942 წლის იანვრიდან დაიწყო მორიგი მასშტაბური რეპრესიები, დაჭერა-დახვრეტები. დააპატიმრეს 33 ახალგაზრდა, მათ შორის 2 ქალი.

1942 წლის სექტემბერში, თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, დაიწყო სასამართლო პროცესი. სამხედრო ტრიბუნალს თავმჯდომარეობდა სამხედრო პირი, რუსეთიდან მოწვეული ვინმე ფომინი. მდივანი იყო პეტროსიანი. გამოძიებელი – არტაშეს მარქაროვი. გამოძიებას ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ირაკლი ნიბლაძე. პროცესი მიმდინარეობდა რუსულად. თარჯიმნობას ეწეოდა ვიდაც უგერგილო, ენის უცოდინარი კაცი.

საქმის გამოძიება წარიმართა ყოველგვარი პროცესუალური და სამართლებრივი წეს-კანონების დაცვის გარე-

შე. დარღვევები აშკარა იყო, მაგრამ ამის თაობაზე არამც თუ პროტესტის გამოხატვა, კრინტის დაძვრაც კი შეუძლებელი იყო. ჩაკეტილ საზოგადოებაში ყველაზე მყარად დაგმანული სასამართლო ხელისუფლება გახლდათ. სასურველ „აღიარებასაც“ პატიმართა სასტიკი წამების გზით იღებდნენ. ამიტომ, ტყუილი და მართალი ერთმანეთში იყო აღრეული.

სწორედ „შინსახკომის“ ჩინოსანთა მითითებით შეიქმნა ისეთი სურათი, თითქოს უნივერსიტეტში მოქმედებდა სამი დაჯგუფება, რომელთა საქმიანობის აღკვეთა აუცილებელი იყო, რადგანაც სახელმწიფოს ერთიანობასა და ძლიერებას საფრთხეს უქმნიდა, მით უფრო გერმანიასთან ომის პირობებში. ჯგუფის საქმიანობა „შეიარაღებულ აჯანყებად“ მოინათლა, ხოლო აჯანყების ჩახშობა, მონაწილეთა მხილება და სასტიკი დასჯა გამართლებული და აუცილებელი ჩანდა. ამ ყველაფერს, როგორც ვთქვით, გერმანიასთან ომის ექსტრემალური ვითარება ამწვავებდა.



გიორგი ძიგვაშვილი, შალვა შავიანიძე და კოტე ჯოგლიძე

რეპრესირებული შორის აღმოჩნდნენ არა მარტო უნივერსიტეტის ასპირანტები და ერთი სტუდენტი, არამედ ფრონტის წინა ხაზზე მებრძოლნიც კი. დაპატიმრებული შორის აღმოვჩნდით ჩვენც: ერთი საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი, ფილოლოგი ლეო კვაჭაძე და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის ლაბორანტი, უნივერსიტეტის ახალკურსდამთავრებული, ინგლისური ენის სპეციალისტი, თინათინ თუშმალიშვილი. ყველას ბრალად გვედებოდა მონაწილეობა „შეიარაღებულ აჯანყებაში“. ეს ბრალდება სამ ეჭვმიტანილს, კერძოდ, თინათინ თუშმალიშვილს, მიხეილ არეშიძესა და ლეო კვაჭაძეს არ დაგვიმტკიცდა.

საქმის გამოძიება დასრულდა ზაფხულში, ხოლო სექტემბრის ათში დაიწყო დახურული სასამართლო პროცესი.

პროცესი, როგორც ითქვა, მიჰყავდათ სამხედრო ტრიბუნალის მაღალ ჩინოსნებს, ვინმე ფომინის ხელმძღვანელობით. გამოძიებლები იყვნენ ირაკლი ნიბლაძე და არტემეს მარქაროვი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით გამოირჩეოდა. სასამართლო ინყებოდა დილის 10 საათზე და მთავრდებოდა ღამის 10-12 საათზე. ბრალდებულები სასამართლო დარბაზში ბადრავს სარდაფის საკნიდან კიბით ავყავდით და ჩამოვყავდით მაგრად ხელჩაჭიდებულები, თითქოსდა ბნელ, ვინრო დერეფანში სადმე შეიძლებოდა გაქცევა. შემდეგ ჩაბნელებული და უკაცრიელი ქუჩებით (ომის ვითარების გამო ქუჩები ჩაბნელებული იყო, ფანჯრებს და-

რბები ან მუქი ქალაღი ფარავდა) გვაბრუნებდნენ უკან, მამაკაცებს – შინსახკომში, ქალებს – ციხეში.

სასამართლო დარბაზში წინა რიგში ისხდნენ ქალები – თინათინ გონიაშვილი და თინათინ თუშმალიშვილი, დანარჩენები კი ზემოთ, ამფითეატრისებურად ამალეულ ადგილას იმყოფებოდნენ. ბრალდებულთაგან დაპატიმრებამდე ზოგნი ერთიმეორეს არც კი ვიცნობდით, მაგრამ პროცესის მსვლელობისას იშვიათ სიტბოს ვამჟღავნებდით ერთმანეთის მიმართ. უნდა ითქვას, რომ ეს „შეთქმულება“ ხელისუფლების მიმართ მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი დაპირისპირების დონეზე არსებობდა, არავითარი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა ახალგაზრდებს არ დასცალდათ. ამიტომაც იყო, რომ „შეიარაღებულ აჯანყებაში“ მონაწილეობას ვერ უმტკიცებდნენ.

ვიმეორებთ, გამოძიების მიმდინარეობა ობიექტურობისგან ერთობ დაშორებული იყო. სასურველი ჩვენების, ანუ სიცრუის მოსაპოვებლად გამოძიებლები სასტიკი წამების ხერხებსაც იოლად იყენებდნენ. პიროვნული ღირსების შემლახავი ზემოქმედება პატიმართა ფსიქიკაზე, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა. სისასტიკე და ზემოქმედება სასამართლო პროცესზეც გრძელდებოდა. მაგალითად, მარქაროვი, პატიმრებს თვალს უბრიალებდა, უბლევრდა, მრისხანე გამომეტყველებით მიდი-მოდიოდა დარბაზში. ასე, ალბათ, იმისთვის იქცეოდა, რომ მსჯავრდებულებს გამოძიების მსვლელობისას მიცემული ჩვენება არ გადაეთქვათ. ერთმა ბრალდებულმა სცადა უარეყო გამოძიების დროს მიცემული ჩვენება, მაგრამ მარქაროვის სუსხიან მზერას რომ შეასწრო თვალი, ხელი ჩაიქნია და უიმედოდ თქვა: „დარჩეს ისე, როგორც გამოძიების ოქმში წერიაო“. ამ სიტყვების მთქმელი, ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი მწერალი კიტა ბუაჩიძე გახლდათ.

იმასაც ვიტყვით, რომ მსჯავრდებულები, მათივე პრინციპული მოთხოვნით, მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ, ჩვენებებს კატეგორიულად მხოლოდ ქართულად იძლეოდნენ. მათ ნათქვამს თარგმნიდა ყოვლად უვიცი ადამიანი, ვაი-თარჯიმანი, რომელიც ჩვენებებს ენის უცოდინრობის გამო დამახინჯებულად გადასცემდა. ეს კიდევ უფრო ძაბავდა ისედაც გაუსაძლის ვითარებას.

სასამართლო პროცესზე ბრალდებულთა მიმართ დასმული ერთ-ერთი კითხვა ასეთი იყო: რატომ იყავით საბჭოთა ხელისუფლების უკმაყოფილო? პასუხი ძირითადად ერთი და იგივე იყო: 1937 წლის ბარბაროსობა! დაპატიმრებულთაგან უმეტესობას ხომ ახლობლები, მშობლები, ძმები ან დაპატიმრებული ან დახვრეტილი ჰყავდა.

მართალია, დაკითხვებზე ტუსაღებისაგან სასურველი ჩვენების მისაღებად გამოძიებლები ძალადობას იჩენდნენ და ტანჯვა-წამების კვალი ზოგიერთს აშკარად ემჩნეოდა, დაუნდობარი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის შედეგი მყარადაც იყო ჩაბეჭდილი მათ გონებაში, მაგრამ პროცესზე თავი მაინც მხნედ ეჭირათ.

მსჯავრდებულთა შორის ყველაზე ცუდად გამოიყურებოდა გიორგი იმერლიშვილი. ეტყობოდა, მას ცემისგან შინაგანი ორგანოები ძლიერ ჰქონდა დაზიანებული. სასამართლო დარბაზში ის ორ ბადრავს შემოჰყავდა. გიორგი მათ მკლავებზე ეყრდნობოდა, დამოუკიდებლად სიარულის უნარი დაჰკარგოდა, თავი მკერდზე ჩამოვარდნოდა, მაგრამ მაინც არ კვნესოდა. იჯდა განცალკევებით, ფიქრიანი, მდუმარე. ზოგჯერ თავის თავს ელაპარაკებოდა. როგორც ჩანს, სასტიკი ტანჯვა-წამების შედეგად ფსიქიკაც შერყეული ჰქონდა. გიორგის პროცესზე ჩვენება არ მიუცია, ალბათ ხმა-მალლა ლაპარაკი აღარც კი შეეძლო.

დახურული პროცესის მსვლელობის დროს ერთხელ თუ ორჯერ მცირე შესვენება გაიშალა. ერთერთი ასეთი შესვენების დროს ბრალდებულთა მშობლებსა და ახლობლებს ნება დართეს შემოეგზავნათ სურსათ-სანოვარე. შემოდგომა იდგა და ხილი – ყურძენი, ლეღვი, ატამი, ბრონეული – შემოსული იყო. და ეს ყველაფერი შემოგვიტანა კოტე ხიმშიაშვილის მეუღლემ, ნუნუ ქადეიშვილმა.

ლამაზი, თეთრებით შემოსილი ეს მშვენიერი ახალგაზრდა ქალი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, გეგონებოდათ, ჯოჯოხეთში ანგელოზი შემოფრინდაო. უნდა გენახათ, ამ გატანჯული, ბედკრული ახალგაზრდების მოქცევა, როგორი ჯენტლმენური, ვაჟკაცური იყო! რა პატივისცემით, როგორი სიყვარულით სთავაზობდნენ ორ პატიმარ ქალს საუკეთესო ხილსა და სანოვარეს! გასაკვირი იყო, რომ ნაგვემ, ტანჯულ პატიმრებს არ ჰქონდათ დაკარგული ქალის პატივისცემა, ადამიანური ღირსებები.

განაჩენის გამოტანის დღეს, 25 სექტემბერს, ღამით ჩაგვიყვანეს „შინსახკომის“ სარდაფში. ჯერ შემოვიდნენ

სამხედრო ტრიბუნალის მოხელეები, რომლებმაც გვიბრძანეს ფეხზე ავმდგარიყავით. შემდეგ კი ტრიბუნალის თავმჯდომარემ დაიწყო განაჩენის კითხვა. ეს მათთვის ჩვეულებრივი, რიგითი პროცედურა იყო. მან ჯერ გამოაცხადა განაჩენი – სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვეტა. ამას მოჰყვა დასასჯელთა გვარების დასახელება. ჩვენ გვეგონა, რომ, რადგან ბრალდებულები სამ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი, სამ „მეთაურს“ მიუსჯიდნენ დახვეტას. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩამონათვალს ბოლო არ უჩინდა. სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს: გიორგი ახოზაძეს, რომან ბატიშვილს, დიმიტრი ბურდიაშვილს, გივი თარგამაძეს, ლევან თორაძეს, გიორგი იმერლიშვილს, მიხეილ იმერლიშვილს, სოლომონ იმერლიშვილს, მიხეილ კაციტაძეს, ზურაბ მისაბიშვილს, მიხეილ საბაშვილს, გიორგი ქადაგიძეს, შალვა შავიანიძეს, თურმან შანშიაშვილს, გიორგი ძიგვაშვილს, კონსტანტინე ხიმშიაშვილს, კონსტანტინე ჯოგლიძეს.

გადასახლება მიესაჯათ 10-10 წლით: ივანე ლაპიაშვილს, აბო ფარესიშვილს; 7-7 წლით: გიორგი არსენიძეს, კიტა ბუაჩიძეს, სიმონ გერგიშვილს, იოსებ იმერლიშვილს, ისაკ იმერლიშვილს, გიორგი კალანდაძეს, დ. კოკილაშვილს, ავქსენტი უთურგაიძეს, ვახტანგ შიხაშვილს, გიორგი ციბალაშვილს; 5 წლით გადასახლება მიესაჯა თინათინ გონიაშვილს.

სამ ეჭვმიტანილს, საიდუმლო თათბირებში მონაწილეობა ვერ დაგვიმტკიცეს და თინათინ თუშმალიშვილი, მიხეილ არეშიძე, ლეო კვაჭაძე გაგვამართლეს.

სუნთქვა შეგვეკრა, სულგანაბულნი, გულისყურით ვუსმენდით მოსამართლეს. ის კი აუჩქარებლად, გამოკვეთილად, ცივი და მაღალი ხმით აგრძელებდა განაჩენის კითხვასა და გვარების ჩამოთვლას.

სრულმა მდუმარებამ დაისადგურა... მძიმე სიჩუმეს არაფერი არღვევდა. სუნთქვის ხმაც კი არ ისმოდა. განაჩენი იმდენად მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო, რომ ჩვენ გამართლების სიხარული არ განგვიცდია. არავინ შერხეულა, არ ისმოდა არც კვნესა, არც ჩივილი, არც



სხედან (წინა რიგში): გიორგი ახოზაძე, თურმან შანშიაშვილი (მეორე რიგში): ნათელა კეჭელმაძე, ქეთევან ლორთქიფანიძე, მაყვალა ყიფშიძე, მარიკა ხუციშვილი, თინათინ თუშმალიშვილი დგანან: აბო ფარესიშვილი, მიხეილ კაციტაძე, დავით ლაშქარაძე, დავით ფანჩულიძე, გივი თარგამაძე, ამირან ბარნოვი

მუდარა და არც პროტესტი! განძრევის, თავის მიბრუნების, უკან მიხედვისაც კი გვეშინოდა, იმდენად ვიყავით დათრგუნულნი.

კარგა ხნის შემდეგ, საუკუნედ რომ გვეჩვენა, თურმან შანშიაშვილმა იკითხა: „კასაციის უფლება თუ გვაქვს?“ მას მოკლედ უპასუხეს: „დიახ!“ და ჩამოურიგეს ქალაქის მომცრო ფურცლები და ფანქრები. ეს იყო ცინიზმი! ყველა გრძნობდა, რომ განაჩენს არაფერი შეცვლიდა.

კოტე ხიმშიაშვილის სურვილი იყო: „როცა ნუნუს ნახავთ, არ უთხრათ, რომ დახვრეტა მომისაჯესო“.

ერთგვარი დავალება ზურაბ მისაბიშვილმაც მოგვცა, ვისთან მივსულიყავით და რა გვეთქვა. ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც მათგან გავიგონეთ. სწრაფი ნაბიჯით შემოვიდნენ ბადრაგები, ალყა შემოგვარტყეს, ეგონათ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა. ყველანი გახევბულნი ვიდექით და ვდუმდით. ბადრაგები განვრთნილი მოძრაობით ჩაგვებლაუქნენ, განძრევის საშუალებაც კი მოგვისპეს.

გამოძიებისა და სასამართლო პროცესის ამსახველი დოკუმენტები 7 ტომს შეადგენდა. 10 თუ 15 წლის წინათ გავრცელდა ხმები, რომ დასახლებული ტომები „შინსახკომის“ (შემდგომ სუკი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, ეწოდა) საცავიდან გაუჩინარდა. გვინდა მოვუწოდოთ სათანადო ორგანოებს, რათა მოძიებულ, სათანადოდ მოვლილ და შენახულ იქნეს ეს საბუთები, როგორც საქართველოს ტრაგიკული ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

დავძენთ, რომ გამოძიების პროცესში ბრალდება აჯანყების მუხლით დაამძიმეს და ამ ბრალდებით წარგვადგინეს სამხედრო ტრიბუნალის წინაშე. ბრალდების დამძიმებაში არტაშეს მარქაროვთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა წარმოსადეგ, გარეგნულად ლამაზ, მაგრამ სულწაყმედელ ახალგაზრდა კაცს, ირაკლი ნიბლაძეს.

ფაქტია, რომ განსასჯელთა საქმიანობა მათ საიდუმლო საუბრებს არ გასცილებია. ფაქტია ისიც, რომ განსასჯელთა ნაწილი საქართველოში არც იმყოფებოდა. მაგალითად, გიორგი იმერლიშვილი, კოტე ჯოგლიძე, კოტე ხიმშიაშვილი, და ზოგიერთი სხვაც, იმხანად მოქმედ არმიაში იყვნენ, ანუ ფრონტზე იბრძოდნენ. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, ერთ-ერთმა ბრალდებულმა, სახელდობრ ვახტანგ შიხაშვილმა ტრიბუნალის სხდომაზე ხმა მალლა რომ განაცხადა: „მეცნიერებისა და მწერლების მიერ მოხდენილი აჯანყება ისტორიას არ ახსოვსო“.

სასჯელმისჯილები ფიქრობდნენ და ჩვენც გვეგონა, რომ რაკი გაგვამართლეს, მეორე დღესვე გამოგვიშვებდნენ ციხიდან. მაგრამ ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა. მხოლოდ სამი თვის შემდეგ გაგვათავისუფლეს.

გვიან შევიტყვეთ ის, რომ სიკვდილმისჯილთა განაჩენი აღასრულეს 17 ოქტომბერს.

გადასახლებულთაგან ზოგიერთი გზაშივე დაიღუპა, მაგალითად, აბო ფარესიშვილი.

გადასახლებამისჯილთაგან სამშობლოში ჯანმრთელობაშერყეული დაბრუნდნენ – თინათინ გონიაშვილი, კიტა ბუაჩიძე, ვახტანგ შიხაშვილი, ავქსენტი უთურგაიძე, გიორგი კალანდაძე.

სხვათა ბედი ჩვენთვის, სამწუხაროდ, უცნობია. ასე უღმობლად შეწყდა გულმხურვალე ჭაბუკ მამულიშვილთა სიცოცხლე, შეწყდა მათი უნარის, ნიჭის გაფურჩქვნის ხანაში.

1942 წლის ამბებთან დაკავშირებით არ უნდა იქნეს დავინწყებული საბჭოთა ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ჯგუფი „სამანელების“ სახელით. ისინი გასამართლების გარეშე ჩახოცეს მთა-თუშეთში. ამ ბედკრულ პატრიოტთა განადგურების დამამტკიცებელ ფაქტად თელავში საგანგებოდ ჩამოუტანიათ მათი მოჭრილი თავები და ქუჩებში ჩამოუტარებიათ.

„სამანელების“ ახალგაზრდათა ნაწილიც უნივერსიტეტელი იყო, ერთ-ერთი – ასპირანტი. აი, ზოგიერთი მათგანის გვარ-სახელიც: არჩილ ცისკარიშვილი (ნიჭიერი პოეტი), ფანცალა იმედაძე, ადამ ბობლიაშვილი (ნიჭიერი მწერალი), დევანოზ თავბერიძე, გიორგი ქადაგიძე, ილიკო ცისკარიშვილი, გიგო ქააძე, ირაკლი გარსევანიძე, ირაკლი არინდაული.

„1943 წლის ოქტომბერში არჩილ კიტოშვილი, ილიკო ცისკარიშვილი, გიგო ქააძე, გიორგი იდიძე, ირაკლი გარსევანიძე, ირაკლი არინდაული თბილისში საკინდან ლამის პირველ საათზე გამოიყვანეს. თუშები სიმღერით გავიდნენ, კარებთანვე წინააღმდეგობა სცადეს და იქვე ჩაიხოცნენ“ (ლიზა ვახვახიშვილი. გაზეთი „მამული“).

XX საუკუნის 20-იან წლებში ვაკის გარეუბანი და საბურთალო პატრიოტთა დახვრეტის ადგილები იყო. არალეგალურად გავრცელებული იყო ლექსი, რომლის ერთი სტროფი ჩვენს ხსოვნას შემორჩა: „საბურთალოზე ვარსკვლავი ბრწყინავს, ქართველ გმირებს საფლავში სძინავთ“. თუმცაღა სად იყო საფლავი?! თხრილში ყველას ერთად ყრიდნენ. ამ შავბნელი წარსულის მქონე ადგილების შემდგომ მჭიდროდ დასახლების გამო, პატრიოტთა დახვრეტის ადგილმა რუსთავისკენ მიმავალი გზის რომელიღაც მონაკვეთში გადაინაცვლა. ახლა იქ გაგრძელდა პატრიოტთა ხოცვა-ჟლეტა.

დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს შვილთა მორალური მოვალეობაა დადგინდეს ეს ადგილები და იქ სათანადო ძეგლიც დაიდგას.

1924 წლის აჯანყებისა და 1937 წლის რეპრესიების შემდეგ, „1942 წლის შეთქმულთა“ პროცესი ყველაზე რიცხვმრავალი იყო. ეს იყო ქართველ პატრიოტთა ეროვნული ღირსების გამოვლენის, სამშობლოსთვის თავგანწირვის იშვიათი მაგალითი, საბჭოთა უძლეველ იმპერიასთან დაპირისპირების ფაქტი. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორალური მოვალეობაა, დავინწყებას არ მისცეს სამშობლოს სიყვარულისათვის დასჯილ პროფესორ-მასწავლებელთა და მათ მიერ აღზრდილ პატრიოტ სტუდენტთა სახელები.

ჩვენი დიდი სურვილია, და ვიმედოვნებთ, რომ ამაში თანამოაზრენიც არ დაგვაკლდება, უნივერსიტეტის ბაღში აღიმართოს ამ ღირსეულ მამულიშვილთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი. მათ ეს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიმსახურეს. ახალი თაობისათვის კი მემორიალზე ამოტიფრული გვარ-სახელები სამშობლოს სიყვარულის სანიმუშო მაგალითი იქნება.

როსტომ ჩხეიძე

ეკლიანი და პატარა გზა

მიზომ მაჩაბელი

ეგ არის რა – ერთი და ერთი აგიბუბენ და ყველა ზნის დედადაც ლამის შენ დაგსვან. თავი გეამაყება, გგონია, რომ ყველა მორიდებითა და პატივისცემით შემოგცქერის და უეცრად აღმოაჩენ, რომ შენს სახელს წაღმა-უკულმა ატრიალებენ და უნიათობისა და სიმჩატის სიმბოლოდ გამოყავხარ. იქნებ უარესადაც... ჩემს თავზე გამომიცდია და დამეჯერება. შეიქმნება საზოგადოებრივი აზრი, ფესვს გაიდგამს და მერე ძნელია მისი შემობრუნება.

ილიასაც ცოტა არ დაუკლია ჩემთვის. ვანოს რომ არ მივმხრობოდი, ასე როგორ გამიმეტებდა, მაგრამ ახლა ისე წამომკრავდა ხელს და დამაბორილებდა, სად წავსულიყავ, აღარ ვიცოდი. შეიფოფრებოდა ტრიბუნაზე და აბდღვინდებოდა. მის შემყურეს აუცილებლად გაგაციებდა, ახლა ამის ყბაში არ მოვყვეო. ვინ გაუსხლტებოდა იმის თვალთა მზერას, მე წამდვილად ვერა, და ესეც რა ჩემი ბედი იყო.

თვითონ პოეტობაზე სდებს თავს და შენ პოეტურადაც ვერაფერი გითქვამს მაგისი შიშით. იმ კრებაზე ილიას სულ არ შეეხებოვარ, დიდხანს და გატაცებით ვილაპარაკე და მეტი შთამბეჭდაობისა და სურათოვნებისათვის ის ეუბოდი ამოვაკერე სიტყვაში, თუ როგორ მივდიოდი ერთხელ თიანეთს საშინელ ბურუსში, გზა დამებნა და აღარ ვიცოდი რა წყალს მივცემოდი, მაგრამ, საბედნიეროდ, შორიდან ძაღლის ყეფა შემომესმა, ალღოთი ავყვევი და გზაც გამოჩნდა.

წინასწარ არ მქონია მოფიქრებული, ანაზდად მომადგა ენაზე და მე თვითონ დავრჩი ალტაცებული ჩემი ოქროპირობით.

გამოვიდა ილია და აბურთავებს ამ ჩემს სახელს.

წამომეშველნენ ჩვენიანები, ის ბურთი მისთვისე რომ ჩაეჩარათ პირში და აქეთ-იქიდან მიაძახეს: ბატონო ილია, თქვენი ცოდნითა და პრესტიჟით სარგებლობთ და საზოგადოებაზე გავლენას ახდენთ, თორემ მიხეილ მაჩაბელი მართალიაო.

ყველაზე ხაფად არტილერიის გენერალმა მიაყვირა და ილიამაც უპირველესად ის ამოილო მიზანში:

– ლოლიკისა და ცოდნის წინააღმდეგ ვერავითარ არტილერიას არაფერი შეუძლიან, და რაც შეეხება ალღოს, მე ხომ მიზომ მაჩაბელი არა ვარ, ბურუსში ავყვე ძაღლის ყეფას.

მეც წავხდი და გენერალიც, წავლუნეთ თავი და სიცილ-ხითხითი რომ არა და არ ჩაცხრა, მალულად მიმოვიხედე. მარტო ილიას მომხრენი კი არა, ჩვენიანები რომ მეგონა, ისინიც ძალიან გახალისებულიყვნენ და ვერა და ვერ ეჯერებინათ გული.

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №20, 21, 22

მაშინ კი გავამტყუნე ისინი და ვანოსაც შევჩივლე, არა ყოფილან სანდონი, შენ რომ ერთგულებას გეფიცებიან, ჩუმად ილიას უთანაგრძნობენ, რაკილა ჩემს დაცივნას აპყვენენ, ამით მხოლოდ მე კი არა, შენც აბურხად გიგდებდნენ-მეთქი.

აენთო ვანო: მაინც ვისა გულისხმობო.

სად მოგიტვალო, საითაც გავიხედე, სულ ჩვენების მომღიმარი სახეები მეცა თვალში-მეთქი.

არტისტიზმი არ აკლია შენს გამოსვლებსო, – არაერთხელ უთქვამთ და მეც ვცდილობ თეატრალური მხარე სულ უფრო გავძლიერო, მაგრამ მაინც ვერ მოვიგე დარბაზის გული. ერთი და ორი კაცი იქნებ კიდევ მომჩერებია მონონებით, მაგრამ საერთო განწყობილება ჩემკენ ვერ გადმოვხარე.

მაშინაც მწარე-მწარე ისრები დავუშინე ილიას. ზის, არც ტოკდება, თითქოს ჩემი ლაპარაკი მას სულ არ ეხებოდეს, ხელში ფანქარს ათამაშებს. შევედი ეშხში და ჩემს თავსაც გადავაჭარბე. სცენაზეც ვიგრძენი და ტაშმა კიდევ უფრო დამარწმუნა, მარჯვე სიტყვა ავანყე-მეთქი. მოვფრინავ ჩემი სკამისაკენ გახარებული.

ილია ითხოვს სიტყვას და მიდის ტრიბუნასთან, მძიმედ, ნელი ნაბიჯით, ხელში ისევ ფანქარი უჭირავს. გასუსულია დარბაზი, ყველა სმენად გადაქცეულა.

– ბატონებო, – ინყებს, და რომ ვფიქრობ, ნეტა რას ჩავაღვლებს, რომელ ფრაზას დაიხვევს ხელზე-მეთქი, ერთბაშად არ გადაამინურა წყალი?

– ჩვენმა მიზომ მაჩაბელმა იმდენი აჭენა თავკვე ცხენი, სანამ საკუდარი შემოანყებოდა და შემოანყდა კიდევც!..

და აზრილდა კიდევ დარბაზი. გავხედ-გამოვხედე იმ ჩვენს მომხრეებსაც და გააქეთ ერთი სიცილ-ხარხარი, თვალთ მოვძებნე ვანო და... ისიც არ იციანის? შემამჩნია, რომ ვუყურებდი და უხერხულად კი აინურა მხრები, მაგრამ სიცილი არ შეუნყვეტია. და მეც რომ ტურები ამეგრინა? მე რაღა მაცინებდა? აბა, ეგ მკითხეთ და...

აცალა ილიამ დარბაზს დაწყნარება და ორიოდ სიტყვით მოსჭრა სათქმელი.

თავი რაღად შეენუხებინა.

ხომ ვერასოდეს ვისვენებდი ადგილზე, ილია როცა ლაპარაკობდა. ხან რეპლიკებსაც ვტყორცნიდი, უფრო ხშირად კი ახლო-მახლო გადავძახოდი ხალხს: ვანო გამოვა და აჩვენებს სეირს-მეთქი. რა ვქნა, მეამაყება, ვანოსთან ასე ახლოს რომ ვარ და მისი ყოველი სიტყვა და მგზნებარება კი მალამოდ მედება გულზე.

მაგრამ იმ დღეს ისე მოხდა, რომ ილიას გამოსვლამ მთელი დარბაზი აიყოლია და, ვინ დაგიდევდა მომხრესა თუ მონინალმდეგეს, ყველა ერთხმად უკრავდა ტაშს.

ვალღარებ, რაღაც სასწაულებრივი სიტყვა წარმოთქვა, დიდ ორატორებზე რომ გვსმენია, იმათ დაედარა და იმ წამს ისეთი განცდა გავგრძინა, ყველასაც გადააჭარბაო.

უკრავს მთელი დარბაზი ტაშს და მეც ხელები გადა-
ვიტყავე.

როდის-როდის ჩავცხრით.

ილიამ ისევ ითხოვა სიტყვა.

ნეტა რილას თქმას აპირებსო? – გაიტრუნა დარბაზი.

იმან კი:

– ბატონებო, ტაშისათვის გმადლობთ, მაგრამ სისუ-
ლელე ხომ არა წამომცდა რა, მიშო მაჩაბელიც კი ტაშს
რომ მიკრავს?

და სასოებით დანყნარებული დარბაზი ისევ აზრიალ-
და, ეგ არის, მე აღარ ვიყავ ტაშისცემის გუნებაზე.

ეს ვითომდა ჩვენი მომხრეები რალამ გადარია. ვანოც
რამდენჯერ უნდა გავაფრთხილო.

ბედია ყველაფერი – რამდენი კაცი წელამდე ვერ შე-
მომწვდება ორატორობასა თუ სიტყვა-პასუხში, მაგრამ
ეგრე ვაგლახად იმათ სახელებს არავინ ატრიალებს... არა
რა – ერთი თუ აგიბუეს, მორჩა...

კიტა აბაშიძე

ისე გამინაწყენდა ყველა, როგორ თუ „ერთი პილატე-
თაგანი“ მოაწერე წიგნაკსო.

თვითონ წიგნაკზე ძვირი არავის დასცდენია, ის კი
არა, სულ სხვა თვალთ შემომხედეს: ეს რა გაბედული ყო-
ფილხარ და აქამდე რატომ არ ვიცოდით შენი თავზეხელა-
ლებულობა, ასე თამამად როგორ დაადე ხელი სოციალ-
დემოკრატიზმსო.

გაბედულება ყველას არ ექაშნიკა და მოჰყვენ მტკი-
ცებას: აბა, ცოტა ადრე გამოექვეყნებინა, ახლა სოციალ-
ფედერალისტების მეფობის ხანა უფროა ჩვენს საზოგა-
დოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე სოციალ-დემოკრატიზმისაო.

თითქოს ამ შემთხვევაში გავლენა წყვეტდეს და არა
მრწამსი და იდეალი – ფედერალისტებისათვის საქართვე-
ლოს ტერიტორიული ავტონომიის გამოგლეჯვა რუსეთის
ხელთაგან, ჟორდანიელებისა და მახარაძელთათვის კი –
ყველაფრის კადრება ძალაუფლების ხელთ ჩასაგდებად.

დისკუსიას გაგიმართავენ თუ რა – მიზანში თუ ამოგი-
ლეს, ჯერ სამოქალაქო სიკვდილს გაგიშადადებენ ჭორები-
სა და ცილისწამებათა ღვართაფით, და მერე – თუ ისე
ვერ დაგცეს, როგორც ეიმედებოდათ – ტერორისტებს გა-
დაბარებენ შენს თავს.

ცოტა ადრე ნეტა როგორ უნდა გამოექვეყნებინა.
ამათ წერა, ეტყობა, იოლი საქმე ჰგონიათ, ერთი იმდენი,
რაიმე ჩაითქვა და ორ-სამ დღეში კიდეც გააშანშალე.
წიგნაკია თუ რა არის, წლები შევწირე მის მომზადებას,
რათა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონი ხელშესახე-
ბად შემომენახა, ის განწყობილებანი არ დაკარგულიყო,
რაც გაზეთებსა და ჟურნალებშიც იგრძნობა ასე თუ ისე,
მაგრამ უფრო კერძო მიმონერა და მემუარები გადაარჩე-
ნენ ხოლმე. ოღონდ ეს ყოველივე შესაგროვებელი და და-
სახარისხებელი იქნებოდა და, რაც დრო გავიდოდა, მი-
თუფრო გაუძნელდებოდათ ახალ თაობებს ჩვენს რეალო-
ბაში ვარკვევა.

გზამკვლევი აუცილებლად უნდა დაეტოვებინა ჩვენს
თაობას და მეგზურობა მე ავიღე ჩემს თავზე.

დაე ყველა ნურც ჩამომართმევს გაბედულებად.

მიკერძობაც დამწამონ.

მე ხომ ვიცი, რომ პირნათელი ვარ ღვთისა და ერის წინა-
შე და შეუძლებელია მიუდგომელმა მკითხველმა ჩემი ამ პო-
ლიტიკური ნარკვევის სიმართლე და სიზუსტე არ იწამოს.

ერთი პილატეთაგანი მაინც რატომ მოაწერეო.

ჩვენ ყველამ ხელი დავიბანეთ, ჯვარცმა რომ მოუწოდო-
მეს-მეთქი.

შენს თავზე თქვი, თუ მაინცდამაინც გინდა, გნებავეს
პილატე დაირქვი და გნებავეს სხვა სახელი ეძიე, ჩვენ ჩა-
მოგვეხსენი, იქნებ არ მიგაჩნია თავი დამნაშავეებად მის
სიკვდილში და ძალით რატომ გვახვევ თავზეო, – ამიხირ-
დნენ და რა ამიხირდნენ.

მიგაჩნიათ თუ არ მიგაჩნიათ, მწარე სიმართლე ესაა,
რომ პილატეებად გადავიქვეცი მთელი ქვეყანა და სჯობს
დროულად მოვინანიოთ, ვიდრე ღვთის სამსჯავროზე
ნარკვევებით-მეთქი.

შენ მოინანიე, თუ მოსანანიებელი გაქვსო, – გგონიათ
ჩაუფიქრდნენ ჩემს ნათქვამს?

ვინანიებ კიდეც – ჩემს ბრალსაც და მთელი ქვეყნის
ცოდვასაც-მეთქი.

ეს კი აღარ გვსმენიაო – ირონიაც გამოურიეს გალიზი-
ანებულ კილოს – კაცი სხვათა ნაცვლადაც ინანიებდესო.
არა სმენიათ და... ახლა გაიგონონ.

სიბერემდე სიქაჩლეო.

ის ხომ კარგი იყო, ყველა რომ გავტვრინდით, დავ-
ბრმავდით და დავყრუვდით და ავაზაკებს შევატოვეთ
ჩვენთვის ნაჭირნახულები და თავგადაღებული კაცი.

ახლა აღსარებაც აღარ გვინდა, არა?!

თავი რომ მოვიტყუოთ, უფალსაც ხომ ვერ მოვატყუ-
ებთ.

სიყმანვილისას ხშირად მიტრიალებდა გონებაში გეთ-
სიმანიის ბალისა და გოლგოთის სურათები, პილატეს
მსჯავრიც მაფორიაქებდა და გულს ვანყდებოდი, იმჟა-
მად რომ არ დავიბადე პალესტინაში და იესოს მოწაფეთა
შორის მეც არ ვირიცხებოდი.

ექვციც არ მეპარებოდა, მოძღვარს დავიხსნიდი, გადა-
ვეფარებოდი და მის მაგივრად ჩემს თავს მივცემდი სა-
ჯიჯგნად რომაელ ჯარისკაცებსა თუ უმადურ ბრბოს, მე
გავეგლეჯინებოდი ნაწილ-ნაწილ და მაცხოვარს კი არ
დავანებებდი ჯვარცმისათვის.

ნეტა იქ ყყოფილიყავი-მეთქი, ეს მქონდა ბალღობისას
საწუნუნო და სავაგლახო და გული მიკვდებოდა, ასე რომ
ავცდი ჩემს ნამდვილ საცხოვრისსა და დრო-ჟამს.

პეტრეს რომ დაუშალა იესომ მახვილის ამოღება და
რომაელი ჯარისკაცების წინააღმდეგობა?

ეს კი ასე იყო, მაგრამ მე არ დამიშლიდა, ოცნება ასე ჩა-
მაგონებდა, წარმოსახვა ამას ჩამჩინებდა, რწმენა საამი-
სოდ მაგულიანებდა და მეზურლებოდა გული და გონება.

ახლა ის ფიქრი ამკვიატებია, კიდეც კარგი, მაშინ არ
დავიბადე-მეთქი.

რისი გადამრჩენი ვყოფილვარ, ვის მშველელად გა-
მოვდგებოდი!..

აგერ თვალწინ არა მყავდა ღვთისაგან მოვლენილი კა-
ცი? გეთსიმანიის ბალით აქვე არ ამოზრდილიყო და ჯვარ-
ცმაც ჩემს თვალწინ არ აღსრულდა?

რა ვიღონე დადუმებისა და გულისტკივილის გარდა? იქაც ეგ მოხდებოდა, მართლა მაცხოვრის გვერდით რომ ამომეყო თავი.

ბრბო ვერ ამიყოლებდა, ცხადია, მათ ღრიალს არ ავყვებოდი – ბარაბას სიცოცხლე გვირჩევენია ამ ცრუნინას-წარმეტყველისასო, მაგრამ გატვრენით გავტვრინდებოდი და პილატეზე უფრო პილატე შევიქნებოდი.

ვიქნებოდი უფლის ჯვარცმის შემყურე და მხოლოდ მერე შემოვიკრავდი თავში ხელს, ეს რა დაგვემართა-მეთქი.

ოცნებისას ყველაფერი რა ადვილია...

წიგნაკში ეს სურათები აღვადგინე – გეთსიმანიის ბალიდან ჯვარცმამდე, ის გავეშებული ღრიალი შემოვიწახე, ბარაბას გზა რომ არჩიეს მაცხოვრისას, და ის დუმილიც, შემზარავი, დამთრგუნველი, იქნებ იმ გავეშებულ ღრიალზე უფრო უარესი დუმილი...

ეს დუმილია, სულს რომ მიხუთავს და საშველი ვერა გამიწყია რა.

ვინ იცის, კიდეც რამდენ ჩემისთანას უხუთავს სულს, რამდენს მერე შეუხუთავს, როდესაც გაისიგრძეგანებენ თავიანთ ცოდვა-ბრალს.

და ოდესმე მონანიების გუნებაზე დამდგარ ქვეყანას მხოლოდ წინ ვუსწარ ჩემი აღსარებით და ის გულისთქმა გამოვხატე საზოგადოებისა, რომლისკენაც ჯერ მიდის ჩვენი ხალხი, მაგრამ მკაფიოდ კი ვერ შეუგნია.

პილატესაც შევებმეოდი-მეთქი, როგორ მჯეროდა.

მასთან ლამა კი არა, მე თვითონ გამოვხვეულვარ იმის ტყავში და ლამის ხორციანად ავიდღლიზო კანი, გამოვუსხლტე იმ საზარელ წლებს და კვლავ ყმანვილურ ოცნებას შევავარო თავი.

მაინც რა მკაცრი ყოფილა რეალობა, ის თავშესაფარი უნუგემოდ დაუნგრევია და საალსარებოშიც ლამის აღარ მაყენებს.

ეს მაინც რა საშინელი სინდისის ქენჯნა ყოფილა – შენს მაგივრადაც და სხვათა მაგივრადაც.

როგორ გინდა ყველას განვდე, მითუმეტეს, ცილისმნამებლობა თუ დაგაბრალეს ანდა სულაც „გიჟიას“ ძახილს მოყვენენ, ეს რა მოლანდებები დაწყებიაო.

როცა გინდა, დაიბადე, შენს ჩარჩოებს ვერ დალენავ, შენს ბედისწერას ვერ გადალაზავ...

წინმოპოვებული რეაქცია

თქვენი რა გამიკვირდეს – მე თვითონაც ველარ დამიჯერებია.

ილია და... მაჭანკლობა?

მაგრამ ასე კი მოხდა. და როგორც ყველაფერი, ეს საქმეც რიგზედ გაანყო.

იმას ველარ გეტყვით, ან მანამდე, ან მას შემდეგ სხვაგანაც თუ გამოუჩენია ეს უნარი, მაგრამ ჩემი ბედი კი გადანყვიტა.

მამაჩემთან მეგობრობდა და ჩვენთანაც ხშირად დაიარებოდა და მამაჩემიც ხშირად სტუმრობდა. განსაკუთრებით მაშინ, ილიას მოთხრობების თარგმნას რომ მოჰკიდა ხელი რუსულად და „ვეფხისტყაოსნისა“.

მოთხრობებში ხომ აზუსტებინებდა არაერთ სიტყვასა თუ გამოთქმას და არანაკლებად რუსთველის პოემაში. „ვეფხისტყაოსანს“ ძალიან პატრონობდა ილია, ყველაზე სანდო ტექსტის დასაზუსტებლადც მონდომებით იღვწოდა და აუგის თქმას ხომ არავინ პატიობდა. რა დღე აყარა ჯერ მარტო ამისათვის ივანე ჯავახიშვილი!.. ახლა ნიკო მარს!.. ის კი არა, აკაკი წერეთელსაც გაეპასუხა, როდესაც ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, პოემის პერსონაჟებს შესაფერისი განზოგადების ნაცვლად ეთნოგრაფიულ საბურველში ჰხვევსო.

მაშინ ეს ძალიან გახმაურდა, რაკილა ილიას ძვირს ვერავინ ათქმევინებდა აკაკიზე. ის უფრო კენწლავდა ხოლმე და დაქროდა ხალხში მისი ოხუნჯობანი თუ მწარე გადაკვრანი, მაგრამ ილიას სააუგოდ სიტყვა ვერ ამოაძვრეს პირიდან.

– აბა, გავუსინჯოთ კბილიო, – როგორც საერთოდ ჰყვარებია თქმა, მამაჩემსაც ასე ეგებებოდა და გაშლიდნენ მაგიდაზე რუსული „ვეფხისტყაოსნის“ ახალ ფურცლებს.

ყველაფერს მიზერში ჩასდევსო, – მამაჩემი ამბობდა და თან უხაროდა ასეთი ჩაძიება, ქანცის გაცლამდე კირკიტი, თან ცოტა არ იყოს უკადრისობდა, ბევრ ადგილს რომ ჩაუხზავდა ხოლმე ილია: არ ვარგაო. – აბა, როგორ სჯობსო? – მამაჩემი ჰკითხავდა თუ არა, ის ირონით გამოხედავდა: ყველაფერი თუ მე გირჩიე, მე ვყოფილვარ მთარგმნელი და ეგაა, ყურს რაც მჭრის, არ გიმაღავ და დანარჩენი შენ იცი, როგორ გამოასწორებო.

მის ხელში გავიზარდე და ჩემს ბედზე ჩემი მშობლების ვით რომ ეზრუნა ვითომ რა მოხდა?

თითქოს არა ყოფილა ამ ბუნების კაცი, თუმც მამაჩემის სახე კი ჩინებულად გამოხატა „კაცია-ადამიანი“ და მერე პიესადაც გადააკეთა ეს ეპიზოდი. ასიკო ცაგარელმა გადაასწრო მერე ამ ტიპის გამოხატვაში, „ხანუმათი“ დიდი გამოცოცხლება შეიტანა თეატრშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც და, თუ ვინმე შეეგება მონონებით ამ ახალი ხასიათის აღმოჩენას ჩვენი ლიტერატურისათვის, მართლაც შესანიშნავ მხატვრულ მიგნებას, ერთი უპირველესთაგანი ილია.

მაგრამ თვითონ და... მაჭანკლობა?

ხომ შვილივით ვუყვარდი, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჯერ ექვთიმეზე უფრო იზრუნა. დიდი იმედით შეხედა მის გამოჩენას ქართულ მეცნიერებაში, მალევეც დაიახლოვა და მისი დაოჯახებაც გულში ჩაითქვა: ვინ იცის, ვის გადაჰყროდა და მეცნიერება სულაც გვერდზე მიჩრჩნოდა. მიავლო, მოავლო გონებაში თვალი და... მე მომაბჯინა. მომაბჯინა და ხელიც მოჰკიდა ამ განზრახვას. იმისი ხელის მოკიდება კი უეჭველ აღსრულებას გულისხმობდა.

ექვთიმეს თურმე ისედაც გულში ჩავვარდნოდი და მაინცდამაინც ილიას პერსონაჟის პირითაც უფიქრია ჩემზე: სად მივწვდები ცაში ვარსკვლავსაო. უფიქრია და... ისე გაუთავისებია გიორგის პიროვნება, ისე შეზრდა მის განცდებს, ძალიან ადარდიანებდა ფინალი: რატომ გაიმეტა ილიამ თავისი გმირი ურმის ჭალზე დასაგებადო.

ილიას „ოთარაანთ ქვრივი“ პირველად რომ წაუკითხავს დავით სარაჯიშვილის ბინაზე, სადაც დიდძალ ხალხს მოეყარა თავი და ექვთიმეც მიეწვიათ, დიდად მოუწონეს

და მოთხოვნას სულ ობოლი მარგალიტი უძახეს, მაგრამ შენიშვნად ეს მაინც მოახსენეს: რატომ დაღუპე გიორგი, რად გინდოდა ასეთი ფინალი, ურმის ჭალზე მაინც არ დაგენარცხებინაო.

ექვთიმეს იქ ამაზე ხმა არ გაუღია, მაგრამ მერე და მერე შემოენთო გულზე და თითქოს თავის ბედისწერას განჭვრეტდა ამ ტრაგიკულ დასასრულში.

ისევ ილიამ აარიდა სულიერ გვემასა და სასონარკვეთას და, რაც გულში ფარულად ჩაჭროდა, რეალობად უქცია.

ბევრმა გაიხარა ჩვენი შეუღლებით, მაგრამ ბევრსაც შეუფერებელი მოვეჩვენეთ, თითქოსდა უკეთესი ბედი მეკუთვნოდა და ილიას ნაბიჯი შეეშალა, თავისთავად კი ღირსეულ, მაგრამ ცხოვრებას მონყვეტილ კაცს რომ არგუნა ჩემი თავი: წვალებით გააღვივებს ნუთისოფელსო.

საკვედურად ასე პირდაპირ ვერაფერს ჰკადრებდნენ, მაგრამ ხუმრობაში გადაუტანდნენ და მოიარებით მაინც გაკენწლავდნენ ერთი ნადიმისას: ეს რა ქალი გაიმეტე ამ ინვალიდისათვის, მაინც რა გრჯიდაო.

რა მრჯიდა და საქართველოს მომავალიო, – ილიამ, სიცილით – პოლტორაცკების ამხელა მამულები ვილაც უცხოს რომ ჩავარდნოდა ხელთ, თავი სად გამოგვეყოფოდა, ახლა კი ჩვენ დავინარჩუნეთო.

და ღვინოს მწყურვალეობით დაენაფებოდა.

თედო ლაბაური

განდობილი არა ვყოფილვარ და არც ეტლი შემიჩერებია განზრახ. ძალით გინდათ ამომართვათ პირიდან დანაშაულის აღიარება, მაგრამ სხვების ცოდვა მე რატომ გავინანილო!..

წინამურს რომ გამოვცდით და საფარიდან პირველი გიგლა ბერბიჭაშვილი გადმოხტა და მომაცყვრა: შეჩერდიო, – იქნებ კიდევ შევჩერებულებო. სამხედრო ბეგარა ერთად გვექონდა მოხდილი, კარგად ვიცნობდი და შიშით რისი უნდა შემშინებოდა. აბა, რა ვიცოდი, რა განუზრახათ და თურმე სხვებიც უნდა გამოშლილიყვნენ იმ საფარიდან.

შეჩერება იმიტომ გადავიფიქრე, რომ თავადმა მიბრძანა, გარეკეო. ბრძანებას როგორ გადავიდოდი და აღარც ბერბიჭაშვილისათვის მიმიქცევია ყურადღება, მაგრამ ცხენები იყვნენ დალაღუნნი, გზაც ტალახიანი აღმოჩნდა და ბოროტგანმზრახველებმა წინიდან გადადგომა მოასწრეს.

მე რა შემეძლო შეიარაღებულ ხალხთან. იაკობმა სცადა შეწინააღმდეგება და კიდევ გააყოლეს იმისი სული თავადისას.

თავადს გიგლამ ესროლა. ბერბიჭაშვილმა, დიახ, მოძღვრიშვილიც იქ ერია, მაგრამ ამან რომ გაისროლა, თავადი კიდევ გადავარდა ფაეტონიდან გზაზე.

კნინას როგორ ურტყეს კონდახები ან ისიც გზაზე დაგდებული როგორ აღმოჩნდა, არ მახსოვს, ისე ამერია გონება მომხდარით, იმ ნუთებში კი არა, რამდენიმე დღეს ველარ გამოვფხიზლდი. შიგადაშიგ ახლაც მებინდება ქუა.

ტყუილა ცდილობენ, ბრალი მეც ამკიდონ.

მართალი კაცი ყველგან უშიშრად დადგება და ხელს ადვილად არავის მოაკიდებინებს. მეც ჩემი სიმართლის იმედი მაქვს, მაგრამ ჭორებს რომ გივრცელებენ, საშინელებაა. ცხოვრება ხომ გინდა იმ არე-მიდამოზე და ვილა გიგუებს, ცამდეც მართალი რომ იყო.

თუ რაიმეა ჩემი ბრალი, უთუოდ უნებური. იქნებ ბოროტგანმზრახველები საკმაოდ იმიტომაც იყვნენ, რომ საქვეყნოდ მილაპარაკნია, თავადისთანა გაბედული ორი კაციც არ მოიძებნება-მეთქი.

ის გერმანელი სტუმარი რომ დაყვება, ლუსტა თუ ლასტო, იმას აქვს ჩემთვის ნათქვამი: გამოგნა ილიამო, ერთ დაღმართზე, დიღმის დუქანთან, იცი ის დუქანიც და დაღმართიც, ცხენებმა გავკითაცეს, მეეტლე დაიბნა, შენი წინამორბედი, ილია კი კოფოზე შეხტა, იმას აღვირი გამოსტაცა და კაი წვალებით, მაგრამ ბოლოს-ბოლოს დააკა ცხენებით.

არ გამკვირვებია.

ბევრისაგან მსმენია, უშიშარიო, და სხვების ნათქვამი რად მინდა, განა მე თვითონაც არ გამომიცდია?.. იმას აღარ ვამბობ, ღამით მოგზაურობისას რჩევებსაც რომ მაძლევდა და ხან ხელსაც წამაშველებდა. სახიფათო გზაზე მოვყევით ერთი-ორჯერ და ცოტა რომ შევფიქრიანდი – შევფიქრიანდი, განა შევშინდი და დავფრთხი – თავადი თვითონ დაჯდა კოფოზე და ისეთი სიღინჯით ატარა ცხენები, გამოცდილ მეფაეტონებს შემურდებოდათ, თორემ მე თავს როდისა ვდებ, ესა ვარ და ისა-მეთქი.

თუ ამისთანები მითქვამს, ისევ თავადის საქებრად, მის სააუგოდ ენა ანკი როგორ მომიტრიალდებოდა. და თუ ჩემი წრფელი სიტყვა ასე გამოიყენეს და მზადება გაათქვეცეს, მეც ბოროტგანმზრახველად რატომ უნდა მოვიწათლო.

ის ლუსტა თუ ლასტო, მართო მე ხომ არ მომიყვებოდა იმ საშიშარ ამბავს, ილაპარაკებდა ხალხში და, ვინ იცის, მის ნათქვამსაც ჩაჭიდეს ხელი.

რა ახლა, ის გერმანელიც თავდამსხმელთა წამქეზებლად უნდა მიიჩნიოს სასამართლომ და ჩამოხრჩობა მიუსაჯოს?!

სამართალი ეს არის – ან ის ლუსტა თუ ლასტო, ბოროტგანმზრახველად აღიარონ, ან მეც დამაბრუნონ ჩემს ცოლ-შვილთან. არა კმარა, თავდამსხმელები იმათი ამონყვეტით რომ მემუქრებოდნენ?.. ახლა სასამართლო აპირებს იმათ დაობლებას?

დალლილი ცხენებისა და ატალახებული გზის გამოიწობით სულ რატომ უნდა დავისაჯო.

თანაც ვატყობ, როგორ მერევა ისევ გონება.

აბა, თქვენ გამოგეცადათ ამისთანა საზარლობა, იქნებ გზა-შარასაც მოსდებოდათ სამუდამოდ გამოლენჩებული.

ქვეთიმა თაყაიშვილი

გინდა თუ არა, ილია მაგას არ იტყოდა, მე წაგიძღვებითო. იქაც რომ არა ვყოფილიყავ და საკუთარი ყურით არ მომესმინა, მე ოდნავადაც არ დავეჭვებოდი, იტყოდა თუ არა. არაო, უფრო თავდაჭერილიაო.

განა ეს რა საბუთია. ვითარებას გააჩნია. როდესაც სხვა გზა აღარ რჩება, თავშეკავება თვითონვე იხვეს უკან და მღელვარე განცდებს ამოაფრქვევს.

იმ წუთას ილიას არსებაში სწორედ ეს მღელვარება აბობოქრებულებო, თავშეკავება შეემუსრა და ჩვენს ბჭობასა და ყოყმანს ამ ორად-ორი სიტყვით მოულო ბოლო:

– მე წაგიძღვებით.

იქაც კი გაუფართოვდათ თვალები, განა არა, მაგრამ სიტყვა ნათქვამი იყო, ილიას კაცური სიტყვა, და გეზიც და გეგმაც გარკვეული.

არ იტყოდაო.

დამიჯერეთ, მოცლილი კაცის გარდა არავინ გახდის საკამათოდ, რაკილა მის ამ განცხადებასა და მოწოდებას ბევრნი შევესწარიით და, არამცთუ მისი ეს სიტყვები არ დაგვაინწყდება არასოდეს, ილიას იმწამიერი სახეობაც არ ამოგვეშლება მეხსიერებიდან.

დიდი დემონსტრაციის გამართვაზე ვმსჯელობდით ავტოკეფალიის მოთხოვნით. სხვა გამოსავალი აღარ დაგვიტოვა მთავრობამ და ბაირაღებითა და პლაკატებით გამომშლა დავთქვით ქუჩაში, ყველგან ამ წარწერას რომ ეტრიალა: ადგიდ-გინეთ ავტოკეფალია.

დავთქვით და თან ჭოჭმანში ვართ, მიზეზებს ვებლაუჭებით, იქით და იქით რომ გადავდოთ დემონსტრაციის გამართვა; უმთავრეს დაბრკოლებად კი ის გვედობება, რომ წინამძღოლს ვერ ვხედავთ, ვინც ამ დიდ საპროტესტო აქციასაც მტკიცე ნებით წარმართავს და ახალ-ახალ დემონსტრაცია-გამოსვლებსაც მოადვენებს.

ილია კი ჩვენს შორისაა, თათბირებს ყოველთვის ესწრება, მაგრამ ნაკლებად გვგონია, რომ სამღვდელოების საქმეში ასე ძალიან ჩაერევა, წინამძღოლად გამოგვიჩინდეს. მეც ასე ვფიქრობ და სხვანიც, რომ მეფისნაცვალთან სტუმრობა ამ თემაზე და მისი დარწმუნების მცდელობა, დაყაბულებოდა არამართო სასულიერო პირთა, არამედ მთელი ერის მისწრაფებას, საქართველოს ეკლესიას დაბრუნებოდა დამოუკიდებლობა, ყველაზე დიდი მხარდაჭერა იყო მისგან.

უფრო მეტის აღებას საკუთარ თავზე ილია ალბათ აღარ მოინდომებდა. და გაკვირვებას ერთბაშად შეერია ალტაცებაც, როდესაც იგი ძიძიმედ წამოდგა და გარეგნული სიმშვიდით გამოგვიცხადა: მე წაგიძღვებითო.

მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვი თუ დათანხმდებოდა საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობას, ოცნება და მიზანი უფრო რეალურ საძირკველს დაეყრდნობოდა. მასთან კი თუ ვინმეს მიესვლებოდა ჩვენგან, უპირველესად ილიას. მთავრობა ძალიან უწევდა ანგარიშს მის განსაკუთრებულ პოპულარობას და ადვილად ვერ ეუბნებოდა უარს, როდესაც საამისო საჭიროება წამოიჭრებოდა. დახლართვით ძალიანაც უხლართავდნენ გზებს, მაგრამ სხვაზე მეტს მაინც

ის მიაღწევდა – მანამდეც ასე ყოფილა და მერეც ასეც იქნებოდა.

ამ მოთხოვნით მთელი მოძრაობა გაიშალა ქართველ სულიერ მამებს შორის და მითუფრო გაძლიერდა და გაცხოველდა, რაც რუსმა სლავიანოფილებმაც თავი გამოიღეს საამისოდ. იმათ თავიანთი მიზანი ჰქონდათ – ვერ ეგუებოდნენ სინოდის არსებობას: ძველად რუსეთში პატრიარქის მმართველობა იყო. ის ბევრად უკეთესად ესახებოდათ და, პატრიარქობის აღდგენა რომ მოინდომეს რუსეთში, თავიანთთვის სახეიროდ სცნეს ქართველ სულიერ მამათა სწრაფვა პატრიარქობის აღსადგენად ჩვენს მიწა-წყალზე.

დაე ყოფილიყო საპატრიარქო რუსეთშიც და საქართველოშიც.

ეს გახდა რუს სლავიანოფილთა მოღვაწეობის იდეური საძირკველი და, რაკილა მეკავშირეებად დაგვიგულეს, ჩვენს მხარში ამოდგომასაც ამიტომ დაემუხრნენ.

საკმაოდ გავლენიანი პირნი ჩაერივნენ ამ მოძრაობაში და, საკუთარი თვალთ რომ არ წამეკითხოს, ზეპირ ნათქვამს ალბათ ვერც მე ვირწმუნებდი, ისეთი თავგამოდებით ამტკიცებდნენ და იმეორებდნენ: საქართველო უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოა, მან ეს რჯული ჯერ კიდევ მაშინ მიიღო, როდესაც ჩვენი სახელმწიფო არც არსებობდა და რუსები არც ვიყავით ქრისტიანები. მათი ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც საქართველოში პატრიარქად უნდა იყოს აღსაყდრებული, ჩვენს მთავრობას სამშობლოდან გამოდევნილი ჰყავს და ემიგრანტობაში იტანჯებაო.

შეგეხარებოდა, ასეთ აზრებს რომ ამოიკითხავდი, ჩვენს გულისთქმაზე მობმულს, ასეთი სიცხადითა და გზნებით გამოკვეთილს.

ბევრი ჩვენგანი ალტაცებით შეეგება ამ თანადგომას, მაგრამ ბევრმაც ასე ადვილად ვერ ირწმუნა მათი გულ-



მხატვარი ვახტანგ მეგრელიშვილი

წრფელობა – ახლა ვჭირდებით და თავს გვიქონავენ, ვითომდა ჩვენი სანუხარით აღარ სძინავთ და კირონის ტანჯვაც საკუთარ ტანჯვად მიუღიათ, თორემ რუსეთის საპატრიარქოს დაამკვიდრებენ თუ არა, ჩვენი ეკლესიისთვის მმართველობის მინიჭებას გადაუდგებიანო.

მე მაინც იმ აზრისა ვიყავ, რომ მათთან სიახლოვე უნდა გვედია და მარჯვედაც მოგვეხმარა.

ეს სულაც არ გვაგვალდებულებდა, მთელი სიცოცხლე გადაჯაჭვულნი ვყოფილიყავით და უერთმანეთოდ არაფერი გვემოქმედა. როდესაც გადაუდგებოდნენ ჩვენს მოძრაობას, დაპირისპირება-დაუთმობლობა მაშინაც გვეყოფოდა, თორემ ახლა რას ვერჩოდით.

საქართველოში საპატრიარქო უნდა აღდგესო.

კირონი თავის ქვეყანას დაუბრუნდეს და საპატრიარქოს ის ჩაუდგეს სათავეშიო.

ჩვენ კი ვითომ რა – შორს დაგვეჭირა, გულისგულში ჩვენზე სულაც არ ამოგდით მზე და მთვარეო?

ვორონცოვ-დაშკოვთან მოლაპარაკების აუცილებლობა რომ ვიგრძენით და ეს მოვალეობა ილიას დავაკისრეთ, თავიდან ძალიანაც დადგა უარზე: მაგ თქვენი კეფალიისა არა გამეგება რა და ვინმე სხვა მიგზავნეთო.

ზოგი ისე აღმფოთდებოდა ამ „კეფალიის“ ხსენებისას: სარკაზმით ამბობს, და თუ ჩამოგვცილდება, ემჯობინებო.

სარკაზმით რატომ – იუმორით ამბობდა, და ეს იუმორიც საკუთარი თავისაკენ უფრო იყო მიმართული. რაკილა ძირისძირობამდე ვერ გარკვეულიყო საეკლესიო საკითხებში, გული ეთანაღრებოდა და უარზეც ამის გამო დადგებოდა... მაგრამ ჩვენც რას მოვეშვებოდით და ყოველნაირად ავუხსენით და განვუმარტეთ საქმის არსი.

ბოლო-ბოლო წავიდა მეფისნაცვალთან და დიდხანს ესაუბრა.

ვორონცოვ-დაშკოვს გარეგნულად თავიც გამოედო: დამარწმუნეთ, რომ ეგ ავტოკეფალიაა თუ რაც არის, სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც და მაშინ კი მხარს დაგიჭერთო.

მე კი დამარწმუნეს რომ საჭიროც არის და სასარგებლოცაო, – ილიას.

შეჰყოლიან კამათსა და მსჯელობას და ილია გაკვირვებული დარჩენილა, ასე როგორ არის გარკვეული მეფისნაცვალის ამ მოვლენებშიო.

რაკილა მოძრაობა გაშლილიყო, ჯაშუშები ცალკე მიეყარა პროტესტანტებისათვის, ეკლესიის საქმეთა მცოდნე პირნი კი ცალკე დაებარებინა და ყოველმხრივაც მომზადებულიყო გარდუვალი ჭიდილისათვის. ის კი არა, ილიას სტუმრობაც წინასწარვე რომ სცოდნოდა, სავსებით მოსალოდნელია, და ის მთავარი საბუთიც საგანგებოდ გაემზადებინა, რითაც, დარწმუნებული გახლდათ, პირში ბურთს ჩაჩრიდა საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობის მსურველთ:

– ეკლესია ღმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებული ერთობის დამლაგსურთ; განა გაგონილა, ერთ მართლმადიდებლურ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდეს?

არ გაგონილა და ახლა გაიგონონო, – არ შეპუებია ილია, მაგრამ უკან მობრუნებულმა კი შემომჩივლა: ამაზე პასუხის მოძებნა გავგიძინებდებო.

მე გამეღიმა:

– ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტია ერთი მართლმადიდებლური სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინოპოლისა, იერუსალიმისა, ანტიოქიისა და ალექსანდრიისა?

შეჩერდა ილია, შემომხედა თვალებში და გულნაკლულმა ამოთქვა:

– აკი გითხარით, მაგ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და მე ნუ გამგზავნით-მეთქი?!

ერთი-ორი კაცი შემოგვესწრო და მერე დანანებით მისაყვედურეს: როგორ შეეპასუხე, გერჩივნა გაჩუმებულიყავი, ვაითუ გულში ჩაიდოს, არ ეხალისება აღიარება, თუ რამეში შეცდება ხოლმეო.

ეს მეც კარგად ვიცოდი, რომ არ ეხალისებოდა, მაგრამ სიმართლეს არაფრისდიდებით არ უღალატებდა – ჯერ ჭეშმარიტება იყო მისთვის და მერე პირადი თავმოყვარეობა. ცოდნას კი ისე იყო მოწყურებული სიბერისასაც, არ ითაკილებდა, ბავშვსაც რომ აეხსნა მისთვის რაიმე. გულში ჩადება? გამორიცხულია. რამდენჯერ შეეკამათებვარ, რამდენჯერ გამიზიარებია რჩევა მისთვის და ოდნავაც არ მიგრძენია მისი მხრივ გულის აყრა ჩემზედ.

რა გგონიათ, ის საპასუხო საბუთი პირველად ჩემგან მოისმინა?

ბიზანტიის ამბებიც ჩინებულად მოესხენებოდა, მაგრამ ისე სრულყოფილადაც არა, მეფისნაცვალთან საუბრის დროსაც ერთბაშად წამოგონებოდა. ყველაფერი ხომ არ გაგახსენდება კაცს, მითუმეტეს, ოფიციალური მიღებისას...

ამას განიცდიდა, ჩემს რჩევას კი არა.

თავიც ამიტომ დაძრახა: კეფალიისა არაფერი მესმისო.

სარკაზმით რომ ამბობდეს, ხმის კილოზე უსათუოდ შეეტყობოდა. მე ილიას ინტონაცია შემეშლუბა?..

იმას თუ ეტყოდა მღვდელს, არა უშავს რა, ერთი-ორი მათრახი თქვენც თუ გიცხუნესო?

მღვდელთა იმ კრებას არ დავესწრებოვარ, ნიკოლოზის ეკლესიის სამრევლო სკოლაში რომ გაიმართა და სრულიად საქართველოს სამღვდლოების კრების მონღევა განეზრახათ. მთავრობა ნებას არ აძლევდათ და იყო ერთი სჯა და გაცხარება, მაინც მოვიწვიოთ თუ უკეთეს დროს დაველოდოთო. შეკრებაზე საერო პირნიც იყვნენ მიპატივებულნი და მეც მათ შორის, მაგრამ მისვლა არ მომიხერხდა და არც ილიას ის სიტყვები მომისმენია. თუმც თვითონ მისგანვე ვიცი, რაც ეთქვა, და ამიტომაც ტყუილად ვერა თანხმდებიან, იტყოდა თუ არა იმ ფრახას.

ის სხვებისაგან მაქვს შეტყობილი, რა შთაბეჭდილება მოუხდენია კრებაზე ილიას გამოჩენას. მანამდე ხმაურობა მდგარა და შიგადაშიგ სიცილ-ხარხარიც გადაირბენდა. უეტრად სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ყველა ფეხზე წამოიჭრებოდა და მიაჩერდებოდა კარს, რომელშიც ის-ისა ილია ჩამდგარიყო.

მერე მდუმარედ მჯდარა, პენსნეს ატრიალებდა თითებში და ყველა გამომსვლელს გულმოდგინედ უგდებდა ყურს.

თანდათან ჩაჩუმებულან, ამოუნურავთ სათქმელი და კრების თავმჯდომარეს, სიონის ტაძრის ბლალოჩინს ტყე-

მალაძეს ილიასათვის მიუმართავს: მოგეხსენებათ, როგორ დიდად გვიღირს თქვენი სიტყვა, დაგვარიგეთ, გვითხარით, როგორ მოვიქცეთო.

ილიას პენსნე დაუდევს მაგიდაზე და წამომდგარა:

– აქ ბევრი კარგი აზრი იყო გამოთქმული, ჯერ კანონიერად მოიქეცი, მიმართეთ ეგზარხოსს, მეფის მოადგილეს, მიმართეთ თვით მეფეს და, თუ არაფერი გამოვა, არა უშავს-რა, ერთი-ორი მათრახი თქვენ ანაფორებსაც მოხვდეს.

კიდევ მოხვდებოდათ. ის კი არა, ტფილისის სასულიერო სემინარიაში რომ შეიკრიბებოდა სამღვდელთა და ყაზახები შეუცვივებოდნენ და შეუბრალებლადაც დაარბევდნენ, ერთ-ორ მათრახს ვინ აკმარებდათ... თუმცე მაინც სჯობდა ილიასათვის ეგდოთ ყური და ჯერ ოფიციალური გზა მოესინჯათ, სულაც მეფემდე ევლოთ... ამასობაში უკეთაც მოემზადებოდნენ და ხალხსაც აიყოლებდნენ, მათ თავყრილობას გარედან დიდი დემონსტრაცია რომ შეშველებოდა.

ეს დარბევა ერთ გარდუვალობას კი გვანიშნებსო, – ილიასაგან მახსოვს, – ამ მოძრაობას ველარაფერი შეაჩერებს და ეგ თქვენი კეფალიაც უკვე ისე კანთიულად მოჩანს, ხელისგანვდენადა აკლიათ.

მე წაგიძღვებითო?.. ვერაზინ გადამარწმუნებს, რომ ამ სწრაფვასაც ის არ მიუძღოდა წინ, ის არ განამტკიცებდა და აღონიერებდა, მართო საგულეებელ დემონსტრაციას კი არა, საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობის მობოვებას.

ვიცნო საქმეს მოცდენილხარო, დადექით და იკამათეთ.

პასილ კირვალიძე

მოდი და ნუ გადაირევი სიხარულისაგან, როცა შენი აზრი და სიტყვა ქართველი ხალხის აზრად და სიტყვად გამოცხადდება. და მერე ვინ გამკობს, ამასაც ხომ მნიშვნელობა აქვს. ვინ და, თვით ის კაცი, ქართველ ხალხს თავის ბელადად რომ მიუჩნევია და, ნაციონალიზმზე ამალელებული, რუს დემოკრატებსა და მუშათა კლასთან ერთად მიიწევს ახალ საკაცობრიო ცხოვრებაში ფეხის შესადგმელად.

როდესაც ასეთი წინამძღოლი გეყოლება, როდესაც ნოე ჟორდანიას აღმართულა გოლიათივით და შესდგომია დევებისა და ქაჯ-უმშაკების ჟუჟვას, რისი შეიძლება შეგეშინდეს ან თავი დაზოგო და მტლედ არ დაეღო ამ აღმაფრთოვანებულ მოძრაობას.

ბედნიერებაა, ასეთ დროში რომ მოგინია ცხოვრებამ, მთელს ისტორიას რომ ააყირავებს. და შენი ხელიც... მოდი და ნუ გადაირევი, შენი ხელიც იქ იგულისხმება ამყირავებელთა შორის.

გლეხი ხარ თუ მუშა, კარგად ვერ ვიგებთ, ხან ისე ირქმევ, ხან ასეო, – ილიას მონები სულ რაღაცას რომ გვიჩიკინებდნენ და თვით დიდი ნოეც გააბეზრეს, ახლა მე ჩამცივებიან ვითომ რამეს გამომრჩებიან.

ჩვენმა ბელადმა გასცა იმით საკადრისი პასუხი, როცა ქართველ ხალხთან გამაიგივა, გლეხიც და მუშაც ერთდროულად დამარქვა და გიორგი წერეთლის დაკრძალ-

ვისას წარმოთქმული ეს ჩემი სიტყვა ხალხის მკაფიო, პირდაპირ და მამაცურ ამეტყველებად მოიხსენია. თან ილიასა და იმის მონებსაც ჩვეული სიბასრით ნაჰკრა: არა თქვენსავით მიკიბულ-მოკიბულად, პირმოთნედ და ფარისევლურად დაინყებდა ლულულსო.

თვალებს ვერ ვუჯერებ, „კვალი“ რომ მიჭირავს ხელში, მაგრამ ქებას არ იშურებს ჩემდამი და ქართველი ხალხის გაგონიერების, გამოფხიზლებისა და ზნეობრივი ამაღლების დასტურად მსახავს.

ასეთ დროს არტემ ახნაზაროვი, ერთ-ერთი ილიას მონათაგან, ხმის ამოღებას რომ გაბედავს: ვინ დაულოცა მენვრილმანე კირვალიძეს ხალხის წარმომადგენლობა, რომელმა ხალხმა და სად მიანდო ამ ვითომდა წარმომადგენელს, რომ ესა თუ ის განაცხადებო? – პირში ბურთი არ უნდა ჩასჩარო ას ერთი კაცის ხელმონერილი დოკუმენტით, ერთხმად რომ მავალეზდნენ, მეკისრა ტფილისის მოსამსახურეთა წარმომადგენლობა?

ას ერთი კაცი დიდი ძალაა, მართლა ხალხია და ხალხი რომ აგირჩევს თავისი გულისთქმის ამომთქმელად და „კვალის“ ფურცლებიდან შეგთხოვს ყველაფრის დალაგებას თავთავის ადგილას, ან ახნაზაროვი რას დაგაკლებს და ან მათი ფალავანი, ბაქოში რომ გაიძურნა, ვითომდა ბანკის საქმეებზე და ასე დაემალა გიორგი წერეთლის ახალგაჭრილ საფლავეზე თავშეყრილი ხალხის რისხვას.

მისმა მონებმა, როგორც სჩვევიათ, ამ აშკარა გაქცევის გამარჯობაც დაინყეს და თავიანთი კერპის ნამუსის მოსანმენდად ხმებს ავრცელებენ, ბანკის საქმეები არ იცდიდა და ნაუსვლელობა ძალიან აზარალებდა ქვეყანას, იქ კი გიორგი წერეთლის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრო, ბაქოელმა ქართველობამ რომ გადაუხადაო.

როდესაც ამხელა კაცი მიდის ცხოვრებიდან, მასთან შედარებით ყველა საქმე უმნიშვნელო და გადასადებია, მითუმეტეს, ბანკისა, რომლისაც ილიას ბევრი არაფერი გაეგება და მხოლოდ ივანე მაჩაბლის დაჩაგვრით განიმტკიცა იქ პირველობა.

ბაქოში პანაშვიდზე დასწრება, ისიც ფარისევლურად, რა ბედენია, აბა, დიდუბეში მოებედა მოსვლა, სულ კუდით ქვას რომ ასროლინებდნენ.

არმაზის ალაგას ილიას კერპი აგვიმართესო, – ჩვენი ბელადი სულ ამას იმეორებს მისებური დამცინავი კილოთი, და სახე გადაებადრება ხოლმე: როგორც ის კერპი იქცა ნამსხვრევებად, ისე ეს კერპიც დალუნლო მარცვლებად მიმოიფანტება ადრე და მალე, ყველა კერპის ბოლო ეს არისო.

გუმანში გვქონდა, დაკრძალვის რიტუალი გადაგვექცია კერპის მსხვრევის ადგილად. განა უიმისოდ რამე დავაკელით, მაგრამ ის ძალა მაინც არა ჰქონდა, რაც იქ მდგარისათვის ექნებოდა. დაე საკუთარი ბედნიერი თვალთ ეხილა თავისი გაკოტრება, ჩვრად გადაქცევა და ნამსხვრევებად მიმოფანტვა.

დღეს თუ არა, ხვალე ვანახვებთ.

ნომრევან მერკვილაძემაც მწარე-მწარეები შეუთვალა, ქართველი ხალხის უსაყვარლესმა პოეტმა და უანგარო მსახურმა, ჭეშმარიტმა გამომთქმელმა ხალხის ჭირვარამისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვისა. მოხდენილად აღნიშნა გიორგი წერეთლის მხრივ ხალხის ალალი

სიყვარული და მისი გულისათვის თავგანწირვა, და წყევლა-კრულვით მოიხსენია მისი მტრები – და უპირველესად იმათი კერპი – რომელთაც ძილს უკარგავდათ ხალხის საპასუხო სიყვარული გიორგი წერეთლისადმი და, გაბოროტებულნი, მისი ლანძღვით იჯერებდნენ გულს, დევნასაც კი გამოუცხადებდნენ და სამარის კარამდეც მიიყვანდნენ.

ამ ბრალს ვერასოდეს ჩამოირეცხავენ.

რა შესანიშნავი სიტყვა თქვიო, – ნოშრევანმა რომ გამიზარა თავისი შთაბეჭდილება, ჯერ მისმა ნათქვამმა გამხვია ნეტარების ბურანში და მაგრძობინა, ჩემი მჭევრმეტყველების ხელოვნება დაუფასებელი არ დარჩებოდა. და მერე ნოე ჟორდანიას მხრივ შენეულმა ძვირფასმა ფრაზემმა ლამის ჭკუაზე გადამიყვანა.

დიდი შემოტრიალების დროა!.. ნახავთ, გიორგი წერეთლის დაკრძალვა ნიშანსვეტივით თუ არ დადგეს ჩვენი მომავალი ბრძოლების გზაზე და, გამარჯვებასაც რომ დავინარჩუნებთ, ამ უკვდავ დღეს გამოვხედავთ სიამაყითა და თავდაჯერებით... იმის შუაგულში კი მეც ვიდგები.

ხომ ვიცე, ვინ აღარ მოინდომებს გამარჯვებაში წილის დადებას, აქ ვიდექითო, იქ ვიდექითო, ამას შემოგძახოდითო, იმას შემოგძახოდითო, ასე გადავდეთ თავი, ისე გადავდეთო... და მოინდომებენ ჩემი ღვანლი ჩაჩუმქრონ და თვითონ გადაინაწილონ, მაგრამ მიუდგომელი ისტორია ყველაზე უკეთ გამოიტანს განაჩენს და არც ჩემს სახელს დაკარგავს.

უკეთესი რეკომენდატორები ვინ შეიძლება გყავდეს კაცს ისტორიის წინაშე, ვიდრე ქართველი ხალხის უსაყვარლესი პოეტი ან მისი ბელადი არიან?

ნოშრევანის სიტყვა დიდი საბუთია და ნოესი – სულაც კანონი. კანონს კი ვინ გადაუხვევს იმ ახალ ქვეყანაში, რომელიც ხელისგანვდენაზეა და სხვა არაფერი გვაპირებს ისე ძალიან, როგორც არმაზის ალაგას აღმართული კერპი.

არ გეგონოთ, ამ კერპის ძალით დამსხვერველს მოვუნოდებდე ვინმეს. საამისოდ არ გაგვხდომია საქმე. ხალხის მიუდგომელი განაჩენი გასტენს მორალურად და თვითონვე დაიფანტება ნაკუნებად, ჩვენი ხელის შემშველება არ დაჭირდება.

გაგეცინება – ისე დაიარება და თავიც ისე უჭირავს, თითქოს სამსხვერპლოდ გადაედოს სიცოცხლე!.. ძალიან მიამიტ ადამიანებს თუ აუხვევს თვალს, თორემ დასრულებულია მაგისი პარპაში. მსხვერპლი, აი, ის იყო, დიმიტრი ყიფიანი, ვისი პირადი ხილვა და გამოლაპარაკება ჭემმარიტი ბედნიერება გახლდათ და ჩემს თავზე გამომიცდია ეს ბედნიერება, სასტუმრო „ლონდონში“ რომ შემახვედრა ილბალმა. ის იმეორებდა, ის სულკურთხეული: სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ ყოველ ათ წელიწადში თითო მსხვერპლი უნდა შეინიროსო.

თურმე საკუთარ ბედისწერას გულისხმობდა და ზოგადად კი რაღაც ტრაგიკული კანონი გამოჰყავდა ცხოვრებისა. ალბათ მართლა ასეა, რადგანაც ეს დიდებული კაცი ირწმუნებოდა. აი, ვის არ აცოცხლებდნენ და მართლა ზვარაკად გაამზადებდნენ, თორემ. ამის სიკვდილი ვის რად სჭირდება, ცოცხალი ისედაც აღარ ეთქმის და როდემდე იბოგინებს არმაზის კერპის ალაგას...

გიორგი ჟურული

ვინ გინდა დააჯერო, რომ ახალი საუკუნის დამდეგიდანვე ჩვენში მარქსისტ რევოლუციონერთა ტერორი გაბატონდა.

ეს ტერორი მეფობდა და არა ხელმწიფე იმპერატორი, ვინც ერთს კი გაიბრძოლებდა, მაგრამ გაბრძოლებაზე მეტად იმისი მცდელობა გაფართხალებად უფრო ითქმის... გაფართხალება რომ არა, ცხრაასხუთის რევოლუციური გამოსვლების მარცხით დასრულება და მეამბოხეთა ჩამორიგება ციხეებსა და გადასახლებაში კიდევ საბოლოოდ აღკვეთდა მეფის ტახტის დამხობის ყოველგვარ ზრახვასა და ნადილს.

აღკვეთა კი არა, შეუბრუნებელი და დაჩქარებული პროცესი დაიწყო და იმპერატორის ხელისუფლებაც იმას გადაჰყვა.

მარქსისტებს ფერი კი არ გამოუცვლიათ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდგომ – რასაც სჩადიოდნენ, იგივე გააგრძელეს, ეგაა, იატაკქვეშეთიდან ამოვიდნენ და სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნა-შევიწროება სახელმწიფოებრივ ტერორად აქციეს.

ხალხს რატომ გაუკვირდა მათი ეს სასტიკი რეჟიმი, ვერ გამიგია. ნუთუ ლოზუნგებმა აურიეს ასე თავგზა, რომ ცხვრის ტყავში გახვეული მგლები ვერ ამოიცნეს?

ამოსაცნობიც რა იყო – იატაკქვეშეთიდან ნამდვილი ტერორი რომ დაუნესეს პატრიოტებს და ილიაც გადაიყოლეს, ეს ადამიანები ხელისუფლების სათავეში თუ მოექცეოდნენ, სრული ძალაუფლებით აღჭურვილნი ვითომ უფრო ჰუმანურ პოლიტიკას რატომ განახორციელებდნენ?!

საქართველოს აგონია წინამურში დაიწყო, – ყურებიდან არ ამომდის მიხეილ ადამაშვილის ის ფრაზა, რომელიც დაბეჭდილი კი არსად მინახავს, მაგრამ ბაგიდან ბაგიზე გადადიოდა და შემადრწუნებელი სიცხადით წინასწარმეტყველებდა მომავლის ბედისწერას.

აგონია გარდუვალა ხდებოდა.

წინამურში ამ ჯაჭვის პირველი რგოლი გამოჭედილიყო.

შარაგზის ყაჩაღებს რომ არ მოეკლათ და პოლიტიკურ დაკვეთას შესწირვოდა საპრეზიდენტოდ ნაგულისხმევი ეს კაცი, არავისათვის ყოფილა დაფარული, და მიხაკო წერეთელმა თავზე ხელი აიღო, როდესაც თვით ტერორისტები გამოინვია თავის სამგლოვიარო სიტყვაში და ხალხს სამაგიეროს გადახდისაკენ მოუნოდა: ნურავინ ამბობს, ილიას ხსოვნას შურისძიება არ ეკადრებაო! კი ეკადრება! ამ სირცხვილს მხოლოდ შურისძიებით გავიქარწყლებთ. შურისძიება მთელი ერისა ამ უმსგავსოთა წინააღმდეგ, რომელთაც დღეს მთელი საქართველო ძაძით შემოსეს და მთელ ქვეყანაში გააბიაბრუეს, ერთადერთი საშუალებაა მთელი ერის გასამართლებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით ილიას წინაშე! ყოველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას ამასვე ჩაიდენდა. ჩვენი სიჩუმე ჩვენი ჰუმანიური თვისების და დიდსულოვნების დამამტკიცებელი კი არ იქნება, არამედ – ჩვენი სისუსტისა და გულგრილობისაო.

ხომ ამდენი წელი გავიდა ამ სიტყვების წარმოქმნიდან, ისეთი ძალით ჩამებეჭდა ერთი მოსმენითვე, დავიფიცებ, ოდნავ თუ მაინც რაიმე შემეშალოს.

იქნებ მართლაც შურისძიების სულისკვეთების გამძაფრება და გაღრმავება სჯობდა?

ისე კი მოხდა, რომ მიხაკო წერეთელს თითო-ოროლა თანამგრძნობი თუ გამოუჩნდა, შერიგებისა და თავშეკავების მომხრეთ კი უამრავი, და კიდევ გადანონეს საზოგადოებრივი აზრი.

ახლა რომ ვუკვირდები, საბედისწეროდაც გადანონეს.

საერთო განწყობილებას აირეკლავდა ის თხოვნაც, ილიას ქვრივს რომ დაანერინეს მასთან დაახლოებულმა პირებმა გენერალ-გუბერნატორის სახელზე: ილიას მკვლელებს სიკვდილით ნუ დასჯითო.

შურისძიება ვილა ჩიოდა, მკვლელებს მოველინენ მფარველებად, და მერედა ვინ – ილიას გულწრფელი მოთაყვანენი, მისი სახელის მადიყარნი და გულმზურვალენი, ყველაფერს ვიღონებთ ილიას ხსოვნის უკვდავსაყოფადო.

ეს ვერ გაეთვალისწინებინათ –

ავგისტოს იმ ავბედით დღეს საქართველოს აგონია დაწყებულიყო და სულთმობრძავის გმინვაც სულ უფრო მკაფიოდ მოისმოდა.

ეს წერილი თეიმურაზ ხევისთავებმა დაანერინესო, – იმეორებდა მიხეილ ადამაშვილი, ვისაც მიხაკო წერეთელივით სჯეროდა, რომ ეროვნული შურისგების გარეშე წინამურის ტრაგედია შესაძლოა ამაოდ დაღვრილ სისხლადაც კი დარჩენილიყო.

მაშინ არ ვიცოდით, ვინ იყო ეს თეიმურაზ ხევისთავი და როგორ შეეძლო ოღლა გურამიშვილისათვის რაიმე დაენერინებინა.

ჯერ მიხეილ ადამაშვილის გონებაში რიალებდა ეს გვარ-სახელიც და ეს ტიპიც, ვინც თურმე ეროვნული ხასიათის გარკვეულ ნაირსახეობაც უნდა განზოგადებულიყო და ისე უდრტივინველად და თავისდამოულოდნელად ჩაებარებინა ქვეყანა მოძალადეთათვის, საკუთარ მიწა-წყალზე ხიზნად და ემიგრანტად გარდასახულს კიდევ კარგა ხანს ვერ გამოერკვია, ეს რა დამართოდათ ან თვითონ და ან მის უნიათობასა და უსასოობას მიწდობილ საქართველოს.

გრენობლში გადმოხვეწილი კიდევ ერთხელ რომ ავტირდებოდი და სხვა ემიგრანტებსაც ავიყოლიებდი, თითქოს ბაბილონის მდინარეთა ზედა მოვთქვამდით, მიხაკო წერეთლის ის სამგლოვიარო გამოსვლა ძალაუნებურად მონყდებოდა ჩემს ბაგეს, და მიხეილ ქავთარაძე შემომხედავდა მწარე ღიმილით: ის სიტყვები სიტყვებად დარჩებოდნენ, რადგანაც მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ თეიმურაზთა საზოგადოებასო.

ამათ უკვე იციან, რასაც ნიშნავს თეიმურაზ ხევისთავთა საზოგადოება. სწორედ მათ ინვნიეს წინამორბედთა აბსტრაქტული, ბუნდოვანი სადღაც – ოღონდ არაფრის-დიდებით ჩვენს ტრაგიკულ მიწაზე – არსებული ჰუმანიზმის მწარე ნაყოფი.

თეიმურაზების საზოგადოება!..

ღმერთო, როგორ მჭრის ყურს ეს ორი სიტყვა... ღმერთო, რა აუტანელია მისი დაუსრულებელი რახუნი გონებაში... ნულა გამაგონებ, ღმერთო, ნულა გამაგონებ!..

ნაკოზ გობეაშვილი

კარზე შუალამისას დამიკაკუნეს.

არ გამკვირვებია.

მერე რა, რომ გვიანი იყო. რამდენი ნაცნობი შემიფარებია ამ დროს, მეგობრები ხომ რა სათქმელია!..

ყველამ იცის, როგორ ზუსტად მაქვს აწყობილი დღის რეჟიმი და დროც განანილებული. მისხალს არ შევიშლი და არც ძილსა და მოსვენებას დავიკლებ. კიდევ რა უძლებს ამხელა ჯაფას და ცოტა სულიც თუ არ მოვიტყვი, აღარც ღმერთი დამაცლის ჩემი მისიის აღსრულებას.

იციან და მერიდებიან. მაგრამ როდესაც კაკუნი მომესმის, ეს ნიშნავს, რომ სხვა გზა აღარ დარჩენიათ, გარდა ჩემს სახლში შემოფარებისა. და მეც რა გული გამიძლებს, მაშინვე ლოგინიდან არ წამოვხტე, გავეხვიო ჩემს სპარსულ ხალათში, პალტოც შემოვიცვა (ღამის სუსხი მაინც ღამის სუსხია!), ყელსახვევშიც ჩავფლო პირი, ქუდიც დავიმხო და კარიც გამოვალო.

არასოდეს მიკითხავს, ვინ ხარ-მეთქი.

ახლობლის გარდა ვინ შეიძლება ყოფილიყო.

კარს რომ გავაღებ, ხომ ისედაც გავიგებ, ვინც არის.

ახლაც შუალამისას გაისმა კაკუნი.

გამეღვიძა და მაშინვეც წამოვხტე, ხალათიც სასწრაფოდ შემოვიცივი, პალტოც მოვირგე, ყელსახვევშიც ჩავფალი პირი, ქუდიც დავიმხე და გასაღებსაც მივწვდი გადასატრიალებლად.

მივწვდი და... ასეთი წამი მანამ არასოდეს განმეცადა. თითქოს ყველაფერი ისევ ისე იყო – არც ოთახს ეცვალა ნირი, არც დერეფანს, კარიც ძველებურად ჩალურსულიყო, მაგრამ რაღაც დიდი ცვლილების მონმე კი ვხდებოდი, ასე თვალდათვალ შევიგრძნობდი წამის დიდ გარდასახვას და ხელდახელ იცვლებოდა დრო.

სულ სხვა დროდან სულ სხვა დროში ამომეყო თავი.

ისევ დააკაკუნეს, ფრთხილად, მორიდებულად, თუმცა გაბმულად, და ჩაძინებული კაცის ყურს ეს დაჟინება უნდა მინვდომოდა... მაგრამ ისე გავილურსე და გავმტკნარიდი, ისე გახვევიდი, სუნთქვაც შემეკრა.

იქნება... მაინც ნაცნობი იყო?

ვერა, ვერაფერს ვიკითხავდი. ასე მეგონა, ხმა რომ გავილო, კარს ჩემი შეკითხვა ჩახსნის და კიდევ შემომეჭრებიან-მეთქი.

ძლივს მივლასლასდი ფანჯრამდე.

იქნებ შემთხვევით მომეკრა თვალი სილუეტისა თუ სილუეტებისათვის და ამომეცნო კიდევ ლანდის ვინაობა.

ჰოი, რა გახარებული მივარდებოდი კარს, რა აღტაცებით გადავხსნიდი ორივე ფრთას და ღამეულ სტუმარს მართლაც ღვთის მოციქულის დარად შემოვუძღვებოდი.

მაგრამ ფანჯრიდან ვერაფერი დავლანდი.

კაკუნი გრძელდებოდა.

ვიდექი სუნთქვაშეკრული და ასე გალურსულ-გახვეებული გადავდიოდი სულ სხვა დროში.

შიში არასოდეს მეგრძნო. მიკვირდა, როდესაც მაფრთხილებდნენ თუ შემაგონებდნენ, ხელისუფლებასთან დაპირისპირება სიკეთეს არ დაგაყრის და შეენირები ქართული სკოლის შექმნასო.

დეტაქტიური ცდა

იმათ, ეტყობა, ჩემი პასუხი უკვირდათ და ახსნით კი ვერ აეხსნათ: შევეწირე და შევეწირო, მარცვალს ხომ მაინც ჩავაგდებ ხნულში, ადრე თუ გვიან აუცილებლად რომ იხარებს-მეთქი.

ახლა ამ კაკუნმა ეს რა დამმართა.

ახლა ვხვდები, რატომ შემომეფანტებოდნენ ხოლმე, ვინც ერთგულებას მეფიცებოდა. საფრთხეს იყნოსავდნენ თუ არა, რომელს რომლისთვის გაესწრო, და მე მხოლოდ მეღიმიებოდა მათ სულმოკლეობაზე.

თურმე ღიმილი კი არა...

ეს რა დათრგუნვა სცოდნია შიშს.

ალარაფერი აღარ მინდოდა, ოღონდაც, კაკუნი შენ-ყვეტილიყო, ფრთხილი, მორიდებული, ავად გავეშებული

ხომ არა, მაგრამ მე კი ჩემი დამემართა.

დრო იყო სხვა.

იმ სხვა დროში ავნებებოდი ფანჯარას და სადღაც დამკარგოდა გული.

როდის-როდის კაკუნიც შეწყდებოდა, მეც შემოვიძარ-ცვავედი ჩემს ასხმულობას და ლოგინში გავინაბებოდი, სულს ცოტა მოვითქვამდი, რიჟრაჟი კიდეც უფრო მომიყვანდა გუნებაზე და მშვიდად შევუდგებოდი ჩემს მკაცრად განსაზღვრულ დღის რეჟიმსა და მისხალ-მისხალ ანონილ-განანაილებულ დროს, მაგრამ ის იდუმალი კაკუნი აღარც არასოდეს ამომეშლებოდა ფსიქიკიდან.

ასე იყო, ასე – წამის დიდი გარდასახვა ვიხილე, ახალი ჟამის დაბადება. ვიხილე და ველარც გამოვეხსენი.

პირველი შთაბეჭდილება

ივანე ამირხანაშვილი

მისტიკური დეტაქტივი

რა არის ეს წიგნი?

კითხვა, რომელიც გაჩნდა პირველი გამოცემის შემდეგ, გადმოვიდა მეორე გამოცემაში და, დარწმუნებული ვარ, არც აქ გაჩერდება, მესამე გამოცემასაც მოითხოვს ავტორისაგან.

მართალია, როსტომ ჩხეიძე გარკვევით წერს, რომ ეს არის ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის უკანასკნელი ჟამის აღდგენის ვერსია, მაგრამ ავტორისეული განმარტება მკითხველს არ აკმაყოფილებს, ის თავისას ეძებს, დამოუკიდებლად ცდილობს საკითხის არსში გარკვევას, ჟანრი-სა და შინაარსის განსაზღვრას, ფორმის დადგენას.

თითქოს ყველაფერი ხელისგულზე გიდევს, ყველაფერს ხედავ, ყველაფერი დღესავით ნათელია, მაგრამ შეკითხვა თავს არ განებებს: რა არის ეს წიგნი?

ფორმა, ერთი შეხედვით, ძალზე მარტივი და გასაგებია, ორმოცდათხუთმეტი პირი, წინამურის ტრაგედიის მომსწრე თუ მასთან დაკავშირებული ორმოცდათხუთმეტი ადამიანი საუბრობს ილია ჭავჭავაძის შესახებ. ეს არის და ეს. მაგრამ მარტივი ფორმის მიღმა რაღაც სხვას ხედავ, სხვა რამეს გრძნობ, სხვა მიმართულებით მიჰყევხარ ფიქრს, ნება-უნებლიეთ ეძებ იმას, რაც აქ არ არის, თუმცა გაგონდება, გეგულისხმება, აჩრდილივით წარმოგიდგება.

უკეთესი ფორმის მოძებნა ალბათ არც შეიძლებოდა ამ ეტაპზე, როცა დასრულებულია ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის გარემოებათა ძიების ისტორიულ-იურიდიული დრო და დაწყებულია მითოლოგიზაციის პერიოდი.

კაცმა რომ თქვას, წინამურის ტრაგედიის ფაქტოლოგიური კვლევა ადრევე დასრულდა, როცა არასწორი მიმართულებით წარმართეს ძიება. საქმეში თანდათან მთავარი გახდა არა „ვინ“ და „რატომ“, არამედ „რომ“ – მითოლოგიზირების ნიშანი!

ეს ტენდენცია გენიალურად შენიშნა გალაკტიონმა: „წინამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“.

შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონმა დაიწყო ილიას მკვლევლობის მითოლოგიზირება, ოღონდ ეს გვიან შევნიშნეთ.

შეიძლება მითოლოგიზაციის გზით უფრო მივუახლოვდეთ ჭეშმარიტებას, ვიდრე დოკუმენტური ძიებით. ახალი დოკუმენტები აღარ იქნება, რაც იქნება, ის მხოლოდ დაგვაცილებს ჭეშმარიტებას. გამოსაძიებელი მაშინ უნდა გამოძიებულიყო, როცა მკვლევლები და დამკვეთები ბებერი ვაცებივით დააბოტებდნენ ამქვეყნად, როცა ფილიპე მახარაძე და გიგლა ბერბიჭაშვილი ამხანაგურად თანამშრომლობდნენ ყველას დასანახად.

მოვლენის კვლევა-ძიება ახალი დოკუმენტებისა და არგუმენტების გარეშე ან ახალ ცდომილებამდე მიგვიყვანს, ან იმავე წრეს შემოგვატარებს, რაც ჩვენამდეც ბევრს შემოუვლია.

წინამურის საიდუმლოს ამოხსნა ნიშნავს, რომ ამოხსნა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფიერება.

როსტომ ჩხეიძე ირჩევს ამ გზას, როგორც ერთადერთსა და სწორს.

წიგნში უშუალოდ წინამურის ტრაგედიაზე არც არის საუბარი, ყურადღება ილიას ფენომენზე, მის ღვთაებრივ მადლმოსილებაზეა გადატანილი.

ჩვენს წინაშე წარმოსდგება მოღვაწის იდეალი, როგორც ეროვნულ-კულტურული მოვლენა, რომლის სახელს უკავშირდება ქართული სულის აღორძინება, მამა-პაპათა კულტის ერთგულება და მამულის თაყვანისცემა.

არის ამ წარმოდგენაში ლიტურგიკული პათეტიზმის ელემენტები, მაგრამ ეს პორტრეტის ცალკეული შტრიხია, წიგნში „სხვა“ ილიასაც ვხედავთ – ჩვეულებრივს, ცხოვრებისეულს, ადამიანურს. საბოლოოდ კი მაინც გრანდიოზული ფიგურა იკვეთება: ილია – მოქალაქე, მოთავე, მოაზროვნე, უმაღლესი ნებელობის გამომხატველი მოღვაწე.

ილიას პიროვნებაში გამოჩნდა განსაკუთრებული სულიერი ძალა, რომელიც ქართულ სულს, ქართულ ეროვნულ იდეალს გამოხატავდა და ამას ყველა გრძნობდა – მტერიც და მოყვარეც, თუმცა არავის ეყო ძალა და უნარი,

ბოლომდე გაეაზრებინა, თუ რას ნიშნავს ქართული სული ან ქართული ეროვნული იდეალი. მეტაფიზიკური აზროვნების დეფიციტი საქართველოში ყოველთვის შეინიშნებოდა და გამონაკლისს არც ილიას ეპოქა წარმოადგენდა. მაინც რა არის ეს ნიგნი?

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გმირის საზოგადოებრივი პორტრეტი ან საუბრები ნამებულზე, ოღონდ არ არის მარტივოლოგი, რადგან უფრო ღიაა, უფრო თავისუფალია, ვიდრე აგიოგრაფიული ან აპოლოგეტიკური ნაწარმოები.

ორმოცდათხუთმეტი პირის მონათხრობი ერთიანდება ავტორის, როსტომ ჩხეიძის ისტორიულ-ლიტერატურულ რეფლექსიებად, განსჯა-გააზრებებად ანუ, როგორც ასი წლის წინათაც იტყოდნენ, დისკურსად.

დოკუმენტური ნაკადი უკანა პლანზეა გადატანილი, სამაგიეროდ, გამოკვეთილია დოკუმენტური განწყობილებებისა და მოსაზრებების მთელი მოზაიკა, რომელიც მთლიანობაში საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ პეიზაჟად წარმოგვიდგება.

თითქოს ვერ ვხედავთ მხატვრულ გამონაგონს, მაგრამ საიდანტაც მაინც გამოსჭვავს მხატვრულობის ეფექტი. რეალური ფაქტების წყებისა და თხრობის თავისუფალი ხაზის გადაკვეთის წერტილში წარმოიშვება ბელეტრისტული დინამიკა.

თითოეული მთხრობელი უშუალოდ გესაუბრება, პირისპირ გიდგას და ხედავ, გრძნობ, ხვდები, სად გულწრფელობენ, სად ცრუობენ, სად ცდებიან.

სხვათა შორის, როსტომ ჩხეიძე წარმატებით იყენებს შეცდომის ესთეტიკას. თითოეულ თხრობაში შეცდომა გამოყენებულია ლიტერატურულ ინტრიგად, რომელიც საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის როგორც ნიგნს, ისე მასში წარმოდგენილი მთავარი თემის ისტორიულ გააზრებას.

ყველა მთხრობელი თავისი ამბიონიდან გვესაუბრება, ყველა თავისუფლად გვიმყლავნებს თავის აზრებს, ყველა გახსნილია: მტერი მტერია, მოყვარე მოყვარეა, გულადი გუ-

ლადია, მხდალი მხდალია, ტუტუცი ტუტუცია, ბრძენი ბრძენია, მაგრამ ყველა ხასიათს, ყველა სიტყვას ლაიტმოტივად გასდევს მოკრძალება და შიში ილიას სიდიადის წინაშე.

თვალსაზრისთა პოლიფონიურ სიჭრელეში მკვეთრად იხატება ხასიათები და პიროვნული შტრიხები. მაგალითად, სილიბისტრო ჯიბლაძე ორ სიტყვას იტყვის და მაშინვე წარმოსდგება შენს წინაშე სწორხაზოვანი, დაუნდობელი, ჯიუტი ადამიანი, ფანატიკოსი მარქსისტი, რომელიც „ალუდა ქეთელაურშიც“ მარქსიზმის იდეოლოგიას ხედავს; გრიგოლ რობაქიძე – რა კარგად მოჩანს მის მტკიცე მსჯელობაში ხასიათის ადამიანური სანწყისი, ნარცისული ანარეკელი მისი სახისა.

ვასილ ვეულიკო – ილიას დიდი თაყვანისმცემელი, რომელსაც არანაირად არ ესმის ქართული ყოფიერების შინაარსი და ამიტომაც ასე გულწრფელად გამოხატავს ქართველობის მიმართ რუსისთვის ჩვეულ ნიჰილიზმს.

კიდევ სხვანი და სხვანი. ერთი საკითხიც. მთხრობელთა უმრავლესობა კარგად ცნობილი პიროვნებები არიან, მაგრამ მათ შორის ვხედავთ ისეთებსაც, რომლებსაც ფართო საზოგადოება არ იცნობს. მაგალითად, არა მგონია, ყველამ აცოდეს, თუ ვინ არის ნოშრევან ჯაფარიძე, სოსო მაჭავარიანი, დავით მესხი, კოლა ორბელიანი, მიშო მაჩაბელი ან ვასილ კირვალიძე. კარგი იქნებოდა, თითოეული მთხრობელის ვინაობაზე თქმულიყო ორიოდე სიტყვა იქვე, სქოლიოში ან ნიგნის ბოლოში.

ამიტომაც მგონია, რომ ეს ნიგნი გაგრძელდება, შეივსება, გაფართოვდება შენიშვნებსა და სქოლიოებში. სქოლიოებშიც უნდა ითქვას სათქმელი, რადგან სქოლიოსაც აქვს თავისი შინაარსი, თავისი მისტიკა, თავისი მარალი.

თუმცა შესაძლოა ვერც მესამე გამოცემაში ავცდეთ შეკითხვას: რა არის ეს ნიგნი?

ამიტომ აქვე ვიტყვი: ეს არის მისტიკური დეტექტივი, – მკვლევებისა და მოწმეების თვალეში არეკლილი მსხვერპლი.

ოსკარ უაილდი – ყველაზე მახვილგონიერი

ცნობილი ირლანდიელი ბელეტრისტი, დრამატურგი და პოეტი ოსკარ უაილდი გაერთიანებული სამეფოს მცხოვრებლებმა ქვეყნის ყველაზე მახვილგონიერ ადამიანად დაასახელეს.

უაილდის მიერ შეთხზული მრავალი აფორიზმი დიდი ხანია კლასიკად გადაიქცა და მთელ მსოფლიოშია ცნობილი. სწორედ ასეთი ფრაზებით, როგორცაა: „ამერიკა ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ცივილიზაციის სტადია გამოტოვა და ველურობიდანვე დაეცა“, ან „ყოველთვის აბატიეთ თქვენს მტრებს – ეს საუკეთესო საშუალებაა მათი წონასწორობის დასაკარგავად“ – ბრიტანელ იუმორისტთა მიერ დიდი ბრიტანეთის 3 ათასამდე ტელემყურებლის გამოკითხვის შედეგად შედგენილ თავისებურ „პიტპარადში“ აღიარებულმა დრამატურგმა პირველი ადგილი დაიკავა.

ირლანდიელი უაილდი ამ ბრიტანულ რეიტინგში შეცდომით არ მოხვედრილა – XIX საუკუნეში, როდესაც ცხოვრობდა მწერალი, ირლანდია დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში შედიოდა.

იუმორისტთა პირველ „ათეულში“ ასევე მოხვდა ბრიტანელი მსახიობი, მწერალი, იუმორისტი და შოუმენი სტივენ ფრაი, რომლის ყველაზე ცნობილი ნამუშევარი სრულმეტრაჟიანი ფილმში გახლდათ ოსკარ უაილდის როლი 1997 წელს გადაღებულ ამავე სახელწოდების ფილმში.

ამას გარდა, ბრიტანელებმა მახვილგონიერ ადამიანებად დაასახელეს უილიამ შექსპირი, პოლიტიკოსი უინსტონ ჩერჩილი, ასევე პოპულარული სატელევიზიო ავტომოქუს ნამყვანი ჯერემი კლარქსონი.

„ყველაზე მწარე ენის“ მქონედ ბრიტანელებმა „რკინის ლედი“ მარგარეტ ტეტჩერი დაასახელეს – იგი მეთორმეტე ადგილს იკავებს ფრაზით: „იყო ძლიერი, იგივეა, რაც – იყო ლედი. და თუკი ამის მტკიცება გიხდებათ, საქმე ცოტა სხვაგვარად ყოფილა“.

ეკა ბუჯიაშვილი

ზარი რეკს შენთვის

*

**დოდონა კიზირიას
საჯარო ლექცია**

„თქვენ შეგიძლიათ წინ აღუდგეთ მზის ჩასვლა-ამოსვლას? ან შეებრძოლოთ სტიქიურად დატრიალებულ ქარბორბალას? ასევე ძნელია გაუმკლავდეთ საფრთხეს, რომელიც მსოფლიოსაკენ დაიძრა. ეს გლობალიზაციაა“, – ასეთი იყო გამჭოლი იდეა მოხსენებისა, რომელიც ქალბატონმა დოდონა კიზირიამ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში წაიკითხა.

ბატონი როსტომ ჩხეიძის თქმით, ინდიანას უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველი პროფესორი ბოლო დროს სწორედ ამ მტკივნეულ საკითხებს უტრიალებს და მისი დასკვნები მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ლიტერატურული თუ ფილოსოფიური თვალსაზრისით.

გლობალიზმის საფრთხის განწყობილებებითაა განმსჭვალული მისი ლექსებიც, რომელთა დიდი ნაწილი მოვლენათა წინასწარი ხედვით გამოირჩევა.

„ჩვენი მწერლობის“ სალონში ქალბატონმა დოდონამ საკუთარი ლექსებიც წაიკითხა და იმ საშიშროებაზეც ისაუბრა, რომელიც მსოფლიოს დაუპირისპირებელი სტიქიასავით ემუქრება.

ქალბატონი დოდონას თქმით, გლობალიზაციის შესახებ აზრი ორად იყოფა:

საზოგადოების ერთი ნაწილი იცავს მას, როგორც პლანეტის მომავალს და თვლის, რომ ეს პროცესები გააუმჯობესებს ცხოვრების დონეს. ეს მხარე ამ მოვლენებს სიხალედ არ მიიჩნევს და ამბობს, რომ პროცესი ჯერ კიდევ 200 ათასი წლის წინათ დაიწყო, როცა აფრიკის პირველი მკვიდრნი ევროპის კონტინენტზე გადმოვიდნენ. ობიექტურობისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ გლობალიზმის მომხრეების აზრით, ასე უკეთ გავრცელდება ინფორმაცია და ერებიც უკეთ შეძლებენ ერთმანეთის გაგებას.

მეორე მხარე, რომლის პოზიციას ქალბატონი დოდონაც იზიარებს, ამბობს, რომ გლობალიზაციის სახით კაცობრიობას უდიდესი საფრთხე ემუქრება. მომხსენებელმა ამჯერად ყურადღება გაამახვილა ეკონომიკა-ეკოლოგიის სფეროში არსებულ პრობლემებზე და იმ საშიშროებებზე, რომლის წინაშეც მცირე ერები აღმოჩნდნენ. ამ საკითხების შესახებ ქალბატონი დოდონა კიზირიას დასკვნები ასეთია:

– თუ ადრე მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ეკოლოგიური კატასტროფა მსოფლიოს 2050 წლისთვის ელოდა, ახლა სპეციალისტები ამბობენ, რომ ამ საფრთხის წინაშე პლანეტა უკვე დგას და ეს ყველაფერი ჩრდილო და სამხრეთ პოლუსებზე ყინულის დნობით იწყება. მიზეზი კი ის არის, რომ თანამედროვე გლობალისტურ პროცესებში

ერთმანეთს გადაეჯახვა ეკოლოგია და ეკონომიკა, დაიწყო უკონტროლო ნადირობა ბუნებრივ რესურსებზე, გაუმჯობესებულ ტექნიკას კი ვერ ეწევა მორალური პრინციპზე დაფუძნებული კანონი. გლობალიზაციამ შექმნა ე.წ. ზენაციონალური კორპორაციები, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესმენები გაერთიანდნენ და ამ გაერთიანებათა საქმიანობის მთავარი მიზანი გახდა ფული, შედეგი – უკონტროლოდ ათვისებული საბადოები და გაპარტახებული ეკოლოგიური გარემო.

ასიმეტრიულად დაიწყო ეკონომიკური პროცესები – ღია ბაზრები, ღია საზღვრები... და ეს სივრცე გაიხსნა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური თუ ურბანისტული მდგომარეობის თვალსაზრისით არათანაბარ ქვეყნებს და რელიგიური მრწამსით განსხვავებულ მოსახლეობებს შორის. ამიტომ პროცესებმა ქაოტური სახე მიიღო. მიგრაციის გამო განსაკუთრებით რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ პატარა ქვეყნები. მათ შორის საქართველოც. ასე თუ გაგრძელდა, მალე შესაძლოა ქართველები თავიანთ ქვეყანაში უმცირესობად იქცნენ, პროცესები ისე შეუქცევადად მიმდინარეობს, რომ ამ ყველაფრის შეჩერება შეუძლებელი მეჩვენებაო, – თქვა ქალბატონმა დოდონამ.

სალონში შეკრებილი საზოგადოება კი მომხსენებლის მოსაზრებებს ასე გამოეხმაურა:

მანანა გაბაშვილი:

– თქვენ შესაძლოა არ იცით, მაგრამ რაზეც საუბრობდით, იმ თემებს შორის არ არის საკითხი, რომელიც ქართველ მეცნიერებს არ განუხილავთ. ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ის, რომ 2004 წელს ჩვენს ქვეყანაში გააუქმეს ეკონომიკის ინსტიტუტი – ის ორგანიზაცია, სადაც ყველა ეს საკითხი დამუშავდა და ეკონომიკური ფილტრების შექმნაზე ზრუნავდნენ.

თქვენ ტორნადო ახსენეთ, მაგრამ ასეთი სტიქიის დროსაც ხომ გადარჩება ვიღაც. გლობალიზაციის პროცესშიც რაღაცას დათმობ, რაღაცას მიიღებ, რაღაცას უარყოფ... ოღონდ მთავარი ის არის, ეს ფილტრები ეროვნულ საფუძველზე დამუშავდეს.

იცით, გლობალიზაცია მე ურთიერთანამშრომლობად მესმის, მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ლოზუნგების ქვეყანაში გავიზარდეთ, ამიტომ ძალზე კარგად შეგვიძლია გავშიფროთ, თუ რა იმალება გლობალიზაციის მოწოდებების: დემოკრატიისა და ტოლერანტობის მიღმა.

დღევანდელი მოვლენების მიხედვით, გლობალიზაციის ლოზუნგებით მსოფლიო პრიმიტივიზმისკენ და ფულის გაფეტიშებისკენ მიდის. ეს არ არის ის ურთიერთობები, რაზეც უნდა იდგეს თანამედროვე სამყარო.

დოდონა კიზირია:

– პარადოქსია, მაგრამ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა გვიჩვენა, რომ გლობალიზაციის საფრთხისგან თავის დაცვა გარესამყაროსთან აღმართული კედლით შეიძლება. ცხადია, ამ „კედელში“ საბჭოთა კავშირის დროს არ ვგულისხმობ. რაღაც სხვა ბერკეტებია მოსაძებნი. იცით, ნარკოტიკების გამსაღებლები ამბობენ: ჩვენ კი არა, მისი გამოყენების სურვილს ებრძოლეთო. რატომ ვადანაშაულებთ სხვას, გარე მოვლენებს, როცა ქართველი კაცი თვითონ ირჩევს, მაგალითად, სიტყვას: „დეველოპე-

რული“, მაშინ, როცა საკუთარ ლექსიკონში აქვს მშვენიერი შესატყვისი – „სამშენებლო“.

საერთოდ მგონია, რომ საქართველომ ბევრი შეცდომა დაუშვა ამ პროცესებში. შეცდომა იყო მსოფლიო ბანკი, არასწორი ნაბიჯი იყო ნაჩქარევი პრივატიზაცია, რომელმაც, ფაქტობრივად, კრიმინალურ ელემენტებს გადასცა დიდი ქონება... ასე რომ, პასუხისმგებლობა უწინარესად ჩვენ გვეკისრება.

მანანა გაბაშვილი:

– დიახ, ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ ამას... სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ ყველა ეს საკითხი, კარგად დამუშავებული, ეკონომიკის ინსტიტუტის თაროებზე დადეს ქართველმა მეცნიერებმა, ოღონდ არ ვიცი რა ბედი ეწია მათ. სამწუხაროდ, ადრე განათლების, სამეცნიერო მუშაობის საშუალებას მაინც გვაძლევდნენ, დღეს ესეც არ გვაქვს... რაც შეეხება სახელმწიფოს... ვფიქრობ, ამ ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ, მთელი პასუხისმგებლობა მას უნდა დაეკისროს.

პაატა ჩხეიძე:

– ის პრობლემები, რაზეც ახლა თქვენ საუბრობდით და რისაც ასე გვემინია ქართველებს, უკვე არსებობს ევროპაში და ევროპა ცდილობს ამ ყველაფერს კანონით დაუპირისპირდეს. იმის თქმა მინდა, რომ როცა თქვენ კედელი ახსენეთ, აქ ქვითკირით ნაგები გალავანი კი არა, კანონმდებლობით ნაშენი კედელი უნდა ვიგულისხმოთ და ასე დაფუძირისპირდეთ ამ საფრთხეს. ყოველ შემთხვევაში, ევროპის პოზიცია ასეთია. როგორ ფიქრობთ, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას რა პოლიტიკური ფილოსოფია აქვს? როგორ შეიძლება ეს შეფასდეს?

დოდონა კიზირია:

– პოლიტიკურ ფილოსოფიაზე ვერაფერს გეტყვით. ვერც დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკურ საფუძვლებს შევაფასებ. მე საქართველოდან შორს ვცხოვრობ და ასეთი ნიუანსები და დეტალები არ ვიცი. არც ის იფიქროთ, რომ აქ რაიმე რჩევების დარიგებას ვაპირებ ან ჩემი საუბარი პანაცეა შეიძლება იყოს, უბრალოდ, ჩვენ ვმსჯელობთ ჩვენთვის მტკივნეულ საკითხებზე და ეს თემა ფართო საზოგადოების განხილვის საგნად უნდა იქცეს.

რაც შეეხება იმას, მომწონს თუ არა ის, რაც დღეს საქართველოში ხდება? გპასუხობთ: რასაკვირველია, არა! მომწონს თუ არა ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული რომელიმე მოდელი? არ მომწონს! მე ვიცი ერთი რამ – როგორი ხელისუფლება უნდა ჰყავდეს საქართველოს – უფრო მეტად პატრიოტული თუ უფრო ნაკლებად ეროვნული – ჩვენი ქვეყანა თანამედროვე პროცესებში, გლობალიზაციის თავბრუსხვევებში მონაწილეობის პარტნიორის გარეშე

ვერ იარსებებს (ვგულისხმობ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო პარტნიორებს). რაკი ასარჩევია პარტნიორი, მაშასადამე საჭიროა გარკვეული თამაშის წესიც. ამ წესის შესაბამისად კი რაღაც უნდა დათმო, რაღაც უნდა მოიგო. როგორ უნდა წარიმართოს ეს თამაში ისე, რომ უფრო მეტად მომგებიანი იყოს საქართველოსთვის? ამაზე მე, აბა, რა გითხრათ – ეს სპეციალისტებმა უნდა გადაწყვიტონ. იცით, ზოგი ამბობს, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ რუსეთთან. მე ვთვლი, რომ ეს იქნება საქართველოს საბოლოო განადგურება, მაგრამ დავდგეთ ამერიკასთან? ამ პარტნიორობამაც შესაძლოა ბევრი ცუდი მოგვიტანოს, ამიტომ ცალსახა შეფასება მიჭირს. ჩვენი ქვეყანა მეტად რთული არჩევანის წინაშე დგას...

ლევან ბრეგვაძე:

– გასული საუკუნის 60-იან წლებში ერთმა ცნობილმა ბიოლოგმა დაწერა წიგნი, სადაც ამბობდა, რომ ადამიანი ცოცხალ ორგანიზმთა შორის ერთადერთია, ვინც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გადაშენდეს. მე დავუმატე: ქართველი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პირველი გადაშენდეს-მეთქი. კატასტროფის წინაშე ვდგავართ და ეს დიდი საფრთხეა, უწინარესად, ჩვენს გენოფონდს ემუქრება.

გიორგი გაჩეჩილაძე:

– გსიამოვნებთ თქვენ თუ არა, გლობალიზაცია მაინც მოდის და მას ვერ შეაჩერებთ.

ეს არის გამოწვევა. ისტორიის ფილოსოფია კი გვეუბნება, რომ ისინი, ვინც გამოწვევებზე ადეკვატურ პასუხებს გასცემენ, რჩებიან ისტორიის სუბიექტებად და ვინც ამას ვერ ახერხებს, დარჩება სხვათა ისტორიის ობიექტად. საქართველოს დღეს იმდენი გამოწვევა დაუგროვდა, – ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლისო, – ბარათაშვილი რომ ჩიოდა, მისი სანუხარი მონაგონი მგონია.

იცით, ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ამ ხელისუფლებაზე, იმ ხელისუფლებაზე... საკუთარ პასუხისმგებლობაზე კი არაფერს ვამბობთ, არადა, თითოეული ჩვენგანი ხომ ბევრი რამით ვართ ვალდებული ერის, სამშობლოს, სახელმწიფოს წინაშე.

რაც გინდა გაგიკვირდეთ, ჯერ კიდევ 120 წლის წინათ დაგვიწერა ილიამ „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“, სადაც წერდა: მსოფლიოს მომავალი ამერიკა იქნებაო. როცა ეს ნავიკითხე, გავოცდი, ჩემთვის დაუჯერებელი იყო, რადგან ეს წერილი სრული ევროპეიზაციის პერიოდში დაუნერია. მერე ვეძებდი ქართულ ლიტერატურაში ვინმე სხვაც თუ შეეხებია ამ თემას და ერთადერთი აღმოჩნდა – გალაკტიონი.

მაკა ჯოხაძე:

– მართლაც ძალზე მტკივნეულ თემებს შეეხეთ, ასე ნაცნობს და გულთანმისატანს ათასნაირ პრობლემებში



დოდონა კიზირია

ჩამხრჩვალ თვით ისეთი ქვეყნისთვისაც კი, როგორც ჩვენ ვართ დღეს. თქვენი მოტანილი თუნდაც ერთი კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ როგორ აცლიან ზვიგენებს ფარფლებს, რომ მისგან დელიკატესი დამზადდეს და როგორ ილუპებიან ზღვის ამაყი ბინადრები, ადამიანური უგუნურების მეტაფორაა. გონებით იმდენად „წინ“ წავიდა კაცობრიობა, რომ ტვინმა შეშუპება დაიწყო, სულიერად კი ისევ ბარბაროსი დარჩა.

მაგრამ ამ გლობალური, ეკოლოგიური პროცესებიდან და კატასტროფებიდან მოდით ჩვენს ლოკალურ ტერიტორიაზე, საქართველოში დავბრუნდეთ.

ქალბატონო დოდონა! ბუნებრივია, რომ არ იცით ის, როგორც თქვენ ბრძანეთ, „ნიუანსები“ და „დეტალები“, რომელშიც ჩვენ, აგერ უკვე თითქმის ოცი წელია ვიხარებებით. და ეს ისე მეთოდურად, ტექნიკურად და ცინიკურად სრულდება, რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენი გადაქანცული, წელგანწყვეტილი აზრი და ფსიქიკა უმნიშვნელოვანესი პრობლემების ნაცვლად ათასი „წვრილმანი“ ხელშეშობრილი ათასი წვრილმანისთვისვე ხურდავდება. ამიტომ ცოტა არ იყოს, ზედაპირული ჩანს ბატონი გოგის შესხენება პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. ეს იმ ლოზუნგს ჰგავს, ძალიან პოპულარული რომ იყო სულ ახლახან – ყველამ თავისი საქმე აკეთოსო. რა თქმა უნდა, უნდა ვაკეთოთ. მაგრამ ყველაფერი რომ ამ „შენი საქმის“ კეთების წინააღმდეგაა მიმართული?..

ის, რომ ზენაციონალური გაერთიანებისაკენ მიდის მსოფლიო დღეს, ჩვენც კარგად ვიცით. ეს ზენაციონალური გაერთიანებები და კორპორაციები როგორ მართავენ დღეს მსოფლიოს და ენევიან ჩვენი ტიპის ქვეყნების ეკონომიკურ კაბალიზაციას, ამასაც ეჭვი არ გვეპარება. სხვათა შორის, ამის შესახებ ბოლო წლებში მეტად საინტერესო წიგნი გამოაქვეყნა ირაკლი კაკაბაძემ, რომელშიც ეს მექანიზმი და ე.წ. ლირიული გმირის ამასთან დაკავშირებული სულიერი შეჭირვებები ხელისგულზეა გადაშლილი. იმასაც კარგად ვხედავთ, ეს ტრანსნაციონალური კორპორაციები როგორ ყიდულობენ მთავრობებს. ვასკდებით გულს და ვფიქრობთ, ნეტა არ ვიცოდეთ, ნეტა არ ვხედავდეთ, რა თქმა უნდა, ასე უფრო ადვილი იქნებოდა ცხოვრება. ისე, როგორც, რაც უნდა „ცუდად“ ან „კარგად“ ცხოვრობდე, უცხოეთში ცხოვრება მაინც უფრო ადვილია ამ თვალსაზრისით. აბა, როგორია ყოველდღიურად უყურო, როგორ იყიდება დიდ აუქციონზე შენი სამშობლოს უკვე მარტო მთები და ზღვები კი არა, არამედ ფოთლები და რიყის ქვებიც კი...

ამ სამარცხვინო ყიდვა-გაყიდვაში იცვლება ჩვენი მენტალობაც და როდესაც ლევან ბრეგაძე ეს წუთია ჩვენს წინაშე ამბობს: „ქართველი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ყველაზე უწინ თვითონ გადამენდეს“-ო, არ შეიძლება არ დაეთანხმო, თუმცა იქვე ვბრაზდები მასზე... უკვე არა ერთი და ორი ადამიანი მეკითხება: ლევან ბრეგაძემ პაატა შამუგიას „ვეფხისტყაოსნის“ ხელყოფის ცდა როგორ შეუქო? იციან, რომ ძალიან მიყვარს ლევანი და ალბათ ამიტომ მეკითხებიან მაინცდამაინც მე. არ ვიცი, რა ხდება, ეს ჩემთვის გაუგებარია. ლევანისნაირი გონიერი, გულიანი, ინტელექტით სავსე და, რაც მთავარია, ნესიერი კაცი, ახალგაზრდის ამ საქციელს რომ ნააქებებს,

რა თქმა უნდა, ქართველები თავად ვუნყოფთ ხელს საკუთარი თავის გადაშენებას.

სულ ასეთი ტიპებისა და ამ ტიპის „ნაშრომების“ რეკლამირებას, პოპულარიზაციას არ ენევიან ჩვენი რადიოტელევიზიის პროგრამები ისედაც?!

ლევან ბრეგაძე:

– მე მხოლოდ ჩემს მოწაფეს ვიცავდი. ეს „ვეფხისტყაოსნის“ სხვაგვარი წაკითხვა იყო და მეტი არაფერი... ამ ოცი წლის წინათ გურამ დოჩანაშვილს და ლია სტურუას რომ ვიცავდი, ვინც მაშინ მეკამათებოდა, იმათ დღეს რცხვენიათ...

რეპლიკა დარბაზიდან:

– დოჩანაშვილი და სტურუა დიდი მწერლები არიან, ბატონო ლევან, პაატა შამუგიასთან როგორ აიგივებთ?..

იკა ქადაგიძე:

– ასეთი პრინციპით დაცვა როგორ შეიძლება, მაშ, რუსთაველს, „ვეფხისტყაოსანს“ ვინ დაიცავს? ხომ არსებობს ღირებულებები, რომელსაც არ უნდა შევეხოთ?.. თავის დროზე „ვეფხისტყაოსნის“ პაროდული წაკითხვა ნოდარ ნათაძემაც სცადა...

ლევან ბრეგაძე:

– ნათაძე არ ახსენოთ, თქვენ და თქვენისთანები მის ნაწერებს ვერ გაიგებთ...

იკა ქადაგიძე:

– ღმერთმა დაგვიფაროს! ისეთს არაფერს წერს ნათაძე, რომ ვერ გავიგოთ. რატომ გგონიათ, ბატონო ლევან, რომ ჩვენ, ახალგაზრდებმა არაფერი ვიცით? ჩვენი დროც დადგება... და ძალიან მალე...

* * *

ბატონი ლევან ბრეგაძე დარბაზს ტოვებს, სადღაც მიეჩქარება, თორემ სიამოვნებით შერჩებოდა აქაურობას, საღამო კი ასე სრულდება:

ნანა გოგოლაშვილი:

– აქ დღეს განათლებული საზოგადოება შეიკრიბა. ვსაუბრობთ გლობალიზაციის საფრთხეებზე და უამრავი ენობრივი შეცდომა მოგვდის. უთუოდ საფიქრებელია, რა ბედი ეწევა გლობალიზაციის პროცესებში ქართულ ენას.

დოდონა კიზირია:

– მინდა გაგახსენოთ ფრაზა: „ნურასოდეს იკითხავ, ვისთვის რეკს ზარი, ზარი რეკს შენთვის!“ ამიტომ ვთვლი, რომ ეს საფრთხე ყველას და ყველაფრის წინაშე დგას. როცა მეკითხებიან პოლიტიკაზე ან სოფლის მეურნეობის საკითხებზე, ამაზე პასუხის გაცემა ძნელია, რადგან ჩემი თემა არ არის, მაგრამ ენას რაც შეეხება, ამ თვალსაზრისით მდგომარეობა მართლაც სავალალოა. ქართულ სიტყვათა ლექსიკონს თუ ავიღებთ, ვნახავთ, რომ ბევრი ძირძველი ქართული სიტყვა თურმე უცხოური წარმომავლობისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა ენამ არაერთი სიტყვა გააქართულა თავის წიაღში, მაგრამ დღეს შემოტევიები პერმანენტულია და პროცესებიც ქაოტურად, დამახინჯებულად მიმდინარეობს. ამაზე გარკვეული შეზღუდვები და აკრძალვები უნდა დაწესდეს. საუკეთესო გამოსავალი გლობალიზაციასთან ბრძოლისა მაინც საკანონმდებლო კედელია, რომლის აღმართვაც სახელმწიფომ უნდა ითავოს, ალბათ.

რუსუდან ნიშნიანიძე

საიდუმლო ბათინებაში

ამას წინათ პარიზში გამოცემული გაზეთის, „თეთრი გიორგი“, ნომრებს ვკითხულობდი. ამ საინტერესო და მრავალფეროვან მასალაში ხშირად შეგხვდებოდა განსხვავებული მოსაზრება და გამორჩეული განწყობაც.

ერთი მაგალითი: გენერალი ლეო კერესელიძე იხსენებს ირაკლი წერეთლის კავკასიის სემის წინაშე წარმოთქმულ სამ გამოსვლას. ეს „სიტყვები“ საქართველოს მთავრობის ჩარევით ფრანგულადაც უთარგმნიათ და 1919 წელს პატარა ნიგნაკადაც გამოუციათ საფრანგეთში. ავტორი წლების შემდეგ იგონებს თავის გაცუბას, როგორ ცდილობს ბ-ნი ი. წერეთელი ახსნას გარემოება, რამაც ის და მისი თანაპარტიელები აიძულა გამოეცხადებინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა; „ბოლშევიკების დანაშაული იყო“ რუსეთისაგან გამოყოფა და ეს ნაბიჯიც.

„ჰოი, სირცხვილო“, თავში ხელს წაიშენს გენერალი: „შეეძლო ამისთანა პარტიას და მთავრობას ქვეყნის დაცვა?“ სხვა ფაქტებსაც გაიხსენებს; უკვე მოგვიანებით მომხდარს და იმ საზოგადო დასკვნამდე მივა, რომ ადამიანები ვერ დაიცავენ იმას, რაც არ სწამთ, რასაც სულიერად არ მსახურებენ.

ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. ლეო კერესელიძეც შუამდინარეთის უდაბნოში ბედუინების ცნობილი შეიხის იბნ-საიდის სტუმარი აღმოჩნდა. იმჟამად არაბთა თემები ოსმალეთს ებრძოდნენ და მათგან არანაირ დანაპირებს არ იღებდნენ (თუ არ იჯერებდნენ). სწორედ ამის მიზეზი უკითხავს მასპინძლისათვის ქართველ ემიგრანტს. იბნ-საიდს აღმოსავლური ორაზროვნებით ერთი ძველი ამბავი გაუხსენებია და უამბუნია. მსმენელი თვითონ უნდა მიხვედრილიყო სათქმელის მინიშნებას. ჩვეულებით, წმინდა რამაზანის პირველ დღეს არაბეთის შეიხები ბალდაში იკრიბებოდნენ და დოღს მართავდნენ. შეიხთა შეიხს, რაშიდ აბუ ქაზიმს, საუკეთესო ცხენის პატრონს გამარჯვება ძალიან ნდომებია. ერთ დღეს ერთ ახალგაზრდას უთხოვია, გამარჯვების უფლება მიეცა, ანუ ცხენზე შეჯდომის ნება დაერთო. შეიხმა ვინაობა ჰკითხა.

– აქამდე ყადის ვახლდით, – უპასუხა ყრმამ.

– მერე ყადი ხომ ვირით მოგზაურობს და ალბათ შენც ვირით დასდევდი უკანაო?

პასუხი დადებითი რომ მიიღო, ამან მიაღებინა გადწყვეტილება:

– არაო, – იუარა შეიხმა, წადი საითგანაც მოსულხარ, მე შენ ვერ გამომადგები, ვირზედ ნაჯდომი კაცი ბედაურზედ ვერ შეჯდებაო.

იბნ-საიდის ნაამბობი კერესელიძემ ბევრ კონტექსტში გაიაზრა.

შორეული ამბავი კია, მაგრამ იგი ლაშა იმედაშვილის მოთხრობამ „პატრიარქის ზაფხული“ („ჩვენი მწერლობა“, 2007, 14,15) გამახსენა. ძალიან საინტერესო და მრავალმეტყველი მოთხრობაა, ისეთი, ფიქრისთვის რომ განგანყოფს.

ყველაზე კარგი და დამამშვიდებელი გარემოება ადამიანებისთვის ბედისწერაა, ან დრო. აქ:

დრო იყო მშფოთვარე.

დრო იყო მთვრალივით ბარბაცა და ფეხარეული.

დრო იყო ძველის დავინწყების და ახლის ათვისების.

რომელიც გინდა, აირჩიე. თავის გასამართლებლად სამივე გამოდგება. სიუჟეტური მოქმედება მაინც სპექტაკლით იწყება. აქედან უნდა განვითარდეს მოვლენები. თბილისში ახალი სეზონი იხსენება. ლაშა იმედაშვილი მხატვრულადაც ზუსტ ფორმას უძებნის სათქმელს. სიმშვიდე და ირონია წინადადებებს ანონასწორებს. ხანდახან ეს უკანასკნელი გადასძლავს კიდევ, მაგრამ, ვფიქრობ, ეს საგანგებოდ კეთდება. წარმოდგენა, განაწილებული როლები, შემსრულებლები და რეჟისორიც, რომელმაც ფინალი წინასწარ იცის. გამოგონილ და ირეალურ ქვეყანასთან რომ არ გვაქვს საქმე (რომელსაც თავისი ბუნდოვანი სათქმელით ავტორები ხშირად პერსონაჟებიანად თვითონაც რომ აფარებენ თავს) ცხადია. ნაწარმოებში რეალური გარემო, კონკრეტული გვარებიცაა ჩამოთვლილი: რუხაძე, ქუჩიშვილი, შანშიაშვილი, ვაკელი, პოლუმორდვიანი, მამაშვილი, ეული... სხვები და თითო წინადადებიანი დახასიათებაც. მითითებულია დროც: „თავისუფალი ქვეყანა ახალ ცხოვრებას აშენებს“.

მთავარია, მწერალი რამდენ სოციალურ ფენას გამოიყენებს. ეპოქის დახატვისას სჭირდება პროკურორი (თანაშემწე მაინც), მწერალი და სიტუაციის დასატკბობად ერთიც – კონდიტერი. „ბრადიაგადან“ პატრიარქამდე ეს ადამიანები ჩამდგარან. ირონია ვახსენე. სარკაზმად გადაიქცევა, როცა შემოდის პერსონაჟი – „ქართველი მწერალი“, ჯერ გეხამუშება, შემდეგ ყურს გჭრის და ხვდები, რომ ეს კაცი არც მწერალია და, მით უფრო, არანაირად ქართველი, ამ სიტყვის სრული მოცულობით (და არა ბიოლოგიურად). „ბატონი არსენი... სახელგანთქმული მწერალი გახლდათ“, – იწყება მისი გაცნობა და იქვე დართული განმარტებაც: „იგულისხმება გასული საუკუნის ათიანი წლები“; დამატებითა დახასიათება: „საგანელიძის შემოქმედება იმთავითვე რევოლუციური იდეებით ყოფილა გამსჭვალული და ძმობა-ერთობის წითელი დროშით შეფერადებული“. ჰონორარი – სოციალ-დემოკრატი მეგობრებისთვის ნებაყოფლობით გაყოფილი. „მწერალი“ სტაბილურად ცხოვრობს. ეს არც მის შემოქმედებით აღმასვლას გულისხმობს და არც დაშრეტას, არამედ იმ კეთილდღეობას, რომელსაც ყოველი ხელისუფლების დროს თანაბრად ინარჩუნებს.

მოთხრობაში მთავარი ასინქრონული დიალოგია. ასინქრონული დროშიც და სივრცეშიც. ეს საიდუმლოა: „სამოთხის ადგილებს არიგებენ, იმას კი არავის ეუბნებიან, რომ



რახანია ყველა ადგილი შევსებულია“. რომელ ადგილებს ინანილებენ?! საგანელიძის პათეტიკა გრძელდება: „ადგილი აღარც სამოთხეშია და აღარც ჯოჯოხეთში. რა უნდა ქნას ჩვენმა მოსახლეობამ?..“ პერსონაჟის კითხვას მექანიკურად პასუხობ: ალბათ, აღარ მოკვდეს! არადა, რაა აქ საქილიკო, როცა „დიდი ხანია შეივსო ეს ადგილები“. გრძელდება ეს აბსურდი. და გრძელდება ისეთი სერიოზულობით, რომ ელოდები, ახლა ხმამაღლა გაეცინება ვილაცას; მაგრამ ღიმილიც არსად ჩანს. კითხვის ნიშანი კი ახლავს, მაგრამ ეჭვი მაინც გეპარება: „ასე ერთად ხომ არ გაგიუდებოდნენ?“ მგონი, არც უამისობაა. „ფონის პროექციის“ ხერხით სივრცე ავტორის სურვილით ლაგდება: სად საუბრობენ ეს ადამიანები. ორი ფონია: განმარტოებული სუფრა და მორგი – მიცვალებულთა საკაცების გარემოცვაში. „მწერლის“ საუბარი იმავდროულად, მოქმედებასაც გულისხმობს (ეგზე ასე ამზადებს მწერლობა მკითხველს. ამადაცაა, ასე ანგარიშგასანევი და ურთულესი საქმე).

ამ „სულების დათვლის“ თემას კიდევ ერთხელ დაუბრუნდებიან. „ვაშლი რომ იყოს, კიდევ გაიგებდა კაცი“, – ამბობს გულწრფელად შენუხებული კიკაბიძე. გაიგებდა, აბა, ვერ გაიგებდა?! ვაშლის დათვლას რალა უნდა. „განათლება სინათლეა, გაუნათლებლობა კიდევ, სიბნელე“, – ამბობს საგანელიძე. მართალია, „ქართველი მწერალი“ დიდი თანამოკალმის „პატარა“ პერიფრაზს („სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე“) აკეთებს, მაგრამ მას ეს დიდად არ ანუხებს. „სხვისი“ ნაზრევი არ სჭირდება, არც განსხვავებული ფასეულობები.

„მაიმუნები ხიდან ჩამოცოცდნენ და ცხოვრება უკვე ორ ფეხზე განაგრძეს“. რა კარგია! ოქროს ძენკეებსაც ხომ იკეთებდნენ, უფრო მეტიც, 248 მილიონი წლის წინათ ქუსლებიანი ფეხსაცმელებითაც კარგად დაბაკუნობდნენ. დინოზავრების მეზობლად ცხოვრება ხელს (და არც ნერვებს) მაინცდამაინც არ უშლიდათ. უშლიდათ კი არა, ნამდვილი მეცნიერების ჯიბრზე ე.წ. ტილორის ბილიკი აღმოჩნდა. უფრო ზუსტად, „დიდ ნაფეხურს გვერდით პატარა მიჰყვება, თითქოს უცნობი პატრონი უზარმაზარ ცხოველს ფინია ძალივით ასეირნებდა“. ერთი, ცხადია, უზარმაზარი დინოზავრი ნაკვალევს რომ დატოვებდა, მაგრამ ის პანია ნაფეხურებიც რომაა შემორჩენილი? თუ მაინცდამაინც ურწმუნო და ჩასაფრებული არა ხარ, ხომ უნდა დაიჯერო?!

ლაშა იმედაშვილის ნიჭიერებას სწორედ ეს კონტრასტული ატრაქციონი წარმოაჩენს. იგი არაერთი რემინისცენციის გაჩენის შესაძლებლობას იძლევა. თუნდაც იმგვარს, როცა პატარა ნაფეხურების გვერდით სხვაზეა საუბარი, ის იგავი არ გაგახსენდეს, უფლის სიახლოვეს რომ გულისხმობს; ხან ფრთხილად რომ მიჰყვება ადამიანს გვერდით, ხანაც შეეშვლება და ხელშიც აიყვანს...

მაგრამ ხიდან ჩამომხტარ მაიმუნებს ეს ხომ არ ეხებათ? ასე მსუბუქად მიჰყვება მკითხველი ამ ერთი შეხედვით, სისულელებს და არც კი ელოდება, რომ ეს ცარიელი თავები, ანუ ნულები ჯაჭვს შეკრავენ. მთელ ქვეყანაში საქმე არცთუ ისე კარგადაა, მეტიც, ცუდად. მოსახლეობა (მხვენელ-მთესველები თუ სხვები) გაჭირვებით ცხოვრობს; მაგრამ ეს არაა მნიშვნელოვანი. ვისაც მისი დანგრევა გადაუწყვეტია, საქართველოს ეკლესიას უნდა დაუპირისპირდეს, რადგანაც მას თავისი მცნებები აქვს, საქციელის განსაზ-

ღვრული ნორმა. ამათ კი „ახალი რელიგია“ სჭირდებათ. ცოდვა შემოდის აბსურდული ინფორმაციის სახით და მას რწმენა, ლოცვა ვერ ხვდება. ლაშა იმედაშვილი ცალკეული ამბებით ერთ მთლიანობას კრავს. პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ჩართვები, სხვადასხვა კარგად მოყოლილი ამბავი, ერთ ხაზზე დალაგებული: ჰიმალაის მთების ძირას ქალაქ ჯარმსალაში მომხდარი, ფილიპ კორიგანის სიზმრები, იაპონელი ბიჭუნას ამბავი, ექიმ ალექსიდის კლინიკა, მიშა შავგულიძის და გალინა ცინცაძის ტრაგიკული სიყვარულის ისტორია...

ფაქტი მაინც მოხდა. დანაშაული ჩადენილია. 1918 წლის 26 ივნისს მარტყოფის მონასტერში საქართველოს პატრიარქს კლავენ. საზოგადოებამ (მოთხრობის მიხედვით) ისიც კი იფიქრა, რომ თვითმკვლელობა მოხდა, თუმცა იყო სხვა ვერსიებიც: ქვაბავაზაკი ბერები, ერის მონინა-აღმდეგეები, ან კიდევ, პირადი მტრები. გამომძიებელს გამოცდილება კარნახობდა, რომ ეს თვითმკვლელობა არ უნდა ყოფილიყო და საქმე „ანაფორიან დამნაშავეებთან“ ჰქონდა. საგანელიძემ ორი საქმე გააკეთა: ეკლესიის მწყემსმთავარი გაინირა და სამღვდლოებასაც ცოდვის ბრალდების ჩრდილიც გადაეფარა. განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა მონასტერში სადარაჯოდ და ალბათ სათვალთვალოდაც სამი მილიციელი დატოვა (ვინ თქვა, ერთი გასროლით ორი კურდღელი არ კვდებაო?).

შემსრულებელი, მკვლეელი ლეო კიკაბიძე აღმოჩნდა. ფიზიკური მსგავსების გამო, იგი ყველამ მამა იობად აღიქვა. კოლეგებს დიდი ხნის გამოტირებული და დავინყებუელიც ჰყავდათ. „ახალი“ საქართველოს შენებას მსხვერპლი სჭირდება და, თუ ამ მიზნით პირველი ზვარაკი პატრიარქი აღმოჩნდება, „შენება“ სწორედაც ზედმეტი და დამცინავი სიტყვაა, „ახალი“ – ზუსტი; და ეს ახალგამომცხვარი „მშენებელი“ მკვლელობის მომზადების გეგმას და შესრულების დეტალებსაც უშეცდომოდ, თანამიმდევრულად მოყვება. ეს იმდენად დაუჯერებელია გამომძიებელ მიქელაძისთვის, რომ ყურადღებით აღარც უსმენს. კიკაბიძის სიტყვებში მონანიების მარცვალიც არ არის. წესრიგი იქაა და ის, სადაც საგანელიძეა და როგორც თავადაც მიიჩნევს. პროკურორის თანაშემწემ საკუთარი თავი არაცნობიერად გააივივა „თალღითებთან მებრძოლთან“, „გადამრჩენელთან“ და რაც მთავარია, მომავალი საქართველოს მთავარ პროკურორთანაც. ეს არცთუ იშვიათი განცდაა ამ ყაიდის ადამიანებისთვის: სანუკვარ მიზანს მაინცდამაინც გმირის მანტიით უნდა მიაღწიონ. და ეს არაა იდეოლოგია, ანუ შეხედულებათა სისტემა. ეს აკვიატებული იდეებია. არადა, ტექსტის დასაწყისი თითქოს იძლევა იმის შესაძლებლობას, დაიტოვო აზრი, რომ თანაშემწე „მწერლის“ პროვოკაციას არ წამოეგება. უფრო მეტიც, დანაშაული მისგან შორსაა (აკი სხვისი სიმართლის დადგენას დაკვირვებით ეკიდება).

ასე მგონია, მოთხრობის ავტორის მიზანი არაა, ნათელი მოჰფინოს საქართველოს პატრიარქის ბურუსით მოსილი მკვლელობას, არამედ აჩვენოს, როგორ შეიძლება მომზადდეს ამგვარი მოვლენები. „იდეით“ შეპყრობილი ადამიანები ძალიან საშიშია; შემსრულებლები, ვისთვისაც ჩნდება კერპები და კერპი ხომ იმის კერპია, უმაღლესს რომ ჩაენაცვლოს.

ნუთუ კარგი არაფერი ხდება ამ ქალაქში?! სურათი ასეთია: ქართული უნივერსიტეტის, ასევე, მუსიკალური საზოგადოებისათვის გადასაცემი, საეკლესიო გალობის ნოტების დასაბეჭდად, ქართველ მწერალთა თხზულებების გამოსაცემად, ეკლესიის სამკითხველოების დასახმარებლად ბევრი უფიქრიათ, თანხებიც გაუთვალისწინებიათ, შეუგროვებიათ კიდეც, მაგრამ გამთენიისას ყველაფერი დაიკარგება. გაიქურდება ის სახლი, სადაც ეს ყოველივე ინახებოდა. გასაგებია მინიშნება: გათენებამდე ჯერ კიდევ შორსაა, კეთილი საქმის გაკეთებამდეც. დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან – სულით ავადმყოფთა თავშესაფრის სასაფლაომდე. ძალიან მკაცრი ხომ არ არის ავტორი? (ეგებ არა, მთანმინდაც ხომ იფარავდა რამდენიმეს). მოთხრობაში კიდევ არაერთი კოლორიტული პერსონაჟია დახატული; იგივე, ლეონტი არსენიძე, მწერლური ფსევდონიმით „ბრადიაგა“. ლექსებსაც რომ წერდა და ერთ-ერთმა პირველმა რომ ასწია ნითელი დროშა; სიცოცხლის ბოლო წლები საავადმყოფოს მორგში იმუშავა და იქვე მოკვდა. ცნობილი ტერორისტი იროდიონ ვაჩიბერიძე (მეტსახელად ახო). ინვალიდი, მარცხენა ხელს რომ ვერ ხმარობს და ზედ შავი ხელთათმანი აცვია, მაგრამ კეთება (მარჯვენათი) ჯერ კიდევ ბევრი ცუდის შეუძლია. ბოლოს,

ის ნითელი საქართველოს პირველი ჯანმრთელობის კომისრის მოადგილე ხდება.

ზოგადად, ლაშა იმედაშვილის ნაწარმოებები საინტერესოა როგორც მხატვრული, ასევე, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. მისი ცნობილი წიგნი „სამი მკვლევომა ძველ თბილისში“ გამორჩეულია ამ ასპექტით. აქ ერთი და იგივე ესთეტიკაა და კომპოზიციური საყრდენი – სათაური. ეს არ არის ეფექტური სიუჟეტები, ეს მიმანიშნებელი, დამაფიქრებელი, ღრმა სურათებია. ერთი რამ კიდევ მინდა ვთქვა. დეტექტივში მკითხველი „ეძებს“ მკვლელს, ეჭვი მიექვს ამა თუ იმ პერსონაჟზე, ჩასაფრებული აკვირდება. ამ ტექსტებში, ვფიქრობ, მთლად ასე არაა. ფიქრობ პროცესზე, რომელმაც ეს შედეგი მოიტანა და არა დეტალებზე. თუმცა, სიუჟეტი ამ ფორმითაა მოწოდებული, საზოგადო აქცენტი მაინც სხვა რანგზე მოდის. შესაძლოა, არაერთი ძალიან ნაცნობი ფაქტი, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, დიდი გულისყურითაც გაიხსენო.

როგორც ვთქვი, ლაშა იმედაშვილის ნაწარმოებები დიდ საფიქრალს ტოვებენ. ერთი რამ ცხადია, ეს ადამიანები ბედაურზე ვერასდროს შესხდებიან, ისიც საკითხავია, ვირზე აფორთხება მოახერხონ. ერთი რამ კი უეჭველია, ისინი ყადის გარეშე ვერასოდეს გაძლებენ.

მიხეილ შვიდკოი

შინაურნი და უცხონი*

გურამ ბათიაშვილს ყოველთვის ანუხებდა საქართველოს ბედი ისტორიულ ქარტეხილთა პერიოდებში – იქნებოდა ეს გეორგიევსკის ტრაქტატის წინარე მოვლენები, რუსეთთან კავშირი რომ განსაზღვრა, 1832 წლის შეთქმულება თუ გამეფება თამარისა. ასე იყო ჯერ კიდევ შორეულ საბჭოთა ხანებში, როცა მას იცნობდნენ, როგორც ავტორს თანამედროვე პიესებისა, ბევრ ენაზე რომ ითარგმნებოდა და სსრკ-ს სხვადასხვა თეატრის სცენაზე იდგმებოდა. იგი იყო ერთ-ერთი უსაყვარლესი ავტორი მოსკოვის ჟურნალისა „თეატრი“, სადაც ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, დაახლოებით 30 წლის წინათ.

ის ერთ-ერთი იმათთაგანია („სწორთა შორის პირველი“ უნდა დავასახელო ბადრი კობახიძე, დახვეწილი მამაკაცი, მსახიობი და რეჟისორი, ჩემი და გურამის დაუფინყარი მეგობარი), ვინც გახსნა ჩემთვის საქართველო არა მხოლოდ როგორც სუფრასთან ღვინისა და მჩქეფარე ხე-

ლოვნების ქვეყანა, კურთხეული ოაზისი ამ რეგლამენტირებულ საბჭოთა ცხოვრებაში, არამედ როგორც მინა, დიდებული თავისი ტრაგიკული ისტორიით, მშობელი გმირებისა და არამზადებისა, ისტორიით, რომელმაც იცოდა უფსკრულები გაცემებისა და დაცემებისა, – და სიმაღლეები ტიტანური, ღვანლმოსილი ძალისხმევისა, ბოლოსდაბოლოს, რომ იხსნა ეს ქვეყანა საბოლოო გაქრობისაგან მსოფლიოს გეოგრაფიული და პოლიტიკური რუკიდან.

საქართველოს ისტორია იზიდავდა და ხიბლავდა გურამ ბათიაშვილს თავისი გარდაუვალი გამოცანებითა და მეტამორფოზებით, აწვალბდა პასუხების დაუსრულებელი ძიებებით ამდენი ტანჯვის და გადასარჩენად არჩეული გზების უტყუარობის შესახებ.

თეატრის ადამიანი, გაზრდილი ქართულ თეატრალურ კულტურაზე, გამაერთიანებელი რომანტიკული გროტესკისა და ეროვნული გრძნობებით გამსჭვალული ფსიქოლოგიური რეალიზმისა. მან პროზაშიც შექმნა ისტორია სახიერი სცენიური სურათებით, შუქ-ჩრდილების თამაშით, მომხიბვლელი ტემპორიტმული აგებულებით.

მისი ფრაზა თეატრალურია, ის თითქოს მზადაა ტრანსფორმირდეს დრამატურგიულ ქსოვილში და წარსდგეს მაყურებლის წინაშე.

რომანი „ადამიანი ბაბილონიდან“ გამონაკლისი არ არის. მასში განსხეულდა ქართული ენის თეატრალურობა, ასევე ქართველ ებრაელთა ენისაც.

რუს ადამიანს, თანაც საბჭოთა ხანაში, გარკვეული ინტელექტუალური და მორალური ძალისხმევა სჭირდებოდა იმისათვის, რომ გურამში არაქართველი გაერჩია, თუმცა თბილისელთათვის ამაში უცხო არაფერი იყო: ჩვენთვის, მეგობრულად განწყობილი უცხოებისათვის, ქართველი ებრაელები უწინარესად ქართველები იყვნენ,

წინასიტყვაობა გურამ ბათიაშვილის რომანის „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“ რუსული გამოცემისათვის.

საქართველოს მცხოვრებთათვის კი მათი თანამემამულენი, აბსოლუტურად ქართული (ჩვენი გაგებით) გვარებით, რა თქმა უნდა, ებრაელები იყვნენ – მუდმივად პატივცემული, მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც განკერძოებული ნაწილი ადგილობრივი საზოგადოებრიობისა.

„ადამიანი ბაბილონიდან“ – ეს არის რომანი პატრიოტიზმზე, სიყვარულზე მამულისადმი, რომელსაც უკავშირდები არა ბიოლოგიურად, სისხლისმიერი უფლებით, არამედ უფლებით გრძნობისა და გონებისა, უფლებით ნამოღვაწევი შემოქმედებისა. ხვედრით არა, მაგრამ მონაწილეობით, რადგან საქართველოს ბედი ეს არის ბედი ყველასი, ვინც ცხოვრობს ამ კურთხეულ მიწაზე – ასე სასურველზე ყოვლისშემძლე და მეომარი მეზობლებისათვის. საქართველოს გადარჩენა დამოკიდებულია სიბრძნეზე მმართველებისა, ხელსაყრელი კავშირების დამყარება რომ შეუძლიათ და თავდადებაზე მისი მოქალაქეებისა, ვისთვისაც ძვირფასია ეს ქვეყანა, მისი თავისუფლება და აყვავება. საქართველოს კეთილდღეობისათვის მმართველთა ანგარება უფრო საშიშია, ვიდრე უცხოტომელთა მუხანათობა.

შინაომები და შუღლი ფეოდალთა შორის, მეფის დასამორჩილებლად რომ იბრძოდნენ, ისტორიული რომანის თავისებური, ქრესტომათიული კლასიკა, – და ბედი ქართველი ებრაელებისა, ამ ომის ტყვენი და მსხვერპლნი რომ იყვნენ, – ქმნის გურამ ბათიაშვილის შემოქმედების ფაბულას.



ლას. საქართველოს ბედი მისთვის თავისი ხალხის ბედთანაა გაიგივებული და სხვაგვარად ვერც წარმოუდგენია.

გურამ ბათიაშვილის ახალი რომანი ეხმიანება დიდ თანამედროვე პროზას – საკმარისია გავისხენოთ ლიონ ფოიხტვანგერის „ესპანური ბალადა“. ებრაელთა ბედი დიასპორაში – ეს დამოუკიდებელი არჩევანია: პატივმოყვარე (თუნდაც ძალაუნებური) განკერძოება გარშემომყოფთაგან, იძულებითი ხვედრია, – ან შემოქმედებითი შეზავება სხვა ეთნიკურ, სოციალურ თუ კულტურულ გარემოსთან.

„გეტტოს“ მარადიული კანონია: სხვებზე უკეთესი უნდა იყო, ყველასნაირი რომ გახდე“. და ამიტომაც გერმანელი ებრაელები თავგამოდებულად უჭერდნენ მხარს ბრძოლის პარტიას კაიზერის გერმანიაში, რუსი ებრაელები კი

ანთებულნი მოუწოდებდნენ საომრად მეფის მმართველობის გამარჯვებული დასასრულისათვის და თავიანთ შვილებს ფრონტზე უშვებდნენ. და ეს ყველაფერი ხდებოდა ოც წელზე ნაკლები ხნით ადრე ჰოლოკოსტის დაწყებამდე. თუმცა, ბრძენი ზანკანისთვის – მორდხევის ვაჟისთვისაც კი ამოუცნობი რჩებოდა ეს ყველაფერი.

იგი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ შეიძლებოდა ემსახურა საქართველოსთვის, ქართული სახელმწიფოსთვის, ქართველი ხალხისთვის, და თანაც ისე, რომ საკუთარი მეობისათვის არ ეღალატა.

და ის მართალი იყო თავისებურად.

გამოხმაურება

კახა კაციტაძე

საქართველოს ბედი ცივილიზაციითა შეჯახებისას

ირაკლი ბათიაშვილის „ისტორიის დასასრული თუ ცივილიზაციათა შეჯახება“ ბევრი ასპექტით არის საინტერესო. ჯერ ერთი, თუ გავისხენებთ, რა პირობებში იწერებოდა, ამ ნაშრომის შექმნა ფილოსოფიური გმირობის ტოლფასია.

ნაშრომი ეხება ფილოსოფიისათვის უაღრესად აქტუალურ თემატიკას, დისკუსიას, რომლის ფესვები ჰეგელსა და შპენგლერთან არის გადგმული, და რომელიც მე-20 საუკუნის დასასრულს აკადემიური პრობლემიდან მოულოდნელად იქცა პოლიტიკის პრობლემად. და ბოლოს,

ირაკლი ბათიაშვილისათვის ფუკუიამასა და ჰანტინგტონის ნაშრომების განხილვა არ არის თვითმიზანი ან პირინმინდად აკადემიური ინტერესის საგანი. ნაშრომის ბოლო გვერდები ეძღვნება იმას, თუ როგორი შეიძლება იყოს საქართველოს მომავალი ისტორიის დასასრულისა და ცივილიზაციათა შეჯახების თეორიების კონტექსტში.

აქ მიზანშეწონილი იქნება, ორიოდ სიტყვით თუ შევეხებით ამ თეორიის ძირითად დებულებებს (ამას ავტორი დანვრილებით და მშვენივრად აკეთებს). ფუკუიამას თეორია ჰეგელის ფილოსოფიის ერთგვარი რეაბილიტაციაა (ჰეგელი ფრიად იყო ათვალისწინებული ლიბერალიზმის თვალსაზრისზე მდგომი ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერულ წრეებში).

ჰეგელის მიხედვით, ყოველივე, რაც არის, რაღაცნაირი გამოვლინებაა აბსოლუტისა. ისტორიაში აბსოლუტი ვლინდება თავისუფლების ხარისხის ზრდის ფორმით. მაგალითად, აღმოსავლეთში მხოლოდ ერთი პირი – ხელისუფალი, მეფე, ფარაონი, იმპერატორი და ა.შ. – არის თავისუფალი, დანარჩენი მონაა. ანტიკურობაში ზოგი თავისუფალია, ზოგი მონაა. მოდერნის ეპოქაში დგება პერიოდი, როდესაც პრინციპში ყველა თავისუფალია ანუ

თანასწორია კანონის წინაშე. დგება კონსტიტუციური წყობა, რომლის დროსაც ქვეყანა იმართება კანონებით. ამით ისტორია არსებითად სრულდება. რასაკვირველია, არა იმ აზრით, რომ აღარაფერი მოხდება, არამედ – ისტორიის საფუძვლადმდებარე პრინციპი – თავისუფლება თავის ლოგიკურ განხორციელებას აღწევს.

ფუკუიამამ გააცოცხლა ჰეგელის ეს თეორია, ცხადია მე-20 საუკუნის რეალიების გათვალისწინებით. მასთან ჰეგელისეული კონსტიტუციური წყობის ადგილს ლიბერალური დემოკრატია იჭერს. ლიბერალურმა დემოკრატამ მოახერხა დაემარცხებინა თავისი მტრები – ტოტალიტარული იდეოლოგიები და ავტორიტარული რეჟიმები. მე-20 საუკუნის ბოლო ოცნლეულში ხდება ლიბერალური დემოკრატის ტრიუმფალური სვლა ევროპაში, აზიაში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაშიც კი (აპარტიდული სისტემის მოშლა სამხრეთ აფრიკაში).

ყოველივე ეს ფუკუიამას აძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ დასავლური ლიბერალური საზოგადოების გამარჯვება გლობალურ დონეზე მხოლოდ დროის და, ასე ვთქვათ, ტექნიკის საქმეა და ამ აზრით ისტორია დასრულდა. თუმცა როგორც ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიზაციის ბუშისეული პროექტის მარცხმა აჩვენა, ფუკუიამას დასკვნები ერთგვარად ნაჩქარევი იყო.

ფუკუიამას პროექტის ალტერნატივა შეიმუშავა ჰარვარდელმა პროფესორმა ჰანტინგტონმა. განსხვავებით ფუკუიამასაგან, ის ჰეგელს კი არა, შპენგლერს ემყარება. მართალია ჰანტინგტონი არ იზიარებს შპენგლერის ყბადაღებულ თეზის დასავლეთის მზის ჩასვების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ეს ოდიოზური თეზისი ჩინებული პროგნოზი იქნება, თუ „დასავლეთში“ დასავლეთ ევროპას ვიგულისხმებთ. „ცივი ომის“ ხანაში მისი მზე მართლაც ჩაესვენა და მსოფლიო ლიდერობაზე პრეტენდენტებად ამერიკა და სსრ კავშირი მოგვევლინენ. მაგრამ ჰანტინგტონი ამას არ გულისხმობს. იგი იზიარებს შპენგლერის მიერ ჰეგელის კრიტიკას, რომ არ არსებობს ერთიანი საკაცობრიო ისტორია. ის თანაარსებობის პროცესში მყოფი, მაგრამ მაინც განსხვავებული ცივილიზაციების ისტორიაა, რომელთა შორის დასავლური მხოლოდ ერთი – და არა ერთადერთი – ცივილიზაციაა. ტოტალიტარიზმზე ლიბერალური დემოკრატის გამარჯვება თავისთავად ვერ მოიტანს საყოველთაო მშვიდობას. ვერ მოიტანს იმიტომ, რომ გლობალიზაციის პროცესში ეს ცივილიზაციები ერთმანეთთან დაძაბულ, ხოლო ზოგ შემთხვევაში კონფლიქტურ ურთიერთობებში შედიან, რასაც ცივილიზაციათა შეჯახება მოსდევს.

რომელი თვალსაზრისია მართალი – ფუკუიამასი თუ ჰანტინგტონის? ირაკლი ბათიაშვილი მოულოდნელ, ერთი შეხედვით პარადოქსულ, მაგრამ ჭეშმარიტ პასუხს იძლევა: ერთიცა და მეორეც. ორივენი მართლები არიან, ოღონდ სხვადასხვა მიმართებით. ფუკუიამა მართალია, რომ კაცობრიობას არ შეუქმნია ლიბერალურ დემოკრატიაზე უფრო სრულყოფილი მმართველობის ფორმა და, როგორც ჩანს, ვერც ვერასოდეს შექმნის. მეორე მხრივ, ჰანტინგტონიც მართალია, რომ ლიბერალური დემოკრატის უპირატესობანი თავისთავად ვერ იქნება მისი გლობალური დამკვიდრების საწინდარი. და რომ ამგვარი დამკვიდრების გზაზე მრავალი წინააღმდეგობაა მოსალოდნელი.

აქ წამოიჭრა საკითხი: სად არის საქართველოს ადგილი ლიბერალური დემოკრატის დამკვიდრებისა და ცივილიზაციათა შეჯახების პროცესების ამ რთულ ურთიერთქმედებაში. ირაკლი ბათიაშვილის აზრით: „ჩვენთვის, ქართველებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დასავლეთის ბედი ცივილიზაციათა შეჯახების ამ ერაში. რატომ? საქართველო გარკვეულწილად უკვე მიეკუთვნება დასავლურ

ცივილიზაციას და ჩვენში ფეთქავს მძლავრი ტენდენცია ამ სამყაროში უფრო მჭიდრო ინტეგრირებისა... ჩვენ წარმოვადგენთ მართლმადიდებლური სამყაროს ორგანულ ნაწილს. მაგრამ მეორე მხრივ ასევე ბუნებრივია საქართველოს სწრაფვა დასავლური სამყაროსადმი: ჩვენთვის ბუნებრივია ბევრი ისეთი რამ, რაზეც დგას დასავლური ცივილიზაცია: ანტიკური მემკვიდრეობა, სოციალური პლურალიზმი (ამას ადასტურებს თუნდაც ფეოდალიზმის სრულფასოვანი ტრადიცია საქართველოში) და განსაკუთრებით ინდივიდუალიზმი (ხაზი ავტორისაა). სწორედ ქართულ ინდივიდუალიზმშია დასავლეთთან ჩვენი ნათესაობის და სიახლოვის „გენეტიკური“ საფუძველი“.

ძნელია რაიმე დაამატო ამ დასკვნას. შესაძლოა მხოლოდ ის, რომ რუსული პროპაგანდის გამოგონილი თეზისი, თითქოს მართლმადიდებლობა და დასავლეთს მიკუთვნებულობა ერთმანეთს გამორიცხავენ, ყალბია.

დღეს აღარავინ იღავებს, რომ მართლმადიდებლური საბერძნეთი, რუმინეთი და ბულგარეთი დასავლეთის ნაწილია, და რომ სერბეთიც ამ გზას ადგას. ამიტომ ჩვენთვის მართლმადიდებლობა და დასავლეთს მიკუთვნებულობა ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს.

დასასრულ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ირაკლი ბათიაშვილის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის ფილოსოფიური მუშაობის გაგრძელება გმირობის ტოლფასია. ამასთან, ნაშრომი წარმოადგენს მაღალი დონის ფილოსოფიურ გამოკვლევას.

XIII საუკუნის ყურანი კრისტის აუქციონზე რეკორდულ ფასად გაიყიდა

ყურანი, დათარიღებული XIII საუკუნის დასაწყისით, 23 ოქტომბერს ლონდონში, კრისტის აუქციონზე 1,14 მლნ ფუნტ სტერლინგად გაიყიდა (2,32 მლნ აშშ დოლარი).

გადახდილი თანხა წიგნისათვის, რომლის უმთავრესი ტექსტი ოქროთია დანერდი, ხოლო კომენტარები — ვერცხლით, რეკორდული აღმოჩნდა ყურანისა და სხვა, ისლამთან დაკავშირებულ მანუსკრიპტთათვის. რარიტეტის ახალმა მფლობელმა არ ისურვა ვინაობის გამხელა.

ქეთევან მეგრელიშვილი

ასე იტყოდა ეკლესიასტა

*

ნატო გაგნიძის მონოსპეიტაკლი
„Ecce femina!“

„სანამ წერას დავიწყებდი, ცამეტი წელიწადი მსახიობი ვიყავი, დრამის მსახიობი. წერა იმიტომ დავიწყე, რომ მიინდა მქონდეს საკუთარი თეატრი... ცამეტი წლის მანძილზე უამრავ რეჟისორთან ვიმუშავე და დავინახე, რომ რეჟისორები, ძირითადად, იმით არიან დაკავებულნი, რომ თავის ნებას ახვევენ აქტიორს, და ეს მტანჯველი სურათია!

ამას ბევრად ჯობია გქონდეს საკუთარი თეატრი და შენ თვითონვე იყო შენი ნების განმახორციელებელი! თუ ამ ჩემს ფიქრს, ამ ჩემს ოცნებას განხორციელება არ უნერია, დე, დარჩეს ქალაქდზე! სულ ერთია, როდესაც პიესას წერ, კიდევაც დგამ და კიდევაც თამაშობ ყველა როლს! ეს არის აბსოლუტურად მკაფიო შეგრძნება. და ეს შეგრძნება ყველაზე ძვირფასია ამქვეყნად“, – წერდა მსახიობი **ნატო გაგნიძე** პიესების კრებულში „ღმერთი იცინოდა...“

ათი წელი გავიდა მას შემდეგ. ქალბატონ ნატოს თავისი თეატრი, ჯერჯერობით, არ აქვს.

თუმცა ყველაზე ძვირფას შეგრძნებას ამქვეყნად ისევ ინარჩუნებს:

ის წერს პიესებს...

დგამს წარმატებულად...

თამაშობს შთამბეჭდავად...

და სცენაზე გადააქვს თავისი ეპოქას ამხედრებული პერსონაჟების სულის დავიდარაბა.

„Ecce femina!“ (აჰა ქალი!) – ასე ჰქვია მონოსპეიტაკლს, რომლის დამდგმელიც, პიესის ავტორიც და შემსრულებელიც თვითონ არის.

სპექტაკლი (რეჟისორი **მიხეილ ბუკია**; მხატვარი **სოფო კიკაბიძე**; მუსიკა **ჯგუფი „ადიო“**; ტექნიკური რეჟისორი – **ნატა არველაძე**. გამოყენებულია **ჯოვანო პალესტრინას** მუსიკა) უკვე რამდენიმე წელია ქართული თეატრის სხვადასხვა სცენაზე თამაშდება წარმატებულად.

ლად. ამჯერად სპექტაკლმა თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო საბავშვო თეატრის სცენაზე გადაინაცვლა.

ქალბატონ ნატოსთან ინტერვიუს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ, მანამდე კი ცოტა რამ თავად სპექტაკლსა და შთაბეჭდილებებზე:

„ამაოება ამაოებითა... თქვა ეკლესიასტემ – ყოველივე ამაო.

რას ჰმატებს ადამიანს შრომა, რომელსაც ის მზისქვეშეთში ეწევა?

თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე“.

რისი მომტანია ტანჯვა და ჯაფა წუთისოფლის გზასავალზე, თუკი გამრუდებულს ველარ გამართავ და ნაკლულს ველარაფრით შეავსებ?

რად ვიბადებით, თუკი ყოველივე ისევ ერთ ადგილას მივა – მინადვე იქცევა ყველაფერი, სული კი ღმერთს დაუბრუნდება?

რად შეექმნა ადამიანს საკუთარი თავისთვის ამდენი თავსატეხი, თუკი სამშობლოს თავგანწირვაც კი ვერ დაუამებდა ტკივილს?..

და მოუყვებოდა წუთისოფლის გზას ტვირთით დამძიმებული კაცი...
ქალიც მოუყვებოდა.

ქალი მამაკაცის გვერდით.

ქალი მარტოც.

ქალი ვაზის ჯვრით, მეფის კვერთხით, დედოფლის გვირგვინით, წამებულის მანტიით...
აჰა ისიც –
აჰა ქალი ქალის წილხვდომილ ქვეყანაში:
წმინდა ნინო კაპადოკიელი – ქართველთა განმანათლებელი.

მეფე თამარი – დავითიან-ბაგრატიონთა ტახტის მემკვიდრე – მუზარადიანი, ჯავარდნიანი...

ქეთევან წამებული – სპარსეთის სამეფოს ქალაქ შირაზში შაჰ-აბასის ბრძანებით ნაწამები... სამშობლოსათვის, რწმენისათვის...

და უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი – მარიამ ციციშვილი, რუსულ მუნდირს რომ არ შეეპუა და ხანჯალი აძგერა გენერალ ლაზარეუს საკუთარი და სამშობლოს ღირსების დასაცავად.

მოდოღნენ და რწმენას უნარჩუნებდნენ საქართველოს წუთისოფლის გამრუდებულ გზებზე, რადგან:

„ჩვენ, ადამიანთა მოდგმას, სამი ერთგული მეგობარი გვყავს, სამი ნიჭი, სამი ბურჯი, სამი გზა უძვირფასესი, რომლითაც შემოვა და დაივანებს ჩვენში სულიწმინდა – რწმენა, იმედი და სიყვარული!“



ნატო გაგნიძე

და აჰა ქალი –

ქალი ქალის წილხვედომილი ქვეყნის ისტორიიდან, სამივე ნიჭი, სამივე ბურჯი რომ გადაურჩინა სამშობლოს.

ამაოება ამოვებითა?..

არა და არა!

არაფერია ამო ამ „უდასაბამო წუთისოფელში“... –

ახლა ასე იტყოდა ეკლესიასტე.

* * *

რამდენიმე შთაბეჭდილება, ჩანერილი სპექტაკლის შემდეგ...

სოსო ხინდრავა, მსახიობი:

„ძალზე კარგი სპექტაკლია, ბრწყინვალე ტექსტია, სამსახიობო ხელოვნება – მაღალოსტატური. ნატო სცენაზე შესანიშნავია, განსაკუთრებულად შთამბეჭდავია ფინალური ნაწილი. თუმცა ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ტექსტი დიდია, წარმოდგენა მონოსპექტაკლისათვის საკმაოდ დიდხანს გრძელდება და რაკი მოზარდმაყურებელთა თეატრის სცენაზე თამაშდება, ხომ არ იქნება ეს ცოტა ძნელი აღსაქმელი ყმაწვილთათვის. ცხადია, ეს ჩემი აზრია და თქვენ, შესაძლოა, არც გაიზიაროთ“.

ანანო სამსონაძე, კინოსა და თეატრის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი:

„ფვიქრობ, ძალზე საინტერესო ფაქტის მომსწრენი გავხდით – მოზარდმაყურებელთა თეატრში გამოჩნდა განსხვავებული ჟანრის სპექტაკლი და, რაც ყველაზე მთავარია, მეტად მნიშვნელოვანია თემატიკა – წარმოჩენილია ოთხი დიდი ფიგურა, ოთხი ქალი საქართველოს ისტორიიდან: წმინდა ნინო, თამარ მეფე, ქეთევან დედოფალი და მარიამ დედოფალი.“

მონოსპექტაკლმა ძალზე კარგად გამოავლინა მსახიობის ნიჭი. ქალბატონ ნატოს სცენაზე ბევრნაირი გარდასახვა უნევს და საკმაოდ შთამბეჭდავად ართმევს თავს. გამორჩეულად კარგია ფინალური სცენა – იმ მოწამებრივ გზაზე, ამ ადამიანებმა რომ განვლეს, არაფერი ყოფილა ამო, მათი ტანჯვა სრულდება ოპტიმიზმით, რომელიც ეხმარება ერს, კვლავ გააგრძელოს თავისი გზა.“

შესაძლოა ცოტა შესაცვლელი იყოს სპექტაკლის ტემპორიტიმი კონკრეტულად ამ სცენისათვის, თორემ საერთო ჯამში ყველაფერი მისაღებია – მსახიობს გამოძებნილი აქვს ისეთი გამომსახველობითი ხერხები, რომ წარმოდგენა გამართულია რეჟისორულად, სტილურად, მხატვრულად... საინტერესოა მუსიკალური ქარგაც და ეს ყველაფერი მონოსპექტაკლს, როგორც სინთეზურ ხელოვნებას, ძალზე საინტერესო სანახაობად აქცევს. ამ ჟანრში ასეთი სრულყოფილების მიღწევა ხომ გაცილებით რთულია“.

მიხეილ ბუკია, სპექტაკლის რეჟისორი:

„პიესა პირველად ათი წლის წინათ დაიდგა. მუშაობის პროცესი საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა, თუმცა ნატოს ყველაფერი აწყობილი ჰქონდა გონებაში და სპექტაკლიც შედგა – ამდენი ხნის მანძილზე სხვადასხვა სცენაზე გათამაშდა. პირველად სტუდენტურ თეატრში „სპარტაკი“, მერე – თეატრალურ სარდაფში, „ჯიბის“ და ახმეტელის თეატრებში... ახლა კი ამ სცენაზე გადმოვიტანეთ. მიიღებს თუ არა მოზარდის ასაკის მაყურებელი? მგონი კი. იცით, ჩვენ გვიჩვენებია ეს სპექტაკლი მიუსაფარი ბავშვებისთვის. პირველი ათი წუთი გაუჭირდათ, ვიდრე ამ ჟანრის „თამაშის წესებში“ გაერკვეოდნენ. მერე კი დიდი ყურადღებით უსმინეს და ძალზე სწორი რეაქციებიც ჰქონდათ.“

ხანდახან სპექტაკლში მიზანსცენებიც იცვლება. მაგალითად, ახმეტელის თეატრში ხიდი ჩავრთეთ, ამ სცენაზე კი, სპეციფიკიდან გამომდინარე, სივრცის სიღრმე გამოვიყენეთ...“

უკვე მერამდენედ ითამაშა ნატომ ეს სპექტაკლი, მე კი ყოველ ჯერზე ძალიან ვვლავ. აი, ახლაც, ვიდრე დამთავრდებოდა, ჩემი დამემართა. თეატრის ემზიცი ალბათ ეს არის. კინო ხომ არ არის, ერთხელ გადაიღო და ფირი ატრიალო. ამიტომაცაა, რომ ყოველი ახალი წარმოდგენა განსხვავებულია, თავისებური... მგონი დღეს ყველაფერი კარგი იყო. თქვენ... თქვენ რას იტყვით?“

მიხეილ ანთაძე, თეატრის ხელმძღვანელი:

„პირველ რიგში შინაარსობრივი მხარე უნდა გამოვარჩიო – ეს თემატიკა ქართველ კაცს გულგრილს არ დატოვებს. ახლა თუ მსახიობის ოსტატობასაც გავითვალისწინებთ, ძალზე შთამბეჭდავ სანახაობას ვიღებთ. წარმოდგენის მერე შევნიშნე, რომ მაყურებლებს (განსაკუთრებით მამაკაცებს) ყელში ბურთი ჰქონდათ მოწოლილი. კაცმა რომ თქვას, ასეთი რეაქცია ბუნებრივიც არის – აქ ხომ ჩვენი სამშობლოს ისტორიის მეტად ემოციური სურათებია დახატული. ამ ყველაფერს სცენაზე ერთი მსახიობი აკეთებს და თანაც ისე, რომ გასუსული ჰყავს დარბაზი, მაყურებელს თითქოს ამოსუნთქვაც კი ერიდება ზედმეტად. ეს იმას ნიშნავს, რომ ნატო გაგანიძე შესანიშნავად ართმევს თავს მაღალი რანგის სამსახიობო ამოცანას.“

ფვიქრობ, სპექტაკლი საინტერესო იქნება მოზარდებისთვისაც. საინტერესოც და საჭიროც! აქ ხომ, აუცილებელის გარდა, ისეთ ემოციურ ინფორმაციას მიიღებენ, ეროვნულ სიმს რომ შეარხევს მათ სულსა და გონებაში. ჩვენ ვეძებთ ასეთ რეპერტუარს, რადგან გვინდა ახალგაზრდებს ვესაუბროთ სამშობლოზე, ისტორიულ წარსულზე, რწმენაზე... სწორედ ასეთია ეს მონოსპექტაკლიც“.

**„გუჰერი“ ირლანდიელმა
ან ენრაითმა მიიღო**
ბიბისი ნიუსის ცნობით 2007 წლის „ბუქერის“ პრემიის ლაურეატი ირლანდიელი მწერალი ქალი ენ ენრაითი გახდა რომანით „შეკრება“.
ენრაითმა ყველაზე საუკეთესო ინგლისურენოვანი რომანის ავტორის ნოდების გარდა 50 000 ფუნტი სტერლინგის ჩეკი მიიღო (100 000 აშშ დოლარზე მეტი).

ნოდარ ებრალიძე

ფიქრები ქართულ გატანიაზე

ფეხბურთზე მოკამათების ამქარს ნამდვილად არ ვეკუთვნი. სპორტსმენმა უნდა ითამაშოს, მოყვარულმა უყუროს, უშუალოდ მატჩის მსვლელობისას შეაფასოს, გული გაუკეთოს სპორტსმენს, მოინონოს. თუ შეუძლია, თვითონაც წაითამაშოს. რა არის ამდენი საკამათო და საადისკუსიო?! არც ვკამათობ. უბრალოდ, მცირე მოგონებები მინდა გაგუზიარო იმ მოყვარულებს, რომლებიც დღეს შეიძლება ჩემზე მეტს ხედავენ, მაგრამ ასაკის გამო 15, 20, ჰადაჰა 40 წლის იქით ვეღარ სწვდება მათი გულშემატიკურული ხედვა. არადა, დასანახი ამის იქითაც ნამდვილად ბევრი იყო. მით უმეტეს, რომ ნამდვილი გულშემატიკვარი არ შეიძლება გულმაჯინე იყოს (საზოგადოებრივ მეხსიერებას ვგულისხმობ). გულმაჯინეობას კი სხვების თვალთაც უნდა შევებრძოლოთ. უნდა ვენდოთ ერთმანეთს. ცხადია, ესეც ნებაყოფლობითი ამბავია. ჩემთვის პირადად ნამდვილად უფრო სანდოა გარდასულ ამბებზე, პიროვნებებზე უშუალო მონმეთა საუბარი, თუ, რა თქმა უნდა, რეალური აღქმა არაა დარღვეული. სანდოობა კი მთხრობელის ცოდნას, პატიოსნებას, მეხსიერებას ემყარება. „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“, – ეს მეც კარგად ვიცი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ისევე ძველი „გმირების“ მაღლი შემენევა და, ყველასათვის თუ არა, ერთი-ორი კაცისათვის მაინც საგულისხმო იქნება ჩემი უპრეტენზიო გახსენება-მოგონება...

I. „სიმულანტობი“, „კომიკოსები“ და „პურისმაძიებლები“

30-იანი წლების (და უფრო ადრინდელის) ფეხბურთელის მოქცევაზე, თავდაჭერაზე, ალბათ, დიდ გავლენას ახდენდა მაშინდელი მოედნები, სტადიონები – სადაც მოთამაშისა და მაყურებლის გამმიჯნავი „ზოლი“ თითქმის არ არსებობდა და ფეხბურთელის „პორტრეტი“ მარტო თამაშით არ იქმნებოდა – მისი მიმიკა, რეპლიკები, პარტნიორებთან თუ მოწინააღმდეგესთან კონტაქტი (სიტყვიერი!) მაყურებლის თვალწინ, უშუალო სიახლოვეს ხორციელდებოდა. ცხადია, წლობით იქმნებოდა შტამპები, არ იყო გამორიცხული მიბაძვა, გამეორება, იაფი ყოყლოჩინობა, გაქირდება, სკაბრუზი. მხოლოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობის მქონე ოსტატები ახერხებდნენ თავიანთი თამაში ამ „ქუჩური“ ორნამენტურობით და სანელბლითაც შეეკმაზათ და ამით სპორტული ასპარეზი ხალხური სანახაობიდან მოხმობილი ერთგვარი ბალაგანური, თუნდაც საცირკო თეატრალიობითაც გაემდიდრებინათ.

საქმე ისაა, რომ მაყურებელს უყვარდა ასე „არანაყირებული“ ფეხბურთი (გავიხსენოთ „პანემ ეტ ცირცენეს“

– „პური და ცირკის სეირი“), ხშირად წმინდა სპორტულ მხარეზე მეტად (მით უმეტეს, ორდინარულ მატჩებზე) ეს უფრო ფასობდა თამაშის კარგად მცოდნე, გაგებულ მაყურებელთა შორისაც. ალბათ მათი გულშემატიკვირობის მაღალი დონის წყალობით ისინი უფრო კრიტიკულადაც აღიქვამდნენ ამა თუ იმ ეპიზოდის ამ სასეირო ნაწილსაც.

ასეთი დამოკიდებულება მსაჯებისთვისაც არ იყო უცხო. თბილისში ძალიან უყვარდათ ლენინგრადელი მსაჯი უსოვი. 30-იან წლებში მის მსაჯობას არ შევსწრებოვარ. 40-იან წლებში მინახავს. სამართლიანი მსაჯი იყო (მაშინ ეს ჩვენი გუნდის მიმართ უკვე გამონაკლისად აღიქმებოდა). ხნიერი კაცი ჩანდა, კაფანდარა, სასაცილოდ, თავდაუზოგავად დარბოდა. ყველასაგან განსხვავებით, გრძელი თეთრი შარვალი ეცვა (ძველი ყაიდის ჩოგბურთელივით). ესეც მის ინტელიგენტობას და ძველმოდურობას უსვამდა ხაზს. არ უყვარდა სიმულანტები. როგორც კი ასეთ ქმედებას შეამჩნევდა (არადა, ნამდვილად არ ეშლებოდა), გაბრაზებული მიიბრუნებდა მიწაზე გამოტილი ფეხბურთელთან, ბალახს ხელს ურტყამდა და რალაცას დაჰყვიროდა. „ადე, გაცივდები!“ – ამას ეუბნებო, იცოდნენ ძველმა გულშემატიკვირებმა. ამიტომ ყოველ თამაშზე მოუთმენლად ელოდნენ ამ ეპიზოდს. ყოველთვისაც ხდებოდა! უსოვი მაშინვე იქ გარბოდა, დახედავდა, ჩაიმუხლებდა და... „ადე, გაცივდები!“ – ხარხარით ახმოვანებდა ათიათასობით მაყურებელი მის საგარაუდო ნათქვამს, და ამ გაერთიანებული ინტერმედის შემდეგ თამაში მეტი ხალისით გრძელდებოდა. ცხადია, „დინამოს“ 40-ათასიან სტადიონზე უსოვის რეპლიკას ვერავინ მოსმენდა. ეს უკვე ლეგენდად იყო ქცეული, რომელიც მაშინ გაჩნდებოდა, როცა სადღაც ნებისპირა მინდორზე გვერდით ხაზს მიმდგარმა გულშემატიკვირებმა თავისი ყურით მოისმინეს ალალი მსაჯის სწორი განაჩენი. უსოვზე სხვა ლეგენდაც დადიოდა: თითქოს იგი მოედანზე შესვლამდე ბურთს ცენტრისკენ გააგორებდა (მაშინ მთავარ მსაჯს თვითონ მოჰქონდა ერთადერთი სათამაშო ბურთი) და გაგორებული ზუსტად შუაგულში ჩერდებოდა. ალბათ ასეც იყო (არადა, რამდენი უნდა ევარჯიშა!), მაგრამ, როგორც ჩანს, საკავშირო პირველობაზე, უკვე სახელმწიფო რანგში აყვანილ სპორტულ მატჩებზე, ასეთ ცირკულ გამოხდომებს მსაჯს აღარ უქებდნენ.

„სიმულანტობა“ მაშინ იმდენად პრაგმატული არ იყო (ყვირთელი ბარათები ჯერ არ მოეგონათ). ესეც უფრო სანახაობითი ამპლუა იყო (საკმაოდ უსიამოვნო, როგორც ნესი, დაბალი გემოვნების მაყურებელზე გათვლილი). მთავარი აქ მსაჯის გაცურება, მოლორება იყო, გულშემატიკვირისთვის თავის შეცოდება, დაპირისპირების გამწვავება. ქუჩის ფეხბურთშიც და სერიოზულ თამაშშიც ანტიპათიური სუბიექტები მიმართავდნენ ხოლმე. ჩვენში არასოდეს ჰქონია დიდი გასავალი. არადა, ეს ილეთი „პროვოცირებადაა“ მონათლული, ძალზე პრაგმატულია (ყვირთელი ბარათები!), სახიფათო ჯარიმებისა და სულაც თერთმეტმეტრიანის „გამოტყუება“. მაგრამ ეს უკვე საყოველთაოდ გავრცელებული ხერხია და ძველ, უფრო პიროვნების ხასიათიდან გამომდინარე თავის მომკვდარუნებასთან საერთოც ბევრი არაფერი აქვს.

„სიმულანტის“ ამპლუაზე ბევრად უფრო საპატიო და დაფასებული იყო კომიკოსისა და შურისმაძიებლის როლე-

ბი. თუმცა, გუნდში კომიკოსის მნიშვნელობა ყველას სჭარბობდა. ფაქტობრივად, ეს იყო მაღალტექნიკური, ვირტუოზი მოთამაშე, როგორც წესი – ფორვარდი, რომელიც თავისთავად იერიშის ძალაც იყო და ხშირად სწრაფი, მახვილგონივრული თამაშით აბიაბრუებდა მოწინააღმდეგის მცველებს, მეკარეს. ამ ეფექტის მისაღწევად ზოგჯერ იგი სათამაშო ლოგიკასაც არად დაგიდევდა, ბეკის (მცველის) გამასხარავება თვითმიზანიც კი იყო, მოწინააღმდეგის მიმართ არაჯენტლმენური დამოკიდებულებაც ახლდა, მაგრამ გუნდის საერთო უპირატესობის მოპოვებაში ამგვარ თვითმიზნურ მიდგომასაც თავისი პრაქტიკული შედეგი მოჰქონდა.

„შურისმაძიებლის“ ამპლუა უფრო შეზღუდული და ნეგატიური დანიშნულებისა იყო. მაგრამ ფეხბურთში უხეშობას ყოველთვის ჰქონდა გასაჯალი. თვითონ თამაშია ისეთი, რომ ზუსტი ზღვრის გაგლება ძნელია (ვგულისხმობ ცოცხალი თამაშის პროცესს, მსაჯობას). ხშირად თვით სპორტსმენებს უხედბოდათ გარკვეული სტატუს-კვოს დამყარება. თანაც, მოწინააღმდეგის „დამტვრევაც“ გარკვეულ ტექნიკას, გამოცდილებას მოითხოვს, ამას კი მასურებელში თავისი „შემფასებელი“ ჰყავს და ამიტომ ასეთ დამანგრეველ ძალაზე მოთხოვნილება ყოველთვის არის გუნდში. თუმცა, წესების გამკაცრებისა და, განსაკუთრებით, ყვითელი ბარათების შემოღების შემდეგ ეს ამპლუა ფეხბურთში უფრო და უფრო ფერმკრთალდება, მაგრამ, სამუნხაროდ, უხეშობა სულაც არ იკლებს. ოლონდ ეს სხვა, ე.წ. ტოტალური ფეხბურთის პრობლემაა. შურისმაძიებლის ამპლუა კი უფრო კონკრეტული, ქუჩურ-სანახაობითი მოვლენაა, რომელიც 20-იანი და 30-იანი წლების ფეხბურთში ჩვეულებრივი იყო და 40-იანი წლების სერიოზულ ჩემპიონატებსაც შემორჩენოდა.

წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: 1945, ან 46 წელია, სსრკ-ის ერთ-ერთი უძლიერესი, ტექნიკური გუნდი თბილისის „დინამო“ ეთამაშება მოსკოვის ცნობილ გუნდს. ეს ის დროა, როცა საბჭოთა სპორტსმენები დიდი საბჭოთა ქვეყნის საამაყო მოქალაქეები არიან, მათზე წერენ, ორდენებით აჯილდოებენ, რიგითი მასურებელი მათ ქუჩაშიც ცნობს (სხვა ქალაქებში!). 46-დან ფეხბურთელებს მასურებზე ნომრებიც აწერიან (ინგლისში მოსკოვის „დინამოს“ 1945 წლის სტუმრობის შემდეგ, თანაც – მკაცრი თანამიმდევრობით: 2 – მარჯვენა მცველი, 11 – მარცხენა გარემარბი). ჰოდა, მასპინძელთა ერთ-ერთი შეტყვისას მოსკოველთა ნახევარმცველი უბოდიშოდ მოცელავს თბილისელთა ფორვარდს (ვთქვათ – ლოღობერიძეს). მსაჯი სათანადო სანქციას მიმართავს: საჯარიმო დარტყმა, პატარა გაფრთხილება. თავდამსხმელი ძლივს დგება, არავითარი ხაზგასმა მძიმე ტრავმისა, არც განევ-გამონევა, ტრიბუნებზე – ყრუ დრტვინვა (მიეჩვია მასურებელი). უცებ ისმის მხიარული შეძახილები, უფრო ტრიბუნის ის მხარე ცოცხლდება, რომელიც ჩვენს კარს (ე.ი. დაცვის ზონას გადაჰყურებს): 30 წელს გადაცილებული სახელოვანი ფეხბურთელი, საშუალოზე ოდნავ დაბალი, მაგრამ ქანდაკებასავით ჩამოსხმული, საფეხბურთო ორთაბრძოლების ნაცადი ოსტატი, უშიშარი და შემტევი, მაგრამ დინჯი ვაჟკაცი საქმიანად გარბის შემთხვევის ადგილისაკენ, დამნაშავე მცველს ჯერ ზურგზე დააცქერდება („ნომერი გაიგო გრიშა!“ – ხარობს ტრიბუნა), მერე სულ ახ-

ლოს მიდის, სახეში ჩააშტერდება და უკან თავის ზონაში ბრუნდება („დაიმახსოვრე, ხომ გრიშა?!“, „უკვე იცის გრიშამ, ვინცაა, ვაი მაგის ბრალი!“ – ბობოქრობს ტრიბუნა). და მართლაც, სადღაც მეორე ტაიმში, როცა არავითარი სათამაშო სტრატეგია ამას არ ითვალისწინებს, „გრიშა“ (გაგუა) მოხდენილი სარმით (ეგებ შუა- ან გარეკაურით, სულაც მოგვერდით) ყირას გადაავლებს იმ მცველს. ისიც უდრტვინველად იღებს ამ საზღაურს. მით უმეტეს, რომ არაფერი დაშავებია, არ სტკენია, უბრალოდ, ეფექტური გდებით მოისროლეს მასურებლის გასახარად. მსაჯიც ორდინარულ საჯარიმოს ნიშნავს... ასე ცოცხალი და ქმედითი იყო შურისმაძიებელი მოთამაშის ამპლუის ტრადიცია, უკვე ამკარა ანაქრონიზმის მიუხედავად.

არადა, ერთხელ ნამდვილ ვენდეტას შევეცნარი „დინამოს“ სტადიონზე, მაგრამ ამას კონკრეტული (გამონაკლისი) ფსიქოსოციალური მოტივაცია ჰქონდა და სათამაშო ამპლუას ნაკლებად უკავშირდება.

ისევ ზემოხსენებულ ორ ამპლუას დავუბრუნდეთ. თბილისის „დინამოში“ ამ საქმის ორი მაესტრო ჰყავდათ – გაიოზ ჯეჯელავა და გრიგოლ გაგუა. გაგუაზე ზემოთ ვილაპარაკე. გაიოზ ჯეჯელავას, ამ ბრწყინვალე ოსტატის, კონკრეტულ ამპლუასთან დაკავშირება თითქოს მკრეხელობაა, მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი „კომიკოსობა“ 30-იანი წლების ფორვარდების თამაშის ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხი იყო (თანაც თუ ფიზიკური მონაცემები – სიმკვირცხლე, პატარა, კომპაქტური ტანი და ბურთის ვირტუოზული ფლობა, ბუნებრივი არტისტიზმი, იუმორის გრძნობა გინწყობს ხელს). ცხადია, მაინც ასეთი მიდრეკილება უფრო ახალგაზრდულ ასაკში იჩენდა თავს. 30 წლის ზემოთ თავდამსხმელი დინჯდება, მით უმეტეს, თუ მისი ოსტატობა უკვე აკადემიურ დონეს აღწევდა. ასე იყო გაიოზის თავსაც, ომის მერე, 45-ში, კიდევ გამოურევდა სიანცეს; 46-ში ბევრი მატჩი გამოტოვა. თუნდაც 1946 წლის სეზონის დასაწყისის მეორე („ისტორიული“) მატჩი – მოსკოვის „დინამოსთან“ არ უთამაშია (ზამთრის შეკრებაზე ბაკურიანში ტრამპლინიდან გადმოხტომისას (!) დაიმტვრა), 47-ში კვლავ ბრწყინვალედ ათამაშა, მაგრამ მეორე წრეში უკვე პაიჭაძე დამტვრიეს და ჯეჯელავა გახდა თავდასხმის ლიდერიცა და თამაშებზე გუნდის კაპიტანიც. მოუბრუნებლად წასულიყო კომიკოსობის ხანა. „დინამო“ ადრე მიღწეული სახელისა და პრესტიჟის შენარჩუნებისათვის იბრძოდა, თაობათა უღმობელი ცვლაც უკვე დაწყებულიყო.

კვლავ ე.წ. „კომიკოსებს“ მივუბრუნდეთ. შეიძლება ეს განსაზღვრება სულ ზუსტიც არ იყოს (კინოსა და თეატრთან დაკავშირებით). როგორც ზემოთ მივანიშნე, ეს ამპლუა გულისხმობდა მოწინააღმდეგის გაბიაბრუებას, სასაცილო ფორმით დაჩაგვრას. ეს შეიძლება გაკეთებულიყო მაღალ დონეზე (ბურთის ვირტუოზული ფლობა, ფანტაზია, უნაკლო სპორტული იერი, აუდიტორიის განწყობილების გრძნობა, გემოვნება); მასურებელს უნდა ეგრძნო, რომ ყველაფერი კეთდებოდა არა მაინცდამაინც, აი, ამ ტოლისას, ვანიას თუ მამედას გასამასხარავებლად, არამედ ფეხბურთის ამოუნურავი შესაძლებლობებიდან ამ იუმორისტული თეატრალური პასაჟის გამოსავლენად, გასაბრწყინებლად (თუმცა, კიდევ გავიმეორებ, ასეთი ეპიზოდები გუნდის რეალურ წარმატებაში, საერთო უპირატესობის

მოპოვებაში თავის საქმეს ასრულებდა). ამიტომაც მონინა-ალმდევე ფაქტობრივად პარტნიორად აღიქმებოდა, როგორც მაყურებლის, ისე უშუალოდ ფორვარდის მხრივ. და თუ მცველი („ბეკი“) პატიოსანი სპორტსმენი იყო, არ იბოღმებოდა, უხეშობასაც არ (უფრო ხშირად მაინც – ვერ) მიმართავდა, ისე აპყვებოდა თავდამსხმელის სატყუარი მოძრაობების, ტემპის ცვლის კასკადს, იგი თავისდაუნებურად ამ საფეხბურთო დუეტის მონაწილე ხდებოდა, სადაც მისი როლი არცთუ სახარბიელო იყო, მაგრამ სპორტულ სპექტაკლში კი მაყურებლისთვის დაუფინყარ ეპიზოდს ქმნიდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ 1940 წელს საკავშირო გაზეთის „კრასნი სპორტის“ მკითხველმა გ. ჯეჯელავა იმდროინდელი 10 უძლიერესი სპორტსმენის (დიახ, საერთოდ სპორტსმენის, და არა ფეხბურთელის) სიაში დაასახელა.

ასე უყვარდა მაყურებელს ამგვარი ინტერმედიები, ტექნიკური ვირტუოზობით გაჯერებული თამაში. ამ განწყობილებამ შემდგომ წლებშიც შემოაღწია. მე მოსკოვში ერთხელაც არ ვყოფილვარ, მაგრამ თურმე 60-იან წლებში იქაური მაყურებელი გუგუნებდა – „მანოშკა, ცირკ!“ (გაიხსენეთ „Panem et...“). მანოშინი კი მოსკოვის „ტორპედოს“ გამორჩეული ტექნიკური მოთამაშე იყო – მარცხენა ნახევარმცველი). ეს მიაბო, ჩემი აზრით, ფეხბურთის დიდმა გულშემატკივარმა და მცოდნემ, გამორჩეილმა მხატვარმა და პროზაიკოსმა ელგუჯა ბერძენიშვილმა.

აქ ერთ გარემოებას უნდა გავუსვავთ ხაზი – ყოველი სპორტსმენის ოსტატობის გაბრწყინებას ხიზლს მატებდა თვითონ საფეხბურთო მატჩის მუხტი, სპორტული დონე, სწორედ ასეთ პაექრობაში იძენდა განსაკუთრებულ ფასს ცალკეული ფეხბურთელის მიერ შესრულებული სხვადასხვა ილეთი, დარტყმა, ფინტი, ნახტომი თუ სათამაშო არსენალის სხვა იარაღი.

II. ბორია

როდესაც ვლაპარაკობთ ბორის პაიჭაძის სიძლიერეზე, არ უნდა დაგვავიწყდეს მამინდელი მსაჯობა (თუნდაც ობიექტური). ყვითელი ბარათის შემოღებამდე მცველს შეეძლო მთელი 90 წუთი ხისტად ეთამაშა თავდამსხმელის წინააღმდეგ, სიტყვიერი გაფრთხილებაც მიეღო, მაგრამ გაგდება თითქმის გამორიცხული იყო (ვგულისხმობ სსრკ ჩემპიონატს). დღევანდელი წესებით, პაიჭაძის წინააღმდეგ მოთამაშე ვერც ერთი მცველი სერიოზულ მატჩებში წითელ ბარათს ვერ გადაურჩებოდა (პერსონალური დაცვისას), ანდა მწვრთნელს კოლექტიური დაცვის მთელი გეგმა უნდა შეეფარებინა მის წინააღმდეგ, რაც, ალბათ ერთიორად გაზრდიდა ამ ფორვარდის მარგი ქმედების კოეფიციენტს. ეს მეტ-ნაკლებად ეხება გ. ჯეჯელავას, ა. ლოლობერიძეს, ა. ჭკუასელს, მ. მესხს, ს. მეტრეველს, კ. ასათიანს, დ. ყიფიანს, რ. შენგელიას, ვ. გუცაევის და, აგრეთვე, სხვებსაც.

„დინამოს“ (თბილისი) „დუბლვე“ არ დაურღვევია (ეს ბრაზილიელებმა გააკეთეს). დინამოელებმა, რადგან მათი თავდასხმის მთავარი ძალა ბორია იყო, და მისი გამორჩეული უნარი კი – დრიბლინგი, ცენტრალური ფორვარდის გა-

მუდმებული მანევრირება, გარემარბებთან ადგილის ცვლა დაამკვიდრეს თავის გუნდში. თორემ საერთო, ამოსავალი სქემა იგივე დარჩა. ეს კი, ვიმეორებ, უშუალოდ ბორიას ბურთის ტარებას, მოედნის ყველა უბანზე გარღვევის უბადლო ნიჭს ეფუძნებოდა. ამავე დროს, მას შეეძლო „კლასიკური ცენტრის“ ამპლუის უმაღლეს დონეზე შესრულება – შუიდან ბურთების განაწილება, შორეული დარტყმები, საჯარიმოში გათამაშებული უზუსტესი კომბინაციების ორგანიზება და იერიშის დაგვირგვინება; ცენტრში ასეთ ამპლუაში მას ჰყავდა სხვადასხვა დროის ლირსეული მეტოქეები, როგორც „კლასიკური ცენტრები“, ზოგნი, თითქოს, ზოგჯერ მასზე შთამბეჭდავები – ფედოტოვი, პონომაროვი, არხანგელსკი, ბობროვი (მართალია, იგი ცედეკაში ადრე მარცხენა ინსაიდის პოზიციაზე თამაშობდა, მაგრამ მაშინაც და სხვა დროსაც, ფაქტობრივად, ცენტრფორვარდის ფუნქციას ასრულებდა), სტრელცოვი, მაგრამ ფლანგებზე თამაშის უნარით, დინამიკური დრიბლინგის წყალობით, იგი ერთადერთი და შეუდარებელი იყო. მისი ნიჭი თანამედროვე სამ-, ორ- და სულაც ერთფორვარდიან ფეხბურთშიც გაბრწყინდებოდა. დღეს მას, ალბათ, რონალდო, რაული, შევეჩეკო, ნისტელროი თუ დაუდგებიან გვერდით.

ასევე, ბორიას ხერხ-ილეთებში „მოტყუება“ არ არსებობდა. იგი „გადიოდა“ მცველთან/მცველებთან, გვერდს უქცევდა მას/მათ. აი, როგორც რაგბის თავდამსხმელი გაურბის მცველებს, ხოლო ბურთი საიმედოდ აქვს ჩაბღუჯული მხარ-იდაყვ-მკლავით, სწორედ ასე გაურბოდა ბორია მასზე გაპიროვნებულ თუ პარტნიორის დასახმარებლად (როგორც შემდეგ იტყოდნენ – დაზღვევაზე) მოვარდნილ ნაცად ბეკებს, ბურთი კი საიმედოდ ჰქონდა ანებებული ტერფების გარე მხარეს და სირბილში დამჯერედ მიჰყვებოდა გასასხლტომად ამოდრავებულ თავდამსხმელს.* მორაგბესთან შედარებით კორპუსით სატყუარ მოძრაობებს იშვიათად მიმართავდა. უფრო იმ შემთხვევაში, როცა ადგილიდან, პაუზით იწყებდა იერიშს. ასევე სირბილში იყო ჩართული პასის მისაცემი მოძრაობა, ცალკე არც გამოიკვეთებოდა ხოლმე ასევე კულმინაციური მომენტიც – კარში დარტყმა, რომელსაც ასრულებდა იმდროინდელი ჟარგონული ბარბარიზით გამოხატული „პადიომით“ (ანუ ფეხის ტერფის ზურგით – „ახმით“, როგორც სტეფანე მენთეშაშვილის ბრწყინვალე „ქიზიყური ლექსიკონი“ გვანვდის ამ ნაკვთის აღმნიშვნელ კუთხურ სიტყვას). მაგრამ ბორიამ იცოდა ასევე სირბილის მოძრაობით დაფარული უეცარი დარტყმა ტერფის ჭვინტით (იმავე ჟარგონით – „ნასოკით“), როდესაც სათამაშო გარემოება სხვა დარტყმის შესასრულებლად ნამებსაც აღარ უტოვებდა ფორვარდს.

ქუჩურ ფეხბურთში ეს დარტყმა საძრახისად იყო მიჩნეული. უფრო სწორად, თუ მოთამაშეს ახმით უნდოდა დარტყმა (დამიზნებით, შორ, საშუალო მანძილზე, სწორედ ეს დარტყმა იყო გამართლებული) და გაუნაფავობის გამო ჭვინტით ურახუნებდა. მაგრამ თავის ადგილზე და გამიზნუ-

* ამ შედარებას სწორედ ზოგადი სათამაშო სტილის წარმოსადგენად მივმართე. მკითხველი არ უნდა მოატყუოს მხოლოდ გარეგანმა, ვიზუალურმა სურათმა და პაიჭაძის დახვეწილ და კორექტულ თამაშზე მცდარი აზრი არ შეექმნას.

ლად შესრულება ნამდვილ ოსტატებთანაც დიდად ფასობდა. მახსოვს, სსრკ-გერმანიის ომამდე „კრასნი სპორტში“ იყო ასეთი რუბრიკა „ოსტატის ტრიბუნა“, სადაც რაიმე ილეთის, ხერხის ვირტუოზი შემსრულებლები (მეტწილად ფეხბურთელები) ლაპარაკობდნენ თავიანთ გამოცდილებაზე, ამა თუ იმ ილეთის უპრიანობაზე შექმნილ სიტუაციაში, მისი დაუფლებსთვის საჭირო ვარჯიშებზე და ა.შ. ჰოდა, ჭვინტის ხმარებაზე სწორედ პაიჭაძის წერილი იყო გამოქვეყნებული. ეს 1939-ის ან 40 წლის ამბავია. საერთოდ, ამ სტატიებს ალბათ ჟურნალისტები წერდნენ ოსტატთან საუბრის შემდეგ. ბორია მაშინ 24-25 წლის „ბიჭი“ იქნებოდა და რაოდენ აღიარებული და ორგანული უნდა ყოფილიყო მისი ოსტატობა, რომ ასეთი „თეორიული“ წერილის ავტორობა შეეთავაზებინათ. მერე ეს რუბრიკა ქართულმა „ლელომაც“ შემოიღო, სადაც სწორედ ამ დარტყმაზე 40-იანი წლების მიწურულს ან 50-იანის დამდეგს ისევ პაიჭაძის წერილი დაიბეჭდა.

სხვათა შორის, დარტყმის ეს ილეთი კარგად არის აღბეჭდილი 1946 წლის მოსკოვის „დინამოსთან“ ჩატარებული ისტორიული მატჩის კინოქრონიკებში თბილისელთა მეორე გოლის გატანისას. ეს დოკუმენტური კადრი ჩართულია თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის სადიპლომო ფილმში და ამდენად ბევრ თაობას უნახავს: საჯარიმო მოედნის შუაგულში მოსკოველთა ორ თუ მეტ მცველს გამოარღვევს ბორია, ეტყობა, მათ ბოლო საშუალებას მიმართეს, ისე ნაიფორხილა თავდამსხმელმა (აქ პენალტზე „იმუშავებდა“ უმრავლესობა, მაგრამ ბორია ასეთ რამეს არ კადრულბოდა – დარღვევა იყო, მაგრამ ხომ არ ნაქცეულა?!). კარისკენ გადადგა ნაბიჯები და მოუქნევლად ისე წარტყა ფეხი ბურთს, რომ „ვეფხვი“ ხომიჩი (ასე უწოდეს 45-ში ინგლისში მოსკოვის „დინამოს“ ცნობილი ტურნეს დროს) არც განძრეულა. მოკლე მანძილიდან დარტყმული დაბალი ბურთი მეკარისგან მარჯვენა კუთხეში ჩაჯდა.

1947-ში, როდესაც წინა წლის ბრწყინვალე სეზონის შემდეგ ბორისს ერთგვარი დამძიმება დაეტყო (მაშინ 32 წლისა იყო) მწვრთნელმა (ანდრო ჟორდანია) იგი „დუბლვეს“ სქემის კანონიკურ ცენტრად დააყენა. სპორტული ფორმის ერთგვარი რეგრესის მიუხედავად, მწვრთნელმა, კაპიტან-ლიდერმა და ნაცადმა თანაგუნდელებმა ახალი ელვარებით აათამაშეს თავდასხმის ხუთეული (გაიოზ ჯეჯელავა, ლოლობერიძე, პაიჭაძე, ბერეჟნოი, სპარტაკ ჯეჯელავა/პანიუკოვი).

ამ ტაქტიკური ფერისცვალების შედეგად დინამოელებმა თბილისში გამართულ ივნისის 3 მატჩში 16 ბურთი გაიტანეს (მინსკის „დინამოსთან“, ლენინგრადის „დინამოსა“ და „ზენიტთან“; ამის წინ კი კიევში მოიგეს 4:0). სამწუხაროდ, გოლების ეს სიუხვე დიდხანს ვეღარ გაგრძელდა. ბორია მოსკოვში დაამტვრიეს (ადრე ეს უფრო ძნელი იქნებოდა) და დიდ მწვრთნელს შეტევის ახალი ანსამბლის შექმნაზე უნდა ეზრუნა.



ბორის პაიჭაძე

ბორის პაიჭაძის თამაში, ზემოთაც ითქვა, ინტერმედიულ ჩანართებს, ორნამენტურობას ვერ ჰგუობდა. ბორია იყო იერიშზე, კარის აღებაზე დამიზნებული ფორვარდი. ეს შეტევა მოედნის ნებისმიერი წერტილიდან იწყებოდა, ზოგჯერ პარტნიორებთან ერთად, ხშირად მარტოკაცის თავდადებასაც გამოხატავდა. აქ იყო როგორც გრძელი პასები, ცენტრიდან ფლანგზე, სულაც ერთი გარემარბის ზონიდან მეორის მისამართით, მთელი მოედნის ბურთით გავლა მცველებს შორის, იშვიათი როდი იყო „ერთი შეხებით“ მთელი შუა მოედნის გადაკვეთა (მცველები თითქოს სანვრთნელი საყუბები, ან მანეკენები იყვნენ).

შეტევის ეს ხერხი, რომელიც მოსკოვის გუნდებში ავტომატიზმამდე იყო დამუშავებული („დინამო“, შემდეგ „ცედეკა“, „ტორპედო“, „სპარტაკი“), საკმაოდ კარგად ჰქონდათ ათვისებული თბილისის „დინამოელებს“ და რადგანაც აქ იშვიათად მიმართავდნენ, მით უფრო მოულოდნელი იყო და თვით თბილისელთა იერიშებს უფრო მრავალფეროვანს ხდიდა; და რადგანაც ასეთი გარღვევის წამომწყები იყო ხოლმე ბორია, რომლისგანაც მცველები უფრო ინდივიდუალურ დრიბლინგს ელოდნენ, ხშირად მოსკოვურ შეტევაზე ეფექტურიც იყო. ასეთი თითქოს, ერთი შეხედვით, ყველაზე მეტად არაინდივიდუალური ილეთი (ტყუილად ხომ არ ერქვა „ერთი შეხება“), ჩვენთან მაინც ლიდერის – ბორიას ინიციატივით სრულდებოდა და უფრო ხშირად მისი პარტნიორები (სულაც არ მინდა მათი დამცირება) ასისტენტების როლს ასრულებდნენ, თუმცა მათი სიზუსტე, ტემპის გრძნობა, ლიდერისთვის უყოყმანო მხარის დაჭერა, ტაქტიკის უცვარი შეცვლის შეგრძნება დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მაყურებელს, თუნდაც იერიშებს არათუ გოლი, რაიმე ხელსაყრელი პოზიციური შედეგიც არ მოჰყოლოდა. განსაკუთრებით მწვავედ ასეთი იერიში ბორიასა და ვიქტორ პანიუკოვს გამოსდიოდათ.

საერთოდ კი ბორიას შეტევის დროს ტრიბუნებზე სიცილი არ ისმოდა. სიცილი, ხარხარი თითქოს შეუფერებ-

ლი იყო იმ დრამატული მომენტისთვის, რომელიც მოედანზე საიერიშოდ შემართულ ფორვარდსა და დამხვდურ მცველებს შორის უნდა გათამაშებულიყო. „ამა და ამ წუთზე პაიჭაძეს პირისპირ შერჩა ვ. სოკოლოვი, მაგრამ მოსკოველთა კაპიტანი თავგანწირულად ჩაუხტა ფეხებში და თავისი კარი საფრთხისგან იხსნა“, – დაახლოებით ასე წერდა ცნობილი მოსკოველი ჟურნალისტი 1946 წლის სსრკ თასის ფინალური მატჩის ერთ-ერთი მომენტის შესახებ. მერე ვ. სოკოლოვი ვინ იყო? მოსკოვის „სპარტაკის“ მცველი, რომელიც ბორიას „იჭერდა“, თორემ მეკარე ლეონტიევი კარში იდგა, მაგრამ საჯარიმოში ბორიას ერთ მცველთან დარჩენა უკვე ლამის მეკარესთანაც პირისპირ გასვლას ნიშნავდა. ის თამაში გვიანი შემოდგომით, ავდარში, მოსკოვის თოვლჭყაპიან მიწდორზე შედგა, თორემ თავგანწირული „ფეხებში ჩავარდნა“ მაინცდამაინც დიდი ვერაფერი საშველი იქნებოდა „სპარტაკისათვის“. ისე, საგულისხმოა, რომ იმ მატჩში ბ. პაიჭაძემ ბურთი ვერ გაიტანა (2:3 წააგეს. „დინამოდან“ ბურთები ლოლობერიძემ და ანთაძემ გაიტანეს).

III. ბასა

ვინ იყო ბორიას შემცველი „დინამოში“? თაობების ცვლისა და გუნდში ლიდერობის დამკვიდრების მიხედვით, რა თქმა უნდა ავთანდილ ლოლობერიძე (ბასა). მაგრამ ეს უწყვეტი ხაზით არ გაგრძელდება.

რამდენიმე წელი დასჭირდა ბასას, რომ ზღვისპირეთიდან მოსული ულამაზესი თვითნაბადი ტალანტიდან* „დინამოს“ ლიდერად ჩამოყალიბებულიყო და შუა ხაზის დაულაღვი მოთამაშე გოლეადორადაც კი ქცეულიყო. ამაზე ადრევე თვითონ ბორია ზრუნავდა. მასხოვს იმავე 46-ში, ჩემპიონატის მეორე წრეში, მოსკოვის „სპარტაკთან“ თამაშისას პირველივე წუთებიდან მძაფრი იერიშების დროს (უყვარდათ „სწრაფი გოლი“), საჯარიმოში ბასას მიუვიდა მოგერიებული ბურთი და მანაც შეუჩერებლად დაარტყა, არცთუ სუსტად, თანაც კუთხეში, მართალია, ლეონტიევს მოგერიება არ გასჭირვებია, მაგრამ ის მაინც დარტყმა იყო და ბორიამ მაშინვე მოწონებით აღმართა ხელი და რალაც შეუძახა, ალბათ, შეასახელა უმცროსი თანაგუნდელი. „სპარტაკი“ მაშინ უკვე მობერებული გუნდი იყო; მოსკოვის ალზევებულ „დინამოს“, „ცედეკას“, „ტორპედოს“ ველარ უსწორებდა მხარს, მაგრამ თბილისელბთან მაინც მედგრად თამაშობდნენ. ასე იყო მაშინაც: არათუ ბასას დარტყმული, ბოლო წუთებამდე გოლი არ გაუშვიათ, სანამ ბორია საჯარიმო მოედნის ცენტრში აღმართულ სამ მცველს მარცხნივ, საჯარიმო მოედნის კიდისკენ მიყოლებით არ გასცდა და მოულოდნელად შორეულ კუთხეში არ ჩაუჭედა ბურთი გაოგნებულ მეკარეს.

ისიც მაგონდება, როგორ შესწრებიან ჩემიკურსელი გულშემატკივრები, 49 თუ 50 წელს, დინამოელთა საუ-

ბარს ვარჯიშის შემდეგ. ბორიას მიუმართავს ლოლობერიძისთვის: „ბასა, სანამ ბურთს კარში არ შეაგორებ, ნამდვილი ფეხბურთელი ვერ გახდები. შენისთანა ინსაიდი ახლა ბევრია, ბურთი უნდა გაიტანო!“ ბასასთანა ინსაიდი ბევრი სულაც არ იყო. ეს ყველაზე უკეთ თვითონ პაიჭაძემ იცოდა და ამიტომაც აგულიანებდა.

საგულისხმოა, რომ სწორედ ბ. პაიჭაძემ, როდესაც იგი 1954 წელს დინამოს მწვრთნელი იყო, შუა სეზონში ბასა თავდასხმის ცენტრში დააყენა (ზ. კალოევის ადგილას). თითქოს ამით აკანონებდა მის მემკვიდრეობას. მაგრამ იგი უკვე ისე იყო შეზრდილი ინსაიდის ამპლუას, ისე დააკლდა გუნდს მისი გარჯა შუა მოედანზე, რომ კვლავ თავის ადგილას დააბრუნა.

ისევ ადრეულ პერიოდს დავუბრუნდეთ. ბასამაც ის-ნაწავა გოლების გატანა, მაგრამ მარტო ეს არ ერგო მემკვიდრეობით. გუნდისთვის დაუყვედრებელი გარჯა, აზარტი, მაგრამ არა გაავება, მსაჯის მორჩილება – ეს ყველაფერი ბუნებრივად ჰქონდა გამჯდარი; მონინაალმდევე ვერასოდეს აიყოლიებდა არათუ უხეშად თამაშში, არამედ შელაპარაკებასა და მსაჯებისთვის თავის შეცოდებაში. ეს უკვე წესად ჰქონდა – ყოველი ეპიზოდის დიდი ფეხბურთის პოზიციებიდან განსჯა და არა მხოლოდ შედეგით დაკმაყოფილება. მასხოვს, 1955 წელს თბილისში ლენინგრადის „ადმირალტეცთან“ (იმავე „შრომით რეზერვებთან“) თამაშის დროს ბასას (უკვე დიდი ხნის მარცხენა – 10 – ინსაიდს) ყველაფერი გამოსდიოდა: გუნდის იერიშების აწყობა, საერთო დირიჟორობა (ახლა რომ პლეიმეიკერობას ეძახიან), დახვეწილი ტარება, საგოლედ დაღეჭილი პასები, დარტყმა და ამავე დროს, რაც ყველაზე მეტად გვახარებდა, კიდევ მოსდგამდა ჭაბუკური მოქნილობა, სილაღე (ფილფო – როგორც ჩვენს მთაში იტყოდნენ). ჰოდა, ადვილად იგებდნენ ამ მატჩს. მეორე ტაიმში ერთ-ერთი იერიშის დროს საჯარიმოში მიუვიდა ბურთი, ლამაზად კი მოიქნია ფეხი, მაგრამ ბურთი სულ კარგად ვერ დააჯდა, დარტყმა ძლიერი არ გამოვიდა; მაგრამ მცველები და მეკარე ისე იყვნენ დაბნეულები, რომ „ცუტყურმა“ ბურთი გაუშვეს. 4:0! სტადიონმა იხუვლა, ამ გოლსა და დიდი ანგარიშით მოგებასაც გუნდი და განსაკუთრებით კი მისი კაპიტანი იმსახურებდნენ. ერთადერთი თბილისელი, რომელსაც არ გახარებია ამ გოლის გატანა, მაშინ ნამდვილად ბასა იყო.* „დინამოს“ პარტიერში ვიჯექი და კარგად დავინახე, როგორი სინანული აღებუქდა სახეზე, ხელიც კი ისე

* ცხადია, არ ვგულისხმობ როგორც მთელ საქართველოში, ისე განსაკუთრებით თბილისში ჩაბუდებულ ე.წ. მეხუთე კოლონას, რომლის წევრებიც, თანაც უკვე კომუნისტურად დაჭედლები, ყოველთვის იყვნენ სტადიონზე. მათაც უყვარდათ დიდი ფეხბურთის ყურება! თუ ჩვენებს უმართლებდათ, გულში იკლავდნენ ბოლმას, ხოლო თუ დავუმარცხდებოდით, ალაგ-ალაგ, საცა არაფერი ეშუქებოდით, ნიშნის მოგებას და გამჭირდავ სიტყვასაც არ ერიდებოდნენ. მაშინდელი რა გაგკვირვებია, ახლა აქა-იქ კი არა, რადიო-, ტელეარხებით შეაჩვიეს ენა და ნიხლი სხვადასხვა ორგანიზაცია-კავშირებმა და „სახლების“ წარმომადგენლებმა და არათუ ფეხბურთზე, უფრო ზოგადი ფასეულობების მიმართაც აფრქვევენ ღვარძლსა და შხამს... რას იზამ, ესეც თავისებური სპორტი ყოფილა – ზოგჯერ სამოყვარულო, ზოგჯერ კი პროფესიულ დონეზე

* ომგამოვლილ მყურებელს ბასას გამოჩენა ჩვენი ფეხბურთის დაუშრეტელი ძარღვის გამოვლენად მიაჩნდა. მასხოვს, ჩემზე ერთი წლით უფროსმა, მაგრამ უაღრესად ერუდირებულიმა და ეროვნული თვითშეგნებით დამუხტულმა თანაკლასელმა 45-ის გაზაფხულზე მითხრა, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“ დაწერის თარიღი რომ არ ვიცოდე, რომანის გამირის – ვამეხის პროტოტიპი ბასა მეგონებოდაო.

მეტყველად აატრიალა, „აბა ეს რა გასაშვები გოლი იყო“. იმის მერე ბევრი შემთხვევითი, მოულოდნელი გოლი მიწახავს, მით უმეტეს ამ ბოლო ტელეეპოქაში, მაგრამ მსგავსი რეაქცია რაღაც არ მაგონდება.

ბორიასებურადვე მშვიდად აღიქვამდა საკუთარ ვარსკვლავობას. მასხოვს, 1949 წელს ერევნის „დინამოსთან“ თამაშობდნენ. მაშინ უკვე დაწყებული იყო ჩემპიონატის მონაწილეთა გაზრდის ტენდენცია და აქამდე არაფრით გამორჩეული გუნდები საკავშირო უმაღლეს ლიგაში ხვდებოდნენ; ზოგი მათგანი იფერებდა კიდევ. ერევნელებიც მათ მიეკუთვნებოდნენ. განსაკუთრებით თბილისის გუნდთან ინდომებდნენ.

ამ თამაშშიც ასე იყო. ისე, თბილისის დინამოელებს შეეძლოთ პირველსავე ტაიმში დანინაურებულებიყვნენ, მაგრამ სტუმრების კარში კელენჯანი იდგა, ბათუმელი გოლკიპერი, რომელიც კარგა ხანს თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში თამაშობდა, ხოლო ამ გუნდიდან „დინამოში“ ახალი გადმოსული იყო მიშა ჯოჯუა, ერთობ აგრესიული, არაორდინარული თავდამსხმელი, მარჯვენა გარემარბი, მგონი, ჯეჯელავაზე ტანმორჩილიც, მაგრამ ფიზიკურად მძლავრი და უშიშარი. შემდგომ სსრკ-ის ერთ-ერთი უძლიერესი გარემარბიც გახდა. ჰოდა, როგორც ჩანს, ჯოჯუას განსაკუთრებით სურდა, ყოფილი თანაგუნდელისათვის სწორედ თვითონ გაეტანა გოლი. რა-

ღაც ახალგაზრდული ჯიბრი გაჩენილიყო ამ მატჩში (შეიძლება იყო სხვა რამ საბაბიც; ეს ახლა მარტო ბატონმა მიშამ თუ იცის მხოლოდ). თბილისელთა ცენტრფორვარდმა ანდრო ზაზროევმაც აუბა მხარი და რამდენჯერმე ლამის პირისპირ გასულმა კარში დარტყმის მაგივრად მ. ჯოჯუას გაუგორა და გადაანოდა (არადა, ზაზროევი უკვე აჩენდა ნამდვილი გოლეადორის ბრჭყალებს). გამოქანებული ჯოჯუაც უღმობლად ურტყამდა კუთხეებში, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ოდნავ აცდენდა. ასე ჩათავდა პირველი ტაიმი. ანგარიში 1:1 იყო. ჯერ სწორედ ზაზროევმა გაიტანა; მერე კელენჯან-ჯოჯუას ჯიბრის წყალობით გოლებს გადარჩენილმა ერევნელებმა კუთხურის ჩამონოდების შემდეგ შემოიბრუნეს ხელი. და აი მაშინ, მეორე ტაიმის მიწურულს, ბასამ ცენტრალურ ხაზთან მარჯვენა მხარეს მიიღო მაღალი ბურთი (ბურთის მიღებაში კი შეუდარებელი იყო). ძირს არ დაუშვია, ისე გადაატარა ერევნელ ნახევარმცველებსა და მცველებს თავზე და საჯარიმო ხაზთან ირიბად მისულმა მარცხენა ფეხით დაბალი, აულებელი ბურთი დაურტყა კელენჯანს, რომე-

ლიც, ძველ თანაგუნდელთან პირადად გამარჯვებული, ალბათ უკვე საერთო გუნდურ მიღწევასაც ამადლიდა თავისიანებს.

ასეთი შედეგრი-გოლის გატანის შემდეგ ლოლბერიძე წყნარად მობრუნდა ცენტრისაკენ, თითქოს აგუგუნებულ ტრიბუნების ხმაური არც ესმოდა, ერთი შესტით, თანაგუნდელისთვის რაიმე მინიშნებითაც არ გამოუხატავს თავისი დამოკიდებულება ამ ეპიზოდთან. ერთადერთი ის იყო, რომ გუნდის კაპიტანი (ამ მატჩში), იმჟამად უკვე ნახევარმცველი პანიუკოვი შემოხვდა და ორივე ხელით შეეხო მაჯაზე. ეს იყო და ეს!



ბასა ლოლბერიძე

ბასა თავიდანვე შუა მოედნის მოთამაშე იყო (თუმცა 45-ში მარცხენა გარემარბადაც ათამაშებდნენ, მაგრამ მალევე დაიმკვიდრა ინსაიდის ადგილი, ჯერ მარჯვნივ, როცა დაღვინდა – მარცხნივ); შემდეგ – ბურთის გამტანადაც იქცა (ე.წ. გოლეადორად. სხვათა შორის, იმერეთის სოფლებში ფეხბურთს – უშუალოდ თვითონ თამაშს, რასაც თბილისში „ორ გოლს“ ეძახდნენ, „გატანია“* ჰქვია, მაგრამ მისი თამაშის ძირითადი არე მაინც მოედნის ცენტრი იყო – თავდასხმისა და დაცვის დაკავშირება. საკუთარი საჯარიმოდან წამოსული ბურთების მიღება (არა მარტო პასების, არამედ მოგერიებითი

დარტყმებისაც. ამაში კი ფეხბურთელის მთელი სხეული მონაწილეობდა – ფეხის ჭვინტი, ტერფი, წვივი, თავი, განსაკუთრებით მკერდით გამოსდიოდა, თანაც ულამაზესად). მაშინ ამ ილეთს მხოლოდ თითოთოროლა ოსტატი ფლობდა. მერე მოსკოვის „სპარტაკმა“ საერთოდ მთელი გუნდის (უფრო თავდასხმის) ტექნიკური სრულყოფის გამომხატველ ხელწერად აქცია. იმ წლებში ძირითადად ლოლბერიძის დამსახურება იყო, რომ „დინამოს“ თავდასხმასა და დაცვას შორის კავშირი ნუთითაც არ წყდებოდა, ვიზუალურადაც – ცალკე დაცვა და ცალკე თავდასხმა მთელი მატჩის მანძილზე არ აღიქმებოდა. ამას კი ბასა, გადაცემაზე უფრო ხშირად, საკუთარი ტარებით, მოედნის ცარიელი სივრცის უმალ დაკავებით და ბურთის უსწრაფესად იქ მიტანით ახორციელებდა, საიდანაც კარის უშუალო იერიში უნდა დაწყებულიყო (კახი ასათიანისა და

* 3. გაჩეჩილაძე. იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. 1976.)

დავით ყიფიანის შორეული, ანაზღეული, წამებზე გათვლილი პასების დრო ჯერ არ დამდგარიყო). თითქოს უცნაურია, მაგრამ მისი თამაშის ეს ასპექტი 50-60-იანი წლების საქართველოს ცეკვას პირველ მდივანს ჰქონია შენიშნული. რადიოგადაცემაში ძველმა გულშემმატიკივარმა გაიხსენა (ბოდის ვიხდი, რომ გვარი აღარ მახსოვს): „... ძალზე მოსწონდა ლოლობერიძის თამაში – კარგი გატაცვი იცისო“. „გატაცვი“ სახელზმნის (მასდარის) დიალექტური (იმერული) ფორმაა. ამ საფეხბურთო შინაარსით სალიტერატურო პოლისემანტიკურ „გატაცებაზე“ ზუსტიც კი უნდა იყოს. ცხონებულ ვ. მჭავანაძეს თბილისის ქვეითთა სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. ერთხანს ქართულ დივიზიაშიც მსახურობდა. იქ კი ფიზიკულტურისა და სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის ყადრი იცოდნენ. ასე რომ, პარტიული ლიდერი ამ შემთხვევაში თავის ადამიანურ აზრს გამოხატავდა. ამ როლს, ბურთის უნაკლო ფლობის გარდა, უდიდესი ენერჯია, გუნდისთვის ე.წ. „შავი სამუშაოს“ განწევის თავმდაბლური მზაობა, თანაგუნდელებისა და მათგანებისადმის პატივისცემა, სიყვარული ასრულებინებდა. ცხადია, ეს ყველაფერი მომადლებული ჰქონდა, ალბათ, ჯიშით, ზღვისპირეთში აღზრდით, ცხოვრების წესით.

და აი, ასეთ დაუზარელ, გამრჯე ფეხბურთელსაც სპორტული ბედი ზოგჯერ უღმობლად მოჰქცევია: ძირითადად ორ მონაკვეთს ვგულისხმობ, რომელიც მისი საფეხბურთო კარიერის დრამატულ პერიოდებს დაემთხვა – კრიტიკული ასაკის დადგომასა და სპორტული ცხოვრების დამამთავრებელ ხანას. პირველი იყო 1956 წელს, როდესაც გუნდის ახალმა მწვრთნელმა იგი (34 წლისა) ნახევარდაცვაში (6) დააყენა. ბასას ადრეც ეთამაშა ჰავბეკის ადგილზე, მაგრამ ეს იყო დროებითი აუცილებლობით გამოწვეული, თანაც სუსტ გუნდებთან. საერთოდ, თავდამსხმელის ნახევარდაცვაში, თუნდაც დაცვაში „დანევა“ გავრცელებული იყო და ხშირად, როცა ფეხბურთელის ბუნებრივ მიდრეკილებას, მონაცემებს, სტილს შეესაბამებოდა, კარგი შედეგიც მოჰყოლია, მით უმეტეს, თუ ეს კრიტიკულ ასაკში არ მომხდარა. მაგალითად, ქართული ფეხბურთიდან მიხვილ ბერძენიშვილის, რეზო მახარაძის, შოთა იამანიძის გაჰავბეკებას დავასახელებდი. უკვე ასაკოვან ფეხბურთელსაც გამართლებიან (ვიქტორ პანიუკოვი – 5, გოგი ანთაძე – 6). პანიუკოვი 30 წლის იყო, ნახევარდაცვაში რომ გაამწესეს; 3 წლის მანძილზე ნამდვილად ბრწყინვალედ ეთამაშობდა. ანთაძემ, ამ იმპულსურმა, დაუღალავმა გარემარბმაც ისე მოიგრო ეს ამბულა, რომ რამდენჯერმე სსრკ-ის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაშიც მოხვდა. მაგრამ ბასას თავს სხვა ამბავი იყო: მიუხედავად დაუზარებლობისა, უშრეტე ენერჯიისა, სიმკვირცხლისა, იგი, როგორც მცველი, მონინაღმდევის ბურთის ნაშრთმევი, თუნდაც დარტყმაზე დამფარებელი, რბილად რომ ვთქვათ, სუსტი იყო, უბრალოდ ვერ აკეთებდა ამას, ეს ყველაფერი თითქოს მისი საფეხბურთო ხედვის გარეთ იდგა.

მასხოვს იმდროინდელი ეპიზოდი: მოსკოვის „ლოკომოტივის“ ეთამაშებოდა „დინამო“. მარჯვენა ინსაიდად (8) ახალგაზრდა, ათლექტური მონაცემების ბუბუკინი ეყენათ (შემდეგ სსრკ ნაკრებშიც შეჰყავდათ). ჰოდა, მიიღო ბუ-

ბუკინმა თავის საჯარიმოსთან ბურთი; „სათამაშო დისციპლინის“ ერთგული ბასა უმაღლე წინ დაუდგა. თავდამსხმელმა მარტივად მარჯვნივ და წინ გაიგდო ბურთი, ნახევარი ნახევარით გაუსწრო ნახევარმცველს და გულშემმატიკივრები დანანებით უცქერდნენ, როგორ დაუბრკოლებლად მიჰქროდა „დინამოს“ საჯარიმოსკენ, ასე – პირველ-, მეორეთანრიგოსანი განაფული სპრინტერის სისწრაფით „ლოკომოტივის“ ფორვარდი და რა თავდადებით მისდევდა მას თბილისელთა კაპიტანი, რომელმაც ვერასგზით შეძლო ამ ნახევარი მეტრის ამოგება, ხოლო მცველის რაიმე ილეთის (მით უმეტეს, აკრძალულის) გამოყენებას აშკარად გამორიცხავდა მისი ფიზიკური შესაძლებლობებიცა და უნარ-ჩვევების არსენალიც.*

ერთი წელიც არ იყო გასული იმ ზემოთ აღწერილ მატჩ-კონცერტსა და ამ შეხვედრას შორის, მაგრამ ლოლობერიძეს თითქოს 10 წელი მომატებოდა. მარტო სხვადასხვა ძალის წინააღმდეგობის გამო არა. ჯერ ერთი, სპორტსმენის (თანაც ფეხბურთელის) წუთისოფელი ძალზე მოკლეა, და მეორეც, უძნელესი საქმეა ახალი სათამაშო სტილის ფსიქოლოგიურ-ფიზიკური გაშინანება.

იმავე წელს მოსკოვის „სპარტაკთან“ ჰქონდათ მატჩი. „სპარტაკი“ იმ წლებში უმაღლესი საერთაშორისო კლასის გუნდი იყო. ზემოთ მოხსენიებულ ბ-ნ ელგუჯას დიდმის სავარჯიშო ბაზიდან მობრუნებულს შეეხვდი. როგორც ფეხბურთის მოყვარული, აღტაცებული იყო მეტოქის სიძლიერით, ხოლო „დინამოს“ გულშემმატიკივარს მომავალი შეხვედრის ბედი ანაღვლებდა: „ძლიერები არიან. ალიოშამ (კოტრიკაძემ – ნ.ე.) დამანახა იმათი მ ნომერი, ისავე; ერთი საათი არ გაჩერებულაო, რას მოძრაობს, რა სწრაფია, ბასა გარჩება სადმე წინ და მერე ვინლა დაიჭერსო“.

თავისთავად ინსაიდს მონინაღმდეგის იერიშის დროს თავისი უშუალო ჰავბეკის შემტევი თამაშისათვის „ხელი უნდა შეეშალა“, მცველად დახვედროდა, მაგრამ ლოლობერიძის მეურვე ნახევარმცველებს მთელი მატჩის მანძილზე სწორედ მისი ნეიტრალიზების ამოცანა ჰქონდათ მიცემული, ხშირად სხვების დახმარებით (არც უხეშობა გამოირიცხებოდა). ასე რომ, ისინი თვითონ ათავისუფლებდნენ მას ამ მოვალეობისგან. მერე რატომლა შეცდა მწვრთნელი? ძნელი სათქმელია. ისე კი, ალბათ, თავად ბასას უნივერსალურმა შესაძლებლობებმა, მისმა ნიჭიერებამ აფიქრებინა, რომ გუნდის გამობრძმედილი კაპიტანი ამ ამოცანასაც მოერეოდა. ამოცანა კი ის იყო, მისივე თქმით, რომ „დინამოს“ კვლავ ეთქვა ახალი სიტყვა და ფაქტობრივად, ხუთის ნაცვლად შვიდი (!) თავდამსხმელითაც შეეტია მონინაღმდეგისთვის. ამიტომაც დაუყენეს მარჯვნივ ასევე თავდასხმიდან ჩამონეული 26 წლის ალიოშა კოტრიკაძე. აი, ამან კი გაამართლა. ა. კოტრიკაძე მართლაც შესანიშნავი ნახევარმცველი დადგა. მაგრამ, როცა რამდენიმე წლის შემდეგ გუნდის ინტერესებისთვის იგი უკვე მარჯვენა მცველის პოზიციაზე დააყენეს, ველარ შეძლო ენერგიული, სწრაფი ახალგაზრდა რუსი

* თვითონ ლოლობერიძეს კი მსგავს ვითარებაში შეუბრალებლად ურტყამდნენ კოჭებში. ზოგჯერ ხელითაც გაუყვანიათ თანაგუნდელებს, როცა საკაციანი მედიკოსების მოედანზე შემოჭრა ჯერ არც გვენახა.

გარემარბების შეკავება და... ამის შედეგად კი ახალი ვარსკვლავი გაბრწყინდა ქართული სპორტის ცაზე – ჩემი აზრით, მსოფლიო ფეხბურთის უკეთესობილესი და განუმეორებელი მცველი გივი ჩოხელი. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა...

ბედის ირონიამ, როგორც ვთქვი, არც სპორტული ცხოვრების მიმწუნრზე დაინდო. 1955 წელს „დინამოს“ დუბლებში თვით მიშა მესხი გამოჩნდა. იგი გულშემატიკივარმა წინა წელსვე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში (თავისთავად მაღალი კლასის გუნდში) გამოარჩია: უკვე უზადო ტექნიკის მფლობელი, სწრაფი, კენჭით მკვრივი, რაც მთავარია, დრიბლიორი, მცველების მომტყუებელიც, გამსწრებიც, საჯარიმოზე ჩამწოდებელიც და კარში დამრტყმელიც. დუბლების თამაშებზე ტრიბუნები ივსება (მანამდე ეს არასოდეს მომხდარა); მოუთმენლად ელიან მესხის ძირითადში გამოჩენას. ცოტა შეყოვნებასაც დანაშაულად უთვლიან მწვრთნელს. ჰოდა, როცა აყენებენ, რა ხდება? ა. ლოლობერიძე 56 წლის შემდეგ კვლავ თავის ადგილზე თამაშობს (10). მესხი მარცხენა გარემარბია და ტრიბუნები მხოლოდ ერთს სთხოვენ ბასას: ბურთის მიღებისთანავე ზუსტი პასი მისცეს ჭაბუკ გარემარბს. მხოლოდ მას! არანაირი სხვა გაგრძელება! მერე რა, რომ მცველს ამით უადვილდება საქმე (სირბილი საბჭოთა ფეხბურთში არ უჭირთ; მსაჯებიც თამაშგარეს აღნიშნას არ აგვიანებენ); ვიღას ახსოვს, რომ ბასა წლების მანძილზე სხვა თამაშს არის მიჩვეული: თავისი მეურვის ტექნიკურ ჩამოცილებას, მთელ მოედანზე გახედვას, მწვავე იერიშის მოულოდნელი კუთხით წამოწყებას; თან, ცხადია, იმასაც გრძნობს, რომ მცველთან სპრინტში გაჯიბრებას, სჯობია, ჭაბუკი ვირტუოზი ზოგჯერ ბურთით პირისპირ დაუდგეს მეტოქეს, ასე უფრო დაჯაბნის მას და პარტნიორებსაც ჩართავს იერიშში. მაგრამ უმაღლესი დონის ფორვარდებს მონატრებული მაყურებელი მხოლოდ ერთს მოითხოვს: „ჩქარა, შეხედე!“, „პასი!“, „გაუგდე!“, „ათამაშე!“, „ნუ აგვიანებ!“. ყველაფერი ამის შესრულება კი 40 წელს მიახლოებული, საბჭოთა ჩემპიონატებზე ნაბრძოლი ფეხბურთელისათვის, როცა თვითონ შენ კოჭებზე გაზის ენერგიით სავსე „ძვალთამტეხი“, ადვილი არაა. უფრო ძნელი კი შიგადაშიგ სტვენის გაკონტროლება. მერე ვის უსტვენენ? – ავთანდილ ლოლობერიძეს – ბასას!

რას იზამ, სპორტულმა ცხოვრებამ იცის ასეთი პარადოქსები.

* * *

ძნელია, 70-60-50 წლის წინანდელი ამბების გახსენებით – თანაც უფრო მეტად არა „ამბების“, არამედ ხასიათის, მოასპარეზის გამორჩეული ნიშან-თვისებების მოგონებით სპორტსმენის საერთო სახის წარმოდგენა. მით უმეტეს, თუ ეს გახსენება უკავშირდება ფეხბურთს, ფეხბურთელს, რადგანაც თვით ეს მოვლენა, თამაში, უაღრესად ფართო, დაუკონკრეტებელი ელემენტების მომცველია და ოდნავადაც არაა შეზღუდული ცალკეული ილეთების, მოსალოდნელი ტაქტიკურ-ტექნიკური სვლების ერთგვარი კანონიკური კონკრეტულობით და არც შესატყვისის ცნებითი და ტერმინოლოგიური სიზუსტე და მრავალფეროვნება ახლავს.

რახან სიტყვას მოჰყვა, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ქართულში ამ მხრივ სხვებზე მეტი უკმარობაა. აქვს ამას თავისი მიზეზები: თამაშის არც ისე დიდი ხნის წინ შემოსვლა უცხოეთიდან, ჯერ ქალაქებში დამკვიდრება (სოფლადაც – უფრო ზღვისპირეთში), გამოჩენილი არაქართულენოვანი მწვრთნელების ავტორიტეტი, ჩემპიონატების, რადიოსა და კინოს რუსულენოვნება და ა.შ. თუმც თანდათანობით ქართულიც იმკვიდრებდა თავის წილ ადგილს, მაგრამ ისეთი მხარდაჭერა ამ მხრივ, როგორც მას, ვთქვათ ტანვარჯიშში ან მთამსვლელობაში ჰქონდა, ფეხბურთის ნამდვილად არ ჰქონდა.

ერთადერთ მაგალითს დავიმოწმებ: ქართული ლექსიკოგრაფიის ისეთ საეტაპო ნაშრომში, როგორც „ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონი“ შეტანილი არაა ადრეც და ახლაც საყოველთაოდ გავრცელებული საფეხბურთო ილეთის აღმნიშვნელი სიტყვა „მაკრატელა“. დავაზუსტებ, ეს ტერმინი კი არის – ერთი მცენარის სახელი ყოფილა, მაგრამ მისი სპორტული მნიშვნელობა დავინწყებელია. არადა, უაღრესად ზუსტი და მეტყველი ტერმინია. ადვილი შესაძლებელია, რუსული „ნოჟნიცი“ გავლენით იყოს გაჩენილი, მაგრამ მას რუსულში, გავრცელებული ყოფითი საგნის აღმნიშვნელს, გადატანითი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, ქართულში კი ახალი სიტყვაა შექმნილი და მას არავითარი დამხმარე ლექსემა არ სჭირდება („მაკრატელა ჯორბენადემ იცოდა!“). სხვათა შორის, რუსული ენის 17-ტომეულ განმარტებით ლექსიკონში მოცემულია ამ ტერმინის მესამე, სპორტული, მნიშვნელობაც, მაგრამ იგი მძლეოსნობას, კერძოდ სიმალლეზე ხტომას, უკავშირდება (როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში „სპორტის დედოფალი“ უფრო ჩარჩენიათ გულში რუს ენათმეცნიერებს); მაგრამ ეს მათი საქმეა...

თავისთავად ქართულ ლექსიკონში მისი გამორჩენა არცაა მოულოდნელი და ვერც დაეყვედრით ამ წიგნის V ტომის რედაქტორ-შემდგენლებს. ლექსიკონი სალიტერატურო ენისაა და წერილობითად დადასტურებულ მასალას ასახავს. სიტყვა კი ხალხში ნამდვილად არსებობდა, როგორც გამოკვეთილი საფეხბურთო ილეთის აღმნიშვნელი ტერმინი, მაგრამ არც მწერლობაში, არც პრესაში იმ დროს არ უხმარიათ (არ იყო მაშინ სპორტული მასმედიის ასეთი სიუხვე). თუმცა გამორჩენაც არაა გამორიცხული.

სჯობს, ამ თემაზე საუბარი აქვე დავამთავროთ, მით უმეტეს, შიშმაც კი შემიპყრო, ჩემი მონათხრობის ნაკლოვანება სხვა გარე ფაქტორებს არ დავაბრალო-მეთქი. ეს კი უკვე თამაშგარე ყოფნაზე თვალის დახუჭვაა. როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ, „ფეცი ქუოდ პოტუი...“ („გავაკეთე, რაც შემეძლო...“), სხვები ალბათ სხვას გაიხსენებენ სათანადო რემინისცენციებითა და ასოციაციებით. გამოჩენილი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, 35-ე საფეხბურთო სკოლადამთარებელი, 60-იან წლებში თურმე სლავა მეტრეველზე ამბობდა (შესატყვის სათამაშო სიტუაციაში): „... მოცარტია!“ ეს ერთი ფრაზა ალბათ ბევრ სპორტულ ნარკვევს გადაწონის და მეტრეველის უნახავ გულშემატიკივარსაც უკეთ აგრძნობინებს ამ მოთამაშის განუმეორებლობას...

ტომას ვულფი

ორი ნოველა

შორიდან და ახლოს

ქალაქის კართან, იქ, სადაც რკინიგზის ლიანდაგიდან ზემოთ არბოდა ფერდობი, ერთი პატარა და სანდომიანი თეთრი სახლი იდგა, რომლის ფიცრულ კედლებს ღია მწვანე ფერის დარაბები ამშვენებდა. სახლის ერთ მხარეს მოჩანდა ბოსტანი, გულდასმით დახაზული ნაკვეთებით, და ვაზით გადახურული თალარი, ყურძენი აგვისტოს მიწურულში რომ უმწიფდებოდა; სახლის წინ აღმართულიყო სამი ღონიერი მუხა და ზაფხულობით გრილ ჩეროს აფენდა სახლს; სახლის მეორე მხარეს ჭრელ-ჭრულა ყვავილების არშია იყო გადაჭიმული. ყველაფერს სიფაქიზის, ყაირათიანობისა და მოკრძალებული შეძლების დალი ესვა.

ყოველდღე, სამის დასაწყისში, სახლს უახლოვდებოდა ერთი დიდი ქალაქიდან მეორეში მიმავალი ჩქარი მატარებელი. ამ დროისთვის, სადგურზე ხანმოკლე შესვენების შემდეგ, მატარებელი ნება-ნება უმატებდა სვლას, ვიდრე თავის ჩვეულებრივ, მძვინვარე სიჩქარეში ჩავარდებოდა. აუჩქარებლად გამოჩნდებოდა მოსახვევიდან, დინჯად ჩაუვლიდა სახლს, ორთქლმავლის მძლავრ სხეულს შეაქანებდა და დაბლობში მიიმალებოდა მძიმე ვაგონთა ბორბლების ხმადაბალი და მშვიდი დაგადუგით ლიანდაგის გადაპრიალებულ ფოლადზე. მისი გზა თვალში მოგხვდებოდა კვამლის მძიმე ბოლქვებით; ისინი, ბოხი ღმუილის თანხლებით და დროის თანაბარ შუალედებში, მიცურავდნენ თივაქსარას დაკბილული კედლის თავზე; ცოტა ხნით კიდევ ისმოდა ბორბლების თავდაჯერებული დაგადუგი და მერე ისიც იძირებოდა ზაფხულის დღის მთვლემარე მყუდროებაში.

ყოველდღე, უკვე ოც წელიწადზე მეტი იქნებოდა, ამ სახლთან მიახლოებისას, მემანქანე საყვირს ააბლაგლებდა ხოლმე და ყოველთვის, ამ ხმის გაგონებაზე, სახლის პარმალზე გამოჩნდებოდა ქალი და ხელს უქნევდა მემანქანეს. ადრე მისი კაბის კალთას პატარა გოგო ებლაუჭებოდა; მერე ის გოგო წამოიზარდა, დაქალდა; ახლა ორნი ჩნდებოდნენ ზღურბლზე და ერთად უქნევდნენ ხელს მემანქანეს.

ამასობაში მემანქანე დაბერდა და გაჭალარავდა. ამ მიწაზე უკვე ათათასჯერ მანაც გაეტარებინა თავისი ვეება მატარებელი, რომელსაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე ეტვირთა. მისი საკუთარი შვილები გაიზარდნენ და დავჯახდნენ; ამ წლების განმავლობაში რელსებზე ოთხჯერ მოველინა ტრაგედიის შავი ჩრდილი; იგი ელვისებური სისწრაფით ჩამოწვებოდა, ქვემეხის ჭურვივით მოფრინავდა მისკენ და შემზარავ კომპარად უფარდებო-

და ბორბლებქვეშ; რესორიანი დრეზინა ბავშვების შემჭიდროებული რიგით, გაოგნებულნი რომ შეჰყურებდნენ მატარებელს; რელსებზე მოტორჩამქრალი იაფფასიანი ავტომობილი და შიშის ზარისგან გაქვავებული ადამიანები; ბებერი და ყრუ მანანნა, ლიანდაგის პირას რომ მიჩანჩალებდა და არ ესმოდა ორთქლმავლის სასონარ-



კვეთილი სიგნალები; რალაც ლანდი, რომელმაც ნივლით ჩაიქროლა მისი კაბინის სარკმელთან, – ყველაფერი ეს გამოეცადა და გადაეტანა მემანქანეს. შეიცნო ყველაჭირი და ლხინი, ყველა ხიფათი და გარჯა, მის პროფესიას რომ შეუღლებოდა; პატიოსანი შრომის წლებმა ნაოჭებით დაუღარეს ქარდაკრული პირისახე; ერთგულება, თავმდაბლობა და ვაჟკაცობა, რასაც მისი სამუშაო მოითხოვდა, მუდმივ თანამგზავრებად გადაქცეოდა, და სიბერეში, როგორც ამგვარ ადამიანებს შეჰფერით, დიდსულოვნება და სიბრძნე მოიხვეჭა.

რაგინდ უბედურებანი და ხიფათიც უნდა განეცადა, პატარა თეთრი სახლი და ის ქალი, ზღურბლიდან თამამად და ლაღად რომ უქნევდა ხელს, მის ცნობიერებაში რჩებოდა მშვენიერებისა და წარუვალის სიმბოლოებად, რომელთაც ვერაფერს აკლებდა დრო-ჟამი და რღვევა. მემანქანეს სჯეროდა, რომ ისინი მარად ასეთნი იქნებიან, რაგინდ ვაებამ, უიღბლობამ თუ მარცხმა დაარღვიოს მისი ცხოვრების მკაცრი დინება.

პატარა სახლისა და მის ზღურბლზე ორი ქალის დანახვა ინვევდა მასში რალაც უჩვეულო ბედნიერების შეგრძნებას, ამქვეყნად ვერაფერს რომ ვერ შეადარებდი. მემანქანე მათ ხედავდა დარშიც და ავდარშიც, ხედავდა სხვადასხვაგვარი განათებისას. ხედავდა ზამთრის ნაცრისფერი დღის მწირსა და შიშველ შუქქვეშ, დაჭირხლული და ჩამუქებული ნამკალის ზოლს იქით; ხედავდა მათ მომწვანო, აპრილის ჯადოსავით მიმზიდველ შუქქვეშ.

მათდამი და იმ სახლისადმიც, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ისეთი სინაზე გასჩენოდა, როგორც კაცი თავისი ღვიძლი შვილებისადმი თუ განიცდის; დროთა განმავლობაში მათი იერი ისე ჩაეჭვდა გულში, რომ ეჩვენებოდა, თითქოსდა მათი ცხოვრების ყოველი საათი და ყოველი ნუთი დოსკონალურად იცოდა; გადანყვეტილი ჰქონდა, რომ ოდესმე, როდესაც სამსახურის წლებს გალევდა, იმ პატარა ქალაქს მიაკითხავდა, იმ პატარა სახლს იპოვიდა და ბოლოს და ბოლოს გამოელაპარაკებოდა იმათ, ვისი ცხოვრებაც ასე გადაეხლართა მის საკუთარ ცხოვრებას.

ეს დღეც დადგა. ჩამოვიდა მატარებლიდან იმ პატარა ქალაქის სადგურზე, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. მისი სამსახურის წლები გასრულებულიყო. კომპანიამ, რო-

მელსაც ემსახურებოდა, პენსია დაუნიშნა და საქმე ალა-რაფერი გააჩნდა. ნელი ნაბიჯით გაიარა ვაგზალი და ქუჩაში გავიდა. ირგვლივ ყველაფერი ისეთი უცხო იყო, თითქოსდა ეს პატარა ქალაქი ადრე არასოდეს ენახა. ქუჩაში მიმავალს უფრო და უფრო იპყრობდა გაოცება და დაბნეულობა. ნუთუ ეს სწორედ ის პატარა ქალაქია, რომელიც ათასჯერ თუ ათიათასჯერ გაუფლია? ნუთუ ეს სწორედ ის სახლებია, რომლებიც, ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაუნახავს თავისი კაბინის მაღალი სარკმლიდან? ყველაფერი ეუცხოებოდა და აფრთხობდა, როგორც ხდება ხოლმე, როდესაც სიზმარში ხედავ, რომ უცხო ქალაქში მიდიხარ, და სულიერი შოგოთვა ეძალებოდა.

მაღე სახლები შეთხელდა და ქალაქის ეულ ავანპოსტებად გადაიქცა, ხოლო ქუჩა შეცვალა სწორედ იმ თემ-შარამ, რომლის პირას მისი ნაცნობი ქალები ბინადრობდნენ. მემანქანე ნელა მიაბიჯებდა მზით გახურებულ მტვერში. ბოლოს შეჩერდა იმ სახლის წინ, რომელსაც ეძებდა. მაშინვე მიხვდა, რომ სწორედ ის ადგილი იყო: დიდებული მუხები სახლთან, ყვავილნარები, ბოსტანი, ვაზის თალარი და მოშორებით – რკინიგზის მოელვარე რელსები.

ჰო, სწორედ ის სახლი იყო, რომელსაც ეძებდა; სწორედ ის ადგილი იყო, რომლის გასწვრივაც რამდენჯერ ჩაუვლია. ეს იყო მიზანი, საითაც მიისწრაფოდა და წინასწარ ატკობდა მოსალოდნელი ბედნიერება. მაგრამ ახლა, როდესაც მიაღწია სასუკვარ მიზანს, კუტიკარისკენ ასე გაუბედავად რატომ გაიწვინა ხელი? რატომ მოხდა, რომ პატარა ქალაქი, გზა, თვით მიწაც და ყველაფერი, რასაც ხედავდა იმ სახლის მისადგომებთან, რომელიც ესოდენ შეჰყვარებოდა, საზიზღარი სიზმარივით გაუცხოვდა? რატომ შეიპყრო დაბნეულობამ, დაეჭვებამ და უიმედობის გრძნობამ?

ბოლოს ხელი ჰკრა კუტიკარს, ნელა გაუყვა ბილიკს, სამი დაბალი საფეხურით პარმალზე ავიდა და კარზე დააკაკუნა. წინკარიდან ნაბიჯის ხმა მოესმა, კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა ქალი.

და მემანქანემ მაშინვე იგრძნო, რომ რაღაც დაკარგა და სული დაუცარიელდა. მწარედ ინანა, აქ რისთვის მოვედიო. ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ქალი, რომელიც უნდობლად შეჰყურებდა, სწორედ ის იყო, ვისაც ათიათასჯერ მაინც დაუქნევია ხელი მისთვის. გამხდარი, უგულო პირისახე ჰქონდა მოკუმული ტუჩებითა და ნანვეტებული ცხვირით, მოყვითალო ფერის დათენთილი კანი თონთლო ნაკეცებად ჩამოშვებოდა, მომცრო თვალებში კრთოდა მორცხვი უნდობლობა და საგანგაშო შემოფოთება. როგორც კი დაინახა კაცმა ქალი და მოესმა მისი უყმური ხმა, ხატი იმ ქალისა, რომლის ზეალმართულ ხელში ელანდებოდა გამბედაობა, სილაღე, სითბო და სინაზე, ერთბაშად ჩაქრა, მიინავლა.

ლამობდა აესხნა ქალისთვის თავისი ვინაობა და მიზეზი მოსვლისა, მაგრამ საკუთარი ხმა არაბუნებრივი და უსიცოცხლო ეჩვენა. და მაინც განაგრძობდა ლაპარაკს ენის ბორძიკით. ჯიუტად ებრძოდა სინანულის, შეცბუნებისა და დაეჭვების მძიმე გრძნობას, რომლებიც სულს უხუთავდნენ, ოდინდელ სიხარულს უქრობდნენ და მისი

სინაზისა და იმედის ალტკინება გადაექციათ რაღაც სამარცხვინო და საბრალო ჯახირად.

ბოლოს და ბოლოს ქალმა უნდობლად შეიპატიჟა სტუმარი და მკვეთრი, მწივანა ხმით იხმო თავისი ქალიშვილი. განამებული მემანქანე მერე ერთხანს იჯდა პატარა და უბადრუკ სასტუმრო ოთახში და ცდილობდა საუბრის აწყობას, ქალები კი ჩლუნგი გაოგნებითა და მტრული განწყობილებით შეჰყურებდნენ და მათი პირქუში შებოჭილობა შიშით გამსჭვალულიყო.

საბოლოოდ მემანქანემ გაურკვეველად და ძუნწად ჩაიბურტყუნა გამოსათხოვარი სიტყვები და ზეზე ნამოდგა. გაუყვა ბილიკს, მერე კი – ქალაქისაკენ მიმავალ გზას. უეცრად მიხვდა, რომ უკვე ბებერი იყო. მისი გული, რომელიც ვაჟკაცურად და შეუპოვრად უძგერდა ხოლმე, როდესაც უყურებდა რელსების ზოლს, წინ რომ გარბოდა და ნაცნობ შორეთში დნებოდა, ახლა უცებ შეფართხალდა ეჭვებისა და შიშისგან ამ უცნობი და უცნაური მიწის ხილვისას, რომელსაც თითქოსდა ხელით მისწვდებოდი ყოველთვის და რომელიც თურმე ვერც გაურჩევია და ვერც გაუგია. და მემანქანემ იგრძნო, რომ ჯადო იმ მიტოვებული მოელვარე გზისა და შორეთისა, სადაც რელსების კრიალა ძაფი იმალებოდა, მისი ოცნებითა და იმედით შობილი მყუდრო და კეთილი სამყაროს ერთი კუთხის ზმანება, უსასოოდ და სამუდამოდ დაეკარგა.

მზე და წვიმა

გალვიძებისას მუნჯმა მლელვარებამ ხელი ნაუჭირა ყელში. ზამთრის მოქუშული დღე იდგა, ჰაერში თოვლის სუნი იგრძნობოდა და თითქოს რაღაც უნდა მომხდარიყო. ეს შეგრძნება ხშირად ეუფლებოდა ხოლმე პროვინციულ საფრანგეთში ყოფნისას – უცნაური შეგრძნება, სადაც შეზავებულიყო სევდა და მიუსაფრობა, შინაგანი სიცარიელე და შეცბუნება, აქ რისთვის მოვხვდიო? და იმავდროულად განიცდიდა სიხარულს, იმედისა და მოლოდინის მოზღვავებას; ამასთან, წარმოედგინაც არ გააჩნდა, რას იმედოვნებდა და რა გაახარებდა.

ნასადილევს სადგურზე გავიდა და ორლეანის მატარებელში ჩაჯდა. არც კი იცოდა, სად მდებარეობდა ორლეანი. მატარებელი შერეული იყო – სატივროთო ვაგონები, სავარძლები, ცალკე კუპეები. მესამე კლასის ბილეთი აიღო და შევიდა კუპეში. და ამ დროს გაისმა მკვიანა სასტვენის ხმა, და მატარებელი დაიძრა შარტრიდან სოფლისაკენ, ზარისა თუ სხვა სიგნალთა გარეშე, როგორც სწვევით პატარა ფრანგულ მატარებლებს, და ამან, როგორც ყოველთვის, შეაშფოთა.

მინდვრებს ეფინა მსუბუქი ნიღაბი თოვლისა, ჰაერი კვამლიანი იყო – იფიქრებდი, მთელს დედამიწას კვამლი და ოხშივარი ასდისო; სარკმლიდან მოჩანდა ნაკვეთი ნიადაგი და მოხნული მინდვრების ჭრელ-ჭრულა ნაკვეთები, და იშვიათად – ფერმა: პატრონის შრამელნიანი სახლი. აქაურობა სულ არ ჰგავდა ამერიკას: ნიადაგი შესახედავად იყო პოხიერი და გულმოდგინედ მოვლილი, ზამთრის კვამლიანი ტყეებიც კი მოვლილად გამოიყურებოდა. დრო-

დადრო შორით ნამოიძარებოდა მაღალი ალვის ხეების ზოლი – ეს იმას ნიშნავდა, რომ იქ იყო მდინარე ან ტბა.

კუპეში სამნი ისხდნენ: მოხუცი გლეხი ცოლსა და ქალიშვილთან ერთად. მოხუცი ჰქონდა აბურძგნილი უღვაში, ქარდაკრული დანაოჭებული პირისახე და მომცრო, ანთლებული თვალები. მუხლებზე მოკუმული ხელები ქვასავით მძიმე და მაგარი გეგონებოდა. მისი ცოლის სახე გადატყეცილი და მოყავისფრო იყო. თვალებს გარს ერტყა წვრილი ნაოჭების ბადე, მთელი პირისახე კი მოგაგონებდათ ძველებურ ბრინჯაოს ლარნაკს; მათი ქალიშვილი, პირქუში გამომეტყველებით, ფანჯარასთან იჯდა მშობლებისგან მოშორებით, თითქოსდა ერცხვინებოდა ისინი. როდესაც გამოელაპარაკებოდნენ, არც კი უყურებდა, ისე პასუხობდა ლამის მძვინვარე ხმით.

გლეხი გულითადად დაელაპარაკა კუპეში შესულ უცხოელს. იმანაც ღიმილით უპასუხა ღიმილს, თუმცა ერთი სიტყვაც არ გაუგია. ბერიკაცმა კი იფიქრა, ყველაფერი გაიგო, და ლაპარაკი განაგრძო.

მერე ჯიბიდან ამოაძვრინა ძალზე მაგარი და იაფფასიანი თამბაქოს კოლოფი, რომლითაც საფრანგეთის მთავრობა ამარაგებს თავის ღარიბ-ღატაკებს რამდენიმე ცენტად, და შეუდგა ჩიუხის დატენვას. ახალგაზრდა უცხოელმა ამოიღო ამერიკული სიგარეტის კოლოფი და შესთავაზა ბერიკაცს:

- მონკეთ?
- რატომაც არა, – თქვა ბერიკაცმა.

მოუხერხებლად ამოაძვრინა სიგარეტის ღერი კოლოფიდან, ერთხანს ეჭირა დიდრონ, დაკოჭრებულ თითებში, მერე მოუკიდა ახალგაზრდა კაცის მონკედილი ცეცხლიდან და, დაუჩვევლობის გამო, უღაზათოდ მოქაჩა. ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა კოლოფს, აქეთ-იქით ატრიალებდა, რათა ფირმის სახელწოდება ამოეკითხა. მიუბრუნდა ცოლს, რომელიც თავისი ყურადღებიანი, პატარა მხეცის ბრიალა თვალებით შეჰყურებდა ყოველ მის მოძრაობას ამ მარტივ პროცედურაში და სწრაფი, ცოცხალი საუბარი გაუბა:

- ამერიკული გახლავთ, მაშ!
- გემრიელია?
- აბა როგორ, პირველი ხარისხი აქვს.
- მაჩვენე ერთი. რას ეძახიან?
- ორივე დააკვირდა წარწერას.
- ამას რა ჰქვია? – ჰკითხა გლეხმა ახალგაზრდა უცხოელს.

- „ლაკი სტრაიკ“, – მიუგო მან.
- ლაკი? – სახეზე დაეჭვება გამოეხატათ. – ფრანგულად კი როგორ იქნება?
- Je ne sais pas,* – მიუგო უცხოელმა.
- თქვენ საით მიემგზავრებით? – ჰკითხა გლეხმა და თავისი ანთლებული თვალები ხარბი ცნობისმოყვარეობით მიაშტერა.
- ორლენში.
- როგორა? – ბერიკაცი თითქოსდა საგონებელში ჩავარდა.

* მე არ ვიცი (ფრანგ.)

- ორლენში-მეთქი.
- არ მესმის, – თქვა ბერიკაცმა.
- ორლენი, ორლენი! – მძვინვარედ იყვირა ქალიშვილმა. – მესიე ამბობს, ორლენში მივემგზავრებით.
- ა-ა! – ნამოიძახა ბერიკაცმა, თითქოსდა გონება უეცრად გაუნათდაო. – ორლენიო.

უცხოელს ეგონა, რომ მან ზუსტად ისე წარმოთქვა ეს სიტყვა, როგორც ბერიკაცმა, მაგრამ მაინც გაიმეორა: – დიახ, ორლენში.

- ბერიკაცი ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:
- ორლენში მიემგზავრება.
- ა-ა! – ნამოიყვირა ეშმაკურად ცოლმა, თითქოსდა მასაც გაუნათდა გონება, მერე ორივენი დადუმდნენ და ცნობისმოყვარე თვალებით მისჩერებოდნენ უცხოელს.

- თავად თქვენ კი რომელი რაიონიდან ხართ? – ჰკითხა ბერიკაცმა უცხოელს, შეცბუნებული არ ამორებდა ანთლებულ თვალებს.
- რას ამბობთ, არ მესმის.
- მისიე ფრანგი არ არი! – დაიყვირა მათი აჯმობით მოთმინებიდან გამოსულმა ქალიშვილმა. – ეგა უცხოელია, ნუთუ ვერ გაიგეთ?
- ა-ა!

- და ოთხი მომცრო, მომრგვალო თვალი დაჟინებული, ცხოველური ყურადღებით მიაშტერდა უცხოელს.
- თქვენ რომელი ქვეყნიდანა ხართ? – ჰკითხა გლეხმა.
- თქვენ ვინა ხართ?
- ამერიკელი ვარ.
- ა-ა, ამერიკელი... ამერიკელი ყოფილა, – უთხრა ბერიკაცმა ცოლს.
- ა-ა.

- ქალიშვილი გაბრაზებით შეტოკდა და შუბლშეკრულმა ისევ ფანჯარაში გაიხედა.
- ბერიკაცი ცხოველის გულითადი ცნობისმოყვარეობით შეუდგა თავისი უცხოელი თანამგზავრის თვალეირებას თხემით ტერფამდე. თვალი შეავლო მის ფეხსაცმელს, კოსტუმს, პალტოს და დასასრულ, მზერა მიაპყრო მის თავს ზემოთ ბადეს, სადაც უცხოელის ჩემოდანი იდო. ცოლს ხელი ამოჰკრა იდაყვში და ჩემოდანი ანიშნა.
- ურიგო მასალა არ არი, – თქვა ხმადაბლა. – ნამდვილი ტყავია.
- ჰო, ძალიან კარგი არი.

- და ორივენი ერთხანს შეჰყურებდნენ ჩემოდანს, მერე ცნობისმოყვარე მზერით ისევ მიაჩერდნენ ახალგაზრდა კაცს. იმან კი კვლავ შესთავაზა სიგარეტი ბერიკაცს. ბერიკაცმა აიღო და მადლობა გადაუხადა.
- ეს მშვენიერია, აი ესა, – თქვა მან და სიგარეტი ანიშნა. – ძვირი ღირს, ხომ?
- ექვსი ფრანკი ღირს.
- ა-ა... ესა ძალიან ძვირია. – ბერიკაცმა მეტი მონინებით შეხედა სიგარეტს.
- რისთვის მიემგზავრებით ორლენში? – ჰკითხა უცხოელს. – იქ ვინმეს იცნობთ?
- არა, უბრალოდ ქალაქის დათვალეირება მიინდა.
- როგორა? – ჩლუნგად ჰკითხა ბერიკაცმა. – იქ რამე საქმე გაქვთ?

– არა, უბრალოდ მინდა ვენვიო... მოვიინახულო ქალაქი.

– მესიე ამბობს, ქალაქის ნახვა მინდაო, – გაცხარებით ჩაერია ქალიშვილი. – შენ სულ არაფერი გესმის?

– არ მესმის, რას ლაპარაკობს, – შეეპასუხა ბერიკაცი.

– ფრანგული უჭირს.

– ძალიანაც კარგად ლაპარაკობს, – წყრომით წართქვა ქალიშვილმა. – მე მშვენივრად მესმის მისი. ეს შენა ხარ აჯამი. მორჩა და გათავდა.

გლეხი ერთხანს დუმდა, სიგარეტს ქაჩავდა და მეგობრულად შეჰყურებდა ახალგაზრდა კაცს.

– ამერიკა ძალიან დიდია, არა? – ჰკითხა ბოლოს და ხელები განივრად გაშალა.

– დიახ, ძალიან დიდია, საფრანგეთზე გაცილებით დიდია.

– როგორა? – ისევ შეცბუნებითა და მოთმინებით ჰკითხა გლეხმა. – მე არ მესმის.

– ის ამბობს, ამერიკა გაცილებით დიდია, ვიდრე საფრანგეთი! – იყვირა ქალიშვილმა გატანჯული კილოთი. – მე ყველაფერი მესმის, რასაც ამბობს.

უხერხული დუმლი რამდენიმე წუთი გაგრძელდა, კრინტს აღარავინ სძრავდა. ბერიკაცი ეწეოდა თავის სიგარეტს, სამჯერ დააპირა ხმის ამოღება, მაგრამ გამბედაობა არ ეყო. ფანჯრებს მიღმა წვიმა გრძელი, ირიბი ჭავლებით რწყავდა მინდვრებს, ხოლო შორს, ნაცრისფერ მოქუფურულ ცაში, სადაც მზე უნდა დაბრძანებულიყო, ანათებდა თეთრი ლაქა, თითქოსდა გამოსხლტომას ლამობდა. ეს რომ შენიშნა, გლეხს გაელიმა და გულლიად მიეყრდნო ახალგაზრდა კაცს; მსხვილი, დაკოჭრებული თითი დაუკაკუნა მუხლზე, მერე ანიშნა მზე და ნელა, გარკვევით, ბავშვს რომ ასწავლიან ხოლმე, ისე ჩაილაპარაკა:

– Le so-leil.

და ახალგაზრდა კაცმა მორჩილად გაიმეორა ეს სიტყვა:

– Le so-leil.

ბერიკაცსა და მის ცოლს სიხარულით გაუნათდათ სახე, თავი დააკანტურეს მოწონებით, თანაც ამბობდნენ: – ჰო, ჰო, კარგია, ძალიან კარგია, – და ბერიკაცმა, როგორც ყოველთვის, მხარდაჭერას რომ ელოდა ცოლისგან, დასძინა: – ეს ძალიან კარგად თქვა, განა არა?

– ჰო, ჰო, ჩინებულია.

ბერიკაცმა ახლა წვიმა მიანიშნა. თავისი დიდრონი ხელებით გამოსახა სრიალა მოძრაობა ირიბად და ქვევით, და კვლავ ნელა და მოთმინებით ჩაილაპარაკა:

– La pluie.

– La pluie, – ახალგაზრდა კაცმა ბეჯითი მოწაფესავით გაიმეორა და გლეხმა ცოცხლად დაუქნია თავი და თქვა: – კარგია, კარგი, მშვენივრად ლაპარაკობთ, მალე ფრანგულით ალაპარაკდებით. – მერე ანიშნა ფანჯრის მიღმა გაშლილი მინდვრები და აღერსიანად თქვა:

– La terre.

– La terre, – გამოეხმაურა ახალგაზრდა კაცი.

– მე შენ გეუბნები, – წყრომით თქვა ფანჯარასთან მჯდომმა ქალიშვილმა. – მაგან ყველა ეს სიტყვა იცოდა. ძალიან კარგად იცის ფრანგული. ეს შენა ხარ ასეთი აჯამი, რომ არ გესმის მისი. ეს არის და ეს.

ბერიკაცს პასუხი არ გაუცია, ახალგაზრდა უცხოელს კი ისე შეჰყურებდა, თითქოს აქებდა და აქებებდა. მერე უფრო სწრაფად აასხა ერთმანეთზე სიტყვები, ანიშნა მზე, წვიმა და მინა და თქვა:

– Le soleil, la pluie, la terre.

ახალგაზრდა კაცმა გაიმეორა და ბერიკაცმა კმაყოფილი გამომეტყველებით თავი დაუქნია, სწორიო. მერე კარგა ხნით ჩამოვარდა სიჩუმე, რომელსაც არღვევდა პატარა

მატარაი მალხაზ კუხაშვილი

მატარებლის უდარდელი რახრახი და ქალიშვილი კვლავინდებურად მოღუშული სახით იყურებოდა ფანჯარაში, გარეთ კი წვიმა გრძელი, ირიბი ჭავლებით რწყავდა ნაყოფიერ მინდვრებს.

უკვე შებინდებული იყო, როდესაც მატარებელი გაჩერდა პატარა სადგურზე და ყველა მოემზადა გასასვლელად. ამას იქით მატარებელი აღარ მიდიოდა. ორლენის მგზავრები სხვა მატარებელში უნდა გადამსხდარიყვნენ.

გლეხმა, მისმა ცოლმა და ქალიშვილმა მოაქუჩეს თავიანთი ბარგი-ბარხანა და პერონზე გავიდნენ. მეორე ლიანდაგზე სხვა მატარებელი იდგა. გლეხმა ანიშნა იგი თავისი მსხვილი, დაკოჭრილი თითით და ახალგაზრდა კაცს უთხრა: – ორლენი. აგე თქვენი მატარებელი.

ახალგაზრდა კაცმა მადლობა გადაუხადა და მისცა კოლოფი დარჩენილი სიგარეტებით. გლეხი კარგახანს მხურვალედ უხდიდა მადლობას, დამშვიდობებისას კი კიდევ ერთხელ სწრაფად ანიშნა მზე, წვიმა და მინა და გულითადი, მეგობრული ღიმილით წარმოთქვა:

– Le so-leil, la pluie, la terre.

და ახალგაზრდა კაცმა თავი დაუქნია, მიახვედრა, ყველაფერი გავიგეო, და ბერიკაცის ნათქვამი გაიმეორა, ხოლო ბერიკაცმა თავის ქნევით მოუწონა და თქვა:



– ჰო, ჰო, ძალიან კარგია. აგენცობა საქმე.

ეს რომ მოესმა, ქალიშვილმა გაასწრო მშობლებს, კვლავინდებურად მოლუშული, დამოუკიდებელი და დარცხვინილი გამომეტყველებით მოიხედა და მძვინვარე სასონარკვეთით დაიყვირა: – მე ხომ გეუბნები მესიემ ყველაფერი ეს იცის... თავი დაანებე... თავს სულელად აჩვენებ და მეტი არაფერი!

მაგრამ ბერიკაცსა და მის ცოლს თითქოსდა არც გაუგიათ მისი სიტყვები, მეგობრული ღიმილით შეჰყურებდნენ ახალგაზრდა კაცს და დამშვიდობებისას გულთბილად ჩამოართვეს ხელი.

ახალგაზრდა კაცმა ლიანდაგი გადასჭრა და იმ მეორე მატარებლის კუბეში შევიდა. როდესაც ფანჯარაში გაიხედა, გლეხი და მისი ცოლი ისევ იდგნენ ბაქანზე, შეჰყურებდნენ უცხოელს და გულითადი ცნობისმოყვარეობა ენერათ ბებრულ სახეებზე. უცხოელის მზერა რომ დაიჭირა, ბერიკაცმა თავისი მსხვილი თითით ისევ ანიშნა მზე და იყვირა:

– Le so-leil!

– Le so-leil! – გამოეხმაურა ახალგაზრდა კაცი.

– ჰო, ჰო, – იყვირა ბერიკაცმა და გაიცინა. – ძალიან კარგია.

მაშინ ქალიშვილმა პირქუში მზერა აჩუქა ახალგაზრდა კაცს, მოჭრილად და უიმედოდ გაიცინა და წყრომით შებრუნდა. მატარებელი დაიძრა, მაგრამ ბებრები კვლავ შეჰყურებდნენ უცხოელს. იმან ხელი დაუქნია და ბერიკაცმაც უპასუხა ხელის დაქნევით, მერე სიცილით ანიშნა მზე. ახალგაზრდა კაცმა თავი დაუქნია და რალაც იყვირა, ალბათ, გავიგეო. ამასობაში ქალიშვილმა წყრომით აიჩქრა მხრები, ზურგი შეაქცია მშობლებს და უკვე სადგურის ნაგებობებს იქით გაეშურა.

მერე ისინიც გაუჩინარდნენ თვალსანიშნადან. მატარებელმა სწრაფად ჩამოიფერთხა პატარა ქალაქი და აღარაფერი დარჩა გარდა მინდვრებისა, მიწისა, კვამლიანი და იდუმალი შორეთისა. წვიმდა და წვიმდა გადაუღებლივ.

თარგმნა
ლავა გიორგაძე

მთარგმნელისაგან

სამოცი წლის წინათ მისისიპის უნივერსიტეტში სტუმრად მიწვეულ უილიამ ფოლკნერს სტუდენტებმა, სხვა შეკითხვებთან ერთად, სთხოვეს დაესახელებინა თანამედროვეობის ხუთი ყველაზე საუკეთესო ამერიკელი მწერალი. ფოლკნერის გულახდილი პასუხი ასეთი იყო: ვულფი, დოს პასოსი, ჰემინგუეი, კოლდუელი, სტაინბეკი.

ფოლკნერს უსაყვედურეს ზედმეტი თავმდაბლობა და, სხვა რა გზა ჰქონდა, კიდევ უფრო გულახდილად საკუთარი თავიც მიათვალა „ბრწყინვალე ხუთეულს“ და მეორე ადგილზე მოათავსა. ამ თითქოსდა უმნიშვნელო ეპიზოდს დიდებული ამერიკელი მწერლის ცხოვრებაში, მისთვის სრულიად მოულოდნელად, ხმაურიანი და ერთობ უსიამო გაგრძელება ჰქონდა, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა სხვა დროისთვის გადავდოთ და ამჯერად მხოლოდ ისა ვთქვათ, რომ ლამის უპრეცედენტო ამბავია: დიდებული მწერალი, თანაც როგორი დიდებული – ტოლი რომ არა ჰყავსო, საკუთარ თავზე მაღლა აყენებს თავის კოლეგას, იმ მწერალს, რომელსაც ბედმა ოცდათვრამეტი წლისას მოუსწრაფა სიცოცხლე და არ დააცალა შემოქმედებითი სიმნიფე.

ტომას ვულფი (1900-1938) მკითხველისათვის უფრო თავისი რომანებით არის ცნობილი, მაგრამ, რასაკვირველია, მოთხრობებსაც წერდა და, მეტი რომ არა ვთქვათ, ურიგო მოთხრობებს როდი წერდა. ასეა თუ ისე, მისი „დაკარგული ბიჭი“ უდავოდ მიეკუთვნება მსოფლიო ნოველისტიკის უმაღლესი სინჯის ოქროს ფონდს (ქართულად თარგმნა ციალა თოფურიძემ).

ეს მოთხრობა ასახავს, ვგონებ, ყველაზე მწვავესა და ყველაზე უკურნებელ ტკივილს ამქვეყნიურ ტკივილთაგან – თერთმეტი წლის ყმანვილის ტრაგიკულ აღსასრულს თვალთ უხილავი და ხელით შეუხებელი ბაცილის გამოისობით, რომელიც თავისი ძალმოსილებით არ ჩამოუვარდება მიწისძვრას, ქალაქებს რომ ანგრევს, და გრიგალს, მთელ ქვეყანას რომ გადაუვლის.

და რჩება წარუშლელი სსოვლად დაკარგული ბიჭისა უახლოეს ნათესავთა გულეებში, მწარე სინანული და ტკბილი ნოსტალგია სამუდამოდ დაკარგულ წარსულზე.

იმ მოთხრობაში კი, „შორიდან და ახლოს“ რომ ჰქვია, ვხედავთ ოცნებას მომავალზე. მისი სიუჟეტი თავს ვერ მოიწონებს ორიგინალობით, მაგრამ ამშვენებს იშვიათი უბრალოება, რომელიც მოხდენილად გადმოგვცემს ძალზე ადამიანურ გრძობას –

ოცნების შემოჭრას ყოველდღიურობაში, რაც ხანგრძლივად ახალსებს სიცოცხლეს, მიუხე-

დავად ნაღვლიანი ეპილოგისა.

აღნიშნულ მოთხრობაში იმაზე მეტიც უნდა ამოვიკითხოთ, ვიდრე გადმოგვცემს ერთი შეხედვით მარტივი და გულუბრყვილო სიუჟეტი.

„შორეული ქალის ეშპი“ მიჰყვება მატარებლის მემანქანეს წლების მანძილზე და, როცა შორეული ხდება ახლობელი, ლამაზ ოცნებას ენაცვლება უღიმღამო რეალობა, შემადრწუნებელი – დაკარგული ილუზიის ფონზე, ისევე როგორც უფერულ დღეთა მდინარებაში გაჩენილი ოცნება ალტექმულ მინაზე ახლოდან შეხედვისას კარგავს ხოლმე მთელ თავის მომხიბლაობას და ირკვევა, რომ ალტექმული მინაც უფერული ყოფილა, ოსტატურად შეღებილი და შელამაზებული.

კიდევ უფრო მარტივად შეიძლება მოგეჩვენოს „მზე და ნვიმა“ – თითქოსდა დაბრუნება პირველყოფილ წიაღში, ბუნების ძალთა სიდიადე წვრილმან ადამიანურ ვნებათა წინაშე ანუ ის, რაც უფალს უწყალობებია მოკვდავთათვის და რაც ყოველთვის შეიძლება მოვევლინოს მხსნელად ყოველ ნაღველსა და უბედობას.

ასე იწერება ოდა სიცოცხლისა და სიხარულისა.

სხვათა შორის, ზემოხსენებული „ბრწყინვალე ხუთეულის“ დასახელებისას ფოლკნერი ხაზს უსვამდა იმას, რაც სხვათაგან გამოარჩევდა ტომას ვულფს – მცდელობა შეუძლებლის მიღწევისა და ბრწყინვალე მარცხი, რისკისა და სიამაცის გამოვლინება.

„ქართული მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ამ ორ მოთხრობაშიც შეინიშნება ფოლკნერისეული კვალიფიკაცია: ვულფი თამამად იყენებს საკმაოდ გაცვეთილ სიუჟეტს და რალაც ჯადოსნური ძალით აღწევს სასურველ შედეგს. ათასჯერ თქმულს იმეორებს და ეს ათასმერეთე ცდა, შესაძლოა, ყველაზე უკეთესად ჩაითვალოს.

ეგებ „ბრწყინვალე მარცხის“ ნაცვლად ვუწოდოთ „გაუგონარი უბრალოება“.

დიახ, სწორედ გაუგონარი თუ გენიალური უბრალოებით არის დაღდასმული ეს ორი მოთხრობა – უბრალონი, როგორც ჭიქა წყალი, ან ჰაერის ყლუპი ანდა ლუქმა პური, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ცხოვრება ადამიანისა.

ტყეპი გახიზნული ნიგნები

ასეთი ნიგნიერი რეჟისორი, ალბათ, სანთლით იქნება საძებარი დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში.

ადამიანის ცხოვრებაში კულტურის და, კერძოდ, ნიგნის კულტურის განუზომელი როლი მუდმივი თემა ხდება გამოჩენილი ფრანგი კინორეჟისორის, „ახალი ტალღის“ გამორჩეული პიონერის, ფრანსუა ტრიუფოს შემოქმედებაში. ჯერ კიდევ ფილმში „400 დარტყმა“, რომელმაც რეჟისორს სახელი გაუთქვა მთელს მსოფლიოში, გაიელვა ამ სულისკვეთება – პატარა ანტუანი კინალამ ხანძარს არ გააჩენს, როდესაც აღმართავს საკურთხეველს ანთებული სანთლით... ბალზაკის პორტრეტის წინ! არც ის არის შემთხვევითი, რომ შემდგომში იგი მწერალი ხდება. სტამბა და ნიგნის მაღაზია ხშირად ჩნდებიან იმ ფილმებში, ანტუან დუანელის ცხოვრებას რომ მოგვითხრობენ.

კრიტიკოსები ხაზს უსვამენ ავტობიოგრაფიულ მომენტს კინორეჟისორის შემოქმედებაში. ცხოვრების განსაზღვრულ ეტაპზე ლიტერატურა და კინო მოზარდი ტრიუფოს სულში ავსებდა მშობელთაგან ადამიანური სიტბოს ნაკლებობას.

და გასაკვირი აღარაა, რომ ტრიუფო მომავალში გადაიღებს ფილმს, სადაც ნიგნები იძენენ ადამიანის იერს და ფილმის მთავარი გმირი ეუბნება თავის ცოლს: „ეს ნიგნები გახდა ჩემი ოჯახი“.

უკვე „400 დარტყმის“ შემდეგ ენადა გადაელო ფილმი ნიგნებზე; ფილმი, სადაც ნიგნები გადაიქცეოდნენ ფილმის გმირებად! და არ იცოდა, რომ შეერთებულ შტატებში ის-ის იყო გამოქვეყნდა რომანი, რომელიც ზუსტად შეესაბამებოდა მის გულისხმადილს.

ერთმა მეგობარმა ურჩია წაეკითხა ამერიკელი მწერლის რეი ბრედერის რომანი „451“ ფარენჰეიტით“. მაგრამ ტრიუფო ვერ იტანდა ე.წ. სამეცნიერო ფანტასტიკას. მისი აზრით, ეს ჟანრი მონაბოდა მწერლის წარმოსახვის სილატაკეს. მეგობარმა აუხსნა, ბრედერი სრულიად სხვა მოვლენა არისო და ორიოდ სიტყვით გააცნო მისი რომანის სიუჟეტი.

ტრიუფო დაინტერესდა. წაიკითხა და მოიხიბლა. რომანში ფეთქავდა რაღაც მაგიური: ქვეყანა, სადაც აკრძალულია ნიგნის კითხვა, სადაც ნიგნის მკითხველებს თავსლაფს ასხამენ, ციხეში ალპობენ, სიკვდილისკენ უბიძგებენ. ნიგნების დაწვა ევალებათ „მეხანძრებს“. წელიწადში ერთხელ კი ყოველ „მეხანძრეს“ შინ ატანენ ერთადერთ ნიგნს, რათა აჩვენოს თავის ოჯახს, თუ რა სისულელეებით იტენიდნენ ტვინს ადამიანები იმ „წყულ დროში“, როგორ კარგავდნენ სულიერ სიმშვიდეს და ჭკუიდანაც კი ირყეოდნენ ხოლმე ნიგნების გამოისობით.

ნიგნის ტრფიალნი ტყეში გახიზნულან და ემალებიან ნიგნთა მოძულე ხელისუფლებას. მათ ნიგნის გადარჩენა სწადიათ.

თქვენ წარმოიდგინეთ, ისინიც ნვავენ ნიგნებს, ვინაიდან მუდმივად უნევთ ერთი ადგილიდან მეორეზე გადაბარება და მინაში ჩამარხული ნიგნების პოვნა მერე უძნელდებათ.

და აი, იპოვეს გამოსავალი. ნიგნებს ინახვენ თავში! ვერავინ დაინახავს, ვერავინ წაართმევს.

ყოველი გახიზნული თითო-თითო ნიგნს იზეპირებს.
– გვაქვს „ეკლესიასტე“?

– დიახ, ეს გახლავთ კაცი, გვარად ჰარისი, იანგსტონში რომ ცხოვრობს. გნებავთ პლატონის „რესპუბლიკა“?

– რა თქმა უნდა, – ამბობს ნეოფიტი, გვარად მონტეგი.
– მე გახლავართ.

ჯონათან სვიფტიც აქ არის და ჩარლზ დარვინიც, შექსპირი და შილერი, შოპენჰაუერი და აინშტაინი, ბუდა და კონფუცი, ჯეფერსონი და ლინკოლნი; მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე...

ისინი ერთმანეთისათვის იყვნენ გაჩენილნი: ბრედერის საუცხოო რომანი და უსაზღვროდ ნიგნიერი ფრანგი კინორეჟისორი. ამ ფილმის გადაღების უფლება ტრიუფოსათვის აღემატებოდა ყველა ამქვეყნიურ ჯილდოს, ყველა ოქროსა თუ ვერცხლის პალმის რტოებსა და დათვებს.

და მოხდა ის, რაც უეჭველად უნდა მომხდარიყო. ტრიუფომ ბრწყინვალედ შეასხა ხორცი ეკრანზე ბრედერის რომანს.

როდესაც „მეხანძრენი“ ნვავენ ნიგნებს, ცეცხლში იწვის მათი მფლობელი ქალბატონიც და მსხვილი პლანით მოჩანს მისი ტანჯული და შთაგონებული სახე.

„ნიგნის“ ოპოზიციად ფილმში წარმოჩნდება ტელევიზია. იმ ქვეყანაში, სადაც კანონითაა აკრძალული ნიგნის კითხვა, რუდუნებით ინერგება ტელევიზია. ფილმის მთავარი გმირის მონტეგისა და მისი ცოლის საძინებელში ჰკიდია უზარმაზარი ტელეეკრანი, ყოველ ოთახში მომცრო ტელევიზორია. ცოლი ოცნებობს, ქმარს დაანინაურებენ და კიდევ უფრო დიდრონ ტელევიზორს ვიყიდითო.

მონტეგი ქალაქიდან გარბის, რათა გადაარჩინოს და მომავალ თაობებს შეუნახოს დიკენსის „დავით კოპერფილი“. ტელევიზიით ცხადდება მისი ძებნა. ამგვარად, ტელევიზორი ხდება სიმბოლო კანონმორჩილ მოქალაქეთა კეთილდღეობისა და იარაღი ურჩ ოპოზიციონერთა დევნისა.

ტრიუფოს ფილმში ტელევიზია წარმოგვიდგება არა როგორც ხელოვნება, არამედ როგორც იარაღი პროპაგანდისა, რომელიც აჩლუნგებს ხალხის მასებს (ნახევარი საუკუნის წინათ ტელევიზიის ამგვარი „განდიდება“ არასამეცნიერო ფანტასტიკა გვეგონა, დღეს კი მწარე რეალობად ქცეულა).

ფრანსუა ტრიუფო თავის ფილმში ქმნის ადამიანის ახალ, უტოპიურ მოდემას; ეს გახლავთ ადამიანი-ნიგნი, ადამიანი-ბიბლიოთეკა. ისინი, კულტურის წყალობით, ეზიარნენ თავისუფლებას და იგი გაიტანეს ბუნების წიაღში, ტყეში, შორს უკულტურო ცივილიზაციისგან, რომლის აკვანი დაირწა შეერთებულ შტატებში.

ტრიუფო ამბობდა: „მე მუდამ ავსახავ იმ ადამიანებს, რომლებიც კი არ უპირისპირდებიან საზოგადოებას, კი არ უკუაგდებენ მას – პირიქით, საზოგადოება ვერ ეგუება მათ და ხელსა ჰკრავს“.

ნიკაპზე არაჟანი ჩამოსდიოდა

გასული საუკუნის 50-იანი წლების დამლევს ნიკიტა ხრუშჩოვი სტუმრად ბრძანდებოდა შავ ზღვაზე და მისთვის ჩვეული გულმოდგინებითა და საქმის ცოდნით ამონებდა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო მზადყოფნას.

ერთ მშვენიერ დღეს კრეისერით უნდა გამგზავრებულყო იმ ფარისაკენ, რომელსაც უმიზნებდნენ ფრთოსან რაკეტებს და საკუთარი თვალთ ეხილა სროლის შედეგები.

მზე შუბის წვერზე იყო ასული, როდესაც ხრუშჩოვი ეწვია გამორჩეულ კრეისერს. მეთაური ხომალდისა მოწინებით შეეგება სტუმარს, თავი წარუდგინა და მოახსენა: სამი საათის სავალი გვაქვს და თუ ნებას მომცემთ, მცირე საუბრეზე უნდა დაგვატოვოთ.

ხრუშჩოვი აღმოუთებულა: რას მიქვია მცირე, საჭმელ-სასმელი გენანებათო?!

გადამდგარი კონტრ-ადმირალი კ. სტალბო, იმ კრეისერის მეთაური რომ ყოფილა, ასე აგვიწერს ძვირფას სტუმარს:

„ჩემს წინ იდგა პატარა, ჩასუქებული კაცი; ცხვირქვეშ ოფლის მსხვილ-მსხვილი წვეთები უბზინავდა. პირისახეზე ოდნავ ეყარა ჭორფლი. ტუჩები წინ წამოსწოდა. პირის კუთხეებში უჩანდა დორბლი. ლურსმნებივით ამოშვერილი მეჩხერი კბილები ჰქონდა. როდესაც ილიმებოდა, მის ღიმილში რაღაც ძალღური ჩნდებოდა. მოკლე და კოტიტა ბანჯგვლიანი თითები სარდელს მიუგავდა. რატომღაც წამდაუნუმ იკვნეტდა ფრჩხილებს, ჭუჭყიანი რომ ჰქონდა ისევე, როგორც ხელები. ერთი სიტყვით, ფიზიკურად საზიზღარ შთაბეჭდილებას ტოვებდა“.

ზრდილი მეზღვაური, ალბათ, კრინტსაც არ დაძრავდა ხრუშჩოვის ფიზიკურ პორტრეტზე, მის საქციელს რომ არ შეეძრწუნებინა.

გემზე, ცხადია, ყველაფერი ექნებოდათ – კონიაკი, არაყი, ღვინო. მეზღვაურებმა სტუმრის დახვედრა ჩინებულად იცინაო. მაგრამ ძვირფასმა სტუმარმა ისე ეწერა ულად შეუტია სასმელს, რომ თანაშემწენი მალე ხელს ამველებდნენ, სკამიდან იატაკზე ზღართანი არ მოადინოსო.

ხრუშჩოვს სალათოლივიეს გადმოლება განუზრახავს, მაგრამ შეზარხოშებულს მიზნის აღსრულება გასჭირვებია. თურმე განრისხდა, შორს მოისროლა კოვზი, თითები ჩაჰყო სალათში და ხელით შეუდგა ჭამას. ნიკაპზე არაჟანი რომ ჩამოედინა, პირი სუფრის კალთით მოინმინდაო!

გაოგნებულსა და დამუნჯებულ მეზღვაურებს თავი სიზმარში ეგონათ...

კ. სტალბო გვაუწყებს, რომ გემის კაიუტ-კომპანიაში საერთოდ ძალზე მკაცრი წესრიგია და იქ ოფიცრები საგანგებოდ გამოწყობილი შედიანო. ამგვარ ტრადიციას საუკუნეები გამოუვლია და აი, ჩვენს თვალწინ იჯდა მთვრალი მუჟიკი, ვისაც ბედმა უზარმაზარი სახელმწიფოს მეთაურობა უწყალობაო.

მერე ჩამოუნმინდეს არაჟანი პიჯაკიდან, ხელკავი გაუყარეს და გაუძღვნენ ფრთოსანი რაკეტისაკენ. ხრუშჩოვს გაღეშილი კაცის კმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, თითებით იჩიჩქნიდა კბილებს და საგულდაგულოდ გაკრიალებულ გემბანზე იპურჭყებოდაო.

იმავე საღამოს ხრუშჩოვი სიტყვით გამოსულა შავი ზღვის ფლოტის პარტაქტივის კრებაზე. ჩანს, ბოლომდე ვერ გამოფიხლებულიყო, ჩვეულებრივზე უფრო არეულ-დარეულად ლაპარაკობდა, რალაცებს გაჰყვიროდა, დროდადრო უწმანურ გამოთქმებსაც არ ერიდებოდა, თუმცა, სხვას რომ თავი დავანებოთ, დარბაზში ქალებიც ისხდნენო.

გადამდგარი კონტრ-ადმირალი ასკენის, ამ სტუმრობისას ხრუშჩოვმა მეზღვაურთა თვალში თავი ძალიან მოიჭრაო.

... სხვათა შორის, საქართველოში ვიზიტის დროსაც კი დრო გაუტარებია ქართველი ხალხის დიდ მეგობარსა და მფარველს. მისი დაცვის ბიჭებს ქართველი კოლეგებისათვის გაუმხელიათ: ყელში ამოგვივიდა ამ შობელძალის რეცხვაო. საუბრე იქნება, სადილი თუ ვახშამი, ხორაგით ისე ძლება და არყით ისე ილენება, რომ მერე პირიდანაც და უკნიდანაც გადმოსდისო. გაგვტანჯა, წელში გაგვწყვიტაო. ცხრა თუ ათი წელიწადი ქურდად იჯდა კრემლში!

31 ოქტომბერს შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში ჟურნალ „კრიტიკის“ მეორე ნომრის განხილვა გაიმართა.

ინსტიტუტის დირექტორის ქალბატონ ირმა რატიანის თქმით, ჟურნალის ეს ახალი ნომერი განსხვავებულია ვიზუალურადაც, შინაარსითაც, შეცვლილია მიმართულება და დამატებულია ახალი საინტერესო რუბრიკები.

„კრიტიკის“ რედაქტორი მანანა კვაჭანტირაძე შეკრებილებს ესაუბრა ამ ნომრის კონცეფციის, თავისებურებების და ჟურნალის სარედაქციო საბჭოს მიზნების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ ჟურნალი ცდილობს შეავსოს 1995 წლის შემდეგ წარმოქმნილი ნიშა კრიტიკის სფეროში. ეს გამოცემა შემოისახლვრა დროის არეალით – მიმოიხილა 90-იანი წლების შემდეგ განვითარებულ ლიტერატურულ პროცესებს და, რაკი ჟურნალი ლიტერატურის ინსტიტუტის ეგიდით გამოიცემა, ის უმეტესწილად სამეცნიერო ტიპის წერილებს აერთიანებს.

თავყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ: თამაზ ვასაძე, ლევან ბრეგაძე, ნონა კუპრეიშვილი, რევაზ სირაძე, მაია ნინიძე, ინგა მილორავა, ნანა მრეველიშვილი... მიმოიხილეს ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები, გამოარჩიეს საუკეთესოები მათ შორის და გამოთქვეს საგულისხმო შენიშვნებიც. სხდომაზე საინტერესო დისკუსიაც გაიმართა იმის შესახებ თუ როგორ უნდა იყოს თანამედროვე კრიტიკა თავისი ფორმებითა და შინაარსით. ასევე იმსჯელეს კრიტიკოსებისა და მწერლების ურთიერთობის შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ კრიტიკა უფრო მეტად პრინციპული უნდა იყოს თანამედროვე ლიტერატურული პროცესების, სახელმძოხვეჭილ ავტორთა ქმნილებების შეფასებისას.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ხელოვნებისა და კულტურისათვის ასეთ მიმე ვითარებაში ჟურნალი შედგა, როგორც ლიტერატურული მოვლენა, მას აქვს თავისი გამორჩეული კონცეფცია და პროფესიონალიზმის წყალობით ის სასიკეთო კვალს დააჩნევს თანამედროვე სამწერლო პროცესებს.